

ს ა მ ი


ისტორიული ხრონიკა

(ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ
და მესხური დავითისა)

გამოცემული

ვრცელის წიხა-სიტყვაობით და შედარებით ქართლის
ცხოვრებასთან და სხვა სრლანიკებთან

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ.



ტფილისი.

Тш. К. Месхиа и С. Полетава. | სტ. ე. შეხევეს და ს. პოლეთაეისა.

1890.

გადაბეჭდა და გადართგა აკმაღელაა.

ს ა მ ი

ისტორიული ხრონიკა

(ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ
და მესხური დაუიონისა)

გამოცემული

ვრცელის წინა-სიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა სწონიკებთან

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ.



ტფილისი.

Тип. К. Месхіева и С. Полегаева. | სტ. კ. შუხუაძის დ. ს. პოლეგაევის.

1890.

გადაუჭავა და გადათარგმნა აკაკიელისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Ноября 1889 года.

შინაარსი წიგნისა ამის

ბეკრდი.

I წინა-სიტყვაობა ქართლის მოქცევისათვის I—CII:

- 1) აღწერილობა შატერდის კრებულისა. . I—XX.
- 2) აღწერილობა იტრიის ეკლესიისა და ამ ეკლესიის გუჯრები. . . XXI—XXXIV.
- 3) ზემო-ჭალის ეკლესიის არქეოლოგიური ნივთები XXIII—XL.
- 4) აღწერა ვანუშტი აბაშიძის კუთვნილის სურათებიანი სადღესასწაულოსი. . . XL—XLV.
- 5) აღწერა პარხალის სხარებისა XLV—LVII, LXXIV—LXXIX.
- 6) შენიშენე'ი პარხალის მონასტრის შესახებ LVII—LXI.
- 7) შენიშენები შატერდის, ხანძოეთის და კალმანის მონასტრების შესახებ, თუ სად მდებარეობდნენ LXI—LXXIII.
- 8) განხილვა ქართლის მოქცევის ხრონიკისა LXXIX—CII.

II წინა-სიტყვაობა სუმბატის ისტორიისათვის CIII—CXXVI.

- 1) განხილვა სუმბატის ისტორიის ხრონიკისა CIII—CXII.
- 2) შენიშენები ვანტანგ VI-ის ქართლის ცხოვრების რედაქციის შესახებ. . . CXII—CXXVI.

III წინა-სიტყვაობა მესხური დავითნის ხრონიკისათვის. . . CXXVII—CXLIX.

- 1) განხილვა მესხური დავითნის ხრონიკისა CXXVII—CXXXIX, CXL—CXLI.
- 2) ვალის ეკლესიის წარწერა CXXXIX—CXL.

თაურის ასოები და სტრიქონებიც ნაწერია წითელის მე-
 ნით, დიდი მეთაურის ასოები, ანუ „ინიციალები“ ბეკრის ხელ-
 ნაწერში, მაგრამ არც ერთი მათგანი ფერადებით შემკო-
 ბილი არ არის. ასო მთავრული წერს თავიდან ბოლომდე
 ერთგვარია, მოსსო და ლამაზი. ეს ნაწილი კრებულისა
 ნაწერია ორ სვეტად და თითოეულ სვეტზე დატეულია
 27 სტრიქონი. მეორე ნაწილი, რომელიც დაწერილია ხუს-
 ხს სურურის ხელით, წარმოგვიდგენს სამკვარ სხვა და სხვა ხე-
 ლის წერას თანხმად იმ სამთა შირთა, რომელთაც, როგორც
 უკანა-სიტყვაობიდან სჩანს, მიუღიათ მონაწილეობა წიგნის
 გადაწერაში. საზოგადოთ სამივე ხელი ამ ნაწილისა ლამა-
 ზია, მოსსო და ადვილათ გასარჩევი ყოველგან, სადაც მე-
 ლანი გადასული არ არის და ეტრადი გაფუჭებული. სამ-
 წუსაროდ არა იშვიათია ისეთი ადგილები, რომელნიც
 დროთა ვითარების გამო ძრეულ გაფუჭებულან. ზოგ ად-
 გილას ეტრადი დახეულია, ადგილ-ადგილ მელანი გადასუ-
 ლია და სიტყვები აღარ განიჩევიან, ზოგიერთი ფურ-
 ცლები შენახულა სანახევროდ და ზოგიერთ ადგილს სი-
 ტყვები და ფრაზები განკებ ამოფსეკილია უმცარის ხე-
 ლით. მეორე ნაწილი კრებულისა, როგორც შირველი, ნა-
 წერია ორ სვეტად და თითო სვეტზე დატეულია 26 დამ
 33 სტრიქონამდე. ჰაგინაცია, ანუ ფურცელთ სათვლავი,
 მიუძღვის თითოეული რვა ფურცლის შემდეგ. ასო მთავ-
 რულით ქვემო და ზემო არშიებზე. ჰაგინაციის მისეღვით
 ხელ-ნაწერი უნდა შეიცავდეს 317 ფურცელს, მაგრამ ეს-
 ლა დანულია მხოლოდ 291, ანუ 582 გვერდი, და და-
 კარგულია 37 ფურცელი. უმეტესი ნაწილი აკლია შუა

ადგილებში, თავი სრულად არის დაცული, ბოლოში, როგორც სჩანს, აქვია მხოლოდ ერთი ფურცელი. ერთ-ერთი კრებული კარგ ხანს ყოფილა უედოთ და მერმე უდის გაკეთების დროს ფურცლები აურევიათ ერთმანეთში; ამით აისხნება ის გარემოება, რომ ზოგიერთი მათგანი ესლა თავ-თავის. ადგილზე არ არის და უკანასკნელიც, რომელიც ცოტა გასერილა და გაშავებულა უედობის გამო, უდის გაკეთების შემდეგ ერთი ფურცლით წინ მოქცეულა. კრებულს მაგარი სის უდა აქვს ტყავ-გადაკრული. შინაარსით, როგორც მოვისხენიეთ, ხელ-ნაწერი წარმოკვიდგენს. სხვა და სხვა ნაწერების კრებას შემდეგის რიგით:

I თქომოვული წდისა და ნეტარისა მამისა ჩუზნისა გრიგოლი ნოსელ ებისკოპოსისაჲ კადისა შესაქმისათჳს, რომელი მიუწერა მძსა თჳსსა ჰეტრეს, ებისკოპოსსა სეა ბასტიელსა (გვ. 1—121).

ეს „კადისა შესაქმე“, ანუ „ექვსთა დღე“, განიყოფება 30 თავად და იწეება; როგორც ნაჩვენებია, გრიგოლის წერილით თავის მძსთან ჰეტრესთან, სებასტიელ ებისკოპოსთან.

დასაწყისი: ოჯოჯოთოჯმცა ჯერ იყო დება სათნოვე ბის მომგებელთაჲ მატონითა მონაგებთაითა, იმოვნესმცა უნი სიქადულნი საფასეთანი უნდო...

დასასრული: რა კლდ კივნეთ მადლსა-მას მსგავსებისა დტისასა, რლითა დაჭბადა დნ კაცი პირველ, რდეს თქვა: „იქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩნდა,“ რლისა არს დბა და ძლიერებაჲ აწ და მდს და უკ უკს ან. 1).

1) აქ და ყოველგან სხვა ამ გვარ შემთხვევაში ვიცავთ დედნის მართლ-წერას.

ამ ნაწილში კრებულისა, მე 84 გვერდზე, ქვემო არ-
შიაზე, ტექსტისვე სულით, მაგრამ ნუსხას სუცურით კვი-
თსულობით: ქ. შიწყალე მწერალი იოანე.

შესაქმის ბოლოს, მე 121 გ-ზე იმავე სულით
სწერია:

ესე კაცისა შესაქმლ დანიერს დედითა იშნისაძთა,
ვინ იკითხავდეთ მწერლისა [თვს] [კურ]თსეკა უავთ¹⁾.

II. ეპიფანს კვპრელისა თქმული თოჯალთაჲ (122—
214).

დასაწყისი: ეპიფანს კვასკოპოსი კოსტანტია ქლ ქისა,
რლ არს დედაჲ ქლქთაჲ გიპროს ჭალაკისაჲ, რლ
თქოჯა ათორმეტთა მათ თოჯალთათვს, უ ა ჩემსა, პატიო-
სანსა ძმასა და საქმისა თანა ზიარსა, თევდორსს, კეთილად
მსასოჯრსა კვისკპოსსა, ეპიფანს კვასკოპოსი რლისა
მიერ გიკითხავ.

ბოლო: აწ გამოვაცხადნეთ მთანი ესე უღითა ჭეშ-
მარტებითა, აქაოდენ კმა იყავნ თქოჯმად და გულისა მის
უოთვად ამის უღისათვის.

გარჩეულია შემდეგი თვლები: 1) თოჯალი სარდიო-
ნი, 2) ტბალიონი, 3) ზმოჯრი, 4) იაკინთს, 5) საფი-

¹⁾ სიტყვა „დედა“ აქ, როგორც ხშირად, სხვა ხელ-ნა-
წერებშიაც, ნახმარებია „დედნის“ მაგიერ. იშნიის, ანუ იშნანის
შესამწეკი ძველი ეკლესია მდებარეობს ოსმალეთის საქაროვე-
ლოში, ოლხოს და ტაოს-კარის წყლებს შუა (Вакрадзе, Ка-
в-казъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 74).
შეიძლება ამ ადგილებში უნდა ეძიოთ შატბერდის მონასტერიც,
რომლის მდებარეობა არ ვიცით, სად იყო.

რონი, 6) იასზინი¹⁾, 7) ღვგვრიონი, 8) აკაცი, 9) ამე-
თესტონი, 10) როწოკული, 11) ბუკრიონი, 12) თერცხილი.

ამ ნაწილში მე 180—181 გ-ზე, ჭკემო არშიაზე, ტეკსტისკე სელით, მაგრამ ნუსხს სუცურით და წითელის მეღნით სწერია:

შო ქე, შო მეოფეო ელთა დბდელთა, წეღობთ
მოიკსენე ამის წიგნისა მწრლი დღესა-მას ადგომისასა.

მე 214 გ-ზე იმავე სელით:

ქე, შეიწულე ივანე, ამისა მწერალი.

III მკეტათეს სასისა სიტოკუჲ, წიგნთაგან თქმუ-
ლი წმიდისა ბასილისი, ებისკოპოსისი კესრეელისაჲ.

დასაწყისი: აჩს რი იწოდების მსოჯენი მზარისაჲ,
გას სასის მკეტოკუჲლმან თქოჯა...

ბოლო: რა აღვადო პირი ჩემი და აღმოკოქოჯა
ჭებაჲ მამისა და ძისა და წდისა სლისაჲ აწ და მდის
და უგო უგე აწ.

მე 217 გ-ზე ამ ნაწილისა, ჭკემო არშიაზე ტეკსტი-
სკე სელით, მაგრამ ნუსხს სუცურით და წითელის მეღნით
სწერია:

ქე, შე წელს ბერაჲ, მწერალი ამის წიგნისაჲ, და
შეუნდვენ ენი ცოდვანი მისნი, აწ.

მე 239 გ-ზე იმავე სელით და კინოვარით:

სამებაო წო, ელისა მპერობელო, წელშით მოსე-
დენ ამისსა მწერალსა, გლსგსა, მეოსებითა რჩეულისა შე-

1) ამ თავლის შესახებ სხვათა შორის სწერია: იპოების
ესე საწლუართა ქართლისათა და გორგასეს.

ნისა წლისა პასილ მთერ ესკჳსისაჲ[თა]... (აქ ერთი სიტყვა ამოშლილია).

IV სტატია, რომლის სათაური განგებ ამოფხეკილია, მაგრამ რომელიც შეიცავს: 1) ებრაელის და ბერძნულის ანბანის განმარტებას და 27 ძველი აღთქმის წიგნების ჩამოთვლას ებრაულად და ქართულად; 2) შემოკლებულ ქრონოლოგიურ ისტორიას ძველის აღთქმისა და ქრონოლოგიურ ცნობებს სპარსეთის მეფეებზე, ეგვიპტის პტოლომეებზე, რომის და ვიზანტიის მეფეებზე (240—255).

დასაწყისი: ამას შეჲნდა, პატროსანო, რა-ნ შევსწი-რავთ, რა ლისა მადლისათჳს ჰკითხს მონსკეებაჲ, მისთჳს იუჲნ. არიან მარხოლ წყრილთა მათ წარმოლება პირველად დახადებულთა მათ ღთისა მიერ ექვჯსთა მათ დღეთა ქმნულთა და სსოჯნი რა-ნიმე წათაჲნ წიგნთა თჳდგოჯლ-ნი შემდგომად ელთა აღწერილნი.

სპარსეთის მეფენი ჩამოთვლილნი არიან სპარსეთის დაპურობადის აღექსანდრე მაკედონელისაჲგან, რომელზედაც სწერია: აღექსანდრე მაკედონელმა მოკლა მეფე დარჩოს და დასცა ძლიერებაჲ სპარსთაჲ.

მე 253 ფურცელი, რომელზედაც მოყვანილია სახე-ლები ეგვიპტის პტოლომეებთა და რომაელთ მეფეთა, დატუ-ლია სანასკროდ. ვიზანტიელნი მეფენი ჩამოთვლილნი არიან თეოდოსიოს III-დე (715—717) და შემდეგ სსოჯ ხე-ლით სანასკროდ ასომთავრულით, სანასკროდ ნუსხა ხე-ცურით და ზოგიერთ მეფეების გამოტოვებით მოყვანილნი

აწიან ნიკითორე ფოკამდე (963—969). უფრო და-
წერილებით ავტორი მოგვითხრობს კოსტანტინე დიდზე:

კოსტანტინე მეფემან დაბუღმან მე ზ. წელსა მეფო-
ბისა მისისა მოკლა უშჯულოჲ მეფე მასქიმიანს და დაი-
პყრა ჭრომთა მეფობაჲ, და აღესრულა კოსტანტინე დიდი
ჲე წლისა, და დაჰყო მეფობასა შინა ლბ წელი. მე ით
წელსა მეფობისა მისისა იყო წ. მ. კრება ნიკეასაჲ, და ით
წელსა იკოჯრთხეს წ. ნი ეკლესიანი ისრესადიმიისანი კე-
ლითა წ. ისა ათანასი აღექსანდრელისაჲთა.

V შვიდი სხვა და სხვა განმარტება იპოლიტესი
(256—432):

1) იპოლიტეს განმარტება გურთხევათა მათთვის
მოსესთა ათთორმეტთა მიმართ ნათესავთა (256—283).

დასაწყისი: ნეტარისა მის ისაკისი ყოფილთა მათთვის
გურთხევათა მათ მიმართ თქსთა. პირველთა მათ წიგნთა
შინა გამოთქმული...

ბოლო: დაუცნრომელითა გალობითა ელთა დაბა-
დებულთ რთ შესწირვენ დასა, რლსა დასა რკი
რკე ე სნ.

2) წმიდისა იპოლიტეს თქმული გურთხევათა მათსა
იაკობისთა, ვითარ იგი ათურმეტნი (sic) ნახვეტნი აგურ-
თხნა (283—313).

დასაწყისი: გურთხევათა მათთვის იაკობისთა გამოთქმად
სიტყუანი მე რლისა მიერ გურთხევათა მათ ვეძიებ...

ბოლო: რლსა მიმართ საწმუნოვებითა ჩნტა მ. დლ-
სა მივსტეძდეთ რკი რკე ე სნ.

3) თქმული იზოლიტესი დავითისთვის და გოლიათის-
თისთვის განმარტება (313—326).

დასაწყისი: შრახვანი იგი ნეტარის მის დღესნი ყო-
ფილნი ძუელსა შუელსა და გალობითა წინულ ყოფილ
და საქმითა სრულ აღვილ არს ცნობა.

დასასრული: და ქვესკნელთასა მეფე სარ, ვა კაცი
საწუთრომასა უამთაჲ, ხ ქე საუკუნე მეფე, და სრულ
ჭიეს აწ და მს და რკ ი რკ ე ამენ.

4) ნეტარის იზოლიტეს თქმული თარგმანებაჲ ქებაჲ
ქებათაჲ (326—356).

დასაწყისი: სიბრძნე აქუნდა სოლომონს, არა თუ თუთ
სიბრძნე იყო, მაღლი ჰოვა ღთსა მიერ...

ბოლო: ამას შა შემოკრებულ წარმართთაგანნი გან-
მართლებულ განსუენებულ მაღიდებულ ღთისა რლსა და
დაძლიერებაჲ რკ ი რკ ე ამენ.

5) ნეტარის იზოლიტეს თქმული დასასრულისთვის
უამთაჲსა, თქმული წიგნთაგან წმიდათა ქრისტესთვის და
ანტე-ქრისტესთვის (386—389).

დასაწყისი: აუწყე შენ დამტკიცებულსა მაგას შენსა
მეცნიერებასა გულის-ხმის ყოფად...

ბოლო: დიდების მიცემით რა ი რქ ქესა, რლისა
არს და რკ ი რკ ე ამენ.

6) სიტყუაჲ წმიდის იზოლიტესი საწმომოჯნოკების-
სათვის (389—409).

დასაწყისი: გურწამს, ვა ნათელ ვიდეთ და ვაღიდებთ
იჯა: განკნათლდით ნათლის ღებითა-მით ემბაზისაჲთა...

დასასრული: მიუწოდებელი იგი ვინ შეუძლებოთ გამო-
ძიებად რწმინას არს დ'ბა რკ'ი რკ'ე ან.

7) თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჭნისა.
იპოლიტესი, მთავარ - ებისკოპოსისაჲ, სასწ' აღთქუძისაჲ
(409—432):

დასაწყისი: მართალ არს სიტ'ყე ესე, რ'ლსა ვიტყუ...
ბოლო: და ყოველთა ერთობით აღმოვთქუათ ქებაჲ

და დიდებაჲ მამისაჲ და ძისაჲ და წ'დისა სულისაჲ აწ
და მ'დს და რკ'ი რკ'ე ან.

ამის შემდეგ, მე-432 გ-ზე, ტექსტისვე ხელით
სწერია:

წო მამათ იპოლიტე, მეოხ ეუკ მამას იოვანეს.
წე დ'ის ჩ'ნის ი'ტ ქა: ესე ერთი წიგნი მათითა
ს'ფსითა დაიწერა, ვინ იკითხვიდეთ, ულოცვიდით:

VI. მოქცევაჲ ქართლისაჲ (433—497).

ეს ქართლის მოქცევა ეგელაზე უფრო სანტერესო
ნაწილია შატბერდის კრებულისა და ამაზე საუბარი ქვემო
იქნება.

მე-470 გ-ზე ამ ნაწილისა, ქვემო არშიაზე, ტექს-
ტისვე ხელით და გინოგარით სწერია: ქე შ'ე ბერაჲ
მწ'რალი.

ამ გვარივე წარწერა არის გამეორებული მე 464
გვერდზედაც.

VII ცხოვრებაჲ და განკებაჲ წმიდისა იაკობისი, რა-
მელი ებისკოპოს იქმნა ქალაქსა ნასიბინს (498—515).

დასაწყისი: მოსუ დიდმან წინმ'ულმან, რ'ნ განაპო.
ზღუა მეწამული და განიყვანსა კმელსა ძენი იწ'ლსანი...

ბოლო: რაღა შეუძლოთ დიდებულ სახელსა წმინდისა
სამებისასა, რაღისა არს და და აწ და მს და რა და აწ.

VIII. თარგმანება და ვითის ფსალმუნებისა (515—
581).

ეს თარგმანება იწყება დაჩის წერილით სტეფანე
მტბეკარ ეპისკოპოსთან. დაჩის მთარგმნელი ამ სტა-
ტიის სომხური ენისაგან. ეს საინტერესო წერილი ცო-
ტათ თუ ბევრად შუქს ფენს, სადმითა წიგნების თარგმა-
ნებას ქართულ ენაზე და ამისთვის საჭიროდ ვაჭრებთ მო-
ვიყვანოთ აქ სრულად. აი ეს წერილი:

„პირველი სიტყუაჲ მიწერილი დაჩისი სტეფანისა ნე-
ტარისა მტბეკრელ (მტს ვრელ) ეპისკოპოსისა.

„ღირსო მამო, წმიდაო ეპისკოპოსო. (ეპსკპოს) სტე-
ფანე, ქრისტეს გამოჩნეულო მამოვლო, კურთხეულ არს
ღმერთი, რომელმან გამოგზინა შენ კთავად მწვესად
ჩვენდა და მკურნალად, სელაჟრად აღმაშენებლად ჩვენდა.
მრავალ გზის მი და ხილვაჲ შენი კურნებისათვის სადმო-
ბათა სულისა ჩემისათა, არამედ სიშორისაგან და რედუ-
ნებისაგან უცალოვებისა ჩემისა კერ ღირს ვიქმენ თაყვა-
ნის-ცემად შენდა. აწ შენდობა იყავს ჩემდა, ამისთვის რომ-
ელ წიგნითა მოგიძღუნებ განსაკითხასა ამას ჩემსა. წმი-
დაო ღუთისაო, მრავალ უამითგან გულ-მოადგინეთ ვეძიებ-
დი თარგმანებასა ფსალმუნთასა, წიგნსა-მას, რომელი და-
წერეს წმიდამან მამამან ჩვენმან უბიფანე კვბრელ ეპისკო-
პოსმან, და არს ვპოვე ქართულად, ბერძენითა ენითა ვპო-
ვე და კერ შეუძელ ცნობაჲ, ვითარცა წარბასა მიუდო-
მელსა და ფასსა [დავარ]ულსა, მერმე ვპოვე სომხურითა

ენითა წყნელი სრულად მიოვე ბერძულთა განგებითა, და მითვე რიცხვთა. შემშურდა სომეხთათჳს და შექმინა თარგმანებად, რამეთუ დიდი ბრალესაჲ შექმთხვევის თარგმანთა, რომელნი არა განკერძალანენ, და სრულად (სლდ) უკეთუ ვისმე პირველად ეთარგმანოს, მეორედ თარგმანებული წინააღმდეგობად გამოჩნდების, ვითარცა [აკვლასი იგი და სჯამასისი]...

და... არა გზოვე პირველად თარგმანებული, და ამისთჳს მტინჯედი ესე, გემოს ხილვად; გამოვთარგმნე, და წინაშე ლუთისა მოუყარებისა შენისა განსაკითხვად მიგიძღუნე. სოლო შენ მსგავსად მოცემულისა მაგის სიბრძნისა შენისა განიკითხებ, და ჟერ თუ იუოს, შენ მიერ დაენერტვი შორის (შს) ეკლესიასა, და უკეთუ არა დირს რამე იუოს, წიგნი ესე დაწვ და სიუცნებ სეპა დათვარებ, და მე მამსილბ, და შევიჩინო.

ხოლო მე ასურგასისთა მათ განსაკითხვათა შორის შუდნი სოლო გამოძიხუქანი, რომელ არა აღმოთქენი ოდენ სრულად (სდ), და თუნიერ ბრძანებისა შენისა არაჲ რა კელ წავუოთ, ვიდრემდის არა ვიცნა, თუ მაქუს რამე, სასყიდელათ დავმურებოდი, ანუ თუ ცრუად დავმურებთ, და ბრალობად შექმთხვევის, რამეთუ დიდ წიგნი არს თარგმანი ასურგასისთა მათ ფსალმუნთა, რომელნი დაწერნა კალამან ლუთისამან, და სულისა მიერ წმიდისა შეთხნა ბრძბიონი ქებისაჲ და დაღვა იგი თსემსა ზედა ეკლესიისასა საძლეველად მტერისა.

ამის წმიდისა მამისა ჩუენისა ეპიტანეს თარგმანებული უოვლისაკე (ელისაკე) კეთილად და განგუსულად გვ-

ჩუენებს, თუ ვითარ არიან ზედა წაწერილნი იგი, ანუ ვითარ აკენებს ასეთის და მეთა კორკესისა და ედი[ლა]მის და სსუათა შეძახსმელთა... და რისთვის თქმულ არიან, ანუ რა და ძალი აქუს [საწნეხეთათსა?] მას, და ძეგლის წერასა, და ფსალმუნთასა (ფასა), თითოეულად გზიუენებს, რომელისა და დარჩების ერთიცა იოტა ოდენი, რომელსა არა კეთილად განგვამრტებს, ვითარცა იგი მეტოქელთა (მტქლთა) წმიდათა უფლისა თანა ისაღილეს კიდესა ცბისა-მის ცბერისისასა ასერგასის და სამითა თეუზითა.

აქსრტვე სასტლ წმიდა და მამათ-მთავარი ეპიტანე შესაგებს თეკნთა მათ და საღილესს უოკელთა მოწმუნეთა, რომელ არიან წიგნი იგი ფსალმუნთანი პურ და მადლ საღმერთო წმიდასა შინა გელესისასა.

ხოლო მე მსგავსად ძალისა ჩემისა მცირედნი ესე მს. ერგასისთა მათგან შენ მოგიძღვანენ, უკეთუ ჯერ არს განსრულება და სიწმიდემან შენმან განასრულენ, მე უცალოვებისა ჩემისგან ვერა რას შემსლებულ ვარ. თუ რამე არა ჯერ იყოს, ზემო მოკსენებულსა მისებრ დაწვთ, და მე შენდობა და მომმადლეთ, და კსენებულმცა ვარ ლოცვათა შინა შენთა, ღირსო მამაო, ამინ ».

ამ სტატიის ბოლოში, ქვემო არშიასე ტექსტისკე სულით სწერია:

დაჩის ეთარგმანსა ესე სომესთა ერისაგან, ღმერთმან სული მისი დიდებულ ყავნ.

ამ თარგმანში სომესური წარწერებიც იშოვება, მაგრამ საუურადლებო მათში არაფერი აღმოჩნდა. კრებულში მო-

ყვანილია მხოლოდ 17 ფსალმუნის თარგმანება და ბოლო სწერია:

დიდება შენდა, ქრისტე, დაესრულა თარგმანებამ ფსალმუნისა, თქმული წმიდისა ეპიტაფიისა.

ამას შემდეგ მოყვანილია დაჩის წერილი მრევლ ეპისკოპოსთან, ანტონისთან, რომლისათვისაც დაჩის უძღვნია, თავის შრომა¹⁾. აი ეს წერილიც:

„მიწერილი დაჩისი [მრ]ევლ ეპისკოპოსისა ანტონისა.

„ჯერ თუ იყო ანუ არა, ნიშნებითა ამით გონებითა ჩემითა ესე ფერებ ვეკ და შენდა შევწირე, ღირსო უფლისაო, და გვედრები სიწმიდესა შენსა, რათა განაშოროს სიტყვათაგან ჩემთა ეპერანქო მტერისა და მოძვიროს ჩემსება არფი ეკე მადლისა შენისა, და განანათლოს ბნელი გონებისა ჩემისა, და ეტეროვან კეთილ მექმენ მე, და მიჰყარ კელი მარჯუენე ჩემი, და ელოძენოსად მიძღოდე მე წინაშე ჩემსა, და განმაკლენ მე გრესნი იგი ძნად სავალნი, და მიმიძედე მე თემ[ს]ოფორთონსა მას სამეუფოსა, და გამოძითსოვე მსაჯულისაგან შიტაკი განთავისუფლებისა, რათა განვერე მე კელთა მათგან სამინელთა. წმიდაო ეპისკოპოსო, ღირსად გმოსეს ვაკესი ეკე სამღმედლო, და სამართლად მიგიღებოეს დროატი საღმრთო, კელმწიფება გაქეს, მენეო, განმათავისუფლე მე მონობისაგან ცოდვისა“.

¹⁾ დ. ბაქრაძის: ისტორიაში ეს წერილი შეტომით არის ჩათვლილი ივანე ბერის წერილათ (იხ. ბაქ. ისტ. გვ. 221).

ბოლოს მოყვანილია ამ სელანაწერის გადაწერის-
ანუ მოთავე რედაქტორის უკანა სიტყვაობა, რომელიც
სამწესაზროდ სრულად არ არის დაცული. აი ეს უკანა სი-
ტყვაობაც:

„სასულითა წმიდისა სამებისა სამქადაგებელისა, ზეგარ-
დამო ქებულნო და დიდებულნო წმიდანო მღვდელთ მო-
ძღვარნო, ნეტარნო: გრიგოლ ნოსელ ეპისკოპოსო, და
დიოსო ეპიტაქე კვძრელ, ძმაო და მთავარო, და განთქმუ-
ლო წმიდო ბასილ, მწყემსო უოველთა მორწმუნეთაო, და
დიდებულო იპოლიტო, წინასწარ-მეტყველნო, გამოუ-
თქმელთა მადლთა მეცნიერად მეტყუელნო, დიდად განსა-
კვრებელნო კაცნო, ჰოენილნო გულითად ღუთისად, წო-
დებულნო მონად ქრისტესა, სამკვდრებელნო სულისა წმი-
დისანო, რომელმანცა გამოუჩინებულნი და დათარულნი სი-
ბრძნისანი გამოგვცხადნა და სული წრფელი განისადა
გუამთა თქუნთა, და დაუწერენით ეკლესიას ქრისტესსა
პირად პირადთა წიგნთა თარგმანებანი, და შესმანი წმი-
დისა და უოვლად დიდებულისა ღუთის-მშობელისანი, და
ზუენ გვაუწყეთ წესი აწინდელისა ქტევისა ღუთის მსახუ-
რებით, და მოსაკებელი ნეტარისა მის საუგუნოდას სსსო-
კებით ცხოვრებისაჲ, ვითარცა ხილულ დაუმტკიცეთ გუ-
ლის ხმის მუოთელთა; ვითარცა თქუა დანიელ საკვრველმან
წინასწარმეტყუელმან: „მამინ გამობრწყინდენ გულის ხმის
მუოთელნი იგი, ვითარცა მბრწყინვალეაჲ სამყაროდასაჲ“.

„და რომელთა კეთილად ხელ უკას და უნჯებაჲ ზე-
ცის: სიძლიდრეთაჲ წარგებითა, ქუეუანასა (ქენსა) მონაკებ-
თაჲთა და ქველის საქმის მათისა ახოვნებაჲ, ვითარცა

ნესტრ ოხრის წინაშე ღუთისა და კაცთა ყოველია აღიბუ-
ლებს. მიხატვესად მათდამი (მამნი), დაღაცათუ გლახაკინ-
მე იყო; ვითარცა წერილ არს: „შეადგარო ემსგავსე ჭინ-
ჭველსა და შებმა უფავ უფროდს ძაღლისა შენისა, რამეთუ
ღმერთი არს მოძცემელი ძაღლისაჲ“.

„ამისთვის მეცა არს დავფარე სწრაფად სულისა ჩემი-
საჲ მიზეზითა საკულუკვანებისაჲთა და შეუდეგ კეთილსა
გულს მოდგინებასა, მე ცოდვილი და უნარჩევანი ყოველ-
თა მეწესეთაჲ, იოვანე ბერაჲ, და გაუასრულე წმიდაჲ
ესე წიგნი: კაცისა შესაქმნელ, და მეორედ წიგნი თუაღთაჲ,
და სახის მეტყუელი, და იპოლიტი, და ქართლისა მოქცე-
ვაჲ, და ცხოვრებაჲ ნეტარისა-მის და დიდებულისა მღუ-
ღელთ მოძღუროსაჲ იაკობ ნასიზინელისაჲ, და თარგმანუ-
ბაჲ ზოგთარე ფსალმუნთა დავითისთა—მოღუაწეობითა
და [გულ-მოდგინებითა] დედის ძმისა ჩემისა მიქაელისა-
და ძმისა ჩემისა დავითისითა (ღვთისითა), და სხუა
არსა არავის ჭრთავს, თჯნიერ სიგლასაკისა ჩემისა, და შეეწირე
[შატ] ბერ დას საყოფელსა წმიდისა ღუთის მშობლისსა,
რომელსადა შინა აღ[ვწ]რე სალოცველად სულისა ჩემისა
ცოდვილისა, და მშობელთა [ჩემთა], და სალოცველად მე-
ფეთა ჩ[გვ]ნთა—ბატრატ მეფისა და ყოველთა მჯლათ
მათთათვის, და გეგედრები ყოველთა, ვინცა იმსახურებდეთ
წმიდასა ამას“... (ამას იქით დედანს ყელია).

ივანე ბერაჲ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უფრო-
და მსტბერდელი მწერალი; „ბერაჲ“ მას „ნარათელად“
ქვეებრა, ანუ უკეთ ვსთქვანთ; „ბერაჲ“ მეტი სახელი ყო-
ფილს ივანესი. ანტონი მხოველ ეპისკოპოსი სხუა წყა-

როგორც ცნობილი არ არის და ვინ იყო არ ვიცით. ხოლო სტეფანე მტბევერი, როგორც სამართლიანად შეინიშნავს დ. ბაქრაძე თავის ისტორიაში (გვ. 221), უნდა იყოს აღმწერელი წმინდა გობორჩის ცხოვრებისა, რომელიც გამოჩენილი გაცია ჩვენს ძველ შვედლობაში. მაგრამ ბაქრაძის მოსაზრება, ვითომც „სტეფანე ბაგრატი I დროს ბრწყინავდა“ — გამოწვეული იყო იმ შემცდარი აზრით, რომლითაც შატბერდის კრებულს ბაგრატი I დროს აკუთნებდენ. ჩვენ ჰქვამო დავინახავთ, რომ შატბერდის კრებული ბაგრატი I დროს კი არა, არამედ ბაგრატი II დროს ეკუთვნის. მაშასადამე შემოსვენებული მოსაზრება უარყოფილ უნდა იქმნას. სტეფანე ქართლის ცხოვრების თქმით (ქ. ცხ. ტ. I გვ. 196) და თვით გობორჩის ცხოვრების ცნობით — ცხოვრებდა ადარნასე II დროს (881—923), და ჯერ არავითარი საბუთი არა გვაქვს უარყოფით ეს ცნობები.

დარჩი, რომელსაც სომხური ეხიდაგან დავითის შესაღმურების განმარტებანი გადმოუთარგმნია, ჩვენს ისტორიულ წყაროებში არსად არ იხსენიება. მხოლოდ ერთ ხელ-ნაწერში, სახელდობ „იაკობ მოციქულის ყამის წირვა-შა“, რომელიც მცხეთიდან არის მოტანილი, და რომელიც ესლა ჩვენს საეკლესიო მუზეუმს ეკუთვნის, — არა ერთსელ კბოულობთ ამ გარ ფრანსა: „უფალო, შეიწყალე დანი“... განსვენებულმა დ. ბაქრაძემ მიიქცია არ უურადლება იმ გარემოებას, რომ ამ ხელ-ნაწერის ასო მთავრული და ხუსხა ხუცურცი წაემსგავსება იოვანე ბერის მიერ ნაშრომს ხელ-ნაწერს, ის მოსაზრება გამოთქვა, რომ ორსავე ხელ-

ნაწერში მოხსენებული დაჩი ერთი და იგივე პირი უნდა იყოსო (ნახ. ბაქრაძის ისტორია გვ. 222). თუ ეს მართალია, მაშასადამე დაჩისაც სტეფანე მტუქვარის დროს უცხოვრია, ესე იგი 881—923 წლებში და შესაძლოა შემდეგაც, ხელ-ნაწერიც ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს. მსგავსება წერის ხასიათისა ორსავე ხელ-ნაწერში იმით აიხსნება, რომ ორივე ერთ და იმავე მეთავე საუკუნეს ეკუთვნის და შეიძლება ორივე შატბერდის მონასტერში იყოს გადაწერილი.

სხვა მერმენდელი ხელით მინაწერებთა შორის ჩვენს კრებულში უკვლახე უფრო საუურადღებოა ერთი პირველ ბეგრდზე მინაწერი ძველის მხედრულის ხელით, რომელიც აჭამომდე განურჩეველი იყო. როდესაც ჩვენ ბაგრატ IV გუჯრები (XI საუკ.) შევისწავლეთ და მათი წერის ხასიათი ამ წარწერის ხელს შეუდარეთ, აღმოჩნდა შესაძინევი მათი ერთგვარობა წერის სტილისა. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვითუქროთ, რომ წერილი ეკუთვნის მე XI საუკ. და ხელნაწერიც იმ დროს არის შემოსილი. შემოხსენებული წარწერა ცოტა მჭრალის ძეგლით არის დაწერილი და იგი-თხება ასე:

ჩქ. ქტე ღთო, [ა]დიდე დიდებითა საუკუნოათ
 ე[ე]ვი გკეა რლისა ბრძანებითა და [სათვასითა] შეიძო-
 სა წიგნი ესე გლითა მათისა მიწა მღ[უდელის] ცოდვი-
 ლის მიქლისითა¹⁾.

¹⁾ უქარაგმოთ: ქრისტე ღმერთო, აღიდე დიდებითა საუკუნოათ ერისთავთ ერისთავი კვირიკე, რომლისა ბრძანებითა და (სათვასითა) შეიძოსა წიგნი ესე კელითა მათისა მიწა მღუდელის ცოდვილის მიქელისითა.

ერისთავთ ერისთავი კვირიკე არც ქართლის ცხოვრებაში და არც სსვა ჩვენს აქამომდე ცნობილ ისტორიის წყაროებში არ იხსენიება. ქართლის ცხოვრებაში ვპოულობთ ცნობებს მხოლოდ ოთხ კვირიკის შესახებ, რომელნიც კახეთის მმართველები და მეფენი იყვნენ: კვირიკე I ქორიგოზი (893—918), კვირიკე II (929—975), კვირიკე III დიდი (1010—1029) და კვირიკე IV (1084—1102). ჩვენის აზრით, ზემო მოუგანილი წარწერა უნდა უჩვენებდეს რომელიმე ორ უკანასკნელ კვირიკეთაგანს. შეიძლება, რომელიმე მათგანი წინეთ ერისთავთ-ერისთავად იწოდებოდა და მეძმე მეფეთ იწოდა თავის თავი.

ამ ნაწერის ზემოთ მხედრულის ერთი-ერთმანეთზე გადაბმული ასოებით, რომელნიც უნდა ეკუთვნოდნენ დავით რეგტორს, ამ სელ-ნაწერის უოფილ პატრონს,—სწერია: „ესე წიგნი დეკანოზის ალექსიძისაა. დეკანოზი.“ ამავე ნაწერის ქვემოთ, სსვა მრგვალის სულით სწერია: „ღმერთმან მშვიდობაში ეს წიგნი დიმიტრი პრო[თ]ო-პ[ო]პის პატრონს ასმაროს. უკეთუ არ დაგდო... ითხოვეთ სულიერი საზრდელი, რათა მიემთხვენეთ სუფევასა ქეჭყან[ის:სა]...“ მე 86 გ., ქვემო არშიაზე მერმენდელი ნუსსა სუტურის სულით სწერია: „წ. მე უდ უღირსმა.... შეკსწირე ექვსთა დღე ესე საუღარსა... [ლთი]ს მშობლისა. უდ წო შე ცი ევდემოზ.“ მე 567 გ., ქვემო არშიაზე ბერძნულის ასომთავრულით ბერძნულათ სწერია: „იესო, უფალო ღმერთო, შეგვიწყალებ ჩვენ.“

ესლა ვიკითხოთ, რომელ საუკუნეშია გადაწერილი

შატბერდის კრებული? ამგვარი კითხვა საზოგადოთ თავ-და-თავ საგანს შეადგენს ყველა სელ-ნაწერის გარჩევისას, და შატბერდის კრებულისათვის, რომელშიაც ისეთი შესამჩნევი წყარო მოიპოვეს ჩვენი ისტორიისა, როგორც არის მოქცევაჲ ქართლისაჲ, — ამ კითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: ამ კითხვაზეა დამოკიდებული საზოგადოთ ბევრი სხვა კითხვებიც, რომელთაც ბადავს სელ-ნაწერის გარჩევა და განსაკუთრებით ქართლის მოქცევა. განსვენებული ჩვენი არსეოლოგი დ. ბაქრაძე შეეხო ამ საგანს და შატბერდის კრებული მიაწერა მე-IX საუკუნეს, ანუ უფრო განმარტებით, ბაგრატ I მეფობის დროს (826—876) ¹⁾.

თუმცა ბაქრაძე პირ-და-პირ არ უჩვენებს საბუთებს, თუ რათ უნდა ეკუთვნოდეს ეს კრებული მე-IX საუკუნეს, მაგრამ ის გარკმობა, რომ ივანე ბერაჲ თავის უგანა-სიტყვაობაში იხსენიებს ბაგრატ მეფეს და კიდევ ისა, რომ ზრონიკა ქართლის მოქცევისა მოყვანილია მე-IX საუკუნემდის, — ყველას მისცემდა საბუთს მიეწერა კრებული მე-IX საუკუნეზა. იმას შემდეგ რაც დ. ბაქრაძემ პირველად დაბეჭდა „ივერიაში“ თავის წერილი ქართლის მოქცევის შესა-

¹⁾ იხილეთ გაზ. „ივერია“ 1889 წ. № 6 და „ისტორია საქართველოსი“. ტფილისი, 1889 წ. გვ. 57—58; 219—221. ბაქრაძის წერილის უმაღლ დაბეჭდა გაზ. „ივერიაში“ (1889 წ. № 4) ბ. „ეგრმა“ (ფსევდონიმი) მოკლე შინაარსი ქართლის მოქცევისა და მანც ბაქრაძისავე სიტყვით სელ-ნაწერი მე-IX საუკუნეს მიაწერა.

ზებ, ჩვენ საზოგადოებაში მტკიცედ დამყარდა აზრი, რომ შატერდის კრებული ეკუთვნის ბაგრატ I დროს, და ამ საგანზე არავის ეჭვი არ გამოუცხადებია. მაგრამ ერთი ფრიად საყურადღებო სასარება ჰარსალის მონასტრისა, ჩვენგან გასულ ზაფხულს ნაპოვნი, და გადაწერილი იმავე ივანე ბერაძის ხელით, რომელიც არის მოთავე რედაქტორი შატერდის კრებულისა, და რომელიც არა ერთხელ იხსენიებს თავის თავს ამ კრებულის მინაწერებში, გვიმტკიცებს, რომ კრებული მეცხრე საუკუნეს ეკუთვნის, არა, არამედ მეათეს ეკუთვნის. ეს გარემოება უგეტესი მარტოობა იძიდა, თუ როგორ ფრთხილად უნდა მოვიქცეთ ჩვენ ისეთ ხელნაწერის დროს განმარტებაში, რომელსაც თარიღი არა აქვს. ჰალოგრაფიას ვერ ვერობით უმტკიცებდა ვერ დავეყრდნობით, რადგანაც ქართული ჰალოგრაფია, ვერსანად მანც, იმდენად არ არის გამოკვლეული, რომ ერთი რაი საუკუნით შეცდომა დასელაგებულ არსელოგსაც არ მოუვიდეს, ხსენებული სასარება ერთი უმკვლესთაგანი თარიღიანი სასარებაა, მაგრამ მანამ მის სრულ აღწერას წარმოუდგენდეთ მკითხველს, სტერილთ გრაცსთ მოვიუგანათ აჟ ზოგიერთი ისტორიული და არსელოგიური ცნობები, რომელნიც ჩვენ იმავე არე-მარეში შეკვრიბეთ, სადაც ჰარსალის სასარება მოიპოვება.

გასულ ზაფხულს მე მომიხდა ეოფნა სურამში და თავისუფალ დროს განხულობდი ეკვლეისიებს, ვაგროკებდი გუჯრებს და ვკრებდი ცნობებს ხელნაწერი წიგნების შესახებ. აჟ მოვიუგანთ ხოლმე ისეთ ცნობებს, რომელნიც უფრო საყურადღებოთ მიგვანჩნია.

უბკლესი ეკკლესია სურამის მასლობლათ არის იტ-
 რიის ლეთისმშობლის ეკკლესია, რომელიც ძეკს სურამის
 წყლის პირზე, სოთელ იტრიაში, ორ ვერსზე დაჰა სურამ-
 მიდგან, იქ სადაც სურამის უღელ-ტეხილი იწყება. ეკკლე-
 სია ოთს კუთსედა, უგუმბათო, სიგძე აქკს 27 ადლი, განი
 19 ადლი და 6 კერშოკი, საკურთსეველი განიყოფება სამ
 ნაწილად, შუა ნაწილი ზომიერია, ორი დახარჩენი ვი-
 წრონი. კამარა დაშკებულა ოთს დიდრონ სვეტებზე. თან-
 ჟრები ვიწრონია და თითოეული ორი ადლის სიმაღლეს.
 დახსლოკებით. პირველი შესედვით იტრიათ ეკკლესია ახალი
 აშენებული გეგონებათ. კედლის ქვები თითქო გუშინ გაუ-
 თლიათ და ახლის კირის შუეერთებიათო. ამისი მიზე-
 ზი შემდეგია: წინეთ, როგორც გვიამო ერთმა მოხუ-
 ცმა, რომელიც 25 წელი ამ ეკკლესიის მნათეთ ყოთილ
 იყო, იტრიათ ეკკლესია გათუტებული ყოთილა, სასურავი
 არა ქქონია და კედლები მხასვით ყოთილა შემოსილი.
 შერძე ეკკლესია განუახლებიათ, მაგრამ განახლების დროს
 კედლები ჩამოუთლიათ და ჩამოუთსეკიათ. მრავალი
 ძეკლი ისტორიული წარწერები, რომლებითაც, იმავე
 მოხუცას სიტყვით, სავსე ყოთილა ეკკლესიის კედლე-
 ბი და შიგნით სვეტები, იმ დროს გათუტებიათ და მო-
 უსპიათ. თუ რა დროს განახლეს. ეკკლესია მოხუცმა და-
 ბეჯითებით ვერ გვაცნობა, „მე მასშინ სულ ასაღეს და
 ვიყავიო, ორმოცდა ათ წელზე მეტი უნდა იყოსო“. მა-
 გრამ 1819 წელს როგორც სჩანს თ. გ. აკალოკის „იქ-
 რუსალიმში მოგზაურობიდაჰ“, ეკკლესია ჯერ კიდევ გა-

ნუახლებელი ყოფილა. აი რას ამბობს ავალოვი იტრიის ეკკლესიის შესახებ:

„იბ-სა (ივლისსა 1819 წ.) წარველ ფერკვიე ჰეტრე; ღარამეთურთ იტრიის ეკკლესიისადმი, მოსმენად წირვის-სა, ეს შორავს სურამსა ვიდრე ნახევარ უამისა სავალითა, ჩრდილო-დასავლეთით კერძო, მალაღსა ადგილსა, ანუ გო-რასსა ზედა მდგომარეა, ნაშენი თეთრისა თლილისა ქვ-თა, ძუჭლისა არხიტექტორობითა, სავასემათა თავადთა ჩსვიქეთათა; გარნა უმეტესი ნაწილი ამისა არს დაქცეულ და დანაშთონიჭა მიდრეკილ მისდაძვივე. თუთუელი ქუჩა-შენობისა ამის კელოვნებული სსუა და სსუათა ნაკუჭ-თებითა აწცა ბასარბს ნამუომასა შუჭნებისათჳს თჳსისა. აჭ მოვისმინეთ საღმრთოა ლიტურგიაა, ვასდევინე ჰარაკლისი, კემთსჯენით წმიდასა ხატსა იტრიის ღმრთის-მომობლი-სასა, კმაღ დიდსა, წმიდითა ოქროათა შემკობილსა, რვა-ათითა წმიდითა ნაწილებითა განშუჭნებულსა და ცხო-ველს-მყოფელითა ძელითა ოდესმე მდიდარ-ყოფილსა, რომელსაცა აღაჯი არს მას ზედა დღეს ცაღიერი. წმიდა-სა ამას ხატსა ზედა წერილი იჩუჭნების მით, რამეთუ არს ესე მოკლედილი ოქროათ და მორთულ ნაწილებითა თავა-დის ბუჯან-გორკასლან ჩსვიქემას მიერ“ 1).

ამ ავალოვის სიტყვებიდან სჩანს, რომ განახლებას იტრიის ეკკლესიისათვის შრიელ შეუცვლია ფერი. ის:

1) ნახ. „თ. გიორგი ავალოვის მოგზაურობა თფილისით იერუსალიმში... ჩუე-სა წელსა“. წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-ზოგადოების ხელ-ნაწერი, № 450, გ. 6.

„სსკაჲ და სსკაჲთა ნაკვეთებითა ხელოვნებული ქვეები,“ რომელზედაც აშობს ავალოვი, დღეს აღარ მოჩანან იტრიის ეკკლესიის კედლებზე. ერთხელ გათლილი ქვეები, მეორე ხელ გაუთლიათ და ყველასათვის ერთი ფერი მიუციათ. სიძველე ეტყობა კიდევ საფუძველს და ზოცად-გილას კარნიხებსაც. ავალოვი, როგორც ქვემოთ დაგინახეთ, ცდება ხატების აღწერაში, მას ორი სსკა და სსკა ხატი ერთ ხატად გამოუყავს და ბუჯან ჩხეიძეს, გორგასლანის შვილს, ბუჯან-გორგასლან ჩხეიძეთ მოიხსენიებს, თითქო ეს ორი სიტყვა მარტო ერთის სახელი იყოს.

ეკკლესიას გარეთ უვლის ქვითკირის გაღვანის, რომლის დასავლეთ ნაწილის შუაში აშროთულია ჰატარა სამსართულიანი სამრეკლო. ეს სამრეკლო და გაღვანის, როგორც უჩვენებს ერთი წარწერა მხედრულის ასოებით სამრეკლოს აღმოსავლეთის კედელზე, აღუშენებიათ ბუჯან ჩხეიძეს და წინამძღვარს ნიკოლოზს „მეფობასა როსტომისასა, დედოფლობასა დადიანის ასულის მარიამისასა, ქკსა ტმდ“—1656.

აქ მოხსენებული როსტომ მეფე იყო დაუთ-სანის შვილი და მასშადიანობაში სახელ-წოდებული იყო ხოსრო-მირზად. 1634 წელს, როდესაც დაუთ-სანი გამეფთა ქართლში, ის იყო 68 წლის მოხუცი, მაგრამ სიმხნე და მამაცობა მაინც ბევრი ჰქონდა. დაუთსანის პირველი ცოლი იყო ქეთევანი, გოჭასპი აბაშიძის ქალი, რომელსაც მეტე გულ-დუხტარ დაარქვა ქმარმა, და რომელიც გარდაიცვალა 1636 წელს. 1638 წელს როსტომმა შეირთო.

დადიანის ლევან II ქალი, მარიაში, რომელსაც უჩვენეს ზემოხსენებული წარწერა, და რომელიც გარდაიცვალა 1680 წელს (ვასუშტის ქრონოლოგიური ცნობებით—1682 წ.), როსტომმა იშვილა თავდაპირველად ლუარსაბი, სიმონ მეფის შვილი, მაგრამ, როდესაც ეს უკანასკნელი უცაბუდად მოკლულ იქმნა საღირობაში, შემდეგ იშვილა ვასტანგი, მუსრან-სატოანის თეიმურაზის შვილი, რომელსაც თავისაკვე სიტოცნეული 1657 წ. გადასცა ქართლის გამგეობა. ამ ვასტანგიდგან იწყება საქართველოში მეფობა წარჩინებულთა მეფეთა მუსრან ბატონების შტოისა. როსტომ მეფე გარდაიცვალა 1658 წელს 1).

ვასუშტი თავის გეოგრაფიაში იტრიის ეკკლესიას მონასტრად იხსენიებს და ასე მოგვითხრობს: „სურამს ზეით, სამსარიდამ, მოურთვის ამ წყალს (ე. ი. სურამის წყალს) უთხვის სევი. მას ზეით არს იტრიას მონასტერი უკლად-წმინდისა, უგუზბათო, დიდ-შენი, აწ სუცის ამარად 2)“.

იტრიის ეკკლესიის წარწერები მეღვინეთ-ხუცესოვის მიერ გადმოღებულნი, შეუტანიან ბროსეს თავის არსეოლოგიურ მოგზაურობაში 3), ამისათვის ჩვენ მოვიყვანთ აქ მხოლოდ ისეთ წარწერებს, რომელნიც ბროსეს მოგზაურობაში ან სრულიად არ მოიპოვეთიან, ან და შეცდომით არიან გადმოღებული.

1) Brosset. Hist. de la Géor. t II, livr. 1, p. 626.
ქ ცხ. ტ. II. გ. 46—50.

2) ნ. ვასუშტის გეოგრაფია, გვ. 268.

3) Brosset. Voyage archéol, VI Rapp., p. 404—105.

თავი ხატი იტრიის ეკკლესიისა არის ლეთის-მშობლის ხატი, ოქროთ მოჭედილი, რომელზედაც არავითარ ისტორიული წარწერა არ მოიპოვება. აქვე ასვენია მეორე ხატი, მრავალ-ნაწილიანი. ეს უკანასკნელი ჭკუთნებია სოფელ ჩუმათელეთის ეკკლესიას და იქიდგან გადმოუტანიათ იტრიის ეკკლესიაში ¹⁾. მრავალ-ნაწილიანი ხატი ხისაა და ვიდენებზე ვერცხლის არშია აქვს შემოჭედილი. სიგრძე აქვს 12 ვერშოკი, განი ნ, ნაწილები ოთხკუთხიან უჭრებათ არის დაყოფილი, გარდა სამისა, შუა ადგილას, რომელთაც ჯუარის სახე აქვთ, სულ 94 ნაწილი ყოფილა ამ ხატში, მაგრამ ზოგიერთი დაკარგულა. ხატს ცეცხლის ვაგლენა ამჩნევია; მეორე გვერდი ხისა ცოტა დანახშირებულაა ზემოთ. ჭკემო ვერცხლის არშიაზე ორივე მხრივ მხედრულის ასოებით სწერია:

„მე სასოებით მონდობილმან საფარავთა შენთამან, გურგასლანის შვილმან ბეჟან, და ძეთა ჩვენთა ქაინოსრო— მოგატედინეთ და შეგვახმეთ ხატი ესე მრავალ-ნაწილიანი დღეთა ჩვენთა სადღეგრძელოთ და სულისა ჩვენისა საოხად. თუთ საუდრის მეტი შენობა არ დაგვხდომია რა, ვეგლა ჩვენის მოღვაწეობით მოვრთვეით, რაც ოდენ ძალ გვედგა, და ექვსი კვამლი ჩუმათელიძეები ჩვენ ჩხეიძემ შევწირეთ, ქკნს ტნი“—1672 ²⁾.

¹⁾ ჩუმათელეთი სოფელია ერთის ვერსის მოშორებით იტრიიდან. ამ სოფლის ეკკლესია ეხელა დანგრეულია. ნანგრევები ჩვენ გავშინდეთ, მაგრამ გერათფერი წარწერა ვერ ვიპოვეთ. ვაჟლე ია პატარა ყოფილა, ქკით ხაშენი.

²⁾ ეს წარწერა ბროსეს მოგზაურობაშიც არის შეტანილი, მაგრამ შეცდომით, იქ ქორონიკონი „ტნდ“ სწერია.

სამრეკლოს ქვეშ ჩვენ ვიპოვეთ ერთი პატარა ზარნი-
ეს ზარი ესლას სმარებაში არ არის. სიმაღლით 7 კერ-
შოკია, ქვემო ჰირის ირგვლივ ზომა ზარისა 1¹/₄ ადლია.
გლიშამ ზარს უგლის კრცული წარწერა ნუსსა მხედრულის
ხელით, ასოები ამობერვილნი კი არიან, არამედ ჩაწეულ-
ნი. ეს წარწერა არ მოიპოვება ბროსეს მოგზაურობაში და
ამიტომ მოგვეყავს აქ:

„ქ. ეკა შენ ქალწულო მარამ, ესე ვითარ უფალო
ჩემო, დიდებულო დედაო ქრისტეს ღთისა ჩვენისაო, მე-
ცვა-ფარვად შენთა მესასოებაჲმან, ძემან ჩხეიძის გორგა-
სლისძამან, დავით, კადნიერ ვიქმენ მტრისა და კინის გლე-
ხისა (გლენისა?) ამის, შემოგწირეთ შენდა, სასა ჩემო
დედოფალო, იტრის ეკლესიასა, მას ყამსა ოდენ უსჯულო-
ნი აგარიანნი და ისმაიტელნი (დისმაიტელნი) აღდგეს ჩვენ
ზედა და იზახდენ მოქადულნი აღსოცად ქრისტიანეთასა, და
მოახრებასა წმიდათა ეკლესიათა შენთასა, ამას ყამის შე-
წევნითა და მეოხებითა შენითა გავეწუვენით წინა მტერთა
ჩვენთა, და მძლე ვექმენით ქვეყანასა-მას სპარსთასა, ერე-
ვანსა, და აღვადგინეთ ძლევა დიდი მეოხებითა შენითა,
და ხელთ უგდე (sic) მტირე ესე, შემოსწირე¹) და შე-
მოგწირე სასასა ჩემსა დედოფალსა, ღუთის მშობელსა იტ-
რის ეკლესიისსა, რათა მექმნე მე თანაშემწე დღესა მტერ-
თა მხრძოლისა ჩემისასა, და მეოხ ძისა შენისა თანა დღესა
განკითხვისასა, ქორთნიკონსა „უღთ“, აკვისტოს „ივ.“

¹) ჩვენის აზრით აქ შეცდომა უნდა იყოს და ფრაზა ასე უნ-
და იკითხებოდეს: „და ხელთ იგდე მტირე ესე და შემოგწირე“.

ეჭვი არ არის, რომ ეს წარწერა უჩვენებს ირაკლი მეორის გამსჯელობას ერევანზე, სადაც პატარა კასმა ერთი მუჭა ჯვრით დაამარცხა და გააქცია დიდძალი ლაშქარი აზატ-ხანისა. ეს ამბავი ვრცლათ არის აწერილი ომან მდივან ბეგისაგან მის მიერ მქნილ „ირაკლი მეორის ცხოვრებაში“ და პაპუნა ორბელიანისაგან მის დაწერილ „საქართველოს ცხოვრებაში“¹⁾. მაგრამ ომანი ერევნის ომს უჩვენებს 1752 წელს, პაპუნა კი 1750 წელს. ამდენს არ ვიცოდით, რომელი ცნობა იყო დასაჯერებელი, პაპუნასი თუ ომანისი, მაგრამ ესლა, ჩვენის აზრით, ზემო მოყვანილი ქორონიკონი ზარისა, რომელიც უდრის 1751 წელს, აშკარათ უარ-ყოფს ომანის ქორონიკონს და უფრო ეთანხმება პაპუნას ცნობას. რასაკვირველია, ჩვენი ქორონიკონი მხოლოდ იმას უჩვენებს, როდის არის ზარი შეწირული, მაგრამ ჯერ ომი უნდა მომხდარიყო, შემწირველი დაბრუნებულიყო თავის სახლში, ზარი მოემზადებინა და შეეწირა. ამიტომაც ზარის ქორონიკონს ომის დროთ ვერ მივიღებთ, და პაპუნას ცნობა ნანდვილი უნდა იყოს. აქ საჭიროთ ვრაცხთ შევნიშნათ, რომ საზოგადოთ პაპუნა ორბელიანის ცნობებს ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა ჰქონდეს ომანის ცნობებთან. ომანი ნამეტარს აზვიადებს თვატებს და მით ეჭვში შეყავს მკითხველი. მაგალითად, ომანის გადმოცემით აზატ-ხანს ორმოცი-ათასამდე ჯარის კაცი უყავდა, პაპუნას სიტყვით კი აზატ-ხანის ჯარში თვრამეტი ათასი კაცი იყო.²⁾

¹⁾ იხ. ქ. ცხ. ტ. II გ. 484—486. და 436—437.

²⁾ ნახ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 436 და 484.

ჩხვიძეები, რომელნიც თითქმის ყველა იტრიის წარწერებში იხსენიებიან, თავადები ყოფილან და იტრიაში სასლუგულან. ესლა ორი მოსასლუგ ჩხვიძე იტრიაში, მამა-შვილი. ამომბენ ეპეელესი გუჯრები იტრიის მონასტრისა მათ ჩიგდეს სელში და აჩავის აჩვენეს, რადგანაც დავა ქქონიათ საეკლესიო მიწების შესასუბ. გუჯრებს ესლა აჩავითარი იურიდიული ძალა არა აქვს, მაგრამ ზოგიერთები სამწუსაროთ მინც არ აჩენენ.

უმეტესი ნაწილი გუჯრებისა, ანუ სიგელებისა, რომელნიც ესლა ეკუთვნიან იტრიის ეკლესიას, შეიცავენ ან წყალობის წიგნს, ან და ნასყიდობის წიგნს, შემდგომათ იტრიის ეკლესიისათვის შეწირულს¹⁾.

სამი გერსის სიმორეზე სურამიძეს და ერთი გერსის ხაშურიძეს, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრივ, მდებარე.

¹⁾ მოგვეყვას აქ უფრო საყურადღებო ამ გურუებთაგანი. თავდაპირველათ საჭიროთ ვრაცხთ შევნიშნათ რომ ყველა ქვემო მოყვანილი გურუები, გარდა მეორისა, დაწერილნი არიან ქალღვრე ნუსხა მხედრულის ხელით და შავის მელნით. ჩვეულებრივი შესაკალი გურუებისა და ბოლოს წყველანი ჩვენ გამოუგით, დანარჩენი კი სრულათ მოგვეყვას.

I. 1693 წ. აპრილის 20. ესე უყენისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი-შეგოწმალეთ და მო(გეციით) (ჩვენ) ბატონიშვილმა პატრონმა ქაიხოსრო (და მამამ) ჩვენმა პატრონმა ვახტანგ, იესემ, სუმონ, და (თეიმურაზ თქვენ) იტრიის დეკანოზს პეტრეს-შვილს ს(ა)პასა და შერამზან, შვილთა და მომავლთა საღლისა თქვენისათა, ოდეს მოკვიდექით ვარსა, ლუბრიმას ოთხის დღის მიწის წყალობას დაგვეყვათ, ჩვენ-

რეოს სოფელი ზემო-ჭალა. ჭალის პატარა ეკლესია
სულ ახალია და აწხელოვანისათვის თავის თავათ აწაფებს.

ცა მოკითხული გიყვით და ვითაც ძველიდგანც შეწირული
ყოფილიყო და თქვენთვის ებოძებინათ, ჩვენცა შიგიწყალოთ და
გიბოძეთ ღუბრიმას კიანაძის მიწის გვერდზედა ოთხის დღის მი-
წა, ყოვლისა კაცისაგან უცილებლათ, არ ოდეს არ მოგეშალოს.
არა ჩვენგან და არა შემდგომთა სხვათა მეპატრონეთაგან. ქო-
რონიკონსა „ტჰა“ დაიწერა ბძანება ესე გელითა კარის
ჩუენის მდივნის ზურაბისითა, აპრილსა კ.

ხელ-ჩართულათ ხელს აწერს ქაიხოსრო და აზის ბეჭედი,
რომელზედაც სწერია: ძე ლევანისა ვანტანგ-მირზა.

აქ ჩამოთვლილი ბატონიშვილები ქაიხოსრო († 1711),
ვანტანგი, შემდგომად ვანტანგ VI, სჯულ-მდებელი († 1737),
იესე († 1727), სვიმონ († 1740) და თეიმურაზ († 1710) ძენი იე-
ვნენ ლევანის, ანუ შაჰ-ყული-ხანის († 1709). ბატონიშვილი
ვანტანგი ქართლის ცხოვრებაში ვანტანგ-მირზად არ იხსენიება.
(Hist. de la Géor. t. II, liv. 1-re p. 627).

II. სიგბე გუჯრისა არის $4\frac{1}{2}$ ვერშოკი, განი 3 ვერშოკი.
დაწერილია ეტრადზე მხედრულის ხელით, გუჯარი ძლიერ გა-
ფუჭებული და გასკრილია, უმეტესი ნაწილი წერილისა გადასუ-
ლია და ეწლა ძლივს განირჩევა მხოლოთ შემდეგი: „ნებითა და შე-
წევნითა ლუთისათა ესე უეუენისამდე უამთა და წელთა გასათავებელი
(წყალო)ბისა წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ.
ძემა პატრონმან ელისბარ და თანა მეცხედრემან ჩვენმან პატ-
რონმა (თინ)-ეში ფარმუზაშვილის. ბასილს
და გიორგის და სენხიას და შვილთა და მომავალითა სახლისა
თქვენისათა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ქაქანიშვილე-
ბის (მამულის) წყალობას დაგვეაფენით, ვისმინეთ აფა და მოხ-
სენება თქვენი. აწე ასრე თქვენთვის და თქვენთა შვილ-

საყურადღებოს არ წარმოადგენს, მაგრამ იქ განსაკუთრებულ რეიტრინაში“ აქამომდე დაცულია ზოგიერთი იმ საეკლუ-

თათვის გვიბოძებია. . . . გქონდეს გიბედნიეროს ღმერთმან, უინც რამანცა ადამის მონათესავემან კაცმან ესე შეკრუალოს. . .”

ელისბარი მხოლოდ სამი იხსენიება აქამომდე ცნობილ ჩვენ ისტორიულ წყაროებში. ერთი ქნის ერისთავი იყო, რომელიც წინააღმდეგა გიორგი XII და მიემხრა ფარნავაზს, გიორგის ძმას, 1798 წ. ფარნავაზმა და ელისბარმა სურამის ციხე გაამაგრეს გიორგის საწინააღმდეგოთ, მაგრამ დაეთმა, გიორგის შვილმა, წართვა (ნახ. Hist. de la Géor: t. II, liv. 2. p. 267). მეორე ელისბარი იყო ბოქუელო-უხუცესი, დედის ძმა ბატონიშვილი ლუარსაბისა, იმ ლუარსაბისა, რომელიც როგორც წინეთაც მოკინსენიეთ, იშვილა როსტომ მეფემ, და რომელიც უცაბედათ მოიკლა ნადრობაში (ნ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 534). მესამე ელისბარი იყო ეშიკაბაში ქართლისა, რომელიც 1742 წელს მოკლულ იქნა მოშობით (ნ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 353—354). თუ აქ რომელიმე ამ სამ ელიზბართაგანია ნახსენები, ჩვენის აზრით, მეორე ელისბარი უნდა იყოს.

III. ნოემბერი 11 1705 წ. ესე ნასყიდობის სიგელი დაგოწმრე და მოგვეც მე ჩხვიძე გორგასლმა თქვენ აბაშიძეს საღთ-ხუცეს გიორგის და შვილთა თქვენთა დავითს, ეკსტათის და იოანეს. . . ჩემის ნებით მოგყიდეთ ჩემი წილი ბარათით ხარკები ჩემათელეთი ნას. . . რი თვისის მამულ ალაგით ეკლესიის სასაფლაოთი. ნოემბრის ი, ქორონიკონს “ტუგ”.

IV. 7 დეკემბრისთვე, 1791 წ. ქ. ნებითა და შეწყევნითა ღუთისათა ჩვენ ბატონმა აბაშიძემ ქაინორსომ, ძმამან ჩემან, ეკვან და დავით, შეღთა ჩვენთა დავით, ვაატამ, სვიმონ, იოანე, განუშტიძ და ნაჟოლაოზ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა, — შეგისყუადეთ და გიბოქეთ ესე წყალობის წიგნი შენ ჩვენს მკვიდრს ყმას ღონლაძეს პეტრიას შვილს, დალაქს

სიო ნივთთაგანი, რომელნიც მზითევეში ჭრებია ვასუშტი

იესეს, ძმასა შენსა პაატას, შვილსა თქვენსა პეტრეს და იუანეს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომ ჩხვიძემ გორგასლანისაგან სურაჲს გვერდის ძირზე ტუკაძის მამული ვიყიდეთ მთელი საკომლო, მოხვედით და ამ მამულს წეალობას გვეაფენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი შეგიწყალეთ და გიბოძეთ გვერდის ძირზე ტუკაძის მამული უკლებლად თავისის სახლით, საბძელ-კალოთი, სას-ზღავით, წყლით წისკვილით, მთით და ბარით და ყოვლის მისის სამართლიანის სამზღვრით, რომელიც ჩვენის ნასკიდობის წიგნში სწერია, იმ სამზღვრით და იმ ნიშნებით გქონენდეს, და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენ ერდგულობასა და სამსახურსა შინა, არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომად ჩვენსა ჩვენთა ჩამომავალთა აბაშიძეთაგან. აღაწერა ლეინობისთვის ზ, ქ-კ^ს უოთ“.

მერმე ქაინოსრო აბაშიძის ხელით ვკითხულობთ: მე აბაშიძეს ქაინოსროს ჩემის ძმების ნება დართვით უბოძეთ ეს მამული უოვლის-თრინანდე თავის სამართლიანის საძებრით და უძებრით. ბეჭედი დაკარგე, ეს ჩემი ხელია და ხელ-ჩართულია, ბეჭედისგან უფრო მტკიცე არის. ქაინოსრო.

გვერდზედ ტუკაძისვე ხელით სწერია: მე აბაშიძე სალო-ზუცესი (sic) გიორგი ამ ჩემის ბიძაშვილებისაგან ბოძებულს წეალობის წიგნს ვამტკიცებთ ლეინობისთვის ზ, ქ-კ^ს უოთ“. აწის ბეჭედი. რომელზედაც სწერია: გიორგი.

ეს გუფარი ორი ვაჭემპლიარი ვნახეთ ჩვენ ერთი და იმავე ხელით დაწერილი, მეორე ვაჭემპლიარში მხოლოდ ერთი განსხვავებაა: ქაინოსრო აბაშიძის შვილების სიაში მამატებულია „იოსებ“.

V. 1792, აპრილის 2. ეს წიგნი მოგვცა მე ჩხეძე თეიმურაზმა შენ ორბელიის შვილს გოგილს, ასე რომა ჩემის უმი-სეული მამული ურიას ქონდა ნასყიდი. ის მამული მე თეი-

ბაშის ცოლს, ანუკა ბაღონიშვილს, მეოთხის ვახტანგ VI

მურაზმა დეკისენი და შენ მოგეცი. . . უნდა აშენო, რომ აშენდეს კარგათ, ნუნეგარი შენ გოგოლსა და ნანეგარი მე თეიმურაზა ჩხვიძესა, თუ შენი კერძი ვენახი გასასყიდლოთ მოინდომო, უჩემოთ ვერ გაუიღო. . . აპრილსა ბ, ქ-კ^ს უკ^ა.

VI. 1 სექტემბერი, 1793 წ. ეს ამიერთა უკუნისამდინ ხანთა და უამთა გასათავებელი ყოველისა კაცის უსადგო და უცილებელი საშვილის შვილოთ გამოსადეგი ნასყიდობი, წიგნი დი სიგელი დაგწერე და მოგეცი მე ჩხვიძე სენხიმა, შვილმა ჩემა ივანემა და დავითმა. შვილმა და მომავალმა სანლისა ჩემისა-მა, შენ აღელს მამინასშვის გაბრიელსა, შვილსა შენსა ფარემუ-ზასა, ივანესა, დავითასა, გურგენასა, ფარსადანასა, შვილსა და მომავალსა სანლისა შენისასა ასე და ამა პირსა ზედან: მას უამს ოდენს (sic) დაგეჭირა და მოგეცი ჩემის ძმებისაგან ბარათ შინარგები ჩემის უმის ზაქარა კაპანაძის ნასანლორი მიწა თავს სანლ ტემდინ, ბოლოს წყლამდინ, ერთი გვერდი ჩემის განაყოფის გორგასლის წილის კაპანაძის შიწის მიდგამდინ, მეორე გვერდიც კიდევ ჩემის განაყოფის გორგასლის წილის რამინის-შვილის მიწის მიდგამდინ. ავიღევი ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შეფერდებოდა, არღა დარჩომილა რა ჩემი შენზე არც ერთი იოტის ფასი, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, როგორაც სხვას ალაღს მონასყიდეს (sic) მოხმარებოდეს ვინც ამ ჩემ მოცემულს მიწას შემოგეცილოს, პირისა და პასუხის მიმცემი მე ვიყო. . . არინ ამისი დამსწრე, გამრიგე და მოწამე თავთ დაუსაბამო ღმერთი, ყოველნი მისნი წმინდანი ზეციერი და ქვეყნიერი, ხორციელნი და უხორციონი, კაცთაგან ბე-ბიანსვილი, გამრეველი მღვდელი, ლოტუსშვილი არუთენა, კობალაძე ზურაბა, ბეურტასშვილი გოგია, მანაშენისშვილი აბრამა. მე ტერ. პეტროსას დამიწერია სენხია ჩხვიძის სიტყვით და ნება-ყოფ-

ასულს. ჭალის ეკლესიის ავაზაკებს გაუტარცვათ და უძე-
ტესი ნაწილი ამ ნივთებისა მისეინ დაკარგულა. იმათში,

ლობით და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ეს სიგელი მარტის
დამდეგს (sic) ქკს „უპა“.

მერმე სენხია ჩხვიძე თავის ხელით სწერს: „ქ. მე სენხიას
ჩხვიძეს ამ სიგლის ყაბული მაქს (sic). ბეჭედი არ მქონდა, ეს
ჩემი ხელია. ს ე ნ ი ა.

ამას შემდეგ სხვა უშნო ხელით ვკითხულობთ: „ეს ნასუი-
დობის სიგელი შემიწირავს მე ფარსადანა მაშინოვს იტრიის ხეთის-
შობლისათვის. არცა მე და არცა ჩემ სახლის-მამა კაცმა ბრა-
ფერს შეეხოს.

VII. იანვარი 20, 1797 წ. ეს ნასუიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე ჩხვიძე გორგასალმა შენ აღელს მა-
შანას-შვილს გაბრიელასა, შვილსა შენსა ფარემუზასა, იოვანესა,
დავითასა, გურგენასა, ფარსადანასა, შვილის შვილსა შენსა
სტეფანასა... დამეჭირა და მოგეცი ჩემი ბარათში ნარგების აზნა-
ურს შვილის რამინიშვილის მამული საწისქვილო თავისი მიწით
და სახლით... იანვრის 6, ქკს „უპუ“ (?), (აქ იქ მაგირ ჩვენის
აზრით იქ უნდა იყოს).

VIII. 1798, მაისის 1. ესე ნასუიდობის წიგნი და სიგელი დაგი-
წერე და მოგეცი ჩხვიძე გორგასალმა, შვილმა და მოშავალმა
სახლისა ჩვენისამან შენ აღელს მაშინაშვილს გაბრიელას, შვილ-
სა შენსა ფარემუზასა, იოვანესა, დავითასა, გურგენასა და ფარ-
სადანასა. დამეჭირა და მოგეცი ჩემი ბარათში ნარგები ჩემის
წყმის კაპანაძისეული მიწა. . მე სურამის მღვდელს ტერ-
ზაქარიას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მაისის დამ-
დეგს, ქკს „უპუ“.

IX. მკათათვე 20, 1800 წ. ქ. სახელითა სახიერიითა არსებითა
ესე ამირ-თე უკინისამდინ უაშთა, ხანთა, შვილთა და შვილის შვილთა
საბოლოოთ გამოსადეგი წიგნი და სიგელი დაგიწერე და მო-

რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია, არსებობისათვის სა-
უურადღებონი არიან შეძლებნი:

1) ოთხ-კუთხიანი ღვთის-მშობლის სატი კერცხლისა,
ჩქროთ დაფერილი, სიგპით $4\frac{3}{8}$ კერშოკი, განით $3\frac{3}{8}$ -
ზემო თავში სისქესე ეს სატი იღება, და იქიდგან შეგიძ-
ლიათ ამოიღოთ მეორე სატი, აგრეთვე ოთხკუთხედი, მაგ-
რამ ზემოთ მომრგვალებული, სიგპით $3\frac{3}{8}$ კერშოკი, განით

გეცი მე ჩხვიემ გორგასალმა და შვილმა და მომავალმა სან-
ლისა ჩემისამა შენ აღელს მამინაშვილს გაბრიელასა, შვილ-
სა შენსა ფარემუნასა, იოვანესა, დავითასა, გურგენასა და ფარ-
სადანასა შვილსა და მომავალსა სახლისა შენისასა, მას უამსა
როდეს დამეჭირა და მოგყიდე ჩემის განაყოფისაგან ბართით ნარ-
გები ჩემის ყმის მზარეული-შვილის საწისქვილო, ნახევარ წის-
ქვილი თავის წყალითა და სათაფითა და წისქვილის უან წყალი-
თა შუა საბაღე ჭალა, ესეც ნახევარი, კიდევ იმავე წისქვილის
წინ სახნავი მიწა თავის უთხვის შარა გზამდინ. სიგელი და-
წერილია სურამის მღვდლის ტერ-ზაქარიას ხელით მკათათვის
ქა ქკს „უპს“ (უპპ?).

X. 1804 წ. გორგობისთვის 1, ეს ნასყიდობის წიგნი და სი-
გელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ჩხვიემ სენსიამა და შვილ-
მა ჩვენმა ივანემ და დავითმა. . . შენ არივწაშვილს ტერ-მიყე-
ლასა, შვილსა შენსა გიორგისა, ფარსადანასა და გრიქოლასა და
ამხანაგსა შენსა ნუბიერასაშვილსა არუთენასა. . . მოგყიდეთ კა-
კალათ ხეში ჩვენი ზოდახუნის მიწა ზომით შვიდი დლისა მოგი-
ჭერით. მიდგმა მოდგმა ამ მიზეზით არ დაგიწერეთ, რომ ჩვენს
განაყოფთან ჯერ გაუყოფელი იყო და როდესაც გაიყოფა, სითაც
გვერგება, ამ სიგელს ბოლოზედ მოეწერება. . . გორგობის-
თვის 2, ქკს „უპს.“

მ. ეს ხატიც ვერცხლისაა, ოქროთ დაიკერილი. პირველ გვერდზე გამოხატულია ორი სურათი: მარცხნივ წმინდა დიმიტრისა და მარჯვნივ წმინდა გიორგისა. შუაში ხატი იშლება და თქვენ თვალს წინ წარმოგიდგებათ მშვენიერი სურათი მაცხოვრისა. სოლო გაშლილ კარებზე მარცხნივ გამოხატულია ღვთის-მშობელი და მარჯვნივ იოვანე ნათლისმცემელი. უკანასკნელი საში სურათი შემკობილია ძვირფასის თვლებით. ეგულა წმინდანების სურათები გამოხურვით-ნაჭედი არის ¹⁾). მეორე გვერდზე პირველი ხატისა გველის და ღამაზის ასომთავრული ხუცურის ხელით სწერია:

აწ-ღო-ღ-ო, მე-ს-ქ-ნ ორ-თ-ვი შინა ცხ-რებ-სა
მა-მო-ბელ-სა და მა-დი-დებ-ულ-სა შე-ნ-სა და-დი-სა გი-ს და

¹⁾ სიტყვა გამოხურვით-ნაჭედი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გამოხურვით-განჭედილი, ნანმარებია წ. ნინოს ცხოვრებაში, რომელიც ქართლის მოქცევის ხრონიკას ზედ მოსდევს; და უღრის რუსულ სიტყვას рельефъ, рельефное изображение. ამავე აზრით ვხმარობთ ჩვენც ამ სიტყვას.

ხატი, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, ანუკას მზითვის წიგნში მოკლეთ არის აწერილი: „ყოველად წმიდის ხატი, მურასად მოჭედილი ექვსის იაგუნდითა, ექვსის ნიშაბურის ფირუზითა, სამის ხოშორის მარგალიტითა.“ ეს თვლები თითქმის ყველანი დაცულია. მზითვის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა დაბეჭდილია ბ. „ესპიის“ მიერ გაზ. „ივერიაში“ № № 234, 235, 1889 წ. დედანი ვანტანგის მიერ ხელ-მოწერილი, ეხლა ინახება ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში.

თა მეცხედრისა მთისა დედოფლის თმრს, და ძისა მთისა ლეონს, ან 1)“

მეორე გვერდზე მეორე ხატისა იმავე ხელით გვითხულობთ:

„წ ქე, შე ორთვე შინა ცხოვრებასა დადიანისა გი, და დეფლი თმრ, და ძე მთი ლონ, რომლისა ბრძანებითა შეკო ნატი ესე მაცხოვრისა, ან 2)“

ეჭვი არ არის, რომ ორივე ზემო მოყვანილ წარწერებში ლაპარაკია დადიან გიორგი III (1572—1582), ლევან დადიანის ძეზე. გიორგის სამი ცოლი ჰყავდა, მაგრამ არც ერთი მათგანის სახელი არ არის მოყვანილი ჩვენს ისტორიულ სწონიკებში. პირველი ცოლი გიორგისა იყო როსტომ გურიელის († 1564) ასული. 1566 წელს გიორგიმ გააგდო გურიელის ქალი, და თავის ბიძას დათულისა წაართვა ცოლი, რომელიც თვითონ შეირთო. 1572 წელს გურიელმა გიორგიმ († 1600) და მამია დადიანმა, გიორგი დადიანის ძმამ, გიორგი დადიანი გადააკლეს, და დადიანად მამია დაჯდა. გიორგი წავიდა აფხაზეთში და დაბრუნდა ჯიქ-აფხაზ-ჩერქეზის ჯარით, მაგრამ ხელ-მეორედ

1) უკარავმოთ: „წმიდაო ღმერთო, მეოხ ექმენ ორთავე შინა ცხოვრებასა მამეობელსა და მადიდებელსა შენსა დადიანსა გიორგის და თანა მეცხედრესა მთისა დედოფალსა თამარს და ძესა მათსა ლეონს, ამინ.“

2) უკარავმოთ: „წმიდაო ქრისტე, შეიწყალე ორთავე შინა ცხოვრებასა დადიანი გიორგი და დედოფალი თამარ და ძე მათი ლეონ, რომლისა ბრძანებითა შეიკო ნატი ესე მაცხოვრისა, ამინ.“

დამარცხდა გურიელის და მამიას მიერ. მერმე მიმართა იმერეთის მეფეს გიორგი II (1548—1585) და სთხოვა ცოლის და მისი, უმცროსი ქალი ჩერქეზ ბატონიშვილისა, რომელიც მასვე იმერეთის მეფეს აღუზარდა. მეფე გიორგის შუამდგომლობით გიორგიმ დაიბრუნა დადიანობა, შეირთო ცოლათ ჩერქეზ ბატონიშვილის ქალი და მით გახდა ქვისლი იმერეთის მეფისა და გურიელი გიორგისა. 1577 წელს დაიბადა გიორგი დადიანის შვილი ლევანი, ანუ ლეონი, რომელსაც ზემო მოყვანილნი წარწერები უჩვენებენ. ეჭვი არ არის, რომ ეს ლევანი ჩერქეზ ბატონიშვილის ქალიდგან არის დაბადებული, რომელსაც, როგორც სჩანს, თამარი ჰქვია. როდესაც გიორგი დადიანი მიიტყვალა, დადიანთ მისი მშა მამია დაჟდა. ამ უკანასკნელმა წაართვა ლევანი თავის დედას და შესეფის ციხეში დაამტყვევა, ლევანმა ვერ გასძლო უდევლოთ ციხეში, გადმოკარდა იქიდან და მოკვდა (1582) ¹. აქედან სჩანს,

1) ვახუშტი თავის ისტორიაში ლევანის დაპატიმრებას გიორგი გურიელს მიაწერს და ასე მოგვითხრობს: „მოკვდა დადიანი გიორგი ქს. აქეთ ჩუჰბ, ქრ. სო (1582) და დაჟდა მშა მისი მამია დადიანად. არამედ გურიელი გიორგი კვლად არა დასცხრა შურ-გებად გიორგი დადიანისად, მოიპარა ძე გიორგისი მცირე ლევან და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფისასა განზრახვითა მამია დადიანისათა. ხოლო ყრმა იგი უთმინოებითა ტყვეობისათა გარდმოიჭრა ციხიდანა, რეცა განტოლვად და მოკვდა (ქცნ. ტ II, გ. 193). ჩვენ „შედგეი ქართლის ცხოვრების“ სრონიის ცნობა მოვიყვანეთ ზემოთ. შხეფის ციხე სამეგრელოშია, ოთხ ვერსზე ახალ-სენაკიდგან.

რომ ზემოთ აღწერილი სატი შემოკობილი ყოფილა 1577 — 1582 წლებს შუა. ბროსეს თავის ანსელოლოგიურ მოგზაურობაში მოყვას ერთი ამ გვარი წარწერა ზუგდიდის ეკლესიის სატისა: „წ. ადიდეს ღმერთმან დადიანი გიორგი და თანა-მეცხედრე მათა დედოფალი თამარ, და ძე მათი აღსარდნეს ღმერთმან, ამინ.“ ეჭვი არ არის, რომ აქაც იმავე პირებსა ღაპარაკი, რომლებსაც ჩვენ წარწერები უჩვენებენ, მაგრამ რა კი ღვეანი სასეულდობ არ არის ნახსენები, გადაჭრით არ შეიძლება თქმა, რომელ გიორგიზე იყო ღაპარაკი, რადგანაც გიორგი დადიანი ორი კიდევ სხვა იყო, და არც მათი ცოლების სასეულები შენახულა. ჩვენ მიერ მოყვანილი წარწერა კი უეჭვლათ ამტკიცებს, რომ უკვლავ შემოსენებულ წარწერებში საუბარი არის გიორგი მესამეზე, და რომ მის უკანასკნელ ცოლს, ჩერქეზის ბატონიშვილის ასულს, თამარი ჭკვიებია. შვილი ღვეანი სხვა გიორგი დადიანს, გარდა გიორგი მესამისა, არავის ჭეულობა ¹⁾.

2) წმინდა ნიკოლოზის სატი, გულზე სატარებელი, ვერცხლისა, შემოკობილი ძვირფასის თვლებით, სიგპით 1³/₄ კერძოკი, განით, 1¹/₂. მეორე გვერდზე სატისა ხუცურთ ასოებით სწერია:

„ქ. შენ საშინელისა ღისა სწმინებით მღდბლო, დიდო, მღლთ მოავარო ნიკლზ, კვედრე ქსა ღა, რა

¹⁾ ნახ. ქ. ცხ. ტ. II, გვ. 278—279; 192—193; 244. Brosset. Voyage arch. VII Rapp. p. 22. Hist. de la Géor. t. II, livr 1-e, p. 666—647.

ცდკათა შნდბა მომანიჭოს და სლთა ჩთა დიდი წე-
ლბა მზისიერს 1).“

3) კერცხლის ფეშხუმი, რომელზედაც მსედრულის
ასოებით სწერია:

ჩქ. მოისსენე, უფალო, აბამიე კახუშტი, ბატონიშვი-
ლი ანუკა, ძენი და ასულნი მათნი“.

4) მაცხოვრის სატი, ოქროთი დაფერნილ კერცხ-
ლის არშიით, სიგბით 11¹/₂ კერშოკი, განით 8. არშიებ-
ზე მსედრულის სულით სწერია:

უფოვლად დიდებულო მაცხოვარო, მოგბეჭდე მე ცოდ-
ვით მტვირთ შიძემან, ხისინის მოურავის ასულმან და
აბასიძის (sic) ლალთხუცის (sic) კნეინამ, ანნამ, სალხთ
სულთა ჩემთა და მიცვალებულისა ძისა ჩემისა დავითისა,
და ევსტათის განსასვენებლად, და სადღეგრძელოთ ძისა
ჩემისა იოვანესთვის, და სულთა ჩემთვის, წელსა ჩუკ, მარ-
ტის კთ“.

5) ჯვარი ბზაის სისა, რომელზედაც ხელოვნურათ
გამოქანდაკებულია სხვა-და-სხვა მშეენიერი რთული სურა-
თები სასარების შინააწსიდგან, და რომელიც მოჭედილია
ოქროთი დაფერნილ კერცხლით. სიგბე ჯვარისა არის 5³/₈
კერშოკი, განი 1⁵/₈. ჯვარი შემკობილია მრავალი წერილი.

1) უქარავლოთ: „ჩქ. შენ საშინელისა ღუთისა სარწაქუნო-
ბით მლაღაღებულო, დიდო მღდელთ-მთაქარო ნიკოლოზ, ევედ-
რე ქრისტესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მომანიჭოს და
სულთა ჩემთა დიდი წყალობა მზისიერს.“

მარგალიტებით და სსკა ძვირფასი თვლებით ¹⁾. ტარი ვერ-
ცხლისა აქვს, რომელზედაც მოსსო ბერძნულს ასოებით
სწერია:

წინამდებარე ყვარი მეკეთნის მე ნიკითორეს, იე-
რადიაკონს წმიდისა და ცხოველს მყოფელისა სათლავისა,
1669^ა 2).

6) ორი რუსული ხელთნების სატი, ერთი სამებისა
არშია მოჭედელი, და მეორე წმიდის ნიკოლოზისა, აგ-
რევე არშია მოჭედელი 3).

ამ ნივთებს გარდა სოთელ ზემო-ჭალაში, მდებელ
სუსიევის სასლში, ჩვენ ვნახეთ ოთხიოდე ხელ-ნაწერი წი-
გნი. ორი მათგანი, რომელნიც ჭკუთნების გახუშტი აბა-
შიეს და მის მეუღლეს, თრიად საყურადღებოანი არიან.
ამიტომაც მათი აღწერილობა მოგვიყვას აქ.

1) სურათებიანი სადღესასწაულო, შარაკლიტონი და
მარხვანის კვირამღები ზადიკითა, ერთ წიგნათ, in fo-
lio, 35 X 23 სანტიმეტრი, დაწერილია ძრეულ მშენი-

¹⁾ ეს ის ჯვარი უნდა იყოს, რომელზედაც ანუკას მზით-
ვის სია ამბობს: „ვერცხლით მოჭედელი ნაწილიანი ჰატარა
ჯვარი თურამეტის ნოშორის მარგალიტითა, ხუთის სეილანით“.

²⁾ ბერძნული ტექსტი სამწუხაროთ აქაც და სხვა ამ გვარ
შემთხვევებში ვერ შემოგვაქვს ჩვენა და მოუყიდებელი მიზნის
გამო.

³⁾ ამ ხატებზე მზითვის სიაში ასე სწერია: „რუსული აშია.
მოჭედელი სამების სატი ერთი, რუსული აშია მოჭედელი წმი-
დის ნიკოლოზის სატი ერთი.“ სხვა ნივთები არაფროთ შესა-
ნიშნავნი არ არიან და ამიტომ აქ აღარ მოვიხსენებთ.

ერ, თეთრ, მტვიცე, მოსქო ჭაღაღდსე წვრილის, მაგრამ ძრეელ ღამაზის, ნუსსა ხუცურის სელით. ტექსტი ნაწე-
რის შავის მეღნით, მსოლოთ სათაურები, მეთაური ასოე-
ბი და ხშირათ ფრახებიცე,—წითელის მეღნით. წერა ორ-
სვეტიანია და თითოეულ სვეტზე დატეულია 50 სტრი-
ქონი. ჰაგინაცია აღნიშნულია რვეულებათ თითოეული რვა.
ფურცლის შემდეგ ასომთავრულით ქვემო არძიებზე. წიგ-
ნი შეიცავს 456 ფურცელს, რომელთა შორის 15 ჰარა-
კლიტონის წინ დაუწერელია. და, როგორც ეტყობა, სუ-
რათების გასაგრძელებლათ ყოფილა დატოვებული. ედა მა-
გარი და ღამაზი აქვს, ხისა, ტყავ გადაკრული. ედის პირ-
ველ გვერდზე შვაში გამოხატულია ჯვარცმა ავაზაკები-
თურთ და კუთსეებში მანარებლები. მეთაური ასოები სუ-
რათებზე ბერძნულია. გერცხლის სამბულები ედისა არ.
შენახულან, მაგრამ მათი დასამაგრებელი ორი პატარა ვერ-
ცხლისავე სვეტი დაცული არის. სხვათერივ ხელ-ნაწერი.
სრულია და კარგათ შენახული. აქ იქ ტექსტის მეთაური.
ასოები ფერადებით შემკობილნი არიან, ზოგიერთი მათგა-
ნი ფრინველის თუ სხვა ცხოველის გაიოხატულობას წარ-
მოგვიდგენს. სუთ აღვიღას ხელ-ნაწერში ვპოულობთ.
მშვენიერ ნახელავ „ზასტაკებს“, ანუ ფერადებით შემკო-
ბილ ფურცლების სათაურებს. „ზასტაკები“ კამარის მსგავ-
სებია, რთული და სხვა და სხვა ფერადებიანი. უფრო ცის.
ფერი, მოლურჯო და ვარდის ფერი სჭარბობენ სხვა ფე-
რებს. პირველ „ზასტაკის“ შვაში სადღესასწაულოს წინ.
გამოხატულია სასწორი, მეორეზე ორი თევზი, მესამეზე,
ვატი და სხვა. ფერადები ახალია და კარგათ შენახული.

უმეტეს ნაწილს სადღესასწაულოს მარცხენა არშიებისას
 აშვენებენ სხვა და სხვა ფერადებით დასატულნი წმინდანე-
 ბის სურათები, რიცხვი სურათებისა სადღესასწაულოში ასა-
 მდის ადის, სურათები ყველანი ერთი ზომის არიან, სიმაღ-
 ლით ცოტა ვერძოკ ნასკვარზე მეტი, განით ერთი ვერ-
 შოკი. თითოეული სურათის ზემოთ ასომთავრულით და-
 წერილია სასული იმ წმინდანისა, რომელსაც სურათი წარ-
 მოგვიდგენს, ქვემოთ მსედრულის ხელით ყოველთვის იმე-
 ორება ერთი და იგივე ფრანზა: „შეიწყალე ახ:შიძე ვასუშ-
 ტი, ამის“. სურათები სადღესასწაულოსი იწყებიან სკიმონ
 მესგეტით (წელიწადი სადღესასწაულოში დაწყებულია პირველი
 სექტემბრიდან) და თავებისა წინასწარ-მეტყველ მიქიათი,
 რომლის დღესასწაული არის 24 აგვისტოს. ამ პატარა
 სურათების გარდა ხელნაწერში დიდრონი სურათებიც მო-
 იზოვებიან. პარაკლიტონის წინ დასატულია 17 სურათი,
 ოთხ-ოთხი თითო ფურცელზე გარდა უკანასკნელისა, რომ-
 ელსაც მთელი ფურცელი უჭირავს და რომელიც დამთავ-
 რებული არ არის, მხოლოდ იესო ქრისტეს სახე კი მდიდ-
 რულია და კარგათაგ განირჩევა. ეს სურათები სხვა და სხვა
 სახარების შინაარსს წარმოგვიდგენს. პირველათ დასატულია
 ხარება და უკანასკნელათ აღდგომა ქრისტესი. ამ სურათე-
 ბის წინ დატანებულია ხუთი ფურცელი დაუწერელი ქა-
 ლაღდისა და უკან ათი. დასაწყისი სადღესასწაულოსი:
 „მცხრის შუბ კნისა...“ ბოლო: „სამსლი ცხოვრებისა მო-
 ვილოთ“. ამას შემდეგ ტეკსტისაკე ხელით სწერია: „მწერა-
 ლი ამისცა დეკანოზის-შვილი ნიკოლოზ (იკონი), ქრისტე
 შეიწყალე დღეს-მას გამოკნისისა“. მე „დ“ გვერდზე იმავე

სკელით სწერია: „ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხოვრებასა
 შინა აბაშიძე ვასუპტი“. მე 10^ე გ. კვითსულობით იმავე
 სკელით: „წმიდანო მოციქულნო და უოკელნო წმიდანო,
 შეოს და თანა შემწე ექმენით პატრონსა და იკითხუელსა
 წიგნისა ამის ორსავე ცხოვრებასა, ამინ“. დასაწყისი პარა-
 კლიტონისა: „ლცენი ჩნნი შეიწირენ წოღო ღმრთ-
 მდღე ჩნ მოწულებე ცდვათა“. დასასრული: „დიდება
 შენდა ღთო ჩუქნო“. მეორე კვითსულობით: „ქრისტე, შეი-
 წყალე მწერალიცა ამისი დეკანოზის-შვილი ნიკოლოზი“.
 დასაწყისი მარსეასის კვირამღებისა: „მცნო ფსენ ბე უო
 უო ღსბანი აღდგმისანი“. ბოლო: „რ მრავალნი იუენენ უკა-
 ნა და უკანანი წინა“. ამას შემდეგ გამოცხადებულია იგივე
 ფრაზა, რომელიც პარაკლიტონის ბოლოს იყო. ბოლოს
 მოყვანილია უკანა-სიტყვაობა გადაშწერისა. ეს უკანა-სიტ-
 ყვაობა, როგორც ზოგიერთი სათარგობიც ტექსტისა, და-
 წერილია მოგმო და მოხოგრამიძულათ ერთი ერთმანეთზე
 გადაბმული ასომთავრული ასოებით. სიტყვები ნაწერია ქა-
 რავით და ერთი ერთმანეთისაგან განიყოფებიან კინოვა-
 რით ნაწერის ვარსკვლავის მსგავსი წერტილებით, ნაწერი
 მეტის მეტი ღამაზის და იკითხება ასე:

„ადიწერა წმიდა ესე და შემეობილია სადღესასწაუ-
 ლო, პარაკლიტონი და მარსეასის კვირამღები ზადიკითა,
 უოკლითურთ განშეკენებულ და შემეობილია კელითა ოსი-
 ნის დეკანოზის-შვილის ნიკოლოზისითა. გვეოდრები მკით-
 ხუელთა და კეთილად მსმენელთა, რათა მცირეაღცა სსკე-
 ხებასა უოფდეთ ჩემდა ცოდვილის მწერლისა, მთავრისა, რა-
 თა თქვენცა მოგცესთ იესო კსენება (კა) კეთილი. უკეთო

იპოვოთ შეტომით სიტყვა, გამართვას ეცადეთ, რათა თვითონცა განმართლებულ იუვნეთ დღესა-მას განკითხვისას. სრულ იქმნა იანვრის ი, ქკეს აქეთ ჩღმკ, ქკეს ულდ“. — 1746. ამას ქქემოთ არშიაზე სსვა ნუსსა მსედრულის ხე-ლით სწერია: „ათს იანვარს რომ ეს სადღესასწაულო გაათვა ამისმა მწერალმა, ოცდა ათს იანვარს სანატრელი მეფის ვასტანგის ასული და აბაშიმე ვახუშტის მეუღლე, ბატონიშვილი ანუკა, მიიცვალა ამა ქორონიკონს „ულდ“. იესო, უფალო ჩვენო, განუსვენე შენსა ზეცისა სასუფეველსა, ამინ“.

ანუკა ბატონიშვილი, ვასტანგ VI ასული, ცოლათ გაევა ვახუშტი აბაშიმეს 1712 წელს, ღებერვალში. გარდაიცვალა ანუკა ჰაზუნა ორბელიანის ცნობით პირველ იანვარს 1746 წელს. ვახუშტი მსოლოთ 1746 წელს უჩვენებს და თვეს და თვის რიცხვს არ მოიხსენიებს. ერთი წერილი კათალიკოსი ანტონი I, 1745 წლის 25 ივნისის თარიღით მიწერილი ტფილისიდან მოსკოვს გიორგისადმი, ვასტანგ VI მისა, სსვათა შორის მოიხსენიებს ანუკას და ანუკას დის თამარის გარდაცვალებას (რიცხვს არ უჩვენებს). რომ კათალიკოსი ანტონის თარიღში ცხადი შეტომამა, და რომ 1745 წლის მაგიერ 1746 წელა უნდა ეწეროს, ეს ბროსსემ შენიშნა კარგი ხანია და ანუკას გარდაცვალების დროთ ჰაზუნა ორბელიანის ცნობა მიიღო. ჩვენ მიერ მოყვანილი მინაწერი კი ცხადათ ამტკიცებს, რომ ჰაზუნას ცნობაც არ ყოფილა მართალი. ესე იგი ანუკა ბატონიშვილი 1746 წლის პირველ იანვარს კი არა, არამედ ოც-და-ათს იანვარს იმავე წლისას გარდაცვლი-

ლა. ანუკა დამარხულა ტფილისის სიონში, მაგრამ კვიტაფია მისი არა სჩანს ¹⁾).

2) მეორე ფრიად საყურადღებო ხელ-ნაწერი, რომელიც ჩვენ მღვდელ სუხიევის სახლში ვიპოვეთ, არის პარხლის სასარება, ოთხ-თავი. ხელ-ნაწერი in 4^o ზომიერ ფორმატისა, 24x20,5 სანტიმეტრი, დაწერილია კარგე მაგარ და კარგათ შენახულ ეტრატზე ხუცური ასომთავრულით. ტექსტი ნაწერია ორ სვეტათ და თითოეულ სვეტზე დატეულია 20 სტრიქონი. სათაურები, ზოგიერთი მეთაური ასოები და იშვიათათ სტრიქონებიც, ნაწერია წითელის მელნით, დანარჩენი ტექსტი შავით. მეთაური ასოები ბევრია, მაგრამ არც ერთი მათგანი ძველი ტექსტისა ფერადებით შემკული არ არის. არშვიტზე ხშირათ შესვდებიით სსგა და სსგა გვარის ჯვარს, წითლის მელნით დასატულს, და თითოეული სასარების ბოლოში პატარა ფერადებიან ოთხ-კუთხედებს, მაგრამ როგორც ჯვრები, ისე ეს ოთხკუთხედებიც, საყურადღებოს არიერს წარმოგიდგენენ. ხელი ძველი ტექსტისა მოსსოა და ადვილათ გასარჩევი, სიტყვები უფრო ხშირათ ქარაგმებით არის ნაწერი. პავინაცია აღნიშნულია თითოეული რვა ფურცლის შემდეგ ხუცური და ბერძნული ასომთავრულებით, ზემო და ქვემო არშვიტზე. ხელნაწერი შეიცავს 248 ეტრატის ფურცელს. ბოლოს მიმატებულია 21 ქალაღდის ფურცელი, რომლებზე-

¹⁾ იხ; ქ. ცხ. ტ. II, გვ. 77, 252, 257, 387. Hist. de la Géor. t. II, 2-e livr. p. 427—428. Voyage arch. I-er Rapp. p. 26.

დაც არა ტექსტის სელით დაწერილია „სარჩევი და საძიებელი“, ეს იგი დღიური საკითხავების მარკენებელი და საძიებელი ძაკებისა და სტისებისა. ეს „სარჩევი და საძიებელი“, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დაწერილია 1744 წ. იმავე ირსიდიკონის ნიკოლოზის . სელით, რომელსაც შემო გარჩეული სადღესასწაულო გადაუწერია. ამას გარდა ნიკოლოზს მოყვას ძველი ტექსტის აწმებზე ასომთავრული ასოებით თითოეული სტისის შირ-და-შირ . სათვალავი სტისებისა, ვინაიღვან სტისებათ დაყოფა ძველი ტექსტისა, როგორც სხვა უძველეს დროის სასარებების ვარინტებშია, არ ეთანხმება ბოლონდელ დროის სასარებების სტისებათ დაყოფას. რომ უფრო ადვილი გასარჩევი იყოს, სად თავდება სტისი, ნიკოლოზს დაუსვამს თითოეული სტისის ბოლოში რი თუ სამი მსხვილი წერტილი. ტექსტის სტისებათ დაყოფაში ნიკოლოზი ადგია იმ სისტემას, რომელსაც ვხვდებით ჩვენ გიორგი მთაწმინდელის მიერ შესწორებულ სასარების ვარინტებში. პარსადის სასარებაში ახალი სტისი უმეტეს შემთხვევაში იწყება მეთაური ასოთი, და სტისების სათვალავი დაწერილია წვრილი ასოებით ამ მეთაურ ასოებზე. ქვემო არშიაზე კი სხვა მასარებლების პარკაღელური ადგილებია ნახვენები. შირველი რვა ეტრატის ფურცელი ჩვენი სასარებისა ძველი არ არის და უმეტესათ მერმე მიმატებული უნდა იყოს. ეს მტკიცდება, შირველთ იმით, რომ ეტრატი ამ რვა ფურცლისა უფრო თხელი, რბილი, თეთრი და ახალია სსკებზე, და მელანიც ძლიერ შავია, ძველი ტექსტისა კი შედარებით ბევრათ უფრო მჭრალი. მეთრეთ იმით, რომ

სელი ამ რვა ფურცლისა თვალსაჩინოთ განიჩქევს ძველი ტექსტის სელიდგან. ამას გარდა პირველი ფურცლის სათავეში ჩვენ ვპოულობთ კინოვარულ სათაურს, მონოგრამი-ულათ ერთი ერთმანეთზე გადაბმული მოგძო ასომთავრულით ნაწერს, და ფერადებით შემეობილ მეთაურ ასოს „წ“, რომელიც ფრინველის გამოსატყულობას წარმოგვიდგენს, ძველ ტექსტში კი ამგვარი არაფერი არ მოიპოვება. ტექსტიც ამ ფურცლებისა გიორგი მთაწმინდელისაგან შესწორებულ სასარკინდგან არ განიჩქევს, მაშინ როდესაც ძველ ტექსტში ცოტათ თუ ბევრათ განსხვავებანი მოიპოვებინან. მერმენდელი მიმატებულთა კიდევ იმავე სელით დაწერილი ერთი ფურცელი ქალაქი მათეს სასარკებაში, ნაცვლად დაკარგული ეტრატის ფურცელისა, რიგით მე-5-სა. ამასთანავე ერთ ადგილას მოხუელი ეტრატის ერთი კუთხის მაგიერ მიწებებულთა ქალაქი, რომელზედაც იმავე მერმენდელის სელით დაწერილთა ტექსტის შესავსებელი სიტყვები. ყველაფერი ეს უკეთესი რომ არ შეიძლება ესე სწორათ და ღამათ არის გაკეთებული. გასაკვირველია, როგორ დაუტევიან გადაწერს ყველაფერი თავის ადგილზე და ძველი და ახალი ტექსტი სიტყვას სიტყვით და ასო ასოთი ერთმანეთზე მიუგვრებიან. ის იმდენს სიტყვას და ასოს ატეკს. სტრიქონზე, რამოდენიც ძველ ტექსტშია. ამასთანავე შესამჩნევათ ცთილობს ძველი ტექსტის მსგავსის სელით დაწეროს, და თუმცა ასოები უბოძით ერთგვარი არიან, მაგრამ სილამაზით ძველი სელი მანც ბევრათ სჯობია ახალს. ყველა მიმატებული ფურცლები ტექსტისა (რვა თავში და ერთიც მათეს სასარკების შუა ადგილას) დაწერილნი უნდა

იყვნენ, როგორც ჭკეპოთ დავინახავთ, 1739 წელს. და-
ნარჩენი ფურცლები სასარებისა სრულათ არიან დაცულნი
და კარგათაჲ შენახულან. აქ უნდა დავსძინოთ, რომ ამ
სასარების ასომთავრული და ნუსხა ხუცური ხელიც არ-
ფრით არ განიჩქევა შატბერდის კრებულის ხელიდგან.
ხელ-ნაწერს მაგარი ხის უდა აქვს, შავ ტყავ გადაკრული,
რომლის ზემო პირზე ჯვარცმაა გამოსატული.

დასაწყისი რვა მიმატებული ფურცლებისა, მათეს სა-
სარება, თავი 1, სტისი 1-2: ს^სრბა მ^სთესი თ^სვი ა.

ა. წიგნი შობისა იჲ ქ^სისი, მისა დავითისი, მისა აბ-
რაჰმისი.

ბ. აბრაჰამ შვა ის^გ, ის^გ შვა იგ^ბ, იგ^ბ შვა იუდა
და ძმანი მისნი.

ბოლო მიმატებული ეტრატის ფურცლებისა, თავი ნ,
სტ. 17: ამინ გეტყუ თქოჯ^ტნ, ვიდრემდე წარგდ^ს ცაჲ
და ქოჯუანა, იოტა ერთი, გინა რქა ერთი არა წარგდეს
შ^სჯულისგ^სა და...

დასაწყისი პირველი ძველი ეტრატის ფურცლისა, მეთვ-
რამეტე სტისის ბოლო; მეხუთე თავისა: წ^წწყულთაჲ,
გ^დდე უივე იუოს. სტისი მე-19: ოჯკოჯთოჯ ვინმე დაჭკ^ს-
ნას ერთი მცნებათა ამათგანი ოჯმცირესთაჲ და ასწაოს
ესრ^ტთ კაცთა. ოჯმწემეს ეწოდოს მას სასოჯფეველსა
ცათასა; ხ^რწ^წ ეოს და ასწაოს, ამას დიდ ერქოჯას სა-
სოჯფეველსა ცათასა.

ბოლო მათეს სასარებისა, თავი 28, სტისნი 19-20:
წარვიდეთ და მოიმოწაფენით ყნი წარმართნი და ნათელ

სტეპდით მათ სახელთა მამისათა და ძისათა და სოჯლისა
წდისათა.

და ასწავიდით მათ დამარხვად ეი, როდენი გამტენ
თქნ, და აჰა ესერა მე თქნეთან ვარ ელთა დღეთა და
ჟე ე ზსსრ ლმდე სწელისა.

ამავე მათეს სახარების ბოლოში ტექსტის ხელით,
მაგრამ ნუსხა ხუცური წერილი და ლამაზი ასოებით სწე-
რია: „ჩ ე მეუფეო, ელსა მპერობელა, შეიწყალე გლასხ-
ხაკი იოვანე, მწერალი ამის წიგნისაჲ, მსებითა წთა
მწერებულთა შნთა თანა.“ ამას შემდეგ მეორე სვეტზე იმა-
ვე ფურცელისა მერმენდელი ხელით და ხუცური უღამაზო ასო-
შთავრულით სწერია: „მოისხენე, უფალო, განდელაკი მღრდე-
ლი იოვანე, ამინ“. ამას ჭკემოთ მერმენდელი ლამაზი ნუსხა
ხუცურის ხელით სწერია: „ადიდეს უფალმან ბატონი ვასუშტი
აბაშიძე, რომლისა ბრძანებითა ვმართავ სათვალავსა წმინდისა
ამის სახარებისა მე კნინლა სახელისა (სწლისა) მთავარ დია-
კონი ნიკოლოზ (ნიკზ), მრავალ ვამიერ ყოს უფალმან
ორსავე შინა კეთილათ (კლო) ცხოვრებასა. ბეკედრები
უოკელთა, უფალთა ჩვენთა, რათა ჩემ უხადრუგისათვის
მტირედსა ხსენება ყოთ; ჩემთა შეწყალებათავის თქვენცა
უფალმან წყალობა გცეს დღესა-მას განკითხვასა“.

ამავე სახარების მე-17 გვერდის ჭკემო არშიაზე
მერმენდელი ნუსხა მხედრულის ხელით სწერია: „ჩ. ლმე-
რთო, ცოდვილს ანუკას მოხელე მოწყალებით შენით“.

დასაწყისი მარკოზის სახარებისა, თავი 1, სტისნი
1-2: სახარება. მარკზის თავის თავი.

დასაბამი სახარებისა იჲ ქესი, მისა ღა, ვა წე-
რილ არს ესაია წწწელსა: აჲ ესერა მე წარკვლინო ან-
გელში ჩემი წე შნსა რწ გამზადნეს გზანი შენნი
წე შენსა.

ბა ღადადებისაა რუდაბნოსა: განმზადნით გზანი
რლისანი და წრთელ უკენით აღაგნი მისნი.

ბოლო მარკოზის სახარებისა, თავი 16, სტიხნი
19-20:

ბ შედგომად სიტუჯსა-მის მისისა მათა მიმართ აღ-
მადლდა ზეტად და დაჰდა მარჯოჯნით ღთისა.

ბ იგინი გამოვიდეს და ჰადაგებდეს ულსა ქუნსა
შლისა შექენითა და სიტუჯსა-მის დამტვიცებითა მისა
მიმართ რწნი იგი შეოჯდეს მათ საწაოჯდნი.

ამას ჰემოთ ტექსტისუე სელით, მაგრამ: ღამაზიტ
ნუსსა ხუტურის ასოებით სწერია: აჲ, შეიწყაღე ბერაჲ
შქერაღი, ამინა.

დასაწიუისი ღუკას სახარებისა, თავი 1, სტიხნი 1-2:
სწრება. ღოჯკაჲსა თავისა თავი.

მრავალთა კელი შეუეკს აღწერად მოთხრობად გოჯლ-
სავსედ სარწმოჯნოკებისა-თჯს რწ შწს საქმეთა აღსწოჯ-
ღებოჯლთაჲ.

ვა იგი მომცეს რწ რწნი დასაბამითგან თჯთ მსიღ-
კელ და მსახოჯრ უოთიღიუკნეს სიტუჯსა-მის.

ბოლო ღუკას სახარებისა, თავი 24, სტიხნი 51-53:
და იუო კოჯრთხეკასა-მას იჯჲსა მათა მიმართ განეუო
რწ მათგან და აღვიღოდა ზეტად.

და იგინი მოიქცეს ის^მდ სისაროჯლითა დიდითა.
და იუოთუგოდეს ტაძარსა-მას შინა მ^დს და აკოჯრ-
თხეკედეს ღ^ა.

დასაწყისი იოვანეს სახარებისა, თავი 1, სტიხნი 1-4:
სახარება. იოვანეს თავისა თავი.

პირველითგან იუო სიტყ^ე და სიტყ^ე იგი იუო
ღ^თისა თანა და ღ^თი იუო სიტყ^ე იგი. ესე იუო პირ-
ველითგან ღ^თისა თანა.

ე^ივე მის მიერ იქმნა და თჯნიერ მისა არცა ერთი
რ^ად იქმნა, რ^ადენი რ^ად იქმნა.

მის თანა ცხოვრებად იუო და ცხოვრებად იგი იუო
ნათელ კაცთა.

ბოლო იოვანეს სახარებისა, თავი 21, სტიხნი 24-25:

ესე არს მოწათ^ე იგი, რ^ი წამებს ამისთვის და რ^ი
დაწერა ესე ღ^ე ცით რ^ე ჭეშმარიტარს წამებად მისი ღ^ე არი-
ან სსოჯანიცა მრავალ რ^ე ჭმნნა ი^ე, რ^ინი თოჯმცა დაი
წე[რებოდეს თვითუელ]ად არცადა ვ^ეტონებ ვ^ერცა სოთე-
ლმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები.

შემდეგ წითელის მეღნით სწერია: „დიდება შენდა
სამებაო წ^ო“. ქვემოთ კიდევ ღამაზი ბერძნული ასომთავ-
რულით ბერძნულათ სწერია: „დიდება მამასა და ძესა და წმი-
დასა სულსა ა^ნ და მარადის“. მართლ-წერა ბერძნული ფრა-
ზაზებისა გარყენილია.

ბოლოს ღამაზის ნუსსა ხუცურის ასოებით, მაგრამ
ტიკსტისავე ხელით სწერია: „უფალო, იესო (ი^ე). ქრის-
ტი, ცხოველთა და მკვდართა მეუფეო, შეიწყალე იოვანე

ბერაი (sic), მწერალი ამისი, გლახაკი სულითა, მეოსე-
ბითა წმიდათა მასწრობელთა შენთაჲთა. წმინდანო ღუთი-
სანო, ვინ იგი [თხვიდეთ]...“ (აქ ერთი სტრიქონი წაჭ-
რილია).

იმ ეტრატის ფურცელზე, რომელიც უგანასკნელ ეტ-
რატის ფურცელს წინ მიუძღვის ჩვენ კპოულობთ შემდეგ
წერილს, იმავე ლაძაზი ნუსხა ხუცურის ხელით დაწერილს:
„სახელითა მამისათა და ძისაჲთა და სულისა წმი-
დისაჲთა, მეოსებითა წმიდისა და ყოვლად დიდებულისა
ღუთის-მშობლისა, მარადის ქალწულისა მარიაშისთა, ძლი-
თა ცხოველს მეოფელისა პატრიოსნისა ჟვარისაჲთა, მეო-
სებითა წმიდისა და ნეტარისა წინასწარ-მეტყუელისა იოვან-
ნე ნათლის-მცემელისათა, მეოსებითა და შეწევნითა წმი-
დათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთათა და წმიდათა
წინასწარ-მეტყუელთაჲთა, მეოსებითა წმიდათა მასწრობელ-
თათა მათქ, მარკოზ, ლუკა და იოვანესითა, მეოსებითა
წმიდათა მოწამეთაჲთა და ღირსთა შლუდელთ-მომღვარათაჲ-
თა და ნეტართა მამათაჲთა, ღირს ვიქმენ მე გლახაკი
იოვანე, ნართაჲლად ბერაი, აღსრულებად წმიდასა
ამას სახარებასა, ოთხთავსა, მოღვაწეობითა სულისა წმი-
დისაჲთა და შეწევნითა ღუთით (ღთ) შემოსილთა კაცთაჲ-
თა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამომ-
ღურებლად თავისა ჩემისა, და სალოცველად სულსა მეო-
ფელსა ჩემთასა და ყოველთა-თუსთა ჩუენთათჳს სულიერ-
თა და სოცრიელთა, და სალოცველად მეუეთა ჩვენთათჳს:
ღუთიჲ დაბადებულისა ბაგრატ ქართველთა მეფე-
სა, და ვით მანგისტროსისა, სუმბატ ერისთავ-

თა ერისთავისა ღ ლუთიე მონიჭებულთა ქეთა მათ-
თჳს. ქრისტემან უოკელნი ადიდენინ მოწყალებითა მისითა
ყამთა უგუნისამდე.

„აწ ვინცა ღირს იქმნეთ აღმოკითხვად ღ მსახურე-
ბად წმიდასა ამას სხსარებასა, მოიგსენეთ სული ჩემი ცო-
ღვილი წმიდათა შინა ლოცვათა თქუენტა, და უოკელთა ერ-
თობით მოგვანიჭენინ ღმერთმან კეთილნი საუკუნენი, და
უოკელნი ღირსმცა ვართ სასუთეკელსა ცათა და სანატრე-
ლსა. მის გმისა სმენად ქრისტს იესოჲს (იჯჲს) მიერ,
ღუთისა ჩუენისა მისა, დიდება ეკლესიასა შინა მამისა თა-
ნს სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა,
ამენ.

აღაწერა დასაბამითგანთა წელთა **Է: Փ: Ա. Ն.**

ქორნიკონი იუო მეცამეტედ ქცეული **Ժ: ԿԿ. Կ.**

ხოლო (6577) წელი დასაბამითგან ქართულის სა-
თვალავით და რეგ. (193) ქორნიკონი მეცამეტე მოცე-
ვისა ერთგვარათ უდრიან 973 წელს ქრისტეს შემდეგ.
ამაზე უფრო მარტივი თარიღი აღარ შეიძლება, ასე გაშინ-
ჯეთ, მწერალი მოქცევასაც უჩვენებს, რასაც ძრეულ იშვი-
ლათა შეხებებით ჩვენ მანუსკრიპტებში. თვით რიცხვები
ნაწერნი არიან წითელის მელნით ძრეულ მარტივად და
კარგათაც შენახულან. ბაგრატ ქართველთა მეფე, რომელ-
საც იხსენიებს ივანე ბერაჲ აქ და შატბერდის კრებულში
არის ბაგრატ II (958—994) რეგენი და არა ბაგრატ
პირველი (827—876), როგორც ფიქრობდა განსვენებუ-
ლი დ. ბაქრაძე. ბაგრატ II რეგენი თუმცა მეფეთ ითუ-

ლებოდა და მეფეთ მეფის სახელსაც ატარებდა სიკვდილამდის, მაგრამ ფაქტიურათ კი თითქმის არავითარი უფლება და ძალა არა ჰქონია. ნამდვილი მმართველი, მეფე და ბრწეინვალე ვარსკვლავი იმ დროისა იყო დავით გურგაძე-პალატი (+ 1001). ეს ის დავითია, რომელმაც სახელი გაითქვა ბარდა სვლეტოსის დამარცხებით და ამ ბარდის მიერ ალელგებულის ვიზანტიის იმპერიის დამპყიდებით, და რომელმაც ეგრე ბევრს დაპარაკობენ ქართველთ, სომეხთ და ვიზანტიელთ მწერალნი. ეს დავითი აქვს სახეში ჩვენ სახარების წერილსაც, როდესაც ამბობს დავით მაგისტროსზე. მაგისტროსად დავითი იწოდება სხვა მანუსკრიპტებშიაც. მაგალითათ, ერთ ათონის ხელ-ნაწერში მე-977 წლისა, რომელსაც ჰქვია „სამოთხე“ ანუ იოანე ოქროპირის და ეფრემ სირინის ქადაგებანი, სხვათა შორის კვითხულათ: „იესო ქრისტე, ყოველთა სუფევათა მფლობელო, ადიდე შენ მიერ დიდებული მეფე ჩვენი დავით მაგისტროსი და იოანე და შვილნი მისნი 1). ქართლის ცხოვრების სიტყვით დავით მეფობდა 983—1001 წ. სომხის მწერალი მეთურთმეტე საუკუნისა ასოტივი ძრეულ ბევრს ცნობებს გვაძლევს დავითზე, მაგრამ მის გამეფების წელს კი არ უჩვენებს, მხოლოთ სიკვდილს მიაწერს 1000 წლის პასეჟის დღეს 2). რომ დავითის გამეფების წელი

1) ნახე ბაქრაძის ისტორია, გ. 244, და Цагарели. Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности, стр. 89—91.

2) Эминъ. Всеобщая исторія Степаноса Таронска.

შეცდომით არის ნაჩვენები ქართლის ცხოვრებაში, და რომის 983 წლის უფრო ადრე მართავდა თავის სამეფოს, ეს კარგი ხანია შენიშნა დ. ბაქრაძემ (ნახ. მისი ისტორია, გვ. 239), მაგრამ ჩვენ მაინც აქმომდე არა გვჭონება ცნობა დავითის მეფობაზე 977 წლამდის, ესე იგი იმ წლამდის, რომელსაც ეკუთვნის ზემო ნაჩვენები ათონის მანუსკრიპტი. ესლა კი პარხალის სახარება უეჭველათ ამტკიცებს, რომ დავითი 973 წელსაც მეფე ყოფილა და მაგისტროსის ხარისხი ქჭონია. ბაგრატთან და დავითთან მოხსენებული სუმბატ ერისთავთა ერისთავი უნდა იყოს ბაგრატ მამფალის შვილი არტანუჯელისა, რომელიც გარდაიცვალა 988 წ., და რომელზედაც სუმბატის ისტორია სწერს: „გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთა ერისთავი, კაცი მართალი, ძე დავით მამფლისა, არტანუჯელი, ქორონიკონსა „სს“ (ნახ. ქვემოთ სუმბატის ისტორია, გვ. 64).

ზემო მოყვანილ წერილს ქვემოთ პარხალის სახარებაში ბერძნულის ასომთავრულით ბერძნულად სწერია: „ქრისტე შეეწიოს. იოანემ დასწერა, ამინ.“ მეტე კიდევ ნუსხა სუცურის ხელით სწერია: „შეესწირე წმინდასა ეკლესიასა პარხლისასა წმიდისა [იოანე ნათლის-მცემელისას].“ ამას შემდეგ მეორე სვეტზე მეკმენდელი ნუსხა სუცურის ხელით სწერია: „მოიხსენე, უფალო მონა შიქი კანდელაკი მღვდელი ივანე. ამინ, ამინ, ამინ“.

უკანასკნელ ეტრატის თურტელზე სწორეთ იმავე ნუსხს სუტურის სელით, რომლითაც ნაწერის უკანასკნელი ნაწილი შატბერდის კრებულისა, სწერის:

აწინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებლად ღუთივ გვრგვინოსნისა მეფეთა მეფისა, ადიდენინ ღმერთმან, ღუთივ დამყარებულისა დაკით მანგისტროსისა; მამობასა სარწმუნოებასა მწვემისა დაკითილად მ[ოლ]უაწისა წმიდისა მამისა ეფთიმესა, ფსალმუნი (თ^{ნი}) შეაწიენ, ესე წმიდანი მასარებელნი მათ დაუოველსა კრებულსა ჰარხლისასა ყაბთა უკუნისამდე (ო^{კე}) ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხოვრებასა-მას საუკუნესა, ამინ.

აწ კინცა კინ რასაცა მიზეზითა გამოახუას წმიდისა ნათლის-მცემელსა, ანუ გაძღუანოს იგინი, გაყიდოს, და ჩუენი სასუიდელი და გულს მოდგინება დაამკუას, განცურისსდების თავადი ღმერთი, და ნაწილიმცა მისი იუდასთან არს ისკარიოტელსა; და წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისა მკვლელობცა თანა დაიშუების და ესე წმიდანი მასარებელნი არიან მსაჯულნი მისნი დღეს-მას ადგომისასა საშინელსა, რადეს უოველი დაბადებული წარმოდგეს განკითხვად მსაჯულსათა, რომლისა არს დიდება უკუნისა ეკუნისამდე, ამინ.

და ამასვე შირსა ზედა მეფათა სიმტკიცე დაწერინ, ადიდენინ ღმერთმან.

ამე ივანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დაეწერე და ჰარხალს შეეწიერე საღატკველათ უო-

გელთა ძმათა შატერდელთა, ყოველი აგურთხენინ დიქრ-
თმან“.

აქ საჭიროდ ვრაცხთ შევჩერდეთ ორ ფრიად საყუ-
რადღებო მონასტრებზე—პარსალზე და შატერდზე, რომე-
ლნიც იხსენიებიან ამ წერილში, და რომლებსაც ღიდი-
მნიშვნელობა ჭქონიათ ჩვენს ისტორიაში და ლიტერატუ-
რასში. პარსალის ეკკლესია მდებარეობს ოსმალის საქარ-
თველოში, ჭანეთის ანუ პონტოს ქედის აღმოსავლეთის
კალთაზე, ჭოროხის ხეობაში, სოფელ პარსალში, რომე-
ლიც გაშენებულია პარსალის წელის ორივე ნაპირზე, და
რომელიც ძვეს 4,675 ფუტის სიმაღლეზე ზღვის სისწო-
რიდან ¹). ამ მონასტრის ვრცელი აწერილობა მოყვანი-
ლია პოლეოგონიკი გ. ყაზბეგის თხზულებაში, რომელსაც
ეწოდება „სამი თთვე ოსმალის საქართველოში“. ყაზბეგის
სიტყვით პარსალის საყდარი უდიდესია ყველა ეკკლესიებზე,
რომელნიც მას უნახავს ოსმალის საქართველოში (ესე იგი-
სხალტაზე, ოპიზაზე, ტბეთზე და სხვებზე) და თავის
არხიტექტურით უკან არ ჩამორჩება შესანიშნავ ტბეთის
ეკკლესიას. ჩვენ საჭიროთ არა ვრაცხთ გავიმეორეთ აქ
ყაზბეგის აწერილობა პარსალის ეკკლესიისა, შევნიშნავთ
მხოლოთ, რომ ყაზბეგს ადგილობრივ ვერ შეუგრებია ცნო-
ბები, თუ როდის, ან ვისგან არის ეკკლესია აშენებული, ან თუ
რამ მნიშვნელობა ჭქონია მას იმ მხარეს წასულ ბედობაში.

¹) Бакрадзе. Кавказъ въ древнихъ памятникахъ
христіанства, стр. 118—120.

იქაურ მღვდელს გებრძაძეს (პარსალში თურქე აქამომდე და-
 ტრულია რამოდენიმე მართლმადიდებელ ქრისტიანობის ამლ-
 კიარებული ოჯახობა და მღვდელი გებრძაძის გვარისა უო-
 ლიათ) არც ის სცოდნოდა, თუ რომელ წმინდანის სახელ-
 ზეა ნაკურთხი ეკვლესია. მაგრამ ერთ ბერძენს, რომელიც
 ჩვენს ავტორს სოფელ „ვიქაში“ ენახა, ეცნობებინა ყაზ-
 ბეგისოვის, რომ შვიდი წლის წინათ (ყაზბეგი მოგზაუ-
 რობდა ოსმალის საქართველოში 1874 წელს) ის იყო
 პარსალში ერთ ქართველ ბერითურთ, რომელიც იერუსალი-
 მიდგან მოსულ-იყო. ამ ბერს ჰქმევია იოანე და, ბერძენის
 სიტყვით, ძრეულ ნასწავლი უოფილა, ეკლესიის კარებზე
 მას ამოუკითხავს, რომ ეკლესია აშენებულია 931 წლის
 წინათ ქართველ მეფის ალექსანდრეს და მისი ცოლის თე-
 ოდოსიის მიერ იოანე ნათლის-მცემელის სახელობაზე.

„რომ პარსალის ეკლესია, შენიშნავს ყაზბეგი, აშენე-
 ბულია იოანე ნათლის-მცემლის სახელზე—ეს შეიძლება
 ვითუქროთ ერთი წარწერისაგანც სვეტის ბაქანში, საკურ-
 თხვევლის მახლობლათ; მაგრამ ბერის იოანეს დასკვნა დროს
 შესახებ, თუ როდის არის საყდარი აშენებული, თხოუ-
 ლობს შემოწმებას. ჩვენ არ ვსარჩლობთ განვსაზღვროთ
 დრო ეკლესიის აშენებისა, მხოლოთ არ შეგვიძლია არა
 ვთქვათ, რომ მეთუ საუგუნეში ის ადგილი, სადაც პარსა-
 ლი არის, შეადგენდა საკურთხებას ქართველთ ბაგრატიონე-
 ბისას, რომელნიც ვიზანტიელთ მეფეების მფარველობას
 ჰქმე იუვნენ. იმ დროის ისტორია არ ისენიებს ალექსან-
 დრე მეფის სახელს, მაგრამ უ. ბაქრაძე თავის ანგარიშში

გურია-აჭარაში არხეოლოგიური მოგზაურობის შესახებ ინსენიებს ერთ ძრეულ ძველ გუჯარს, რომლიდგანაც სჩანს, რომ პარხალი ერთ დროს უთეილა კავკასიძის გარეულაზის საუფლო და ჭკუთნების იშხანის ეპისკოპოსის სამწყსოს. კავკასიძის გვარი დატულია ძველი ხატების წარწერებზე. რომელნიც გადმოტანილნი არიან ზარზმის მონასტრიდგან შემოქმედის ეკკლესიაში (გურიაში). ერთი ამ წარწერათაგანი, ბროსესე მიერ გარჩეული, ინსენიებს პეტრიკ კავკასიძეს დიდი ბერძენთ მეუთის ასულის მარიამთურთ, ბავრატ IV დედით. მაშასადამე ლაპარაკია მათე საუგუნის დასასრულზე, ანუ მეთერუმეტე საუგუნის დასაწყისზე. ეველა ამებიდგან ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, ესე იგი რომ პარხალი მათე საუგუნეში ეკუთვნოდა გამოჩენილ ქართველთ გვარს კავკასიძეს და, საგონებელია, დიდი მნიშვნელობაც ჭქონდა იმ არე მარის ბედ-იღბალში ¹⁾.

ამ ცნობებს დ. ბაქრაძემ მიუმატა თავის „კავკასიის ძველ ქრისტიანობის ნაშთების აღწერაში“ მსოლოთ ერთი გუჯარის ცნობა 1518 წლისა. ამ გუჯრით ამირ-სპასალარი უვარეყარე, ძე ქაიხოსროსი, ჭპირდება მცხეთის კათალიკოსს ბასილს, რომ ის საათაბაგოს სამღვდელთობითურთ იქნება ბასილის მოჩილებას ჭვემ და სტოკებს ძველებურათ ბასილის განკარგულების ჭვემ როგორც პარხალის მონას-

¹⁾ Казбекъ. Три мѣсяца въ Турецкой Грузіи. Записки Кавк. Отд. И. Р. Геогр. Об. Книжка X, вып. 1, стр. 120—124.

ტერს, ისე უგელა მცხეთის კათედრის მამულებს სასთანა-
გოში უმეზითურთ ¹⁾).

ეს არის ჩვენს ცნობები მარხალის ეკკლესიაზე. რო-
გორც შეითხველიც სედაგს თავი და თავი ვითხვა, თუ რო-
დის არის ეკკლესია აშენებული, დღემდის გამოურკვეველი
ყოფილა ²⁾. ესეა კი, ჩვენის აზრით, უმთა მოყვანილი
წერილი გვაძლევს ნებას გამოვარკვიოთ ეს ვითხვა. მოვი-
გონოთ ივანე ბერამს ფრაზა: „წინაშე ახალსა ეკკლესია-
სა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას... თუმც 973,
წელს მარხალის ეკკლესია ახალი იყო, სჩანს ის აშენებუ-
ლი ყოფილა 973 წლის ახლო ხანებში. ვსთქვათ, ბერამს
შეეძლო ახლათ ჩაეთვალა ეკკლესია თუნდ ოცდა ხუთი
წლის წინეთ აშენებული, მაინც უეჭველია, რომ მარხა-
ლის ეკკლესია მათე საუკუნეს ეკუთვნის. მათე საუკუნეს
უჩვენებს აგრეთვე ბერის იოანეს სიტყვებიც, თუმცა რო-
გორც ნათქვამი იყო, დაწვრილებით ცნობები ბერისა მარ-

¹⁾ Бакрадзе. Кавказъ въ древнихъ памятникахъ
христианства, стр. 120.

²⁾ შეიძლება რომელიმე დაცული წარწერა გვაძლევდეს
ამის პასუხს, მაგრამ წარწერები გადმოღებულნი არ არიან. მხო-
ლოა ერთზე ამბობს ყაზიბეგი, გადმოვიწერე ჩემს აღბოძშიო,
მაგრამ თავის თხზულებაში კი არ მოყავს. ისე კი, როგორც თ.
გ. გურიელმა გვიამბო, რომელთანაც ერთათ მოგზაურობდა ყაზ-
ბეგი, და როგორც სჩანს თუით ყაზიბეგის სიტყვებიდანაც,
წარწერები ბევრი ყოფილა მარხალის ეკკლესიის კედლებზე, მაგ-
რამ ვერ გაურჩევიათ.

თაღნი არ არიან, ვინაიდან მეათე საუკუნეში მეფე ალექსანდრე არა უფიქლა. საზოგადოთ ზემო მოყვანილ წერილიდან და ეველა ამ წერილის შესახებ ნათქვამიდან ჩვენ ის დასკვნა გამოგვიყვას, რომ შარხალის ეკკლესია აშენებულის ივანე ნათლის-მცემელის სასულზე მეათე საუკუნეში და რომ 973 წელს ის სრულებით მზათ იყო და წინამძღვრათ უკვდა მამა ეუთიმე. მეტი არ იქნება შევნიშნათ, რომ ეს ეუთიმე—ეუთიმე მთაწმინდელი არ არის: ეუთიმე მთაწმინდელი 973 წელს მხოლოთ ათი წლის იყო (გარდაიცვალა 1027 წელს, 13 მაისს, 65 წლისა. მამასადამე დაბადებულა 963 წელს ¹⁾), და რასაკვირველია მის წინამძღვრობაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

შატერდის მონასტრის შესახებ ჩვენ უფრო ნაკლები ცნობები გვაქვს ვიდრე შარხალის ეკკლესიაზე. აქამოდე არ არის გამოჩეკული, თუ სად მდებარეობდა ის „დიდებული ლავრა შატერდი, საყოფელი წმიდისა ლეთის-მშობლისა“, რომელსაც ისენიებენ ზემო აღწერილნი მანუსკრიპტები და მრავალნი სხვებიც, შატერდის მონასტერში გადაწერილნი. ვახუშტი სრულიათ არ იხსენიებს შატერდის მონასტერს არც თავის გეოგრაფიაში და არც ისტორიაში. მხოლოთ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება შატერდის ლავრას უჩვენებს კლარჯეთში, მაგრამ სასულდობრა აღვიღას, არ განუმარტებს: „მოუწოდა (ბაგრატ IV)

¹⁾ Цагарели. Свѣдѣнія о пам. груз. письм. стр. 52.

ბეკსა (ესე იგი გიორგი მთაწმინდელსა) წინაშე მისსა, მისცა ადგილნი შუჭნიერნი, ლაგრანი დიდებულნი, განსასუჭნიებათ და საყოფელად მისდა, პირველად ნემჯ ქართლსა შინა და შემდგომად მცირედისა შატბერდი, დიდებულნი ლაგრა კლარჯეთს შინა 1).“ თუმცა წყაროს არ უჩვენებს, მაგრამ უეჭველათ ეს სიტყვები აქვს სახეში ბრძოსესაც, როდესაც ამბობს: „შატბერი არის ადგილი ახალციხის სამსრეთის ნაწილისა, რომელიც იყო უმანდელ ქართველთ ბაგრატიონების სამეკიდრებელი 2)“. განსვენებული დიმიტრი ბაქრაძე არა ერთხელ ესება თავის ნაწერებში შატბერდის მონასტრს და იგიც ჭოროხის სეობაში ხადის შატბერდს. „შატბერდი, ამბობს ბაქრაძე, მდებარეობს ჭოროხის სეობაში, მაგრამ ნამდვილ სადა არ ვიცით, არ იცის ეს თვით ვახუშტიმ; ჩვენის მოაზრებით შატბერად უნდა იგულისხმებოდეს ლოდის-ყანა, თუმცა ახლა, როგორც ადგილობრივ დაკრწმუნდი 1879 წელსა, ეს სახელი დაკარგულია, როგორათაც დაკარგულია გამოჩენილი კალმასი 3)“. უველასზე მეტს ცნობებს გვამლევს შატბერდის მონასტრის შესახებ ბერი ალექსანდრე ლორჭიფანიძის წერილი. ამ ლორჭიფანიძეს იერუსალიმში ყოფნის დროს 1845 წელს აღუწერია მოკლეთ ჯვარის მონასტე-

1) ნახ. მამაია ცხოვრება, შიომღვიმის ხელ-ნაწერი, გვ. 243.

2) Brosset. Voyage arch. XII Rapp., p. 85.

3) იხ. ბაქრაძის ისტორია, გ. 233 და მის მიერ გამოცემული ვახუშტის ისტორია, გ. 129, შუნ. 1.

რი და ზოგიერთი ამ მონასტრის ბიბლიოთეკის ხელნაწე-
რები 1). ჩვენი მიზნისთვის საუურადღებოა ერთი მეტაფ-
რასის აწერილობა, რომელიც აქ სრულათ მოგვეყვას: „დიდი
მეტაფრასი ეტრატუდ ნაწერი. ამაში ცხოვრება გრიგო-
რი არსიმანდრიტის ხანძოელისა და შატბერდისა აღმაშენე-
ბელისა და მისთანათა ნეტართათა. ამის ბოლოს სწერია
გარდაიცვალა ნეტარი მამა ჩვენი გრიგორი 102 წელსა:
ცხოვრების მისისასა, ქორონიკონს 81 (861), ხოლო
ცხოვრება ესე მისი დაიწერა შემდგომად გარდაცვალების
მისისა 90 წელსა (951), დასაბამიდან 6551 (947), იე-
რუსალიმის პატრიარხობასა აგათონისსა, მცხეთას კათალი-
კოზობასა მიქაელისსა; ქართველთა ზედა მთაერობასა აშოთ
გურგატპალატისასა (786—826(?), მისა აღარსსეს ქარ-
თველთა მეფისასა; აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა,
მისა კოსტანტინე მეფისასა (+ 955); ერისთაობასა სუმ-
ბატისა, მისა აღარსსე მეფისასა (923—958); მაგისტრო-
სობასა აღარსსეს მისა ბაგრატ მაგისტროსისა (+ 945), ერის-
თობასა სუმბათისს მისა დავით მამფაელისასა (958—994).

ხოლო უამსაკე მას იყო ანჩას უბისკობოსი მკარნი
და ნეტარისა მამისა გრიგორის შენებულთა მათ მონას-

1) იხ. გაზ. „ივერია“ 1889 წ. № 70, 72, 73. ლორ-
თქიფანიძის წერილის დედანი ჰქონია მცხეთის წმ. ნინოს დედათ.
მონასტრის ხაზინადარს პატივცემულ ნისიმე მონაზონს, დეკანო-
ზის იოსებ ციციშვილის ასულს. ამიდან გადმოუღია პირი ბა-
ტონ ა. ქუთათელაძეს და დაუბეჭდია ზემო ნაჩვენებ „ივერიის“
ნომრებში. დედნის შემოწირვა პატრონს აღუთქვამს წერაკითხვის
საზოგადოებისათვის და ამ დღებში მოველით.

ტერთა იუენეს მამასახლისნი ნათესავით აზნაურთა შვილნი: ხანძოეთს მამა თეოდორე, დის-წული ცხეკდასი, და შატ-ბურთს მამა გრიგორი, ძე ლიპარიტისი, მოსახლე დიდისა შის ღირსისა. ხოლო ხანძოეთის წინამძღვრისა და ილანგ-ძისა მისისა, და წიგნისა ამის აღმწერილისა გიორგი მეტ-ჯულისა სამთაგე ამით იგულის-მოდგინეს და აწერეს ცხოვ-რება ესე ნეტარისა-შის.

„ხანძოეთს მკვიდრი მამა გაბრიელ მოძღვარი გვი-სწობდა. მამისა ბასილისთვის, ვითარმედ მრავალთა წელი-წადთა მამასახლისობისა მისისასა ტრაპეზისიგან ვიდე საზ-რდელსა არა მიიღებდა, და უამსა სნეულეებისაა უწინარეს გარდაცვალებისა მრქვა: „საოსტიგანთ ცხელი საჭმელი კორკოტი მომართვი“ და მაშინ არა ეგბო, სსვა შევა-გბე და მივართვი, რამეთუ მრავალთა დღეთა არა რის-გემო ეხილვა, და ვითარ სცნა, ვითარმედ მას დღესა სა-კროდ იგი საჭმელი არა უოთილ არს, მრქვა მე: „რად ქსცეთ და მეცა მაცდუნებ; სიჭაბუკესა ჩემსა მამას გრიგორის ქქონდა რა მადლი წინასწარ-მეტყუელებისა, მიბრძანა: „ბასი-ლო, შენ ხანძოეთს მამასახლისათ დასდგები და რაც იუოს ხორცთა საღვაწისი ტრაპეზსა-მას დასჯერდი, და ხორცთა შვებად იგი გეკმარების, და მე კანონი ესე მამისა ჩემისა აქამომდე აღმისრულებიეს, და შენ სიკვდილისა. უამსა ურ-ჩებისა ვატივსა შთამაგდებდი. ხოლო მე იყრიად შეკურდი შამსა ბასილს და მივილე მე მისგან შენდობა და კურთხე-ვა 1)“.

1) იხილე გაზ. „ივერია“ 1889 წ. № 74.

ამ შესანიშნავ ცნობებში, როგორც მკითხველიც ხედავს, თვალ-საჩინო ანასტრონიზმებია. არ ვიცით თვით დედანში იყო ეს შეცთომები, თუ ლორთქიფანიძემ კერძად მოსწერა ისე, როგორც დედანში ეწერა. იმის დასამტკიცებლათ, თუ რამდენათ კარგათ გითხულობს ლორთქიფანიძე წარწერებს და მანუსკრიპტებს, ჩვენ ლორთქიფანიძის ცნობები შეკადრეთ პროფესორ ცაგარელის მიერ გადმოცემულ ცნობებს და აღმოჩნა, რომ ლორთქიფანიძეს შეცთომები აქვს, მაგრამ იშვიათათ. სშირათ ლორთქიფანიძის ცნობები კიდევაც შეკლიან და ავსებენ ბ. ცაგარელის ცნობებს. მაგალითათ, როგორც ამ მეტაფრასის ცნობები, ისე მცირეოდენი სხვა წარწერების და მანუსკრიპტების აწერილობანი არ მოიპოვებინ პროფესორ ცაგარელის შრომაში. ეტყობა, ზოგიერთი ნაშთები დროთა ვითარების გამო აღმოფხვრილა, და ზოგიერთი შეიძლება პატივცემულ პროფესორსაც გამოეპარა სინქარის გამო¹⁾. უმთავრესად ანასტრონიზმი ამ მეტაფრასის ცნობებში აშოტ კურატ-პალატის მთავრობის დროს ესება (786—826). სხვა ქრონიკონები კი უფრო უახლოვდებიან 951 წელს და შეგიძლია ასე თუ ისე შეკათანხმეთ ერთმანეთს იმ მოსაზრებით, რომ ავტორს ჩამოუთვლია ის მეფენი და ერის-

¹⁾ ნახ. Цагарели. Памятники грузинской старины въ Святой Землѣ и на Синаѣ, стр 241—252; 143—192. ივერიის № 70 მოყვანილი ცნობები შეადარე ცაგარელის შრომაში მე-245, 244, 263, 241 გვერდებზე მოყვანილ ცნობებს. № 72 ცნობები შეადარე მე-155, 164, 180 გვერდის ცნობებს.

თავები, რომელთ დროსაც მას უცოცხალია. რაც არ უნდა
 იქნას, ჩვენის აზრით, ლორთქიფანისის წერილიდან ის
 დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ შატბერდი და ხან-
 ძოეთი ალუმენებია მე-IX საუკუნეში არჩიმანდრიტს გრი-
 გორის. შატბერდი და ხანძოეთი როგორც აქ ისე ერთ-
 დავით-გარესჯის „დავითნის თარგმანში“ მე-1035 წლისა
 ერთად იხსენიებიან ¹⁾. უსათუოთ ორივე მონასტერი ერ-
 თი ერთმანეთის ახლოს ყოფილა, და როდესაც რომელიმე
 მათგანს ვიპოვნით, იმის ახლოს უნდა ვეძიოთ მეორეც.
 შატბერდი, როგორც მოვიხსენიეთ, გიორგი მთაწმინდე-
 ლის ცხოვრების გადმოცემით კლარჯეთში მდებარეობს.
 ამ საბუთმა აიძულა დ. ბაქრაძე გამოეთქვა უკიდურესი
 მოსაზრება და შატბერდი ლოდის-ყანათ ეგულისხმებინა.
 მაგრამ ლოდის-ყანა როგორც ესლა, ისე ძველათაც ლოდის-
 ყანათ იწოდებოდა, მსოფლოთ ზოგიერთი ქართლის ცხოვ-
 რების ვარაუდები და „სუმბატის ისტორიაც“ (ნახ. ქვე-
 მოთ, გვ. 54) ლოდის-ყანათ უწოდებენ. შატბერდათ კი ლო-
 დის-ყანა არასოდეს არ წოდებულა. იმ დროს, რომელ-
 საც ჩვენი მანუსკრიპტები ეკუთვნიან, ლოდის-ყანა არა ერ-
 თხელ იხსენიება ჩვენს მატრიანეში და თუ შატბერდი ერ-
 ქვა, რატომ შატბერდათ არ დასწერეს? ამას გარდა შეუძ-
 ლებელია ადგილობრივ აღმოფხვრილ-იყოს ისეთი დიდებუ-
 ლი მონასტრის სახელი, როგორც ყოფილა შატბერ-
 დი. ვინ არ იცის, თუ როგორი უკდავი არიან გეოგ-
 რაფიული სახელები. შატბერდი რომ კლარჯეთში ყოფილ-

¹⁾ ნახ. ბაქრაძის ისტორია, გვ. 234, შენ. 1.

იყო ჩვენს მატრიანებში უსათუოდ მოხსენიებული იქნებოდა. ჩვენის აზრით, გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი სტუმბა შატბერდის მდებარეობის განმარტებაში. ბიოგრაფს არა სცოდნია, თუ სად იყო ეს მონასტერი, და მოსაზრებით კლარჯუთში უჩვენებია. არ უნდა დაკვირვოთ, რომ გიორგის ცხოვრება მთაწმინდაზეა დაწერილი, მაშასადამე შორს საქართველოდგან. ვახუშტიმ აღმათ კარგათ იცოდა, რომ კლარჯუთში შატბერდი არ ყოფილა, და მიტომ არ უჩვენა თავის გეოგრაფიაში, თორემ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება (და მაშასადამე იქ მოხსენიებული შატბერდის მდებარეობაც) კარგად უნდა სცოდნოდა ვახუშტის. ამაში უკილა დაწმუნდება, ვინც ვახუშტის ისტორიაში ბავჯი IV მეფობას გადაიგითხავს. იმის გამოსაკვლევათ, თუ რომელ ქვეყანაში იყო შატბერდი ჩვენ თვით იმ მანუსკრიპტებს უნდა მივმართოთ, რომელნიც შატბერდში არიან გადაწერილნი. ამათში ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ორს მანუსკრიპტს. ჯრუჭის მონასტრის სახარებას და ჩვენ მიერ გარჩეულ შატბერდის კრებულს. ჯრუჭის მონასტრის სურათებიანი სახარება გადაწერილია შატბერდის მონასტერში 938 წელს გასრიულ მღვდლის სელით, მაგრამ გრიგორის თაოსნობით. ეს სახარება აწერილი აქვს ბროსსკეს თავის არსყოლოგიურ მოგზაურობაში და აქ აწერილობას აღარ გავიმეორებთ. მივაქცევთ მხოლოდ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მხარებელების მხატვრობას ამ სახარებაში სთაური აქვს ქართულათ, ბერძნულათ და სომხურათ. მინაწერებში სშირია სომხური სახელები: უღუთა, გრიგოლა, გეორგა და სხვა. მაგალითათ, მღუთის-მშობ-

ლის სურათს აქვს შეძღვევი მინაწერი: „წმიდაო ღვთის-მშობელო, შეიწყალე და აცხოვნე ულუთა და ასარე გრიგოლა.“ მინიატიურების წარწერებიც ზოგიერთი სომხურია ¹⁾. რას მოასწავებენ ეს ფაგტები თუ არ იმას, რომ შატბერდი სადღაც სომხეთის მხარეს მოიპოვება. იქაურმა ქართველებმა სომხური კარგათ იცინან. სომხები შევლიან ქართველებს მანუსკრიპტების გადაწერაში და ქართულ სელ-ნაწერებში ისენიებენ თავის თავს. შატბერდის კრებული კიდევ უფრო ამტკიცებს ამ აზრს. კრებულში, როგორც ვიცით, მოქცეულია ფსალმუნების განმარტება, რომელიც სომხური ენიდგან არის ნათარგმნი. ავტორი ამ წერილისა დაჩი თავის წერილში სტეფანე მტბეკარისადმი აშკარათ ამტკიცებს, რომ შატბერდი სადღაც შორს ქვეყანაში არის. დაჩის ძრეულ სურს ნახვას სტეფანესა, მაგრამ „სიშორისაგან და რუდუნებისაგან“ ვერ ასეჩსებს. შატბერდი რომ კლარჯეთში ყოფილიყო ტბეთზე სომ შორს არ იქნებოდა და დაჩისაც სიშორე ვერ დაუშლიდა სტეფანეს ნახვას. იმავე წერილიდგან სჩანს, რომ დაჩი ისეთ ქვეყანაშია, სადაც ყველა ქართულ წიგნების და თარგმანების შესახებ ცნობების შეკრება ძნელია. მან არ იცის, არის თუ არა ქართულათ დავითის ფსალმუნების თარგმანებანი. მართალია, მას ვერ უპოვია იმ ქვეყანაში, სადაც თვითონ არის, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ იქნება, ამისთვის ეშინია დაუკითხვათ გამოსცეს თავის

¹⁾ Brosset. Voyage arch. Rapp. XII, p. 83—86.

შრომა, რადგან „სრულიად უკეთუ ვისმეს ეთარგმნოს, მეორედ თარგმანებული წინააღდგომად გამოჩიების.“ ფსალმუნების განმარტებაში, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სომხური მინაწერებიც არის. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ თავის თავათ ეს მინაწერები მანდა მანც დიდ საყურადღებოს არათუერს წარმოადგენენ. მაგრამ ჩვენის აზრის დასამტკიცებლათ მნიშვნელობა აქვს თვით ფაქტს, რომ შატბერდის კრებულში სომხური მინაწერები მოიპოვებინან. ჰაგინაცია კრებულში გარდა ქართულისა სომხურათაც არის აღნიშნული. მე-562 გვერდის არშიაზე სომხური ანბანის სრულათ დაწერილი, ერთ ადგილას მამო ჩვენოს რამოდენიმე სიტყვაა მოყვანილი. მე-563 გვერდის ქვემო არშიაზე სომხური ასომთავრულით სომხურათ სწერია: „ღმერთო, შეიწყალე ბერაჲ, ამისი მწერალი, ამინ.“ იმავე გვერდზე მეორე ფრაზაა, რომელიც კარგათ ვერ გაარჩიეს სომხურის მცოდნე პირებმა, მაგრამ რამდენათაც გაარჩიეს, იკითხება ასე: „მესროპი აკეთებს ამ წიგნს.“ შეიძლება ეს იმისი მჩვენებელი იუოს, რომ ფსალმუნების თარგმანი სომხურათ მესროპს ეკუთვნოდეს ¹⁾. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ იშვიათია ისეთი წიგნი შატბერდში გადაწერილი, რომელშიაც რაიმე სომხური არ იუოს. ამიტომაც შატბერდი უსათუოთ სომხეთში უნდა ვეძიოთ. მართლაც და სომხეთში ვპოულობთ ჩვენ ისეთ ადგილს, რომელიც შატბერდათ უნდა იგულისხმებოდეს. ეს არის სომხების „ხარბერდ“, ქა-

1) სომხური მინაწერები ამ კრებულისა გაარჩია სომხურის უნის კარგათ მცოდნემ ბ. ნ. მარმა.

ლაქი ეფრატის ბასსეინში მდებარე, რომელსაც ევროპი-
 ლესი ტეილორის მოგზაურობის შემდეგ „სარპუტს“ უწო-
 დებენ. ეს მით უფრო სატეპმარიტოთ მიგვასწავს, რომ
 სიტყვა შატბერდი ქართულათ არაივერს არ ნიშნავს და
 ქართულის ენით ეტიმოლოგიურათ არ აისვენება. სომხუ-
 რათ კი „ბერდ“ ნიშნავს სიმაგრეს და „შარ“ ბევრს. მა-
 შასადაძე „შარბერდი“ ნიშნავს ბევრ სიმაგრეებს. მართლაც
 და იმ ადგილას, სადაც სარბერდია, ბევრი სიმაგრეებია და
 თვით სარბერდიც დიდი სიმაგრეა. მაგრამ პირველ ნა-
 წილს ამ სიტყვისას სომხების მწერლები სხვანაირათ სსნი-
 ან. იმათი აზრით „სარ“ წარმოსდგება სიტყვიდან „ქარ“,
 რომელიც ნიშნავს ქვას. მაშასადაძე ქარ-ბერდი ნიშნავს
 ქვა-ცისეს, ანუ კლდე-ცისეს. არხიმანდრიტი გარეგან სრვან-
 ძტიანცის სიტყვით სარბერდის სიმაგრის სასული წარმომ-
 დგარა სარბერდის მახლობლათ ყოფილ ქალაქის, ანუ და-
 ბა „სარ“-ისაგან. სრვანძტიანცის მოუყავს ამ ადგილების
 აწერილობა თავის „თოროს ახპარათ“ წოდებულ მოგზაუ-
 რობაში და სარბერდის მახლობლათ უჩვენებს ძველი ქა-
 ლაქის ნანგრევებს, რომლის ერთ ნაწილს რქმევია „სარ“ 1).

რაც არ უნდა იყოს ეჭვი არ არის, რომ სიტყვა სარბერ-
 დი, ანუ შატბერდი მართლ სომხურის ენის საშვალეობით
 შეიძლება აისხნას. ბერძნები სარბერდს ქარქათაეცერტას

1) Торось Ахпарь. Путевые очерки архимандрита
 Гарегина Срвандзятянца. Сокращенный переводъ А. О.
 Кишмишева. Приложение къ 1-му выпуску IX тома Изв.
 К. Отд. Им. Русск. Геогр. Общества, стр. 13—14.

უწოდებდენ. ჩვენი მანუსკრიპტების ცნობით შატბერდი ღვთის-მშობლის საყოფელი ყოფილა, ანუ უკეთ ვსთქვათ ღვთის-მშობლის სასულზე ყოფილა აშენებული. სწორეთ ღვთის-მშობლის მონასტერს უჩვენებენ ხარბერდის მასლობ- ლათ სოფელ „დატიმ“-ში ინდუიდიანის და ალიშანის თა- ვიანთ სომხეთის გეოგრაფიებში 1). ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ იქ დაცული იქნება რაიმე წარწერა, რომელიც შეჰს მოჭყენს შატბერდის მონასტრის ისტორიას. საჭიროა მხოლოდ, ვინმე მცოდნე პირმა მიაქციოს ამას ყურადღება. ეფრატის პასკეინში მოიპოვება აგრეთვე ხანძოეთიც, რომელიც შატბერდთან ერთად იხსენიება სოლმე ჩვენს მანუსკრიპტებში. ხანძოეთის სახელი უფრო უცვლელად შენახულა ქართულ ენაში, ვიდრე შატბერდისა. ხანძოეთათ უნდა იგულისხმებოდეს სომხების „ხანძით“, რომელიც ხარბერდთან ანლოს მდებარებს. ხანძითი, ანუ ჭანძითი ძველად ქვეყნის ერთ დიდ ნაწილს მეოთხე სომხეთისა, რომელშიც ყოფილა იმავე სასელის ქალაქი, ესე იგი ხანძითი, ანუ ჭანძითი. თვით ხარბერდიც ხანძითის მარჯვს ქვეყნებია. კარგა მოშორებით ხარბერდსე ძვეს სომხების ცისე ანი, ანუ „კამახ“, რომელიც ძველად სომხთ მიეკუთნა საღარო ქალაქი იყო, და რომელიც, ჩვენის აზრით, უდრის ქართველების კალმასს. სამივე ეს ადგილები ხარბერდი, ხანძითი და კამახი, ანუ ქართველების შატ-

1) ნახ. ინდუიდიანის გეოგრაფია დიდი სომხეთისა, გვ. 236. და ალიშანის ტოპოგრაფია დიდი სომხეთისა, გ. 43. ცნობები ამ მწერლების თხზულებებიდან გადმოგვცა ბ. ერიცოვმა.

ბერდი, ხანძოეთი და კალმასი, როგორც მოვიხსენიეთ, მდებარეობენ ეფრატის ბასსეინში. ჩვენ სულში გვაქვს ესლავენჯიაში 1751 წელს მესითარის ლეჟიკონთან გამოცემული ქარტა ძველი და ახალი სომხეთისა. ამ ქარტასზე ხარბერდი ნაჩვენებია ეფრატის მარცხენა ნაპირზე, იქ სადაც ეფრატი იწყებს დენას ჩრდილოეთიდან სამხრეთით და სადაც მას განსაკუთრებით უახლოვდება ტიგრის სათავე, ასე რომ ხარბერდი თანასწორ მანძილზეა ტიგრიდან და ეფრატიდან. ხარბერდის სამხრეთით, ტიგრ და ეფრატი შუა, მაგრამ უფრო ახლოს ეფრატის მარცხენა ნაპირისა და არა მოშორებით ხარბერდზე, აღნიშნულია ხანძოეთი. ჩრდილოეთით ხარბერდისა, კარგა მოშორებით, მარჯვენა ნაპირზე მდინარე ჩრდილოეთის-ეფრატისა ძვეს კამასი. სამივე ეს ქალაქები თითქმის ერთ სწორ ხაზზეა აღნიშნული. საქართველოს საზღვარზე უფრო ახლოს კამასი, შემდგომად ხარბერდი და მერმე ხანძოეთი. მაგრამ სხვა მერმე შესწორებულ სომხურ და ევროპიულ ქარტებზე ამ ადგილების მდებარეობა შეცვლილია. ხარბერდი ანუ ხარბუტი აღნიშნულია სამხრეთ-ეფრატის მარცხენა ნაპირზე, არა მოშორებით იმ ადგილისა, სადაც ჩრდილოეთის და სამხრეთის ეფრატი ერთმანეთს უერთდებიან. კამასი ნაჩვენებია მარცხენა ნაპირზე ჩრდილოეთის ეფრატისა ერზინჯან-მხლობლათ. ხანძოეთი, ანუ ჭანძოეთი როგორც მაჟრა ნაჩვენებია ხარბერდის სამხრეთით და ქალაქი ჭანძოეთი კი უშეტეს შემთხვევაში ნაჩვენები არ არის. ხალაო ფოგოერთ მესიტარისტების ქარტებზე ჭანძოეთი აღნიშნუ-

ღია ხარბურდის აღმოსავლეთით ¹). ქართველების მონასტრების არსებობა სომხეთში. პირველი მაგალითი არ არის. ჩვენ დიდ სომხეთში სამი ქართული საეპისკოპოსო კათედრა სსვაც გიციოთ, სახელდობ ვალაშკერტი, კარი და ანი. ერთი გუჯარი, რომელიც დ. ბაქრაძეს შეუტანია თავის არსეოლოგიურ მოგზაურობაში, ასე აგვიწერს სამივე კათედრის სამწყესოს საზღურებს: „ვალაშკერტელის სამწყესო იყო უღზეგანს ზეთით ვალაშკეთს აქათ ხინუსი და დეკანოინს აქეთი; ანელის სამწყესო სულაზარიშტიანი და შირაკონი და მადსბერთი. კარელის სამწყესო სულა კარი და კოლისა და ოლოთისის სამზღურის გარდმოღმა გგჩეკანი და კალზეკანი“. ვალაშკერტელ ეპისკოპოსები სან და ხან პოლიტიკაშიაც იღებდენ მონაწილეობას. მაგალითათ 1022 წელს ვალაშკერტელი ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია ვიდოდა მონღოქელათ ჩვენი მეფის გიორგი I და ვიზანტიის მეფის ვასილის შორის. ვალაშკერტი, ანუ ესლანდელი ალაშკერტი, მდებარეობს ეფრატისავე ბასსეინში ²). იმას შემდეგ რაც შემოათ ითქვა, ჩვენ ეტვი ჯღარა გვაქვს, რომ ჩვენი სამი აქამომდე მიუგლოველი მონასტერი შატბურდი, სანსოეთი და კალძანი არსებობდენ სომხეთში, ეფრატის ბასსეინში, იქ სადაც სომხების ქალაქები და ცისენი ხარბურდი, სანძითი და კამანი მდებარეობენ.

¹) ჩვენ ხელმძღვანელობდით კიპრტის, ხუდაბაშევის, მეხიტარისტების და სსვა სომხურ ქარტებით.

²) Бакрадзе. Арх. пут. по Гурии и Адчаръ, стр. 81. ვახუშტის ისტორია მისივე, გ. 149, შენ. 1.

აწ განვაგრძობთ ჩვენი სახარების აწერილობა, რომელსაც ჩვენ აგრე დავმოხდით.

პირველ მეჩმე მიმატებულ ქალაქის გვერდზე ჰარხალის სახარებაში გაგრული ნუსხა მხედრულის ხელით სწერია:

„ქ. მას უამთა ოდეს საათაბაგონი წმიდისა საწმუნოებისაგან განსრულ-იუვენენ და საკინოზნი შექმნილ-იუვენენ, ეს წმინდა სახარება იქაური ყოფილ-იყო და უსჯულთაგან დატყუებულ-იყო. და დიდად სახელგონებით გამოჩენილის, მეფედ სიძობით მეფეს და თვით მეფის ვახტანგის სიძეს, აბაშიძეს ვახუშტის, ეს წმინდა სახარება თათრის ხელით დიდის სურვილით და სასოებისანის გულით დაესხნა. კვლად ჭინახული და ხელმოკრედ განასლება მნასავთა იუწყეთ. ჩვენ სურვილითა და სიყვარულით შეტკბობილმა ბატონის ძამის ჩვენი უმცროსმა შვილმა და მეფეთ მეფის ვახტანგის ასულის ბატონიშვილი ანუკას ძემან, თვით აბაშიძემ ნიკოლაოზ, ვიგულს-ვიმოდგინეთ და შენ დიდს ღვთისასა წმინდასა მღთის-მშობელსა სასულისასა ¹⁾, ცისესა შინა წმინდასა შენსა სადგურსა ეკლესიასა, ბუღბულის-ცინის ჰატარა საყდარში დავიდევით და შამოგწირეთ წმინდა ესე ოთხთავი, თვესა სეკდებერსა (sic) 6, ქკს „უკზ“—1739.

¹⁾ არ ვიცით ხანელის ღვთის-მშობლის სახელზე იყო აშენებული ეს ეკლესია, თუ შესანიშნავი ხანელის ღვთის-მშობლის ხატო, რომელიც გელათშია ეხლა, დროებით ბუღბულის ცინის საყდარში ინახებოდა.

ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ ჰაჩნაღის სასარგებლის პირველი რვა ფურცელი ეტრატისა, ერთი ფურცელი ქალაღდისა მათეს სასარგებში და ერთი ეტრატის გუთხეც, ქასაღდით შეკეთებული, მერქვა მიმატებულია. ეჭვი არ არის, რომ ეს აქვს სახეში ზემო მოყვანილ წერილს, რომელსაც ამბობს: „გვალად ჭინასული და ხელმეორეთ განასაღება მნასავთა იუწყეთ“. ბუღბუღის-ცისე მდებარეობს სოფელ ქვიშეთის მასლობლათ. რვა გერსზე საშურიდგან-ცისე და ჰატარა ეკკლესიის ნანგრევები აქამომდე დაცული არიან, და იმ ადგილს ესლაც ბუღბუღის ცისეს ეძახიან.

უკანასკნელ მიმატებულ ქალაღდის ბოლოში იქ, სადაც თავდება საჩიკვი და საძიებელი, ნუსხა ხეცურის ხელით აწინდიკონი ნიკოლოზი სწერს:

„უთუღმან განაძლიეროს და ადიდეს ორსავე ცხოვრებას ბატონი აბაშიე ვასუშტი, რომლისა ბრძანებითა ძუელად ნაწერი მგრგლოვანი ესე წმიდაჲ სასარგება გვალად გაგმულე სათვალავით და საძიებელითურთ. გვედრეი ძკითხუელთა, რათა მცირედმცა სსენებას ჭკოთღეთ ჩემ უბადრუკისა მთავარ დიკონის ნიკოლოზისათა. დასაბამითგან სკანბ(?) 1). ქს აქეთ ჩლმდ, ქკს „უღბ“—1744.

1) ანტონის აქ შეუძლებელი ასოების სათვალავი მოკავს. უნდა ყოფილიყო ბერძნულის სათვალავით კსნბ (7252). ასო „ს“ და „ბ“ არეკა ერთმანეთში, ადვილათ აიხსნება, ვინაიდგან ორივე ასო ერთნაირათ გამოითქმის, მაგრამ „ს“ მაგიერ „ბ“-ის დაწერა კი ძიელი ასახსნელია. დროს განბარტებისათვის ამ შეცოლო-

პარსალის სასარების ისტორიის დასაბამად დასაბამად ისიც
 საჭიროა მოვისხელოთ, თუ როგორ მოქცეულა ზემო-
 ჭალაში ეს სასარები. მღვდელი სუხიევის სიტყვით, როდეს-
 საც ივანე აბაშიძის ქერივი, ამ სასარების ყოფილი პატრო-
 ნი, გარდატეხილს ქ. გორში, შემკვიდრებს სსპს სამკაული
 და მამული გაუგეიათ, მაგრამ საკლესიო ნივთების ხელის-
 ხლებს ვერ გაუბედავთ, ვინაიდან აზრი ყოფილა დამკვი-
 დრებული მათში, რომ უსათუოდ მოკვდება, ვინც ამ ნივ-
 თებს დასძრავს ადგილიდან. ბევრი რამ ნივთები თუ
 წიგნები მათგან დაკარგულა უპატრონობის გამო. მერმე
 1871 წ. მღვდელ სუხიევს უკისრია მათი წამოღება სო-
 ფელ ზემო ჭალაში, და იმას შემდეგ ნივთები, ჩვენ მი-
 ერ ზემო აღწერილნი, ჭალის ეკლესიაში ინახებიან და
 წიგნები სუხიევის სასლში 1).

მას არაერთარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანც ორი დანარჩე-
 ნი წელთ-აღრიცხვა მართალნი არიან და ერთმანეთს ეთანხმებიან.

1) მღვდელმა სუხიევმა აღგვითქვა ამ წიგნის შემოწი-
 ვა წერაკითხვის გამაგრებელი საზოგადოებისათვის, მაგრამ
 ვერ არ გამოუგზავნია. იმედია, მალე გამოგზავნის.

სურამის მანლობაში ერთხვის ხევის პირზე, მაღალ გო-
 რაზე არის პატარა ეკლესია წმ. გიორგისა. ეს ეკლესია ახა-
 ლია, მაგრამ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე არის აშენებული.
 ძველ ეკლესიას ჰქონია შესანიშნავი ქვის კანკელი, რომელზე-
 დაც ხელოვნურათ გამოჩანდაკებული ყოფილა წმინდანების სურა-
 თები. სამი სურათებიანი ქვა, თუმცა დაზარალებული, აქმომდევ
 და ცხლად ამ ეკლესიის ეზოში. მათი მხატვრობა ამტკიცებს, თუ
 რა მშენებელი კანკელი ჰქონია ამ ეკლესიას. ვისაც საფარის

ესეთი ხელ-ნაწერი, რომელიც არის შარხალის სახარება, იშვიათია. აქ თითქმის მთელი 917 წლის ისტორია არის ამ წიგნისა. ამაზე უძველესი თარიღიანი სახარება მოხლავს: თოც არის აქამომდე ცნობილი. ერთი ათონის მთაზე 913, ანუ 917 წ. 1), და მეორე ჩვენ მიერ მოხსენებული ჯრუჭის მონასტრის ოთხ-თავი 936 წ. მასხარაში შესამე ადგილი სიძველით თარიღიან სახარებებში უჭირავს ჩვენს სახარებას. მეოთხეთ უნდა მოვიხსენიოთ ტბეთის სახარება 995 წ. 2), რომელიც ეკუთვნის ბატონიშვილის ივანეს წიგნთ-საცავს (ესლა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოტეკაშია). მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში გადაწერილი სახარებანი ბერია, მაგრამ მათ აქ არ

მონასტრის კანკელის ქვები უნახავს. სწორეთ იმას მოაგონებს ეს ქვებიც. საწიწნაროთ ამ გვარი ქვები კარში გამოუყრიათ და ზოგიერთი კიდევ დაუბრუნეთ. ეკლესიის მანლობლოთ ქველის შენობების ნანგრევებია. იქვე მოჩანს დიდი გვირაბი, ესლა საწანევროთ ქვით ამოვსებული.

ორ ვერსზე სურამიდგან, სოფელ ბეკაში მღვდელ ცქიტიშვილის სახლში იხანება ღუზა, რომელიც მეტიკებს შიშ შეაგულ მტკვარში. უპოვით სოფელ ქვიშეთის მანლობლოთ. ღუზა ორ არშინ ნანევარზე მეტია სიმაღლით. თიკი ოთხი ჰქონია, რომელთა შორის ორი მოტეხილია. ღუზა რკინის უნდა იყოს. ადვილად შესაძლებელია, ეს ღუზა იმ დროს ეკუთვნოდეს, როდესაც რომაელები ნაოსნობდენ მტკვარში. ამ ნივთის შემოწირვა პატრონმა წერაკითხვის გამაგრებულ საზოგადოებას აღუთქვა.

1) ნახ. ბაქრაძის ისტორია გვ. 228—229.

2) Цагарели. Свѣд. о пам. груз. письм. стр. 17—22.

მოვიხსენიებთ. პარსალის სახარება, როგორც ათონისა და ჯორჯის მონასტრისა, ეკთიმე მთაწმინდელის წინა დროს ეკუთვნის. რომც მართალი იყოს აზრი, ვითომც ეკთიმე მთაწმინდელს შეესწორებინოს სახარება, პარსალის სახარება მისი სახარების რედაქციის კარიანტი მანც არ იქნება, ვინაიდან, როგორც მოვიხსენიეთ, ეკთიმე მთაწმინდელი 973 წ., ესე იგი ჩვენი სახარების გადაწერის დროს, მხოლოდ ათის წლისა იყო. თვით ტექსტი ჩვენი სახარებისა, როგორც ეს მცირეოდნაჲთ ჩვენ მიერ მოყვანილ ადგილებიდანაც სჩანს, განიჩქუვა გიორგი მთაწმინდელის მიერ შესწორებულ ტექსტისაგან. შესამჩნევი განსხვავებანი კი ბევრი არ არის. შესწორებულაჲ ზოგიერთი გრამატიკული ფორმები და იშვილათა მდაბიური სიტყვები. ისეთი მდიდრული მინაწერები როგორც პარსალის სახარებაშია, ძვირათ შეგვხდებათ სხვა სახარებებში. ეს მინაწერები გარდა იმისა, რომ დავით კურაპალატის მეფობის დასაწყისს ათის წლით წინეთ გვიჩვენებენ ვიდრე ქართლის-ცსოვერების ცნობა, და პარსალის ეკკლესიის აშენების დროს მე-X საუკუნეში გვაფიქრებინებენ, იმასაც გვიმტკიცებენ, რომ შატბერდის კრებული მეათე საუკუნეს ეკუთვნის. არ გვიძლია მხოლოდ გადაჭრით თქმა, რომელი მანუსკრიპტია უმაღლ გადაწერილი შატბერდისა, თუ პარსალისა. მაგრამ ის გარემოება, რომ ივანე ბერაჲ შატბერდის კრებულში იხსენიებს მხოლოდ მარტო ბაგრატ მეფეს შვილებითურთ და სრულიათ არაფერს არ ამბობს დავით კურატპალატზე და სუმბატზე, მამინ როდესაც პარსალის სახარებაში საჭიროთ სჯდის ისინიც მოიხსენიოს თავის შეიქებათ, გვა-

ფიქრების, რომ შატბერდის კრებული ჰარსაღის სახარების წინეთ არის გადაწერილი, ეს იგი იმ დროს, როდესაც დავით კურატჰალატი ჯერ კიდევ მეფე არა ყოფილა, ანუ სახელი მაინც განთქმული არ ჰქონია. ასეთი ისე, ეს კი უეჭველია, რომ შატბერდის კრებული მეათე საუკუნეს ეკუთვნის და არა მეცხრეს, და ჩვენთვის ესეც საკმაოა.

დავამტკიცეთ რა, რომ შატბერდის კრებული უსათუოდ მე-X საუკუნეს ეკუთვნის, ესღა თვით ამ კრებულში მოყვანილ „ქართლის მოქცევა“ მიუძღრთოთ. ქართლის მოქცევა განიყოფება ორ ნაწილად. პირველი ნაწილი (433—447) შეიცავს მოკლე ისტორიულ ხრონიკას, რომელიც იწყება ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლიდან საქართველოში და თავდება აშოტ კურატჰალატის (786—826) ძმის და მემკვიდრის გვარამ ერისთავთ ერისთავის დროს, რომელიც არც ქართლის ცხოვრებაში და არც სხვა ჩვენს ისტორიულ წყაროებში ცნობილი არ არის. ამ გვარამ ხრონიკაში მოქცეულია მოკლე ისტორიული ცნობები მეოთხე საუკუნეიდან დაწებული ქრისტეს წინ მეცხრე საუკუნემდის ქრისტეს შემდეგ. სამწუხაროთ ჩვენდა, ხრონიკას ერთი ფურცელი აკლია. კიდევ კარგი, რომ დაკარგული ფურცელი მეფეების ჩამოთლას და ისტორიას არ შეეხება, არამედ ხალხის მოქცევის დაწვრილებით მოთხრობას, ანუ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, უფრო შატბერდის ჯვარის აღმართების ამბავს (ნახე ქვემოთ გვ. 17). საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ მოთხრობას ხალხის მოქცევის შესახებ სტერია დაკარგული ფურცლიანა. თითქმის ნახევარი ნაწილი ამ შატბერდის ხრონიკისა, და განსაკუთრებით სახელი

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უფრო ამ სრონიას შეეფერება¹⁾. მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა (447—497) წარმოგვიდგენს წმინდა ნინოს ცხოვრებას, რომელსაც ჩვენ ცალკე წიგნათ ვებუძვავთ, და რომელიც დიდათ განსხვავდება აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრების ვარიანტებისაგან. ნინოს ცხოვრებას დედანში აკლია სამი ფურცელი.

„ქართლის მოქცევა“ დღემდის უცნობი წყარო იყო ჩვენი ისტორიისა. ჩვენს ისტორიკოსებს (ბროსესს, ჩუბინოსს, ბაქრაძეს და სხვებს) არა ერთსელ ჩამოუთვლიათ ქართლის ცხოვრების წყაროები²⁾, რომელნიც თვით ამ

1) მეორე უდის წინ შატბერდის კრებულში დაცულია მცირედენი ნაწილი უდის წინ დატანებული ქალაღდისა, რომელზედაც ლაშაზი მგვრალი მხედრუღის ხელით, რომელშიაც ჩვენ ვცნობიღობთ დავით რეკუღორის ხელს, შემდეგის რიგით არის მოყვანიღი შინაარსი კრებუღისა: „ხოღო იპოვეღის წიგნსა ამას შინა წერიღნი ესე. 1. ექუსთა დღე. 2. იპოღიღეს განმარტება, 3. ათორმეტთ თუღთ განმარტება. 4. სანის მეტყუღწლეუბა. 5. ნინოს ცხოვრება და ქართღის მოქცევა და სხვა. 6. დავითინის თარგმანი“. ამას შემოთ სხვა ხელით სწერია: „ებრაუღი და ბერძნუღი ანბანიც არის ამ წიგნში. და ხრონოღოღიაც ადამისიღგან ვიღრე ნიკითორე მეფემდე“. აქედგან სჩანს, რომ დამწერი ქართღის მოქცევას მარტო ხრონიას ეძანის და ნინოს ცხოვრებას ცალკე შრომათ ხადის. მაგრამ ნანდვიღ კი ქართღის მოქცევას შეადგენს მოკლე ისტორიუღი ხრონიცა და წმიდა ნინოს ცხოვრება ერთათ.

2) ნახ. პროფესსორ ჩუბინოვის წინასიტყვაობა ქართღის ცხოვრების მეორე ტომისა, გვ. X. ბაქრაძის ისტორიი, გვ. 54. ვახუშტის ისტორიი მისივე გამოცემუღი, გვ. XXVIII—XXX. და ბროსესს Introduction-ში § III.

მატიანეში იხსენიებიან, მაგრამ არც ერთს მათგანს არ შეუნიშნავს, რომ „ქართლის მოქცევა“ განცალკევებული წყაროა ჩვენი ისტორიისა, მაშინ როდესაც ცნობები მის შესასებ შეტანილია თვით ქართლის ცხოვრებაში და არ მოიპოება ისეთი ვარიანტი, რომელიც „ქართლის მოქცევას“ თავის წყაროდ არ უჩვენებდეს. ეს ჭკრემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ როგორ ნაკლებათ არის ჯერ ჯერობით შესწავლული „ქართლის ცხოვრება“. უპკელები ვარიანტი ქართლის ცხოვრებისა, რეგორიც არის მარინამ დედოფლის ვარიანტი, და მეგრელიის ვარიანტიც მოიხსენიებენ რა მცხეთიდან მოწოდებას იერუსალიმში მოსეს სვეულის მეცნიერთა, რათა განასამართლონ იესო ქრისტე, ასე მოკლეთ მოკვითხრობენ კვართის ამბავს: „და წარვიდეს მანდით ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, და მუნ დახვდეს ჯვარცმასა უფლისასა, ღ მოიღო მუნით გუართი უფლისა ელიოზ მცხეთელმა, ვითარცა წერილ-არს ესე განცხადებულად მოქცევასა შინა ქართლისასა 1)“. სხვა ვარიანტებში კვართის ისტორია ვრცლათ არის მოთხრობილი და ბოლოს სწერია: „ხოლო წმიდა იგი კვართი წმიდადკუ უკუწ დაშთა და წმიდადკუ გიეს, ვითარცა შირვალკუ, ვითარცა წერილ-არს ესე განცხადებულათ მოქცევასა ქართლისასა“ 2). ეს გრცელი ისტორია კვარ-

1) ნახ. მარიამ დედოფლის ვარიანტში გვ. 42. და მეგრ. ვარიანტში გვ. 26.

2) ნახ. ქართლის ცხოვრება, გვ. 39—41.

თისა თითქმის სიტყვა სიტყვით ამოღებულია ქართლის მოქცევიდგან, ანუ უკეთ ვსთქვათ, ამ ქართლის მოქცევაში მოთავსებულის ნინოს ცხოვრების მეშვიდე თავიდან და, ჩვენის აზრით, მერმეა შეტანილი ქართლის ცხოვრებაში. შესაძლოა, ის ვახტანგის რედაქციას ეკუთვნოდეს. ისტორიკოსმა ვახუშტიმ და თეიმურაზ ბატონიშვილმა სრულებით არ იცნან „ქართლის მოქცევა“. ისინი, თუმცა ბევრ სხვა წყაროებს უჩვენებენ, რომელთაც ჩვენამდის არ მოუღწევიათ, მაგრამ ქართლის მოქცევას, როგორც წყაროს, არსად არ იხსენიებენ. ამასთანავე არც ერთი განსხვავება ქართლის მოქცევის და ქართლის ცხოვრების ცნობათა შორის არ არის აღნიშნული მათ თხუზულეებში. განსვენებულ ბროსსეს ჭქონია შემთხვევა მიეკვლია და გამოეჩინა „ქართლის მოქცევა“, მაგრამ სამწუხაროთ ყურადღება არ მიუქცევია. მიჩიანის ანდერძის შესახებ ბროსსეს შემოაქვს თავის ქართლის ცხოვრების ფრანგულ თარგმანში ერთი ასეთი შენიშვნა: „მე მაქვს ესლა სელში ზირი ეგრეთ წოდებულის მიჩიანის წერილისა, რომელიც აღუწერია მიჩიანს სიკვდილის ჟამს, იაკობ მთავარ-ეპისკოპოსის ხელით, საღომე უსაჩმელისათვის, თავის ძის ცოლისა, და რომელიც შეიცავს განვითარებას აქ ჩვენს ტექსტში (ესე იგი ნინოს ცხოვრებაში) მოყვანილ სიტყვებისას. ორი უმთავრესი ფაქტი, რომელსაც წარმოგვიდგენს ეს წერილი არის: ზირეულათ ისა, რომ მიჩიანი ამბობს: „მე ვარ დღემდის ოცდა-მეთექვსმეტე მეფე იმას შემდეგ, რაც ჩემ წინაპრებს უპურიათ ტახტი მეფობისა“. აზრი, რომელიც მართალია არ არის, იმ შემთხვევაში მანც, თუ ჩვენ ქარ-

თლის ცხოვრების ტექსტს დავეყარეთ. მეორეთ ისა, რომ მე განვიზრახე, ამბობს მირიანი, „წარმომელო აქა წმიდა ნინოს გვაში წინაშე სკიტიისა ნათლით შემოსილისა, მაგრამ ვერ ვიპოვე ღონე, რამეთუ ვერ განძრეს ორასთა კაცთა მტირე იგი ცხედარი, რომელზედაც შეისვენა წმიდამან ნინო“. ამ წერილის შემდეგ მოყვანილია ანდერძი, ანუ უკანასკნელი სურვილი მეფისა, თავის შვილის რევისადმი. უველაფერი ეს გადაწერილია ერთი ძველი ეტრატზე ნაწერის ხელნაწერიდან თ. დავით მაჩაბლის მიერ, რომელსაც ეს წერილი უჩუქებია თ. ბაჩათაეისათვის, ფრიად ცნობილის ძველი ნაშთების მოყვარესათვის. იმავე ხელნაწერში იპოვება მირიანის წინამედროვე მეფეთა სია, რომელიც მე არ მინახავს. ეს სია გადაწერილი ყოფილა ერთ დროს რომელიმე დანის მიერ მამა იოანეს თხოვნით. მე ამ შრომას არ ვაძლევ სხვა მნიშვნელობას გარდა წყაროს ჩვენებისა და ლიტერატური ცნობებისა¹⁾.

აქ მოხსენებული მირიანის წერილი ნანდვილ ის წერილია, რომელიც მსოფლოთ ქართლის მოქცევაში მოიპოვება და სსვგან არსად²⁾. მეფეების სია ის მოკლე ისტორიული სრონიკაა, რომელსაც ჩვენ ქართლის მოქცევის სრონიკას ვუძახით. ბროსსე რომ კვალში გამოხედვამოდა ამ სიის მოპოვებას, ქართლის მოქცევა კარგი

¹⁾ იხ. Hist. de la Géor. t. I, p. 131, n. 4.

²⁾ ნახ. ახალი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა, გვ. 68—72, და ქვემოთ ქართლის მოქცევის სრონიკა, გვ. 12. შგნ. 1.

სანია ცნობილი იქნებოდა. ხოლო დედანი ბროსსეს მიერ მოხსენებული წერილის პირისა ჩვენი შატბერდის კრებულში უნდა იყოს, კინაითგან აქაც დაჩი და ითანე არის მოხსენებული, თუმცა მათი როლები კრებულის გადაწერაში მანამდე აღუკვეია. ივანე, როგორც ვიცით, მოთავე გადაწერა, ანუ რედაქტორი კრებულისა, დაჩი კი. მთარგმნელი სომხური ენიდან ფსალმუნების განმარტებისა¹⁾.

ქართლის მოქცევას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის, როგორც თავისი განსხვავებით ქართლის ცხოვრებისაგან, ისე უმეტესად თავისი თანხმობით ქართლის ცხოვრების ცნობებთან. აქამომდე ჩვენ არ გვქონია არც ერთი ძველი სწონიკის ვარიანტი, რომლითაც შესაძლებელი ყოფილ-იყო შემოწმება ქართლის ცხოვრების ცნობებისა. ესლხ კი ქართლის მოქცევის საშუალებით. შეგვიძლია შევამოწმოთ უმთავრესი ცნობები ქართლის ცხოვრებისა და ვაღვიაროთ მათი სიძველე, ანუ უარყოთ ზოგიერთი მათგანი. ამისათვის ჩვენი გამოცემის ახრი იყო: პირველათ, აღგვიდგინა ტექსტი ზოგიერთ ადგილას გაფუჭებული სულ-ნაწერისა და უცვლელად წამოგვედგინა მკითხველისათვის. ამ საქმეს ჩვენ, რაც შეგვეძლო, ძლიერ ყურადღე-

¹⁾ კარგი იქნება, რომ თ. ბარათაშვილის ნათესავეები და მემკვიდრეები მოსძებნიდნენ ამ წერილს. ის განცალკევებული ვარიანტიც რომ არ აღმოჩნდეს, მაშინაც კი სანინტერესო იქნება ჩვენთვის: შეიძლება ის ოთხი ფურცელი, რომელიც ეწვია აკლია ქართლის მოქცევას, მაშინ არ აკლდა. შეიძლება თ. დავით მარაბლის ოფანშიაც იყოს პირი ქართლის მოქცევისა.

ბით მოკვიდით. რიგი და წესი ტექსტისა და მართლ-წერა დედნისა სასტიკათ დავიცვიით. გავხსენით მხოლოთ ჰატივ ჭკემ მუოფი სიტყვები, მაგრამ სადაც ცოტადნათ საეჭვო იყო მათი მნიშვნელობა, ან შესაძლო იყო სხვა მართლ-წერა დაგვეცვა გახსნილი სიტყვისა, ამ გვარ შემთხვევაში დედნის სიტყვები ჰატარა ფრჩხილებში ჩავსვიით. საზოგადოთ კი მართლ-წერა ჰატივ-გახსნილ სიტყვების ისეთი დავიცვიით, როგორც უმეტეს შემთხვევაში თვით ტექსტში არის გატარებული. ეს საჭიროთ მიგვანთა მისთვის, რომ ისტორიულ მნიშვნელობასთან ფილოლოგიური მნიშვნელობაც არ დაგვეკარგა ამ საუურადღელო წყაროსი. რადგანაც ზოგიერთი ადგილი ტექსტისა გაფუჭებული არის ჩვენს ხელ-ნაწერში, ამისათვის ის ასოები და სიტყვები, რომელნიც კარგათ არ განიჩქვიან, და რომელნიც ჩვენ თითო ორთლი ანბნების ნაშთებით, თუ აზრით აღვადგინეთ, ყველა ესენი, როგორც მიღებულია, დიდ ფრჩხილებში ჩავსვიით. ამით მკითხველი დაინახავს, სად არის ტექსტი გაფუჭებული და საეჭვო, თუმცა ჩვენ ჩვენდა თავათ ჩვენ მიერ აღდგენილ ტექსტის სინანდვილეში ეჭვი არა გვაქვს. მუორედ ჩვენი გამოცემის აზრი იყო შეგვედარებია ქართლის მოქცევის ხრონიკის ცნობები ქართლის ცხოვრების ცნობებთან და თვალ-საჩინოთ დაგვენახებინა მკითხველისთვის, რა მსგავსება და განსხვავება არის მათ შორის. ამ გვარი შედარებითი გამოცემა ქართლის მოქცევის ხრონიკის ძრიულ საჭიროთ მიგვანთა, როგორც თვით ხრონიკის შესასწავლათ, ისე უმეტესად ქართლის ცხოვრების ცნობების შესაძოწმებლათ.

და კრიტიკისათვის, და ზერეთვე ამ ორი წყაროს ერთი-ერთმანეთის კავშირის და დამოკიდებულობის გამოსარკვევად. ამისთვის ჩვენ შესიშვნებში მთლად შევიტანეთ ის ადგილები ქართლის ცხოვრების ტექსტისა, რომელნიც სიტყვა სიტყვით ემთხვევიან ქართლის მოქცევის სწრნიკას და აღნიშნეთ განსხვავებანი. ამ განსხვავებათა შორის უმთავრესი არიან შემდეგნი.

1) ალექსანდრე მაკედონელის შემოსულიდან საქართველოში მივიან მეფის მეტევიდრის ბაქქარ (ქართლის მოქცევით ბაკურ) მეფის (342—384) დრომდის ქართლის ცხოვრება უჩვენებს მხოლოდ 29 მეფეს. თუ ამ რიცხვს მიუმატებთ სამარსს, რომელიც ქართლის ცხოვრების ცნობით, მამასანლისი ყოფილა მცხეთისა ალექსანდრე მაკედონელის შემოსულს დროს, და აზონ ბერძენს, რომელიც ალექსანდრეს დაუდგენია ქართველთა ზედა ერისთავად, ანუ პატრიკად, მაშინ რიცხვი საქართველოს მეფეთა და გამგეთა მიწიანის მეტევიდრემდის გამოვა 31. ამაში ათი მეფის რიცხვი სუთ მეფობას შეადგენს, ვინაიდგან აღეყის შემდეგ ადამ მეფეშდის ორ ორი მეფენი მეფობდენ ერთათ საქართველოში. ქართლის მოქცევის სწრნიკა კი ალექსანდრე მაკედონელის შემოსულიდან ბაქქარის მეფობამდის უჩვენებს 34 მეფეს, რომელთა შორის თორმეტი მეფენი ორ მეფობის დროს ექვს მეფობას შეადგენს. აქედან სჩანს, რომ ქართლის მოქცევის სწრნიკა აქამდე ცნობილ საქართველოს მეფეთა და გამგეთა სიას მივიან მეფის მეტევიდრემდის სამს ახალს ვიქს უმატენს. ესენი არიან ფარსმან ავან და როგ II

ორ-მეუობის დროს, და ლევი, ქართველთ მეფე, მამა მი-
 რიანისი (ქართლის ცხოვრებით მირიანის სპარსთა მეფის
 შვილია და ამყარებს საქართველოში სოსროიდების, ანუ
 სასანიდების დინასტიას). რიცხვი დანარჩენ ჰირთა, თუმცა
 კი ეთანხმება ქართლის ცხოვრების ცნობებს, მაგრამ სა-
 ხელები და სარისისი ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავ-
 დებიან. პირველი მეფე საქართველოსი ქართლის მოქცე-
 ვის სრონიკით არის არანი, მეორე აზო, მე არანისი, და
 მესამე ფარნავაზ. ქართლის ცხოვრება მეფე არანის მა-
 გიერ ალექსანდრე მაკედონელის დროს უჩვენებს მამასა-
 ლისს სამარას, მას შემდეგ აზონ ბერძენს, ალექსანდრეს
 შიერ ქართლის ერისთავთ დადგენილს, და პირველ მეფეთ
 საქართველოში სადის ფარნავაზს. ამას გარდა შერვე მე-
 ფეს ქართლის მოქცევისას, არიკს, ქართლის ცხოვრებაში
 უდრის არტაგ და მეთორმეტეს როკ I—ადეკვი. დანარ-
 ჩენი მეფეთა სახელები ქართლის ცხოვრებაში და ქართ-
 ლის მოქცევაში ერთი ერთმანეთს ეთანხმებიან, თუ სა-
 ხეში არ მივიღებთ ისეთ მცირე განსხვავებას, როგორც
 წარმოგვიდგენენ მაგალითად არსაკ და არშაკ, ბრატმან და
 ბარტომ, არსუკ და არშაკ, ლაღმი და ლაში, რომელთ
 შესვასი ცვლილებანი თვით ქართლის ცხოვრებაშიც მოი-
 ჰოვებიან ერთ და იმავე მეფეთა სახელების ჩვენებაში.
 ქართლის მოქცევის სრონიკაში აღნიშნულ მეფეთა რიცხვს
 არ ეთანხმებიან მირიანის სიტყვები, როდესაც ის თავის სი-
 კვდილის წინ დაწერილ წერილში თავის თავს ხადის მე-
 როცდა-მეთექვსმეტე მეფეთ. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ
 მირიანი ჩვენის სათვალავით მეოცდართმეტე მეფე გ:

მოდის და არა მეოცნა-თექვსმეტე. და თუ იმ სათვალავს მივიღებთ, რომელიც თვით ქართლის მოქცევაშია მიღებული, და რომელსაც ჩვენ დავეყარეთ (ნახე ქვემოთ გვ. 12, შენ. 1), მაშინ მიჩინი ოცდამეცხე მეფე გამოდის. საქმი იმაშია, რომ ჩვენ სრონიკაში ორი ორი მეფე ორ მეფობის დროს თითო მეფეთ არის აღნიშნული, რადგანც თითო მეფობას შეადგენდენ. თოთხმეტი მეფის სახელები მიჩინის მეფობიდან ბაკურ III (ქართ.-მოქც. ბაკურ V) მეფობის დასრულებამდე (557—570) ერთი ერთმანეთს ეთანხმებიან ქართლის ცხოვრებაში და ქართლის მოქცევაში, იმ გამოკლებით, რომ ოცდა-მეცხე მეფეს ქართლის მოქცევისას ბაკურს, რევის ძეს, ქართლის ცხოვრებაში უდრის ბაქქარ, ძმა რევისი; ოცდა მეათეს თრდატს, ბაკურის ძმას, — მირდატ, ბაქქარის ძე, და ოცდა მეთორმეტეს ბაკურს, თრდატის ძეს, — თრდატ, ძე რევისი. ამას გარდა ოცდა მეცამეტე მეფე ქართლის მოქცევით, ფარსმან, თრდატის დის წულია, ქართლის ცხოვრებით კი ვარაზ-ბაქარის ძეს.

2) ერისთავის დამყარებიდან საქართველოში (VI საუკ.) აშოტ გურატაშლატის ძმის და მემკვიდრის გუარამ ერისთავთ ერისთავის დრომდის (IX საუკ.) ქართლის მოქცევა უჩვენებს 17 ერისთავს (დემეტრეს სტეფანოზ პირველის ძმას არ ვათვლით, რადგან ერისთავად არ იხსენიება). ქართლის ცხოვრება და სუმბატის ისტორია შოიხსენიებენ მხოლოდ თორმეტ ერისთავს და სრულიადაც უჩვენებენ მეექვსე ერისთავს გუარამ ყრმას, მეშვიდეს არშუმს გურატაშლატს, მეცამეტეს გუარამს, ნურსეს შვილს, მეთოთხმეტეს ბაკურყანს, ბაღდადის ძეს, და მეთუთხმე-

ტეს სტეფანოზს, ადარნასეს შვილს. ამას გარდა ქართლის ცხოვრება და სუმბატის ისტორია ნუკსეს შვილის. ადარნასეს შვილებთა შორის უჩვენებენ გურგენს, ხოლო ქართლის მოქცევის ხრონიკა გურგენის მაგიერ უჩვენებს: გუარამს. სუმბატის ისტორია და ქართლის ცხოვრება ერისთავების სათვალავში და სახელებში ეთანხმებიან ერთი ერთმანეთს, მაგრამ შთამომავლობის ჩვენებაში კი თვალსაჩინოა განსხვავება მათ შორის. სუმბატის ისტორიით შესაძვე ერისთავი ადარნასე სტეფანოზ I შვილია, ქართლის ცხოვრებით მეფის ბაგურ III ძეა. მესუთე ერისთავი გუარამ გურატპალატი სუმბატის ისტორიით სტეფანოზ II შვილია, ქართლის ცხოვრებით—სტეფანოზ პირველისა. მეშვიდე ერისთავი ნუკსე ქართლის ცხოვრებით ვარამ-ბაგურის შვილია, სუმბატის ისტორია და ქართლის მოქცევა კი არ უჩვენებენ, ვისი შვილია. ქართლის მოქცევას არ უჩვენებს აგრევე, ვისი შვილებია მესამე ერისთავი ადარნასე და მესუთე გუარამ გურატპალატი, რაშიც კერძო განსხვავდებიან ქართლის ცხოვრება და სუმბატის ისტორია. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის მოქცევა იშვიათათ უჩვენებს მეფეთა და ერისთავთა შთამომავლობას და სადაც უჩვენებს და ქართლის ცხოვრებას. არ ემოწმება, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ.

3) ჩიცხვი მთავარ-ეპისკოპოსთა და კათალიკოსთა მიჩიანის დროდგან სტეფანოზ II (639—668) დრომდის. ქართლის მოქცევით გამოდის 33, ამათში ქართლის ცხოვრებით ცნობილია მხოლოდ 26 და უცნობია მუქსეს კათალიკოსი იონა აჩილ მეფის დროს, მეთერთმეტე კლო-

ნოქორ მირდატ IV დროს, მეთორმეტე იოკელ ვასტანგ გორგასლანის დროს, მეთექვსმეტე პეტრე II ღაჩის დროს, მეჩვიდმეტე სამოკელ II ბაკურ III დროს, ოცდამესამე სამოკელ III ბაკურ IV დროს და ოცდა-მეორე ბართლომე II ადარნასე ერისთავის დროს. ამას გარდა მეოცე კათალიკოსი ფარსმან. VI დროს ქართლის მოქცევით არის დასაბია, ქართლის ცხოვრებით საბა. ოცდამეერთე კათალიკოსი იმავე ფარსმანის დროს ქართლის მოქცევაში წოდებულნი ეფთათეთ, ქართლის ცხოვრებაში ევლავიოზად. ჩვენ არ აღვნიშნავთ ისეთ განსხვავებას, როგორსაც წარმოგვიდგენს ჩიმაჯა და ჩირმაჯ, სიმონ-პეტრე და სვიმონ. კათალიკოს ევრონიდგან დაწყებული (სტეფანოზ II დროს) ბაგრატ მესამემდე (980—1014) ქართლის ცხოვრება არც ერთს კათალიკოსს არ მოისხენიებს, ქართლის მოქცევას კი ევრონიდგან მოჭეუეს სია 27 კათალიკოსთა, რომელთა შორის პირველი ცხრა ცოლოსანნი უთფილან. ერთი სიტყვით, სამოც მთავარ-ეპისკოპოსთა და კათალიკოსთა შორის, რომელნიც ესლა ქართლის მოქცევით ვიცით, აქამომდე ცნობილნი იუვენს მსოლოთ 26 1).

4) ქართლის მოქცევაში არ არის მოხსენებული ანდრია მოციქულის ქადაგება საქართველოს მხარეში. იესო ქრისტეს მოღვაწეობა და წამება მეფე ადერკის (ქართლის მოქცევით როკის) დროს კი არ არის ნაჩვენები,

1) შედარებითი სია მეფეთა, ერისთავთა და კათალიკოსთა ქართლის მოქცევის და ქართლის ცხოვრების ცნობებით ნახე ჩემს წმიდა ნინოს ცხოვრების გამოცემის ბოლოში.

არამედ შეეუ ამასეარის დროს. ამას გარდა გუარამ გურა-
პალატი, ქართლის ცხოვრებით და სუმბატის ისტორიით
პირველი ბაგრატიონი, არ არის მოხსენებული დავით წი-
ნასწარ-მეტეველის შთამომავლად. ამასთანავე ქართლის მოქ-
ცევაში მოყვანილია, თუმიცა იშვიათათ, ზოგიერთი სრ-
ნოლოგიური ცნობები, რომელნიც ქართლის ცხოვრებაში
არ მოიპოვებინ (ის. მაგალითათ ქვემოთ გ. 13, შენ. 1.)

ეს განსხვავებანი ქართლის მოქცევის უმეტეს შემთ-
ხვევაში ავსებენ ქართლის ცხოვრების ცნობებს და მით
დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის, მაგრამ განსხვავებანი
შედარებით თანხმობასთან მტკიცედნი არიან. ჩვენი შენიშ-
ვნებიდგან მკითხველი დაინახავს, რომ ქართლის მოქცევა
საზოგადოათ სიტუვა სიტუვით ეთანხმება ქართლის ცხო-
ვრების ცნობებს. ამ გარემოებას ჩვენთვის უფრო დიდი
მნიშვნელობა აქვს, ვიდრე განსხვავებას. როდესაც არ უნ-
და იუოს შედგენილი ჩვენი თავი მატინე, რომელსაც
ქართლის ცხოვრებას ვუძახით, მაგრამ აწ ეს აღარ შეიძლება
ვთქვათ, რომ მის შემდგენელს ისეთი ძველი წყაროები არ
ქონებოდეს სელში, როგორც არის ქართლის მოქცევა
და შეიძლება თვით ის დედანი, რომლიდგანაც ქართლის
მოქცევის ავტორს გამოუკრებია ისტორიული ცნობები.
უჭკველია, ბევრი რამ ქართლის ცხოვრებაში მერმეა მიმა-
ტებული, ბევრი რამ უცხო ტომთ ავტორების ზედ მოქ-
მედებით არის შეტანილი და ზოგი რამ სხვა და სხვა რე-
დაქციის დროს არის შეცვლილი და შევსებული, მაგრამ
საზოგადოათ უმეტესი ხაზილი მასში მოყვანილი ცნობე-
ბისა ძველ ქართულ მატინებიდგან არიან ამოღებულნი.

ამას ცხადათ გვიმტვიცნებს ქართლის მოქცევის სწონიკა, რომლითაც ქართლის ცხოვრების შემდგენელს უსარგებლებია, და რომელსაც კერძ ერთი სკეპტიკი მკათე საუკუნის შემდეგ დროს მაინც კვლავ მიაწერს, ვინაიდან ხელ-ნაწერი, როგორც დამტკიცეთ, ეჭვს გარეშე მკათე საუკუნეს ეკუთვნის. რასაკვირველია, თუ ხელ-ნაწერი მკათე საუკუნეს ეკუთვნის, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მასში მოქცეული სწონიკაც მკათე საუკუნეში იუოს შედგენილი. ეჭვი არ არის, რომ ქართლის მოქცევა მკათე საუკუნეზე ადრეა შედგენილი, მაგრამ სასულღობ რა დროს და ვისგან თვით ქართლის მოქცევიდგან არა სჩანს. ქართლის მოქცევის ბოლოში ვპოულობთ მხოლოდ ერთ ასეთ მინაწერს წითელის ძეგლით:

„წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ, რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინაჲ, დასაბამი წმიდათა ეკლესიათა გამობრწყინებისაჲ, [ძალთა ზეცისა მგალობელთა გუნდთა ყუავილად, უბიწოჲ სარწმუნოებაჲ, შეუძრავი კედელი ქრისტესსა, ესე ჩუენისა ცოდვისა ხსნაჲ და მარტებელ] სულსაჲ, ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დათარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ“. 1)

ამ მინაწერიდგან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ,

1) აქ რაც ფრჩხილებშია ჩასმული, ის დედანში ძრიულ გადასულია. ჩვენ მივიღეთ ყოველი ლონისძიება და, როგორც შეგვეძლო, სიტყვა სიტყვით აღვადგინეთ ტექსტი. განსვენებული დ. ბაქრაძის აზრით, რომელსაც ეს ადგილი არ გაურჩევია, აქ უნდა ყოფილიყო ცნობები ქართლის მოქცევის შემდგენის და

რომ ის სსკა და სსკა თქმულესანი თანა-მედროვე პირთა, რომელთაგანც შესდგება ქართლის მოქცევა, როგორც მაგალითათ, თქმულესა საღამო უყარმელისა, აბიათარ მღვდელისა, სიღონის დედაგაფისა, იაკობ მთავარ-ეპისკოპოსისა და სსკათა, უცნობი და გაზნეული ყოფილა აქ იქ და კარგი ხნის შემდეგ ერთათ შეუკრებიან და ის სასე მიუციათ, რომელიც ეხლა ქართლის მოქცევას აქვს. ასე გვესმის ჩვენ ფრანკა: „შემდგომათ მრავალთა უამთა და წელთა ვპოვეთ“. ის გარემოება, რომ ხრონიკა ქართლის მოქცევისა მოუყანილია აშოტ გურგაშაღატის (786—826) შმის და მემკვიდრის გვარამ ერისთავთ ერისთავის დრომდის (IX საუკ.), უკელას ათეჩრებიანებს, რომ ქართლის მოქცევა მეცხრე საუკუნეშია შედგენილი. მართლაც და დეილათ წარმოსადგენია, რომ ავტორი თავის დრომდის მოიყვანდა ისტორიულ ცნობებს, და მასსადამე შემდგენელსაც იმ საუკუნეში უნდა ეცოცხლა, რომელ საუკუნემდისაც მას თავის ხრონიკა მოუყვანია. ეს ასე უნდა იყოს, რომ ამ მოსაზრებას თვით ხრონიკის სასიათი არ ეწინააღმდეგებოდეს. თუ ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ ქართლის მოქცევის ხრონიკას, დეილათ დავრწმუნდებით, რომ ხრონიკის სასიათი თავიდან ბოლომდის ერთგვარი არ არის. შემოკლებული ხრონიკა ქართლის მოქცევისა აღნიშნავს რა რა-

შედგენის დროს შესახებ (იხ. გავ. „ივერია“ 1889 წ. № 6). შეიძლება, ჩვენ ერთი-ორი სიტყვის აღდგენაში ვცდებოდეთ, მაგრამ ეს კი გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ არაერთგვაროვნება არ არის არც შემდგენის და შედგენის დროს შესახებ.

მელიქე პირის მეფობას თუ ერისთავობას, ყოველთვის უჩვენებს ერთ ორ უმთავრესს ისტორიულ ფაქტს მის მეფობაში მომხდარს და ისსენიებს, ვინ იყო მთავარ-გვინგოპოსი, ანუ კათალიკოსი. ეს სისტემა მტკიცეთ არის გატარებული თავიდან დაწყებული სტეფანოს II დრომდის (639—663). ხოლო სტეფანოს II შემდეგ ეს წესი უცებ იცვლება და შემოკლებულ ცნობების მაგიერ ერისთავების შესახებ მხოლოდ სია არის მოყვანილი ცამეტადიდთ ერისთავთა. არც ერთი ღირს-სახსოვარი ფაქტი მათი ერისთავობის დროისა აღნიშნული არ არის. არ არის აგრევე ნახვენები, თუ რომელი კათალიკოსი რომელ ერისთავის დროს იყო, ანამედ ერისთავების სიის შემდეგ სითვე არის წარმოდგენილი 27 კათალიკოსი (ნახ. ქვემოთ, გ. 37—39). რას მოასწავებს ეს ფაქტი, თუ არ იმას, რომ ეს სია მერმვა მიმატებული და წინეთ კი ქართლის მოქცევის ხრონიკა სტეფანოს II დრომდის ყოფილა მოყვანილი. ამ ჩვენს მოსაზრებას ასაბუთებს კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება. როდესაც ჩვენ სუმბატის ისტორია ქართლის მოქცევის ხრონიკას შევადარეთ, აღმოჩნდა, რომ სუმბატს თითქმის სიტყვასიტყვით გადმოუწერა ქართლის მოქცევიდან ისტორიული ცნობები პირველ ერისთავის გვარამიდან დაწყებული (575—600) სტეფანოს მეორის დრომდის (639—663). ეს ფაქტი, ესე იგი რომ სუმბატს ქართლის მოქცევით უსარგებლებია, ვველასათვის აშკარა იქნება, ვინც ამ ორ წყაროს ერთი ერთმანეთს შეადარებს ¹⁾. მაგრამ ერისთავე-

¹⁾ შეადარე ქვემოთ 34—37 გვერდებზე მოყვანილი ცნო-

ბის ჩამოთვლაში სტეფანოს მეორის შემდეგ სუმბატის ისტორია ქართლის მოქცევას კი აღარ ეთანხმება, არამედ ქართლის ცხოვრებას. სუმბატის ისტორიაში და ქართლის ცხოვრებაში გამოტოვებულია ხუთი ერისთავი, რომელთა სახელები ზემოთ აღვნიშნეთ. ამას გარდა სუმბატის ისტორია არ უჩვენებს არც ერთს იმ 27 კათალიკოსთაგანს, რომელთა სია ქართლის მოქცევაშია მოყვანილი. ეს ფაქტი, ჩვენის აზრით, იმას ამტკიცებს, რომ იმ ქართლის მოქცევის ვარიანტში, რომლითაც სუმბატს უსარგებლებია, არ ყოფილა ჩვენ მიერ აღნიშნული სია ერისთავთა და კათალიკოსთა. შეიძლება ეს სია მარტო ჩვენს ვარიანტში არის და სხვებში არ აღმოჩნდეს. ამ გვარათ ქართლის მოქცევის შედგენას, ჩვენის აზრით, მეშვიდე საუკუნეში უნდა ქჭონდეს ადგილი. ვინ არის აღმწერელი ქართლის მოქცევისა, არ ვიცით, მხოლოდ ქართლის ცხოვრებაში ვპოულობთ ერთ ასეთ შენიშვნას: „ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება, და ნინოსგან ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა, და ასლა იოვანე ღვთისმეტყველის აღწერა“ 1).. არა ვგონებთ, რომ აქ ის ქართლის მოქცევის წიგნი იგულისხმებოდეს, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია. ყოველ შემთხვევაში ამის დასამტკიცებელი საბუთი ჯერ ჯერობით არა გვაქვს და გადაჭრით ამასე ლაპარაკი არ შეიძლება.

შუბი ქართლის მოქცევის ხრონიკისა 45—50 გვერდებზე მოყვანილ ცნობებს სუმბატის ისტორიისა.

1) იხ. ქართლის ცხოვრება, გ. 181, შენ. 4. ამ სიტყვებით არის ეს ცნობა მოყვანილ მეგრელიის ვარიანტშიც, მხო-

ესლა ვიკითხოთ, რა მასალები ჭქონია ხელში ქართლის მოქცევის შემდგენელს? რაც შეეხება საქართველოს ერის მოქცევას და წ. ნინოს ცხოვრების მოთხრობას, ეკვი არ არის, რომ ამაების ასაწევრათ ავტორს უსარგებლებია იმ თქმულებანიტ სხვა. და სხვა ნინოს თანა-მედროვე პირთა, რომელნიც ზემო აღვნიშნეთ. ეს თქმულებანი-თითქმის უცვლელათ უნდა იყოს შეტანილი ქართლის მოქცევაში და ავტორს მსოფლოთ მათი შეგება, თავებათ და-ყოფა და სისტემატიურათ დაწეობა უნდა ეკუთვნოდეს. ხოლო საიდგან ამოიღო ქართლის მოქცევის შემდგენელ-მა ის ისტორიული ცნობები მეფეების და ერისთავების შესახებ, რომელნიც განსაკუთრებით ქართლის მოქცევის ხრონიკას შეადგენენ, არ ვიცით. მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ვგელა ეს ცნობები ამოღებულათ თვით ქართულ წყაროებიდან და სრულიად არ ეტყობა უცხო ტომთ ისტორიის გავლენა. ფრაზები „ვითარცა წერილ. არს ცხოვრებასა სპარსთასა,“ „ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა ბერძენთასა“, „სომესთასა“ და სხვა, რომელნიც ხშირათ შეგსებათ ქართლის ცხოვრებაში. არსად არ მოიპოვებიან ქართლის მოქცევაში. თვით იმ წმინდა ნინოს ცხოვრების ვარიანტს, რომელიც აქამომდე იყო ცნობილი და რომელიც სხვათა შორის შეტანილია ქართლის ცხოვრებაშიც, ცსა-

ლოთ მარიამ დედოფლის ვარიანტში შემდეგ სიტყვებს ვპოულობთ: „არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლისა მოქცევა ლეონტი მროველმან. (?) დედასა ასეთნი ვწერა,“ (იხ. მარიამის ვარ. ფურცელი 216).

დათ ეტეობა სომეხთ წმიდათა მამათა ცხოვრების გავლენა. ამ მამათა ცხოვრებიდან, ანუ სომეხთ მოქცევის წიგნიდან, რომელიც აღუწერია აგათანგის ტირდატ მეფის (IV საუკ.) თანამედროვეს და მწიგნობარს, შეტანილია ქართლის ცხოვრებაში და სხვა აქამომდე ცნობილ ნონოს ცხოვრების ვარიანტებში ვრცელი ამბავი დიოკლეტიანესათვის ცოლის შეპნისა, ტირდატისაგან დევნა და წამება წმ. რიგსიმიესი და ნინოს თანა-მოგზაურებისა, და ზერეთვე ეშვათ ქცევა ტირდატისა 1). სოლო იმ ნინოს ცხოვრებაში, რომელიც ქართლის მოქცევას შეადგენს, ეს ამბავი სრულიად არ იხსენიება 2). სრონიკა ქართლის მოქცევისა, როგორც მოვიხსენიეთ, შემოკლებულია, მაგრამ გადაჭრით არ შეიძლება თქმა, ეგრე მოკლეთ იყო თავდაპირველად აღწერილი ქართული მატინაე, თუ ქართლის მოქცევის შექმნისთვის უფრო ვრცელი დედანი ჰქონდა სულში, მაგრამ განგებ შეამოკლა ისტორიული ცნობები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თვით ქართლის მოქცევის ამბავს

1) ნახ. ქ. ცხ. გ. 69 — 71 და ახალი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებასა, გ. 13, შენ. 3.

2) აგათანგის ისტორიის ნათარგმნი ყოფილა ქართულ ენაზედაც (ნახ. Langlois, Collection des historiens anciens et modernes de l' Arménie, t. II. p. 194, note additionnelle). ერთი ეგზემპლიარი ამ ქართული თარგმანისა ყოფილა წინეთ-ივერიის მონასტერშიც. ათონის შიხე, მაგრამ ეხლა კი სამწუხაროთ ეს წიგნი აღარც იქ მოიპოვება (ნახ. Цагарели Свѣдѣнія о пам. груз. писем.— „ქართული წიგნების სანედლები ივერიის მონასტერსა შინა მდებარეთა მთა-წმინდას“, გ. 5).

და წმ. ნინოს ცხოვრებას. შეიძლება ეს მოკლე ისტორიული ცნობები იყოს საფუძველი ქართლის ცხოვრებისა და დანარჩენი სსკა და სხვა წყაროებიდან იყოს შეკვებული. მაგრამ ჩვენ კი ჩვენდა თავათ უფრო იმ აზრისა ვართ, რომ ქართლის მოქცევის შემდგენს ვრცელი დედნიდან უნდა ჭქონდეს გამოკრებილი ეს ცნობები. ყოველ შემთხვევაში მას უფრო მეტი მასალა უნდა ჭქონოდეს სელში, ვიდრე ჩვენს ხრონიკაში არის. ავტორს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია, როგორც მოსალოდნელი იყო დროს მიმართულებით, სასულიერო და საეკლესიო ფაქტებისათვის და გზა აუქცევია პოლიტიკური და სხვა ისტორიული ცნობებისათვის. მაგალითათ, ქართლის მოქცევაში ვახტანგ გორგასლანის ომების შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. თუმცა ვახტანგი დიდ მეფეთ მოიხსენიება, მაგრამ რით იყო დიდი ეს კი არ არის ნაჩვენები: ძნელი დასაჯერებელია, რომ ავტორს არ ჭქონოდეს ცნობები ვახტანგის დროის ომების შესახებ, მაგრამ თითქო განკუ დაუდგამია. სამაგიეროთ კათალიკოსობის დამყარებას საქართველოში იმავე ვახტანგის დროს დაწერილებით მოგვითხრობს. ეს და სხვა ბევრი ასეთი მიმართულება ჩვენი ხრონიკისა გვაფიქრებინებს, რომ ქართლის მოქცევის ხრონიკა განკუბ შემოკლებულია.

საუურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არც ქართლის ცხოვრება გვაძლევს მეტს ცნობებს ვიდრე ქართლის მოქცევა. მაგალითათ, ვაჩე, ბაკურ I და შირდატ II მეფეების შესახებ, გარდა სახელების ჩვენებისა, არავითარი ცნობები არ არის როგორც ქართლის ცხოვ-

რებაში, ისე ქართლის მოქცევაშიც¹⁾. სწინათ ქართლის მოქცევაში მოკლეთ აღნიშნულია იგივე, რაც ქართლის ცხოვრებაში ბევრი სიტყვებით არის გამოთქმული, მაგრამ ეს მრავალ-სიტყვაობა ქართლის ცხოვრებისა ფაქტიურად კი არაფერს გვიმატებს. ამას გარდა ზოგიერთი მოთხრობა ქართლის ცხოვრებისა სრულიად არ ეთანხმება მსოფლიო ისტორიის ფაქტებს, მაშინ როდესაც ქართლის მოქცევის ცნობები არ ეწინააღმდეგებიან მსოფლიო ისტორიის ცნობებს იმავე საგნის შესახებ²⁾.

ბოლოს საჭიროდ ვრაცხთ მოვიუგანოთ აქ ზოგიერთი შენიშვნები ქართლის მოქცევის ტექსტის შესახებ და აგრეთვე შესახებ ზოგიერთ ფრაზებისა და სიტყვებისა, რომელნიც სხვალებში არ შეგვიტანია. ტექსტი ქართლის მოქცევის ხრონიკისა თავიდან დაწყებული სიტყვებამდის „და მეფობდა არსაგ“ (ნახ. ქვემოთ გ. 6) განახლებულია, მაგრამ შეცვლილი კი არაფერია.

მესამე გვერდზე ჩვენი ხრონიკისა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ სხვათა შორის სწერია: „და რუმ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუგენი დასტა-

¹⁾ იხილეთ ქართლის ცხოვრება გ. 56—57. და ქართლის მოქცევის ხრონიკა, ქვემოთ, გ. 11.

²⁾ ნახ. მაგალითად ქართლის მოქცევის შენიშვნა კოსტანტინე დიდის ბრძოლის შესახებ ქრისტეს სჯულის მიღებამდე (გ. 12) და ქართლის ცხოვრების ვრცელი, მაგრამ ტუილი მოთხრობა, რომლითაც ქართლის ცხოვრება კოსტანტინე მიერ ქრისტიანობის მიღებას უფარდებს ზირიანის და სპარსთა მეფის ომს კოსტანტინესთან (ქ. ცხ. გ. 93—64).

გითა რუისაფთა და ჭრქჳან ადგილსა მას ნასტაგი-
სი“. „დასტაგი“ ჩვენ ერთ სიტყვათ შივიდეთ, მაგ-
რამ პერმე დავრწმუნდით, რომ ორ სიტყვას უნდა შეა-
დგენდეს—„და სტაგი“. სტაგი სხვა სულსან ორბული-
ანის ლექსიკონის განმარტებით ნიშნავს „რუს სათაქეს.“
შასასადამე ფრანზ ასე უნდა წავიკითხოთ: „და რუფ
გამოიღო ქსნით, და დასსნა. კაცნი პერუვენი, და სტა-
გითა რუისაფთა დაჭ[ა]რქჳან ადგილსა მას ნასტაგი-
სი 1). „და ჭრქჳიან“ სშირათ იხმარება ძველ ხელ-ნაწე-
რებაში „დაარქჳიან“-ის მაგიერ. აქ თუ პატრივი არ არის გა-
მარტებული გადაწყვირისაგან, ესე იგი სიტყვა შემოკლე-
ბით არ არის ნახმარები, მაშინ ასო „ჭ“ „ჭა“-თ უნდა

1). გარსკენებელმა დ. ბაქრაძემ, რომელიც „დასტაგი“-ს
ჩვენსაფთა ერთ სიტყვათ შივიდობდა, გადმოგვცა, რომ „დას-
ტაგი“ კიდევ შემხედრია და ვგონებ ევთიმე მთაწმინდელის მიერ
ნათარგმნ მეექვსე მსოფლიო კრების სჯულ-დებაში უნდა იყოსო“.
ჩვენ გადავიკითხეთ უძველესი ვარიანტები ხსენებული წიგნისა,
მაგრამ სიტყვა „დასტაგი“ ვერ ვიპოვეთ. მერმე ამ სიტყვის
განსამარტებლათ მივმართეთ აღმოსავლეთის ენების კარგათ
მცოდნეს ბ. ნ. მარს, და მის მიერ გადმოცემული სხვა
და სხვა მნიშვნელობა დასტაგისა, თუ დასტაგის მსგავსი სიტ-
ყებისა სხვა და სხვა ენებიდან ჩვენს. ტექსტს არც ერთი არ
მოეწყო. ბოლოს შემოხსენებული კითხვის შესახებ პრილ. საყუ-
რადღებო აზრი გამოთქვა მარმა. მარის აზრით, რომ „დასტაგი“
ერთ სიტყვად იკითხებოდეს, მაშინ ადგილის სახელი „ნასტაგი-
სი“ კი არ იქება, არამედ „ნადასტაგისი“, როგორათაც სიტ-
ყვის წარმოების კანონი მოითხვს. ეს სახუთი საკმაოა, რომ
„დასტაგი“ ერთ სიტყვათ არ წავიკითხოთ.

წავიკითხოთ და ამში შეუძლებელი აჩაიკერი არ არის. **ჩუ** რომ **ჩუ**-ს მაგიერ იხმარება ამის მაგალითი მესხურ დავითნშიაც არის, სადაც **ჩუ**ერაკლეს^ა მაგიერ სწერია **ჩუ**ერაკლეს^ა (ნას. ქვემოთ, გ. 84). მით უმეტეს **ჩუ** **ჩუ**-ს მაგიერ უნდა იხმარებოდეს, როგორც თვით სახელი უჩუენეს ამ ასოსი.

ქართლის მოქცევის სრონაკა იხსენიებს **ჩუ**ონის^ა, როგორც ხალხს საქართველოში მოსულს და ზანავს დასასლებულს (ნას. გ. 3). ქართლის ცხოვრება **ჩუ**ონების მაგიერ უჩუენებს უჩუენს. ჩუენის აზრით აქ გადამწერის შეცთობა არის. დედანში ეს სიტყვა ასე უნდა წერებულ იყო: **ჩუ**ონი, რომელშიაც იგულისხმება **ჩუ**ურიანი, — ფორმა, რომელიც ძრიელ სშირათ არის ნახმარები თვით ნინოს ცხოვრებაშიც და სხვა ძველ ხელ ნაწერებში. **ო** რომ **ო**-ს მაგიერ იხმარება ძველ მანუსკრიპტებში ამისი მაგალითი ბევრია. თვით ჩუენს სრონიკაში **ო**რის^ა მაგიერ სწერია **ო**რა^ა და **ო**რთალი^ა-ს მაგიერ **ო**ლი^ა (ნას. გ. 3). მასთანადე, რომ სიტყვა **ჩუ**ურიანი-ს მაგიერ იქნებოდა დაწერილი **ჩუ**ონი, ადვილათ წარმოსდგენია. გადამწერს ეტობა პატივი ვერ გაუხსნია ისე, როგორც საჭირო იყო. მას გამოშვებული **ჩუ**ონების მსალოთ ასო **ონ**, რომელიც უჩუე მიუმატებია და გამოსულა **ჩუ**ონნი. ესეც შესაძლებელია, რომ დედანში **ჩუ**ონნი^ა ეწერა და გადამწერმა პატივი გამოუშვა მარტო. ასე თუ ისე, ეს კი საეჭვოთ არ მიგვაჩნია, რომ **ჩუ**ონნი^ა შეცთომით არის ნახმარები **ჩუ**ურიების მაგიერ. არა ვგონებ, რომ **ჩუ**ონების სახელში გინმემ **ჩუ**ონები იცნას, გინაიდგან იმ დროს, ესე

იგი აღექანდრე მაკედონელის დროს (IV საუკ. ქრ. წინ),
ჭუნების ჭაჭანი არსად უოფილა. ჭუნები გამოჩნენ მე-
სუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. გარდა ზემო აღნიშნუ-
ლი შეცთომებისა, ქართლის მოქცევაში ისეთ შეცთომებ-
საც ვპოულობთ, რომელნიც სუცური ასოების ერთი ერ-
თმანეთის მსგავსებით წარმოსდგებიან, და რომელნიც სხვა
მანუსკრიპტებშიაც იშვიათი არ არის. მაგალითათ, სიტყვა
„რეტრუნი“ ს მაგიერ ნახმარებია „რეტრუნი“ (რ და ს სუ-
ცურში ძრიელ წაგავს ერთმანეთს). უკვლავ ამაების შესა-
ძრწმებლათ და დაკარგული ადგილების შესავსებლათ ძრი-
ელ საჭიროა მოპოვება სხვა ქართლის მოქცევის ვარაი-
ტისა, და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თუ ვისმეს ეს
წიგნი მოეპოვება, არ დაიშურებს შემოწირვას, ან გასა-
შინჯავათ გამოგზავნას, წერაკითხვის გამავრცელებელ სა-
ზოგადოებისათვის.



წინა-სიტყვაობა

სუმბატის ისტორიისათვის.

მანამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ვარნიანტი, იქ სადაც თავდება დავით აღმაშენებელის მეუღლა, მოყვანილია ცალკე თავით „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონანთა, ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ საღით მოიწივნეს ამას ქვეყანასა ივინი, ანუ რომელით უამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ, ძემან დავითისამან“. ამ სუმბატის ისტორიას დედანში უჭირავს 13 ფურცელი (294—306) ნახევარ თაბახიანი ქალაქისა მოსსო და მოლამაზო მრგვალი მხედრულის ხელით ნაწერი, და ბოლოს შემდეგი ლექსია ტექსტისვე ხელით მოყვანილი:

სახელი ღვთისა მალღისა მე დიდებითა მიქია,
აქა გორცითა ვადიდებ, სულითა ვმოხუბ იქია,
ჩემზედა შემწედ ამყოფოს წმიდა გაბრიელ მიქია
და მძლავრსა არ მიმცეს ბორბოსა, არა მტანჯვიდენ იქია.

მანამ აღმოჩნებოდა მანამ დედოფლის ვარნიანტი, რომელიც ესლა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავს ეკუთვნის (№ 30), ჩვენ არა გვქონია წარმოდგენა სუმბატის ისტორიაზე. ვიცოდით მხოლოდ ზე-

მო მოყვანილი სათაური, იგივე მარტო თეიმურაზ ბატონიშვილის ქართლის ცხოვრების შენიშვნებიდან ¹⁾, და ამ სათაურადგან სჩანდა, რომ ქართლის ცხოვრებაში რღვევებიანილი ყოფილა სუმბატის ისტორიიდან, მაგრამ სასულდობრ რა ეკუთვნოდა სუმბატს, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ გვქონდა. ესლა, როდესაც სუმბატის ისტორია განცალკევებული ვიპოვეთ და ქართლის ცხოვრების ვარიანტებს შეუდარეთ, აღმოჩნდა, რომ უმეტესი ნაწილი სუმბატის ისტორიისა ყოფილა შეტანილი ქართლის ცხოვრების ვარიანტებში და თითქმის სრულათ მარტო თეიმურაზის ვარიანტში. საუკრადღებოა თვით რიგი დაწესი, თუ როგორ შეუტანიათ სუმბატის ისტორიის ცნობები ქართლის ცხოვრებაში. სუმბატის ისტორია დავლევია იფრანგებდ და მცირეოდენ ნაწილებდ და ისე შექსოვილი და ჩაკერებულია აქა იქ ქართლის ცხოვრების ტექსტში. თავში, ბოლოში, თუ შვაში რომელიმე მეფის, თუ ერისთავის ისტორიის შესახებ ქართლის ცხოვრებაში მიმატებულია ცნობები სუმბატის ისტორიიდან. არ არის მიტყუული ყურადღება, ეწეობა თუ არა სუმბატის ცნობა ქართლის ცხოვრების ცნობას. ამიტომაც ხშირათ ერთი და იმავე მეფის, თუ ერისთავის შესახებ რჩი ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი არჩია გამოთქმული, რომელთა შორის ერთი ეკუთვნის ქართლის ცხოვრებას და მეორე სუმბატის ისტორიას. ზოგიერთ შემთხვევაში ქართლის ცხოვრების მოთხრობის ძაფი გაწვეტილია სუმბატის ისტორი-

1) ნახ. ქ. ცხ. გ. 161, შენ. 3.

იდგან ამოღებული ფრაზებით, თუ სსკა და სსკა შენიშვნებით. ის ადგილები ქართლის ცხოვრების ტექსტისა, სადაც სუმბატის ისტორიის ცნობები არიან ჩართულნი, სშირათ განსწავლდებიან სსკა და სსკა ვარიანტებში. ზოგიერთ ვარიანტში სშირათ გამოშვებულია სუმბატის ისტორიის ფრაზები, ან და სსკა ადგილს და სსკა რიგათ არიან ჩართულნი, სოლო თეიმურაზ ბატონიშვილის ვარიანტში, როგორც მოვისსენიეთ, თუმცა ნაწილ-ნაწილათ, მაგრამ თითქმის სრულათ არის შეტანილი სუმბატის ისტორია. ჩვენ გამოვწვლილეთ და გამოკვრიბეთ ქართლის ცხოვრების ტექსტი იდგან ის ფრაზები და მოთხრობანი, რომელნიც სუმბატის ისტორიას ეკუთვნოდენ, და ამით თვით ქართლის ცხოვრებიდგან ალვადგისეთ სუმბატის ისტორიის ვარიანტი, რომელიც მარიაძის ვარიანტის შესადარებლად ვისმარეთ. ის ადგილები, რომელნიც მხოლოთ თეიმურაზის ვარიანტში მოიპოვებიან და ბროსესს შემოაქვს ნაბეჭდ ქართლის ცხოვრების ტექსტის შენიშვნებში, თეიმურაზის ვარიანტათ აღნიშნეთ (შემოკლებით: თ. ვარ.). სოლო დანარჩენი ნაწილი, რომელიც შეტანილია სუმბატის ისტორიიდგან თითქმის ყველა ქართლის ცხოვრების ვარიანტებში, ჩვენ ქართლის ცხოვრების სასულით აღნიშნეთ (შემოკლებით: ქ. ცხ.). ამით ის კი არ გვინდოდა გვიჩვენებინა, ვითომც მოყვანილი ფრაზა ქართლის ცხოვრების ტექსტს ეკუთვნოდეს, არამედ ისა, რომ სსენებული ადგილი თითქმის ყველა ქართლის ცხოვრების ვარიანტში არის შეტანილი სუმბატის ისტორიიდგან. სოლო ერთი ორი ადგილია შესადარებლად ნაჩვენები ჩვენს შენიშვნებში, სა-

დაც მოყვანილია თვით ქართლის ცხოვრების დედნის ტექსტი, და არა თეიმურაზის ისტორიისა (ნახ. გ. 46, შენ. 3; გ. 49, შენ. 2; გ. 50, შენ. 1). ქართლის ცხოვრებიდან აღდგენა სუმბატის ისტორიისა და მისი ვაჩიანტათ სმარება მიუცილებელ საჭიროთ მიგვაჩთა, რადგანც მარიაშ დედოფლის ვაჩიანტის ტექსტი გარყვნილია უმეტესად გადაშწერისაგან. ის შეცთომები, რომელნიც წარმოსდგებიან ხუცურნი ასოების ერთი ერთმანეთის მსგავსებით და პატივ ქვეშ მყოფი სიტყვების უვიცი კითხვით, სშირია მარიაშის ვაჩიანტში ¹). ამას გარდა მარიაშის ვაჩიანტში

¹) ხუცურში ძრიელ წაბავთ ერთი ერთმანეთს ასონი ბ და შ, ა და ძ, ხ და ტ, ძ და რ. ამისათვის მარიაშის ვაჩიანტში სიტყვების მაგიერ ეფანშერ, არშაკ, შაბურ, მოზიდან, არდაშორი და სხვა—სწორათ სწერია: ეფანბურ, არაკ, ბაბურ, მოშიდან, არდაბირი და სხვა; სიტყვების მაგიერ დაძ, რაძ, შოაძ, ვაძ—კვითხელობთ: დაა, რაა, შოაა, ვაა; სიტყვების მაგიერ ტაიჭები. დევტალარ, არდოტი—სწერია: ხაიჭები, დევხალარი, არდონი; სიტყვების მაგიერ რეცა, მურგული, განერე—კვითხელობთ: ქეცა, მურგული, განექე და სხვა. ამას გარდა გადაშწერას არ სცოდნია პატივ ქვეშ მყოფი სიტყვების განხნა და შიტომ სიტყვების მაგიერ—ერისთავნი, არამედ, დაბადებითა, დიმიტრი, მღუდელნი, ქრისტეს, რომელნი და სხვა—მარიაშის ვაჩიანტში სწერია: ევნი, ამაღ, დაბადებითა, დატრი. მადლნი, ჰრქვეს, ერნი და სხვა, დედანში აღბათ ეწერა: ენი, ად, დბათ, დტრი. მდნი, ჰქს, რნი. ამ გვარივე შეცთომით აიხსნება ის მოღუნა, რომ ხსენებულ ვაჩიანტში სიტყვების მაგიერ „ხოლო ესე აღერკი“ სწერია „ხესაღერკი“ (?). დედანში უსათუჯლ ეწერა „ესე აღერკი“. ასეთი შეცთომები ძრიელ სწორია მარიაშის ვაჩიანტში.

აქა იქ გამოშვებულაი ზოგიერთი ფრაზები და სიტყვები, რომელთა გამოშვებით ტექსტი გაუგებარი ხდება. ყველა ამავის შესასწორებლად და შესავსებლად ჩვენ ვინმართეთ ქართლის ცხოვრების ტექსტიდგან აღდგენილი სუმბატის ისტორიის ვარიანტი, და ის სიტყვები და ფრაზები, რომელნიც მარიაძის ვარიანტში გამოშვებულნი არიან და ჩვენ აღნიშნული ვარიანტიდგან შემოვიტანეთ, დიდ ფრჩხილებში ჩავსვით. სიტყვები, რომელნიც აშკარა შეცდომით არიან ნაწერნი, გავასწორეთ, მაგრამ დედნის მართლწერა ვატარა ფრჩხილებში უჩვენეთ.

სუმბატის ისტორია იწეება დახადებიდგან ამოღებული გენეალოგიით, რომელშიაც პირველი ბაგრატიონი ქართლისა, გვარამ კურაპალატი, გამოყვანილია დავით წინასწარმეტყველის შთამომავალად. ამ გვარამიდგან (VI სუკ.) იწყებს სუმბატი თავის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების ისტორიას და ათავებს მე-XI სუკუნეში, ბაგრატ IV დროს. ვინ არის სუმბატი, დავითის ძე, რომელსაც ხსენებული ხრონიკა შეუდგენია, არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ თვით ამ სუმბატის ისტორიაში და ქართლის ცხოვრებაშიაც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებთა შორის იხსენიება რამოდენიმე სუმბატი, დავითის ძე, და უკანასკნელი მათგანი—სუმბატ ერისთავთა ერისთავი, გაცი მართალი, ძე დავით მამფლისა, არტანუჯელი“, გარდაცვლილა 988 წელს. ¹⁾ განსვენებული დ. ბაქრაძის აზრით, შესაძლებელია, ეს უკანასკნელი სუმბატი იყოს ჩვენი ხრო-

¹⁾ იხ. ქვემოთ სუმბატის ისტორია, გ. 61.

ნიკის აღმწერელი, „და თუმცა სუმბატის ისტორია ამის სიკვდილსაც გადასცილდება, მაგრამ შექმნილია, რომ ეს შემდეგი სსვამ განაგრძო“ (ნან. ბაქრაძის ისტორია გ. 55). ჩვენის აზრით, ავტორი ბაგრატიონების ისტორიისა მართლაც ცალკეულად ბაგრატიონებს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც სამართლიანათ შენიშნავს დ. ბაქრაძე, მაგრამ შეუძლებელია ის იმ სუმბატ ანტანუჯელთ კალვიანობით, რომელიც 958 წელს გარდაცვლილა. თუ სუმბატის შრომას მართლაც 958 წლამდის ვიცნობთ და დანახვისს მერვე მიმტეხულით ჩავთვლით, გამოვა, რომ თითქმის ნახევარი იმისი, რაც ესლა სუმბატის ისტორიას შეადგენს, სუმბატს არ ჰქუთნებია. ამას გარდა რიგი და წესი სრონიკისა თავიდან დაწყებული ბოლომდის ერთგვარია, და არა ვგონებ, რომ ორი სსვა და სსა ავტორის შრომას სრულებით ერთგვარი სსსიათი ჰქონდეს. სუმბატის ისტორია არა თუ გაგრძელებული არ არის, არამედ პირ იქით ისე მოულოდნელად არის შეწყვეტილი ბაგრატი IV დედის. მარამ დედოფლის გამგზავრებაზე სახერძეთში, რომ თითქო რაღაც აკლიაო, თითქო ჩვენამდის სრულათ არ მოღწეულა. ეჭვი არ არის, რომ სუმბატი თავის დრომდის მოიყვანდა ბაგრატიონების ისტორიას და რეტიც უფრო თავის დროს დაუასლოვდებოდა, მით მეტი ცნობები ექნებოდა სულში, როგორც თანამედროვე პირს. მართლაც და სუმბატი უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს თავის ისტორიის ბოლოში გიორგი მეფის და ბასილი მეფის ომებს¹). ეს გაგრძობა გვაფიქრებინებს,

¹) ნან. სუმბატის ისტორია, გ. 67—79.

რომ ავტორი თანამედროვე იყო ამ ფაქტებისა. ამიტომაც უნდა ვაღვიანროთ, რომ სუმბატს, ჩვენი სრონიკის ავტორს, ჩვენი სრულებით არ ვიცნობთ, მაგრამ სასტიკმხარტოდ მიგვიჩნია, რომ ის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგანი იყო და მეთერთმეტე საუკუნეში ცხოვრობდა.

თავის ისტორიის შესადგენათ სუმბატს უსარგებლენია სსვა და სსვა წყაროებით. ორი ამ წყაროთაგანი ცხადია, რაში მდგომარეობდა. ერთი არის დაბადება, რომლიდანაც ავტორს ამოულია გენეალოგია და გვარამკურნალობა და ვით წინასწარ-მეტყველის შთამომავლობისა დაუკავშირებისა. მეორე წყარო არის ქართლის მოქცევის სრონიკა, საიდანაც, როგორც უკვე შევნიშნეთ, სუმბატს თითქმის სიტყვა სიტყვით გადმოუწერია ისტორიული ცნობები ჰირველ ერისთვის გვარამდგან დაწეული სტიფანოს II დრომდის 1). დანარჩენი ცნობები, ჩვენი აზრით, ავტორს უნდა გამოეკრიბოს სსვა და სსვა სრონიკებიდან და ბაგრატიონების საგვარეულო დაუთრებიდან. ეჭვი არ არის, რომ სუმბატს ისეთი მანუსკრიპტი ჰქონია ხელში, რომელშიაც დაწერილები აღნიშნული ყოფილა შთამომავლობა თითოეული ბაგრატიონისა, და აგრეთვე დრო, თუ რომელი ბაგრატიონი, რომელ წელს მოკვდა. ამიტომაც სუმბატის ისტორია მრავალ ბევრს ქრონოლოგიურ ფაქტებს გვაძლევს და ამ მხრით ბადალი არა ყავს ძველ სრონიკებში. თვით ხუთასიანი ქრონიკონი ჰირველათ იხმარება არა

1) ნახ. ქართლის მოქცევის სრონიკა გ. 34—37 და სუმბატის ისტ. გ. 45—50.

ქართლის ცხოვრებაში, როგორც თიქრობდა დ. ბაქრაძე¹⁾, არამედ ამ სუმბატის ხრონიკაში და აქედან მეტად შეტანილია ქართლის ცხოვრებაში. ეს პირველათ ხმარებული ქორონიკონი უჩვენებს 826 წელს, აშოტ გურგაშალატის სიკვდილის დროს (ნახ. ქვემოთ გ. 55). ჩვენის აზრით, სუმბატს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე პირველათ შეტანა მწერლობაში იმ გარდმოცემისა, რომლითაც ქართველთ ბაგრატიონებს ხადიან დავით წინასწარ-მეტყველის ნათესავათ. ამ გარდმოცემის მიხედვით მოუწევია სუმბატს გენეალოგიაც და პირველი ერისთავი გვარამ გამოუყვანია დავით-წინასწარ-მეტყველის შთამომავლად. მართლაც და ვის უნდა გაეტარებინა ეს აზრი მწერლობაში, თუ არ ბაგრატიონების ისტორიის ავტორს და თვით ბაგრატიონს? რომ ეს აზრი წინეთ არ ყოფილა შეტანილი მწერლობაში, ამას ამტკიცებს ქართლის მოქცევის ხრონიკა, სადაც გვარამი დავითის ნათესავად მოხსენებული არ არის, და თვით იმ ქართლის ცხოვრების ტექსტი, რომელშიაც სუმბატის ისტორიის ცნობები შერეული არ არის. ასეთია, როგორც ვიცით, მარამის ვარჩანტი და ეს ვარჩანტი მოიხსენიებს რა ქართველთ ერისთავების თხოვას კეისარისაგან, რათა მან კეისარმან მოსცეს ქართველებს მეფე ნათესავისაგან მეფეთა ქართველთასა, განაგრძობს: „მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი და მოსცა მეფედ დის-წული მიქდატიანი, ვახტანგის ძისა, ბერძნისა ცოლისა, რომელსა ერქვა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს. ამას

¹⁾ ნან. ვახუშტის ისტორია, გ. 118, შენ. 1.

გუარამს მისცა კეისარმან გუარატპალატობა და წარგზავ-
 ნა მცხეთას. აქ, როგორც თვით მკითხველიც ხე-
 დავს, გუარამის დავითისაგან შთამომავლობაზე არაფერი
 არ არის ნათქვამი. ასეა ეს ადგილი მოყვანილი სხვა ვა-
 რიანტებშიაც, მაგრამ სხვა ვარიანტები ამას შემდეგ უმა-
 ტებენ სუმბატის გენეალოგიას, რომელშიაც გუარამი და-
 ვითის ნათესავთ არის გამოყვანილი, და მით ავსებენ
 თითქმის ქართლის ცხოვრების ნაკლს. მარამის ვარიანტი
 აგერ გვიან მოიხსენიებს ადარნასე ერისთავს დავით წინას-
 წარ-მეტყველის ნათესავათ: „მამინ მოვიდა მისსა (ე. ი.
 აწილ II) მთავარი ერთი რომელი იყო ნათესავი დგან
 დავით წინასწარ-მეტყველისა, სახელით ადარნასე, დის-წუ-
 ლი (ქართლის ცხოვრებით მმის-წული) ადარნასე ბრძმისა,
 რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთა დევ-
 და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა
 სომხითისათა“ (გ. 215). ეს ადგილი სხვა ვარიანტებშიაც
 არის (ნ. ქ. ცხ. გ. 180) და შეიძლება სუმბატის ისტო-
 რიის გავლენით იყოს შეტანილი ქართლის ცხოვრებაში.

საინტერესოა თვით ქართლის ცხოვრების თავდაპირვე-
 ლი ტექსტის და სუმბატის ისტორიის შედარება ერთი-
 ერთმანეთთან. თუ როგორი იყო დაკავშირებულათ ქართ-
 ლის ცხოვრების ტექსტი გუარამ გუარატპალატოვან დაწყე-
 ბული ბაგრატი მეოთხის მეფობამდის, ეს მარამ დედოფ-
 ლის ვარიანტიდან სჩანს; რომელშიაც ძველი ტექსტი
 განცალკევებულია და სუმბატის ისტორიის ფრაზებით აჭ-
 რელებული არ არის. ასეთივე ტექსტი დაგვრჩება ჩვენ, თუ
 სხვა ვარიანტებისაგან გამოწველილავთ სუმბატის. ისტორი-

ის ცნობებს. ამ ქართლის ცხოვრების თავდაპირველი ტექსტის შედარებამ სუმბატის ისტორიასთან იმ დასკვნასე მიგვიყვანა, რომ ორში ერთი უნდა ვაღვიაროთ: ან სუმბატს უსარგებლებია ქართლის ცხოვრებით, ან და ქართლის ცხოვრების შემადგენელს სუმბატის ისტორიით. რომელი აზრია ამათში მისაღები, გადაჭრით თქმა არ შეგვიძლია, ვინაიდან არ ვიცით, ქართლის ცხოვრებას უმალ შედგენილი თუ სუმბატის ისტორია. სოლო მსგავსება მათ ცნობათა შორის კი აშკარაა. განსაკუთრებით ერთგვარათ არიან მოთხრობილნი გიორგი მეფის და ბასილის ომები. ზოგიერთი ცნობები და ფაქტები ერთგვარათ არიან გადმოცემულნი როგორც სუმბატის ტექსტში, ისე ქართლის ცხოვრებაშიც, მაგრამ როდესაც სუმბატის ისტორია სელმეორეთ შეუტანიათ და შეუქსოვნიათ ქართლის ცხოვრების თავდაპირველი ტექსტისა, არ მიუქცევიათ ყურადღება, საჭიროა თუ არა რომელიმე ფრაზის გამოშვება, რომელიც იმეორება ქართლის ცხოვრებაშიც და სუმბატის ისტორიაშიც. ამიტომაც ესლანდელ ქართლის ცხოვრების ტექსტში ხშირათ შესვლებით ორ ერთგვარ ფრაზას და ცნობას ერთ და იმავე საგნის შესახებ. ეს მოვლენა ჩვენთვის გაუგებარი იყო, მანამ სუმბატის ისტორიას ქართლის ცხოვრების ტექსტს შეუდარებდით.

მაგრამ საკითხავი ესაა, ვინ მიიღო შრომა და ეს სუმბატის ისტორია შეაკერა ქართლის ცხოვრების ტექსტს და რატომ სუმბატის ხრონიკა ცალკე თავათ მარტო მარიაშვილის ვარნიანტშია და სხვებში არა? ამ კითხვებზე სრული პასუხი მაშინ შეიძლება მივსცეთ, როდესაც დაწ-

უწილებით განვიხილავთ უველს ქართლის ცხოვრების კარ-
 ნანტებს და ვრცლათ შევეხებით ვასტანგის რედაქციას.
 მაგრამ რაკი ეს განხილვა ძრეულ შორს წაგვიყვანს და აქ
 ადგილიც არა გვაქვს სრული აღწერილობა მოვიყვანოთ იმ
 ვარიანტებისა, რომელნიც ესლა ხელში გვაქვს, ამისათვის
 ძრეულ ჩვენს აზრს უველა ამ გითხვების შესახებ სხვა
 დროს და სხვა ადგილს წარმოუდგენთ გითხველს. ესლა
 მხოლოთ აღვნიშნავთ, რა დასკვნაზე მიგვიყვანა ჩვენ ქარ-
 თლის ცხოვრების სხვა და სხვა ვარიანტების შესწავლამ,
 და ბოდიშს ვიპითთ, რომ ჩვენი აზრი აქ ისე დასაბუთე-
 ბული ვერ იქნება, როგორც საჭიროა. ჩვენის აზრით, სუმ-
 ბატის ისტორიის შექსოვა და შეგერება ქართლის ცხოვრე-
 ბის ტექსტისათვის ვასტანგ VI რედაქციას ვგუთვნის. ეს
 არის უმთავრესი უველა იმაში, რაც ვასტანგს ქართლის
 ცხოვრებისა მიუმატებია. მაგრამ ვასტანგის რედაქციას სხვა
 შრომაც მიუძღვის ქართლის ცხოვრებაში. ამ რედაქციას
 მეფობის-და-კვალად დაუყვია თავებად ქართლის ცხოვრების
 ტექსტი, თითოეული მეფობისათვის სათაური დაუსკამს და
 აღვნიშნავს, თუ მერამდენა სათაურში ნაჩვენები მეფე-
 ამას გარდა ვასტანგის რედაქციას ახლად შეუტანია ქარ-
 თლის ცხოვრებაში: 1) ვრცელი ისტორია იესო ქრისტეს
 კვართის მცნეთაში მოტანისა (ნახ. ქ. ცხ. გ. 40—41);
 2) ღვთის-მშობლისადმი წილად ხდომა საქართველოს ქვე-
 უნის მოქცევისა და ანდრია მოციქულის მოწევა და ქადა-
 გება საქართველოში (გ. 41—46); 3) ცხოვრება მურ-
 ვანოზისა, ანუ წმიდისა ვეტრესი (გ. 102—105); 4) ცხოვ-
 რება ათორმეტთა სირიულთა შამათა (გ. 151—159);

5) დადგენილდა მეექვსე მსოფლიო კრების ქართველთა კათალიკოსის სამწყსოს და დამოუკიდებლობის შესახებ (გ. 171—172) და აგრეთვე ცნობები კათალიკოსების თამარისა და სამოელის შესახებ სტეფანოს II დროს; 6) ქრონოლოგიური ცნობები ტაოელთა ბაგრატიონების შესახებ, რომელნიც აწეულათ სუმბატის ისტორიიდან არიან შემოტანილნი (ქ. ცხ. გ. 193); 7) მოთხრობა დავით გურგაძეაღაღაღის მიერ ბარდა-სკლეროსის დამარცხებისა (გ. 206), რომელიც სიტყვა სიტყვით ამოღებულია ათონის მანუსკრიპტიდან, სადაც მოიხსიერება ცხოვრება მთაწმინდელთა მამათა ეფთიმიუსი და გიორგისი (ეს მანუსკრიპტი ეხება ჰენს საეკლესიო მუზეუმში ინახება); 8) მოთხრობა და ცნობები სიმონ და მელქისედეკ კათალიკოსების შესახებ ბაგრატ III, გიორგი I და ბაგრატ IV დროს (ქ. ცხ. გ. 212—213 და 218); 9) მცხეთის გუჯარი 1040 წ. (გ. 221—222), რომლის პირი საქართველო იმერეთის გუჯართ კრების წიგნშიაც არის შეტანილი № 378, და რომელიც შეიცავს კათალიკოს მელქისედეკის მიერ შედგენილს სიას ბერძენთ მეფეების კონსტანტინე და პასილი-საგან მოხორციელებულ სამცხეთო მიწა-ადგილთა და სამკაულთა. გუჯარი დამტკიცებულია ბაგრატ გურგაძეაღაღაღის და კანთ-მეთის კვირიკეს მიერ; 10) მოთხრობა, თუ როგორ გიორგი მთაწმინდელმან ინახულა კონსტანტინეპოლში ბაგრატ IV და მარიამ დედოფალი და ამ უკანასკნელთა მიერ მოწოდება საქართველოში გიორგისა (გ. 226—227); 11) ცნობები ბაგრატის ასულის მართას გაგზავნის შესახებ საბერძენეთში, სიკვდილი თეოდორა დედოფლისა და მარიამ დედოფლის

კოსტანტინეპოლიდან იერუსალიმში გამგზავრების განწყობებად გიორგი მთაწმინდელისაგან დაშლა (გ. 229—230); 12) გარდა ამისა ვასტანგის რედაქციის ეკუთვნის უაშველად ზოგიერთი ხიტყვები და ფრაზები, რომელნიც უბგელეს ვარიანტებში არ მოიპოვებიან, და რომელნიც, როგორც ეტყობა, შეძლებვ არიან ჩაკერებულნი ქართლის ცხოვრების ტექსტში.

რომ ვგელა შემოსსენებული მოთხრობანი, ცხოვრებანი, თუ ცნობები შეტანილია ქართლის ცხოვრებაში ვასტანგის რედაქციის მიერ, ამას უაშველათ ამტკიცებს მარამ დედოფლის ვარიანტი, რომელშიც არცერთი შემოწახვენები სტატია არ მოიპოვება. მარამის ვარიანტი ერთად ერთი ვარიანტია აქამომდე ცნობილ ვარიანტებთან შორის, რომელზედაც შეგვიძლია გადაჭრით თქმა, რომ ვასტანგის ადრინდელ დროს ეკუთვნის. მარამის ვარიანტში რც სხვა და სხვა ადგილს მოსსენებულია მარამ დედოფალი, რომლის ბრძანებით გადაწერილთ სსენებული ვარიანტი, და სსმს ადგილს ინსენიება, როგორც ცოცხალი, პირმშო მე მარამისი რტია. რტია იყო მარამ დედოფლის და გურიელი სვიმონის შვილი. 1636 წელს მარამი გაქევა ცოლად ქართლის მეფეს როსტომს, რომელიც რტიას, ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, შვილსაგით ზდიდა. რტია მიიცვალა 1646 წელს და სსმაგალითო გლოვის და ტირილის შემდეგ დამარხეს მცხეთაში 1). აქედან ცხადია, რომ მარამის ვარიანტი გადაწერილი

1) ნახ. ქ. ცხ. ტ II, გ. 525—525 და ბროსსეს Introduction-ი გ. CXCVI—CC.

ყოფილა. 1636—1646 წლებში, ამ დროს ვასტანგი და-
ბადებულიც არა ყოფილა (ვასტანგი დაიბადა 1675 წელს).
მაშასადამე, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მარიამ დედოფლის
ვარიანტი ვასტანგ VI აღჩინდელ დროს ეკუთვნის. ესევე
არ შეიძლება ვსთქვით სხვა ვარიანტებზე. გარდა, მარიამის
ვარიანტისა აქამომდე არ არის აღმოჩენილი არც ერთი
ვარიანტი, რომელსაც ვასტანგის რედაქციის წინა-სიტყვა-
ობა არ მიუძღოდეს, და რომელზედაც გადაჭრით შეიძ-
ლებოდას თქმა, რომ ვასტანგის აღჩინდელ დროს ეკუთ-
ვნის. სხვა აქამომდე ცნობილ ვარიანტებთან შორის: უძვე-
ლესათ ითვლებიან ხუცყურათ ნაწერი თეიმურაზ ბატონი-
შვილის ვარიანტი, რომელიც ესლა ჰეტეროგენის სამეც-
ნიერო აკადემიას ეკუთვნის, და თეიმურაზისვე ნაწილები
მხედრულათ ნაწერი რუმინცევის მუზეუმის ვარიანტი მოს-
კოვში. ამ ორ ვარიანტს დაემყარა განსაკუთრებით ბროს-
სე თავის ქართლის ცხოვრების გამოცემაში და ამ ორ
ვარიანტს სადის დ. ბაქრაძე ვასტანგის აღჩინდელ დროს
ვარიანტებათ ¹⁾). მაგრამ რომ რუმინცევის ვარიანტი ვასტან-
გის წინა დროს არ ეკუთვნის, ამას ამტკიცებს ერთი შე-
ნიშვნა ვასტანგ გორგასლანის მეფობის შესახებ, რომე-
ლიც იკითხება ასე: „ვასტანგის სიმამრი ლეონ მაკელი.
ლეონიდან ამ ქორთონიკონს „ტყუზ“-ამდინ არის წელიწადი

¹⁾ Бакрадзе. Статьи по истории и древностямъ Грү-
зін. Приложение хъ LV-му тому зап. Им. Ак. Наукъ,
стр. 15.

ათას ას ოთხმოცდა ოცა¹⁾). ქორონიკონი „ტუზ“ უდრის 1709 წელს და აშკარაა, რომ რუმინტყვის ვარიანტიც ამ წელს უფორმა გადაწერილი. ჩვენ არ შეგვიძლება იმ შეცდომასზე, რომ ვიზანტიის მეფის ლეონ I მაკელლიდგან 1709 წლამდის 1188 წელი კი არა 1235 წელს გასული, არ შეგვიძლება იმიტომ, რომ ამ შეცდომას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და არც არაფერს უშლის ჩვენს დასკვნას. 1709 წელს ვასტანგ VI 34 წლის იყო და ისეთი შესანიშნავი შრომა, როგორც არის მისი სამართლის წიგნი, გამოცემული ჰქონდა. მასა-სადაც, ჩვენთვის გასაკვირვებელი არ უნდა იყოს, რომ ამ დრომდის ვასტანგი ქართლის ცხოვრების რედაქციასაც მოასწრობდა, მით უმეტეს, რომ ქართლის ცხოვრებაში ვასტანგს ბევრათ უფრო ნაკლები შრომა მიუძღვის, ვიდრე სამართლის კრებულში, რომელიც მან გამოსცა 1703, თუ 1704 წელს. მეორე მინაწერი რუმინტყვის ვარიანტისა უფრო ასაბუთებს ამ აზრს და ცხადათ უჩვენებს, რომ ვასტანგის რედაქციას მართლა ჰქონია ადგილი ქართლის ცხოვრებაში. ხსენებულ ვარიანტში, იქ სადაც თავდება ცხოვრება მურვანოზისი, ანუ წმ. ჰეტრესი, გადაწერილი შენიშვნაში შიშობთავს წმ. ჰეტრეს და სთხოვს, შეიწყალოს ბატონიშვილი ვასტანგი, მისი მეუღლე და შვილები და ასულნი მისნი, რადგანაც მან (ვასტანგმა) იპოვა ღ

¹⁾ იხ. ქ. ცხ. გ. 148, უნ. 2, და Hist. de la Géor. t. I, p. 199, n. 1.

გამოაჩვენა შემოკლებით ამ წმიდანის ცხოვრება. ¹⁾ ეს შენიშვნა რუმიანცევის ვარნიანტის აშკარათ უჩვენებს, რომ წმ. პეტრეს ცხოვრება ვასტანგის მიერ უოფილა შეტანილი ჩვენს მატრიანში. მასასადაძე, ვასტანგს რადგან შრომა მიუძღვის ქართლის ცხოვრებაში, და შეუძლებელია. ვიფიქროთ, რომ ეს შრომა მარტო წმ. პეტრეს ცხოვრების მიმატებით თავდებოდეს. ამისათვის ვასტანგის რედაქციის უარის-ყოფა უოკლად უადგილია. ზემოთ ჩვენ შესამდლოთ დავინახეთ, რომ ვასტანგის რედაქცია 1709 წლამდის მომხთარ-იყო, მასასადაძე იმ დროებში, როდესაც ვასტანგი ჯერ კიდევ მეფე არა უოფილა. ამის ემოწმება ჩვენ მიერ მოყვანილი შენიშვნაც; რომელშიაც ვასტანგი ბატონიშვილათ იხსენიებს და არა მეფეთ. მასასადაძე, ქართლის ცხოვრების რედაქცია 1711 წ. ადრინდელ დროს ეკუთვნის, ანუ უფრო დაახლოებებით, როგორც ნაჩვენებია, 1709 წლის წინეთ უნდა უოფილ-იყო. ვველა ამებიდგან, რაც რუმიანცევის ვარნიანტის შესახებ ითქვა, ცხადია, რომ ხსენებული ვარნიანტი ვასტანგის დროს ეკუთვნის და არა ვასტანგის ადრინდელ დროს, და რომ ვასტანგის რედაქციის კვალი აშკარათ ეტყობა ამ ვარნიანტს.

რაც შეეხება თუიმურაზ ბატონიშვილის ვარნიანტს უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ვარნიანტი, როგორც სხვებიც, იწვევა ვასტანგის წინა-სიტყვაობით, მაგრამ პირველი ფურცელი ამ ვარნიანტისა დაწერილი უოფილა არა ტექსტის სულით და, როგორც შენიშნავს ბროსსე, მერმე უნდა იყოს.

¹⁾ ნახ. Hist. de la Géor. p. 139, n. 1.

შიმატებულად ¹⁾). ეს გარემოება მოყვით საბუთათ თეიმურაზის ვარდიანტის სიძველისა. მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, არაფერს არ ამტკიცებს. თეიმურაზის ვარდიანტი მეთურამეტე საუგუნის დასასრულსაც რომ ეგუთვნოდეს, მაშინაც შესაძლოა დაეარკუნა-მოთ მიჩვეული ფურცელი და მერმე მიემატებიათ ნაკლები ტექსტი. განა ცოტა გვაქვს ჩვენ. მეთურამეტე საუგუნის ხელნაწერები, რომელთაც ზოგიერთი ფურცლები ჭკლებიათ და რომელნიც სხვა ხელით არიან შეკსებულნი? განა ეს გარემოება მანდა მანც სიძველესა ნიშნავს? არა მგონია, რომ ეს ვინმემ ხელ-ჩასაჭერ საბუთათ მიიღოს. თეიმურაზის ვარდიანტის სიძველისა, არც ის მიიღება. სიძველის ნაშნათ, რომ ეს ვარდიანტი სუფურის ხელით არის ნაწერი. არ მიიღება მიტომ, რომ ჩვენ ბევრი გვაქვს სუფურათ ნაწერი ხელ-ნაწერები ვასტანც მეთუის კანონებისა, ანტონ კათალიკოსის თხზულებებისა და სხვა წიგნებიც, რომელნიც მეთურამეტე საუგუნეში არიან შედგენილნი. თეიმურაზის ვარდიანტის შესახებ ეს შეიძლება მხოლოდ გადაჭრით ითქვას, რომ 1725 წლის აღწერებულ დროს ეგუთვნის, ვინაიდან ამ წლის მინაწერა არა ტექსტის ხელით უჩვენებს, რომ სხენებული ვარდიანტი ჭკუთნების იმერეთის მეთუეს ალექსანდრე V ²⁾). სხვა საუურადღებო მინაწერს ამ ვარდიანტისას ბროსესე არსად არ უჩვენებს. ამგვარათ ჩვენ თვით თეიმურაზის ვარდიანტში ვერ ვპოულობთ გერათერ გარკვეან საბუთს, რომე-

¹⁾ იხ. ქ. ცხ. ტ I, გ. 15, შენ. 1.

²⁾ Brosset, Voyage arch Rapp. 4, p. 5.

ლიც ხსენებდნენ. კარინტის სიძველეს ამტკიცებდეს და ამიტომაც მას ვახტანგის ადრინდელ დროს ეკუთვნის მივარდნა.

გარდა ამ ორი კარინტისა ბროსესს სსვა კარინტებიც ქონია ხელში, მაგრამ მათი სიძველეს შესასებ ბროსესს ანაჟურს ან აშობს და ეტყობა არც არაფრით უოფილან შეხანიშნაენი. ჩვენ გარდა მარიაძე დედოფლის კარინტისა ხელში გვაქვს ესლა მეგრელიის და ბანათაშვილის კარინტები, რომელნიც ფრიად საყურადღებონი არიან, მაგრამ ვახტანგის ადრინდელ დროს კი არ ეკუთვნის. ბანათაშვილის კარინტი, როგორც თარიღი უჩვენებს, გადაწერილია 1761 წელს. მეგრელიის კარინტს ბოლოში ავლია და თარიღი არა სჩანს, მაგრამ გადაწერით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ვახტანგის ადრინდელ დროს არ ეკუთვნის. ამის დასამტკიცებლათ ისიც საკმარაა მოვიყვანოთ, რომ ხსენებულ კარინტში გადაწერი სმარობს იმ ნახევარ-სმოვანასოს, რომელიც ანტონ კათალიკოსმა შემოიღო თავის გრამატიკაში ადვილად გამოსათქმელათ იმ სიტყვებისა, რომლებშიც რამოდენიმე უხმო ასონი იკრებუიან ერთათ.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ უველა აქამოდუცნობილი კარინტები, გარდა მარიაძის კარინტისა, ეკუთვნის ვახტანგის რედაქციის შემდეგ დროს და უველას ვახტანგის რედაქციის წინა-სიტუაობა მიუძღვის. მარიაძის კარინტი ერთით ერთი კარინტია, რომელიც ვახტანგის ადრინდელ დროს ეკუთვნის, და თუ ამ კარინტს სსვა კარინტებს შეუუდარებთ, ცხადათ დავინახავთ, რა ეკუთვნის ვახტანგის რედაქციას ქართლის ცხოვრებაში. მარიაძის ვა-

რიანტში არ არის რასაკვირველია წინა-სიტყვაობა ვასტან-
 გის რედაქციის; ტექსტი ქართლის ცხოვრებისა არ არის
 თავებთ დაუთფილი შეფობის-და-კვალად; სუმბატის ისტო-
 რია ცალკე თავით არის მოყვანილი და მისი ცნობები არ
 არიან ჩაკერებულნი აქა იქ ქართლის ცხოვრების თავ-და-
 პირველ ტექსტში. ამას გარდა მარიამის ვარიანტში არ
 მოიპოვებინ არც ერთნი ის სტატიები და ცნობები, რომელ-
 ნიც ჩვენ ზემო აღვნიშნეთ და ვასტანგის რედაქციის მიერ
 შეტანილათ კვლიარეთ ქართლის ცხოვრებაში. ამგვარად, რომ
 ვეღვა ეს ცვლილებანი და დამატებანი ეკუთვნიან ვასტანგის
 რედაქციას. თუ ვასტანგის რედაქცია არ ყოფილ-იყო ქართლის
 ცხოვრების ვარიანტებს ის სახე ექმნებოდათ, როგორც მარიამ
 დედოფლის ვარიანტს აქვს. გარდა მარიამის ვარიანტისა ჩვენ
 სხვაც გვაქვს საბუთი, რომ ძველათ ქართლის ცხოვრებაში
 არა ყოფილა ის სტატიები, რომელნიც ჩვენ ვასტანგის
 შეტანილათ მიგვაჩნია. ეგრეთ წოდებულ *Chronique ar-*
ménienne-ში, ანუ სომხურ შემოკლებულ ქართლის ცხოვ-
 რების თარგმანში, არ მოიპოვებინ ჩვენ მიერ აღნიშნულნი
 სტატიები და ცნობები. სომხის მწერალს მსიტარს აირივან-
 ჭელს, რომელიც ცხოვრობდა მეცამეტე საუკუნის გან-
 სულს, შემოაქვს თავის ქრონოლოგიურ ისტორიაში სია-
 საქართველოს მეფეთა და კათალიკოსთა. ეს სია, როგორც
 ეტყობა, მსიტარს შეუდგენია ქართლის ცხოვრებიდან,
 მაგრამ კათალიკოსთა სიაში მსიტარი არ იხსენიებს ეონს
 სტეფანოს II-ს დროს, სიმონს გიორგი I-დროს, მელ-
 ჭისედექს, თქროპირს და გიორგი ტაოელს ბაგრატ IV-ს
 დროს, გაბრიელ საფარელს იმავე ბაგრატისა და გიორგი II-ს

დროს¹⁾ ეტეობა, მნიტარის დროს ქართლის ტხოვრებაში არა უოთილა ტხოები ამ კათალიკოსების შესახებ. ხსენებული კათალიკოსები ტხოებილინი არიან მხოლოთ თეიმურაზის ვარიატით და არ იხსენიებიან სხვა ვარიატებში. ამას გარდა ყველა ის სტატეები, რომელიც ვახტანგის რედაქციას მივანერეთ, სრულათ მოიპოვებიან მარტო თეიმურაზის ვარიატში და სხვებში. ზოგიერთი მათგანი გამოშვებულია. ეს სისრულე თეიმურაზის ვარიატისა შედარებით სხვა ვარიატებთან გვათქვამის, რომ ხსენებული ვარიატი, თუ ის ვარიატი არ არის, რომელიც თვით ვახტანგს შეუსწორებია და შეუესია, რაც ჩვენ საჭეშმარტოდ მიგვაჩნია, უოკელ შემთხვევაში ვახტანგის რედაქციის ქართლის ტხოვრების ნანდვილი პირი უნდა იყოს. ვახტანგის რედაქციის ზელი ისე არ ეტეობა სხვა ვარიატებს, როგორც თეიმურაზის ვარიატს. რაც ცვლილება მოუხდენია ვახტანგს ქართლის ტხოვრებაში, ეს ყველაზე უფრო თეიმურაზის ვარიატადგან სჩანს. ამიტომაც სუმატის ისტორია თითქმის მთლათ მარტო ამ ვარიატშია შეტანილი. ამასთანავე თეიმურაზის ვარიატში ჩვენ ვპოვოლათ მრავალ სხვადასხვა შენიშვნებს, რომლებშიაც განსაკუთრებით განმარტებულინი არიან გეოგრაფიული სახელები. ყველა ეს შენიშვნები, ჩვენის აზრით, ვახტანგის რედაქციას ეკუთვნიან. ის მოკლენა, რომ ვახტანგის მიერ ქართლის ტხოვრებაში შეტანილი სტატეები ყველაინი არ მოიპოვებიან სხვა და

¹⁾ ნახ. Mémoires de l'Academi. Imp. VII-e série, t. XIII, № 5, p. 15.

სხვა ვასტანგის შემდეგ ღროის ვარინტებში, ადგილათ
 ასახსნელთა. ჩვენ არ გვინახავს ქართლის ცხოვრების ვარი-
 ანტი, რომელიც მარტო ერთ დედანზე იუოს დამუარებუ-
 ლი. გადამწერს რომელიმე ვარინტის ყოველთვის სამი-
 თხზი დედანი ქჭონის ხელში. მეგრელით ვარინტი სამს.
 დედანს უჩვენებს „მცხეთისა, მეფისა და ერისთვისა“. ბა-
 რათაშვილის ვარინტი ბოლო-სიტყვაობაში სვეტიცხოვ-
 ლის, ესე იგი მცხეთისავე ვარინტს მოიხსენიებს, მაგრამ
 ტექსტის შენიშვნებიდან სჩანს, რომ მის გადამწერს სამი
 სხვა ვარინტი ქჭონის ხელში. ეჭვი არ არის, რომ ზოგ-
 ერთი ვარინტები ვასტანგის ადრინდელ ღროის იქნებოდ-
 ნენ, მაგრამ გადამწერნი საზოგადოთ ვასტანგის რედაქციის
 დედანს ემუარებიან, როგორც უფრო სრულს, თავებათ და-
 უთუილს, და სისტემატიურათ დაწყობილს. მხოლოთ ზო-
 გიერთ შემთხვევაში უშეკებენ იმ სტატიებს, რომელნიც
 ძველ ვარინტებში არ მოიპრებინან და რომელნიც მათ
 მეტათ მიანჩნათ. ერთი სიტყვით უკვლათფერში მთლათ
 არ ემუარებიან ვასტანგის რედაქციას და ხან ძველი ვარინ-
 ტითაც სარგებლობენ; ამისათვის სისრულე, თუ უსრულ-
 ბა რომელიმე ვარინტისა გადამწერის არჩევანზეა დამოკი-
 დებული. ამის დასამტკიცებლათ საკმაოა მოვიყვანოთ შემ-
 დეგო: მეგრელით და ბარათაშვილის ვარინტები, როგორც
 შევნიშნეთ, სხვათა შორის: თავიანთ დედნათ უჩვენებენ
 მცხეთის ვარინტს: მცხეთის ქართლის ცხოვრების ხელ-
 ნაწერი უსათუოთ ძველი უნდა ყოფილ-იყო, რადგანც ერ-
 თი გუჟარნი 1546 წლისა, რომელიც ეხლა ჩვენ საკლე-
 სით მუხუმიძია, მცხეთის წიგნებთა შორის უჩვენებს ერთს

ქართლის ცხოვრების ცალსახა. ეტეობა მეგრელების ვარნი-
ანტის გადაშენი უფრო მცხეთის ვარნიანტზე დამყარებუ-
ლა და ამიტომაც უმეტესი ნაწილი იმ სტატეებისა, რომ-
ელნიც ვასტანგს შეუტანია ქართლის ცხოვრებაში, და
რომელნიც მარიამ დედოფლის ვარნიანტში ან მოიპოვე-
ბიან, ანც მეგრელების ვარნიანტში სწინან, ბარათაშვილის
ვარნიანტში კი მოყვანილია თითქმის ყველა ის სტატეები
რომელნიც ვასტანგის რედაქციას ეკუთვნიან, გარდა ცხო-
ბუბისა კათალიკოსების შესახებ. ცხადია, რომ უკანასკნელთ
ვარნიანტის გადაშენი უფრო ვასტანგის რედაქციის დუ-
ღანზე დამყარებულა და მცხეთის ვარნიანტის მისეველი ან
გამოუშვია ის, რაც ახალ ვარნიანტებში იყო. რომ ამ ორი
ვარნიანტის გადაშენით ერთგვარათ ესევემდგენელუბინათ
მცხეთის დედნით, მაშინ მათ შორის არავითარი გან-
სხვავება არ იქნებოდა.

ქართლის ცხოვრების რედაქციის შესახებ სხვა და
სხვა აზრი იყო სხვა და სხვა დროს გამოთქმული. თავდა-
პირველად, როდესაც უცხოელ მეცნიერებმა ქართული წყა-
როების შესწავლა დაიწყეს, ვასტანგს არა თუ რედაქციას
მიაწერდენ, არამედ ქართლის ცხოვრებას მთლათ ვასტან-
გის შეთხზულათ ხადოდენ. ბროსემ უარყო ეს აზრი
და, როდესაც ქართლის ცხოვრების ტექსტი *Chronique
arménienne*-ს შეუდარა, პირ-და-პირ აღიარა, რომ
ამ თავიდან ის ქართლის ცხოვრებას ვასტანგს „ადარ-
მიაწერს“ 1). მაგრამ ამით ვასტანგის რედაქციას უარ

1) Brosset. Hist. de la Géor. Introduction, p. XVIII.

არ უყვია ბროსსკეს. ბროსსკეს აზრით, რომელიც მან ვასტანგის წინასიტყვაობის განხილვის გამო გამოსთქვა, ვასტანგს შეუერთებია ერთად მოთხრობანი, ანუ მას დროს გაზნეულნი ცნობანი, მიუმატებია მათთვის, როგორც სჩანს, რომოდენიმე დაწვრილებითი ცნობები, რომელთაც სამწესართ ის არ უჩვენებს, ასე რომ შეუძლებელია ვიცოდეთ, რა ეკუთვნის ვასტანგს ქართლის ცხოვრებაში¹⁾. ესლა უფრო გავრცელებული აზრი ჩვენს საზოგადოებაში ვასტანგის რედაქციის შესახებ განსკენებულ დ. ბაქრაძეს ეკუთვნის. მან, როდესაც მარიაშ დედოფლის ვარაიანტი განიხილა, სრულებით უარ-ყო ვასტანგის რედაქცია და ვასტანგის წინასიტყვაობა ქართლის ცხოვრებაში თეიმურაზ ბატონიშვილს მიაწერა. ამას გარდა, როგორც შევნიშნეთ, ბაქრაძე თეიმურაზის და რუმიანცევის ვარაიანტებს ვასტანგის აღნიშნულ დროს მიაწერს²⁾. ჩვენ, როგორც მკითხველიც ხედავს, იმავე მარიაშ დედოფლის ვარაიანტის შესწავლამ სულ წინამდებე დასკვნაზე მიგვიყვანა. აქ უადგილობის გამო დაწვრილებით ვერ განვიხილეთ ეს კითხვა, მაგრამ რაც ვსთქვით, ისიც საკმაოდ მიგვაჩინია, რომ ვასტანგის რედაქცია ვიცნათ ქართლის ცხოვრებაში. საფუძველი ჩვენის აზრისა: მარტივია: მარიაშ დედოფლის ვარაიანტი ერთად ერთი ვარაიანტია, რომელიც ყოველ

¹⁾ Ibidem, p. XV.

²⁾ იხ. Статьи по ист. и дряви. Грузии, стр. 11—20. ისტორია საქართველოში ბაქრაძისა, გ. 39—43 და ვახუშტის ისტორია მისივე გამოცემული, გ. XIX—XXII.

ეჭვს გარეშე ვასტანგის ადრინდელ დროს ეკუთვნის. დანარჩენი ვარიანტები, რომელნიც აქამომდე ცნობილნი არიან, ყველანი ვასტანგის შემდეგ დროს ეკუთვნის და არც ერთ მათ შესახებ არ შეიძლება გადაჭრით თქმა, რომ ვასტანგის ადრინდელ დროს ეკუთვნოდეს. შედარება ვასტანგის ადრინდელ დროის ვარიანტისა ვასტანგის დროის და ვასტანგის შემდეგ დროის ვარიანტებთან გვაჩვენებს, რა ეკუთვნის ვასტანგს ქართლის ცხოვრებაში. ამ შედარებიდან ცხადათ სჩანს, რომ ვასტანგს, ანუ უკეთესთქვათ, მის რედაქციას, ქართლის ცხოვრებაში შეუტანიანასიტიყვაობა რედაქციისა; ტექსტი ქართლის ცხოვრებისა დაუყვია თავებად მეფობის-და-კვლად; გაუსწორებია ზოგიერთი სიტყვები და ფრაზები უშეცრათ მწერალთ მიერ დამახინჯებულნი; სუბმატის ისტორიის ცალკე თავათ არ დაუტოვებია, არამედ შეუქსოვია და მოუმატებია აქა იქ ქართლის ცხოვრების ტექსტისა; შენიშვნებში განუმატებია ბევრი გეოგრაფიული სახელები და აღუნიშნავს ზოგიერთი ფაქტების ხრონოლოგია, და ახლად შეუტანია ქართლის ცხოვრებაში ყველა ის მოთხრობანი, ცხოვრებანი და ცნობები, რომელნიც ჩვენ ზემო აღვნიშნეთ. ეს არის უმთავრესი შრომა ვასტანგის რედაქციისა, სხვა წერიმალ შრომას აქ არ აღვნიშნათ. თუ ბროსსუს არ შეეძლო თქმა, რა ეკუთვნოდა ვასტანგს ქართლის ცხოვრებაში, ჩვენ მანამ დედოფლის ვარიანტის განხილვით თითებზე შეგვიძლია ჩამოკეთვალათ ის, რაც ვასტანგს ქართლის ცხოვრებაში შეუტანია. ვათავებთ რა ამით შენიშვნას ვასტანგის რედაქციის შესახებ, ჩვენ სრული იმედი გაქვს, რომ თუ კიდევ ვასტანგის ადრინდელ დროის ქართლის ცხოვრების ვარიანტი აღმოჩნა, მასაც ისეთი სახე ექნება, როგორც მანამ დედოფლის ვარიანტს აქვს, და ჩვენს აზრს კიდევ უფრო დაამტკიცებს.

წინა-სიტყვაობა

მესხური დავითნის ხრონიკისათვის.

ცნობილი ჩვენი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი თავის ქრონიკონებში 1201 წლიდან 1755 წლამდის სხვათა შორის ამ ქრონიკონების წყაროდ უჩვენებს მესხურ დავითნს, ხუთ წიგნათ გაყოფილს ¹⁾. რამოდენიმე ნაწილი ხსენებული მესხური დავითნისა, დ. ბაქრაძის მიერ პლატონ იოსელიანის წიგნებში ნაშთენი, ესლა ეკუთვნის ჩვენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთა საცავს № 947 ²⁾. ხელ-ნაწერი სულ 17×13 სანტი-

1) იხ. ქარ. ცხ. ტ. II, გ. 237.

2) ამბოპენ, პ. იოსელიანის ბიბლიოთეკაში ეს წიგნი სრულათ იყო, მაგრამ რამდენათ დასაფერებელია ეს ცნობა, არ ვიცით. ვერც ის აგვიხსნია, თუ რათ დარჩა გამოუქვეყნებელი პ. იოსელიანს ეს შესანიშნავი წყარო ჩვენის ისტორიისა. მით უმეტეს, რომ პ. იოსელიანი ფრიად ცნობილი არხეოლოგი იყო და ამ გვარი მასალების დიდი მოყვარული. განსვენებულმა დ. ბაქრაძემ მესხურ დავითნს უძღვნა საყურადღებო სტატია შემდეგის სათაურით: „О вновь найденномъ отрывкѣ изъ источниковъ исторіи грузіи Вахушта“. Извѣстія Кавказскаго Общества исторіи и археологіи, т. I, вып. второй, стр. 11—22). ზოგიერთი აზრები ამ სტატიაისა ჩვენ საჭიროდ გრაცხთ გავიმეორით ჩვენს წინა-სიტყვაობაში.

შეტრი, ანუ მეოცდათორმეტე ნაწილი ფურცლისა, დაწერილია ძველ მოსქო ქალაქდზე ნუსსა ხუცურის სელით. ჩვენამდის მოუღწევია მხოლოთ 15 ფურცელს. პირველი ოთხი ფურცელი შეიცავს ფსალმუნების უკანასკნელ სტიხებს და იწყება შემდეგი სტისით: „აჲსუდით, ანანია, აზარია, მისაელ, რა უგლობდით და უფრმს დ აბღ.“ მეოთხე ფურცელი თავდება შემდეგი ანდერძით გიორგი მთაწმინდელისა, რომელიც სრულათ არ არის დაცული:

„წმინდანო და ღვთივ შემოსილხო მამანო და ძმანო, რომელნიცა ამათ წმიდათა დავითნთა (დთთა) მიემთხნეთ, ესე საცნაურ იუან ყოველთა, რამეთუ ფრიადითა უძღურებირა წმიდათა და სულაერთა მამათა ჩემთათა ვთარგმანენ ესე დავითნი ასლად ბერძელისაგან ქართულად, მეგლასაკმან გიორგი, უღირსმან ხუცეს-მონაზონმან, ფრიადითა ჭირითა და რუდუნებითა, თვთ იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძულთა ღედათა და დავითნისა თარგმანთაგან ფრიადითა გამოწულიღვითა და გამოძიებითა. აჲ უკვე გვედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხნეთ წმინდათა ამათ დავითნთა, რათა ჩუენთჳს ლოცვა ჭყოთ, და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჭპოოთ, ეგრეთვე შეუცვალებლად დასწერდით. ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ: ჩუენ, რომელი ჯერ იყო, ჩაგვირთავს, და რომელი ჯერ იყო, დაგვიკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდა, ნუცა“... (დანარჩენი აკლია).

ეს ფსალმუნები ნაწერნი არიან მოსსო და ლამაზი ნუსსა ხუცურის სელით. მელანი ტუქსტისა შავია, სათაურებისა და თითოეული სტისის პირველი ასოსი წითელი. ნიშნებათ ნახმარებია ორი წერტილი და მძიმე.

დანარჩენი თერთმეტი ფურცელი ჩვენი ხელ-ნაწერისა შეიცავს ისტორიულ სრონიკას, რომელსაც ჩვენ მესხური დავითნის სრონიკას ვეძახით. დავითნი მესხეთიდან არის, სრონიკაც მესხეთის, ანუ სამცხე-საათაბაგოს ისტორიის მოგვითხრობს, და ალბათ ვახუშტიმაც ამიტომ უწოდა მესხური დავითნი. სრონიკას თავი და ბოლო აქვია¹). მელანი სრონიკაში ყოველგან შავია, და წითელი მელნით ნაწერი ასო სრულებით არ ურევია, ხელი დავითნისა სხვაა და სრონიკისა სხვა. დავითნში ბევრი ცარიელი ფურცლები უფიქვანა და დეტოკებული, რომლებზედაც შემდეგ ისტორიული ცნობები უწერიათ დღიურის მსგავსად, და ამგვარად წარმომსდგარა მესხური დავითნის სრონიკა. ნაწილები ამ სრონიკისა, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია, შეიცავს 26 წლის ისტორიის სამცხე-საათაბაგოსა, 1561 წლიდან დაწყებული 1687 წლამდის. ეს ის დრო იყო, როდესაც სპარსელები და ოსმალები თავ-გამოდებით ერთი ერთმანეთს ეცილებოდნენ სამცხე-საათაბაგოს და როდესაც შეუწვევლელი ზრბოლა და სისხლის ღვრა იყო ქართველებს და მამდიანებს შუა. ეს ბრძოლა, როგორც ვიცით, დამთავრდა სამცხე-საათაბაგოს ოსმალების მიერ დაპყრობით და მკვიდრთა ძალად გამამდიანებით. სპარსეთში ამ დროს

¹) უკანასკნელ ფურცლის ქვემო არშიაზე არა ტექსტის ხელით და მჭრალის კლხით ხეცურათ სწერია: „წმიდაო ღმერთო და წმიდანო მოწამენი ღვთისანო, შეუნდუნე მისი ცოდვანი შალიყას შეიღსა (შ ღ ჯა შეს ღ სა)“. . . (დანარჩენი ერთი სტრიქონი არ განიხილება და სხვა წაჭრილია).

მთავრობდა შას-თამაზ და შემდგომად შაჰი სულთანდა, ოსმალეთში სულეიმან დიდი, შემდეგ სელიმ II და სოლთან მურად III, რომელსაც უკვდა შესანიშნავი სარდალი ლალა-ფაშა. ეს ლალა-ფაშა 1578 წელს საქართველოში მოვიდა დიდის ჯარით და საქართველოს მთავრებმა ბრძოლა ვერ გაუწიეს, დამორჩილება ამჯობინეს. ამ დროს სამცხე-საათაბაგოს მთელი მთავრებით იუვენენ ათაბაგები ქაიხოსრო II († 1575), ქაიხოსროს შვილები უვარყაყე V († 1582) და მანუჩარ II († 1604), მანუჩარის შვილი მანუჩარ III († 1624). ეს უკანასკნელი მოწამლა თავის ბიძამ, ქაიხოსრო II-ს შვილმა, ბექა III, რომელმაც 1625 წ. მიიღო მახმადიანობა, იწოდა საფარ-ფაშათ და დადგენილი იქმნა შირველ ფაშათ ახალციხისა ¹). აი სწორეთ. ამ დროს ამ პირებს ეხება მესხური დავითნის ხრონიკა, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია..

ჩვენი ხრონიკა პირი გი არ არის მესხური დავითნის ხრონიკისა, არამედ თვით თავ-და-პირველი დედანის, ავტოგრაფია. ეს უეჭველათ მტკიცდება იმით, რომ სსხვადა-სსხვა ცნობები სსხვა-და-სსხვა დროს არიან ნაწერნი. ხელი ნაწერისა ზოგჯერ მოსხონ, ზოგჯერ წერილი, ზოგ ადგილას მელანი შავია, ზოგ ადგილას მქანლი. ზოგიერთ ცნობებს შუა ადგილია დატოვებული, რსაკვირველია მისთვის, რომ მაშინ შეეესოთ ეს ადგილი, როდესაც რაიმე ცვლილება მოხდებოდა ზემო ცნობაში ოხსენებულ ოჯახ-

¹) Hist. de la Géor. t. II, liv. 1er, p. 610.

ში. ზოგიერთი ცნობები, რომელნიც დატოვებულ ადგილზე არ დატოვლან, გაგრძელებულნი არიან არშეიბსე. ამ გვარი მოკლენა შესამდებელია მხოლოდ თავდაპირველ დედანში, ავტორგრაფში, და არა დედანიდან გადაღებულ ცალში. მცირეოდენი, ზოგჯერ ძლივს შესამჩნევია, გარჩევა წერის ხასიათისა და მელნისა, რომელიც შეიმჩნევა ამ ხრონიკაში, ჩვენ სხოლიებს შორის თავთავის ადგილს უჩვენეთ. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენის აზრით, ჰიროგლ რა ფურცელ ნახევარის ხელი. ხრონიკისა ერთგვარი არ არის და, ერთობა, სხვა და სხვა. პირთა მიერ და სხვა და სხვა დროს არის ნაწერი. დანარჩენი ნაწილი კი საზოგადოთ ერთი და იმავე ხელით არის ნაწერი, მაგრამ მცირეოდენი. გარჩევა, მანც ერთობა, რადგანც სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა მელნით უწერიან.

თუმცა არა სჩანს, ვინ არის აღმწერელი მესხური ხრონიკისა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ავტორი თანამედროვე ყოფილა მის მიერ აღწერილი ფაქტებისა, თვით მიუღია მონაწილეობა მის მიერ მოთხრობილ საქმეებში, არა მცირედი ადგილი სჭერია თავის დროს, და, როგორც სამართლიანათ შენიშნავს დიმიტრი ბაქრაძე, ერთობა, თვითათაბაგების ოჯახის წევრი ყოფილა. ამ აზრებს თითქმის თითოეული ფრაზა ამტკიცებს მესხური დავითისა. „წავედით ასალციხეს“, „ასალციხიდან გავდეგით“, „იწყო ჩვენმა ლაშქარმა მოდენა“, „სამწუბთ-ღელემა დავდეგით“, „ჭერაკლე შეკვამეთ“, „მოუხედით ფოსოს, სახლი დაგწვიით და ამოვსწვიდეთ“ და სხვა, — ჩვეულებრივი ფრაზებია ჩვენი ხრონიკისა. ავტორი ყოველთვის თავის თავს უკვლავ

საქმეებში მონაწილედ იხსენიებს და პირველი პირით მოგვითხრობს. ამას გარდა ხრონიკაში ასეთ ადგილებსაც ვპოულობთ: „განაწილადმ გავიყარენით დედა ძმანი და ლაშქარნი“ (იხ. გ. 83); „ამავე ქორონიკონსა (1581), მარიაშობის თუქს ოთხს, პატრონი აჩილ მობრუნდა აწყუქრს, დიდის ხნის უნახავი დამძმანი შევიყარენით, ღვინობისთუქს წაბმანდა“ (გ. 110). ეს ფრაზები ნათლათ ამტკიცებენ, რომ ავტორი, როგორც უკვე შევნიშნეთ, ათაბაგების ოჯახის წევრი ყოფილა.

მესხური დავითნის ხრონიკის ცნობები შეტანილნი არიან ვახუშტის ისტორიაში, განსაკუთრებით ძრეულ ვრცლათ სამცხე-კლარჯეთის აღწერაში¹), და აგრეთვე მის ქრონოლოგურ ისტორიაში, მაგრამ უცვლელათ ღ სიტყვა სიტვით ეს ცნობები შეტანილნი ყოფილან სხვა ორს ჩვენს ხრონიკაში, ეგრეთ წოდებულ „შუდეგი ქართლის ცხოვრების“ ხრონიკაში და *Chronique géorgienne*-ში, ანუ ქართულ ხრონიკაში, რომლის დედანი მხოლოდ მარციუს ბიბლიოტეკაში მოიპოვება და რომელიც ბროსსემ გამოსცა ფრანგული თარგმანუთურთ მარციუსი 1831 წელს²). შუდეგი

1) იხ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 163—163 და ამ გვერდებზე მოყვანილნი ცნობები შეადარე ჩვენს ხრონიკას, გ. 88—112.

2) ვინაიდან ეს ხრონიკა პარიჟშია ნაპოვნი, და პარიუს ბიბლიოტეკაში ინახება, ამისათვის ჩვენ მას უწოდთ პარიუს ხრონიკათ და შენოკლებით ასე აღვნიშნავთ: „პ. ხრ“. სსენებულო ხრონიკის შესწორებული თარგმანი ბროსსემ ხელ-მოკრედ დაბეჭდა 1841 წელს. ნან, *Memoires de l' Académie Imp.... VI-me*
— 2, t. 5, p. 220—345.

ქართლის ცხოვრებათ ამაღესანს ცნობილი იყო ის სრო-
ნიკა, რომელიც დაბეჭდილია ქართლის ცხოვრების მეორე
ტომში (გ. 259—306) და რომელიც იწყება 1476 წლიდ-
გან და თავდება 1614 წ. მაგრამ ესეა, როდესაც მეგრე-
ლის და ბრათაშვილის ვარიანტები შევისწავლეთ, აღმოჩ-
ნა, რომ სსენებული სრონიკა იწყება 1454 წლიდგან და
თავდება 1614 წელს. სსენებულ ვარიანტებში სრონიკას
აქვს შემდეგი სათაური: „სასულითა ღეთისათა აწ ვიწყეთ
ცხოვრება ბაგრატონიანთა მეფობისაჲ“. ტექსტი იწყება
შემდეგი ფრაზით: „ქორონიგონსა რმბ“. დაჟდა მეუფედ
მე გიორგისა ბაგრატ და მმა აღექსანდრესი და ჭყანდა
ცოლად დედოფალი ელენე“. თავი სრონიკისა, რომელიც
დაბეჭდილ ქართლის ცხოვრების მეორე ტომში არ მოი-
პოვება, შეცთომით დაბეჭდილია ქართლის ცხოვრების პირ-
ველ ტომში; ასე რომ ის რაც ქართლის ცხოვრების პირ-
ველი ტომის 476—477 გვერდებზეა მოყვანილი და რაც
შემდეგი ქართლის ცხოვრების სასულით არის დაბეჭდილი
ქართლის ცხოვრების მეორე ტომში (გ. 259—306) ერთ
სრონიკას შეადგენენ ნაწყვეტი სრონიკისა, რომელიც ბროს-
სეს შეუტანია ქართლის ცხოვრების პირველ ტომში,
ყოფილა ავლოვის ქართლის ცხოვრების ვარიანტში და
ის ვერ მიმსაზრია, რომ ეს ნაწყვეტი თავია შემდეგი ქარ-
თლის ცხოვრებისა¹⁾.

ამსსურვი დავითნის სრონიკა ჩვენ შევადარეთ შემო-
ნაჩვენებ სრონიკებს და განსხვავებანი დაწვრილებით უჩვე-
ლად დასწავლეთ. ქართლის ცხოვრების პირველი ტომის 476-477 გვერდებზე
და მეორე ტომის 259-306 გვერდებზე იხილეთ.

ნეთ. ეს შედარება, რასაკვირველია, საჭირო არ იყო ჩვენი ხრონიკის ტექსტის აღსადგენათ, ვინაითგან ჩვენი დედანი ავტოგრაფია და ტექსტს სხვა ხრონიკების საშუალებით აღდგენა არ ეჭირება, მაგრამ შედარება საჭირო იყო თვით Chronique géorgienne-ის და შედეგი ქართლის ცხოვრების ხრონიკებისათვის. ეს შედარება გვიჩვენებს, რა ფასი უნდა ჰქონდეს ჩვეს თვალში სხენებულ ხრონიკებს, როგორ უდგენიათ ეს ხრონიკები და რამდენათ შეგვიძლია დაკვირვართ მათ ცნობებს.

ამ შედარებიდან აღმოჩნდა, რომ ორივე ზემო ნაჩვენები ხრონიკები ხანდგილი შირი: ყოფილა მესხური დაჯიონის ხრონიკისა, ასე რომ მესხური დაჯიონის ხრონიკა ჩვენთვის დაკარგულათ არ ჩაითვლება. დაკარგულია მხოლოდ რამდენიმე ნაწილი თავდაპირველი დედნისა, მაგრამ ამ დედნიდან გადმოწერილი ცნობები შენასულან ზემო აღნიშნულ ხრონიკებში, ხოლო ვინაიდგან მესხური დაჯიონის ხრონიკა განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგოს ისტორიის ენება და სხვა საქართველოს ნაწილების ამბებებს იშვიათათ იხსენიებს; ამისათვის ზემოხსენებულ ხრონიკების ავტორებს აქა იქ ჩაუმატებიათ სხვა ცნობებიც, რომელნიც სხვა სამეფოებს და სამთავროებს შეეხებინან. ერთგობა; აქაც ხსენებულთ ხრონიკების შემადგენელთ ერთგვარი მასალა ჰქონიათ ხელში, ერთ და იმავე წყაროთი უსარგებლებინან, და ამიტომაც ეს სხვა წყაროებიდან შემოტანილნი ამბებიც საზოგადოთ ერთგვარათ არიან მოთხრობილნი როგორც პარიკის ხრონიკაში, ისე შემდეგ ქართლის ცხოვრებაშიაც (ინ. გ. 87, შენ. 15; 94, შენ. 8;

97, შენ. 11; 99, შენ. 9; 105, შენ. 3; 106, შენ. 14). ზოგიერთ შემთხვევაში შედეგი ქართლის ცხოვრება ვრცელთ და დაწერილებით მოგვითხრობს იმ ამბებს, რომელნიც პარიყის ხრონიკაში მოკლეთ და მხოლოთ ქრონოლოგიურათ არიან აღნიშნულნი (იხ. გ. 85, შენ. 2; 110, შენ. 11; 112, შენ. 3). არიან ისეთი ცნობებიც, რომელნიც მართლ შედეგი ქართლის ცხოვრებაში მოიპოვებიან და პარიყის ხრონიკაში არა (იხ. გ. 97, შენ. 6; 103, შენ. 1; 112, შენ. 1). რაც შეეხება ამ ორი ხრონიკის სინანდვილეს დედანთან, მესხურ დავითნის ხრონიკასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში განსხვავებას სიტყვების მართლ წერაში ვპოულობთ. აქა იქ სიტყვებში და ფრაზებში შეცთომანიც მოიპოვებიან და ეს შეცთომები საზოგადოთ ერთგვარნი არიან ორივე ხრონიკაში. ხოლო პარიყის ხრონიკაში უფრო ბევრ შეცთომებს ვპოულობთ, ვიდრე შედეგი ქართლის ცხოვრებაში. ამის მიზეზი ის არის, რომ ერთათ ერთი დედანი ამ ხრონიკისა, რომელიც მხოლოთ პარიყში მოიპოვება, გარყვნილია გადმწერისაგან და სხვა მისი ვარიანტი ვერ ჩვენში არ აღმოჩენილა. ესეც საჭიროა, შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ შედეგი ქართლის ცხოვრებაში არიან ისეთი შეცთომები, რომელნიც პარიყის ხრონიკაში არ მოიპოვებიან. შედეგი ქართლის ცხოვრების ტექსტი სხვა და სხვა ვარიანტებისა ერთგვარათ არ ემოწმებიან ჩვენ მესხურ დავითნის ხრონიკას. უკვლავ უკეთ მესხური დავითნის ხრონიკის ტექსტი მეგრულიის ვარიანტში უოთუილა შეტანილი. მეგრულიის ვარიანტი, იმდენათ სწორია დედანთან, რომ

შეცთომებსაც იმეორებს მესხური დავითნის სწონიკისა. მაგალითათ, ხსენებულ სწონიკაში ოთხ ადგილს ქორთონიკონების მაგიერ „სო, სოა, სობ, სოე“ შეცდომით დაწერილია „საჟ, საჟა, საჟბ, სჟე“ (გ. 111—112). მეორე ადგილს ერთი ამგვარივე ქორთონიკონი სიტყვებით არის დაწერილი ცხადათ სჩანს, თუ რომელი რიცხვი ქქონია სასეში ავტორის (ნახ. გ. 111, შენ. 6). ეს უველასათვის ადვილათ გასაკები შეცთომები გასწორებულნი არიან ჰარიჟის სწონიკაში და შედეგი ქართლის ცხოვრების უველა ვარიანტებში, გარდა იმ ვარიანტისა, რომელიც მოიპოვება მეგრელის ქართლის ცხოვრების ხელნაწერში. ეს და სხვა ამგვარი მოვლენანი, რომელთაც ჩვენ შენიშვნებში უჩვენებთ, ცხადათ ამტკიცებენ მეგრელის ვარიანტის ტექსტის სინანდელეს ღედანსთან.

ზოგიერთი ცნობები ჩვენ სწონიკისა ნაწერი არიან არშებზე. არშები უღის გაკეთებას დროს შემოუჭრიათ და ნაწერი დაუსარლებიათ. უღა რომ ქქონია ჩვენს ხელნაწერს ეს იმითაც სჩანს, რომ თითქმის უველა ფურცელი სხვა ქალღმერთა შეკეთებული და ამ რიგად არის აკინძული. ხოლო როდესაც ჰარიჟის სწონიკის და შედეგი ქართლის ცხოვრების ავტორებს გადმოუწერიათ მესხური დავითნის სწონიკის ცნობები, მაშინ, როგორც ეტყობა, არშები შემოჭრილნი არ ყოფილან. ამისათვის ის, რაც უღა არშებზე ნაწერს აკლია, ჩვენ შემო ნაჩვენები სწონიკებიდგან შევაგსეთ და დიდ ფრხილებში ჩავსვით. ის სიტყვები, რომელნიც მათგან ქვემო იყვნენ, საკვლო შემთხვე-

ეგში პატრიოთკე აღნიშნეთ პატარა თრჩხილებში. მართლ-
წერა დედნისა უოკელგან მტკიცედ დავიცევით.

მესხური დავითნის ხრონიკა მთლათ არის შეტანილი
პარჩიის ხრონიკაში და შედეგი ქართლის ცხოვრებაში მხო-
ლოთ იმ დგილიდგან, საიდგანაც დალაგებით იწყება მოთხ-
რობა ფაქტებისა დღიურის მსგავსად (იხ. გ. 86). ხო-
ლო პირველი რა ფურცელ ნასეკარი ჩუენი ხრონიკის
ნაწყვეტისა შეიტავს განსაკუთრებით გენეალოგიურ ცნო-
ბებს ათაბაგის ქაიხოსრო მეორის († 1575) ოჯახისა და
აღაპებს ოჯახის წევრთა პირველ მუხრანის პატრონის
ბაგრატ ბაგრატიონისა, რომლის ასული, დედის-იმედი,
ცოლი იყო ქაიხოსრო მეორისა და დედა მანუჩარ II,
ეკატერინე V, ბექა III (შემდეგ საფარ-ფაშა), მუკტა-
ბუკისა, ბასილისა, თვალ-შეენიერისა, იანქოსი და თამარი-
სი. ეს ცნობები, რომელთაც ჩუენს გამოცემაში უკავია
81—86 გვერდები, არ არიან შეტანილი არც ერთს
ხრონიკაში, მხოლოთ ზოგიერთ მათგანს იხსენიებს გა-
ხუშტი, მაგრამ ისე დაწვრილებით არა, როგორც აქა-
ამგვარი ცნობები, რომელნიც მესხური დავითნის აკლია,
ჩუენთვის დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს. ჩუენ მიერ მოხ-
სენიებული ცნობები ბუერ ახალ მასალას გვაძლევენ და
ძრიელ დაწვრილებით აკვიწებენ ზოგიერთ ისტორიულ
პირებს. ასეთია მაგალითათ ცნობები მუკტაბუკის შესახებ
(იხ. გ. 82). ამ მუკტაბუკის ცოლი რომადი ბროსესს
ათაბაგების გენეალოგიურ ტაბლიცაში¹⁾ გურიელი გიორ-

გი II-ს ასულათ არის ნახევნები; მაგრამ ჩენი. სწონი-
კიდგან სჩანს, რომ გურიელი როსტომის ქალი უოფილა.
ბასილი და ბექაი-პავლე ¹⁾), როგორც ეტუობა, ტუეუბები
უოფილან და 1564 წლის 12 აგვისტოს დაბადებულან.
იანქო ²⁾), რომელიც დაბადებულა 1563 წლის 29 აბ-
რილს, არ არის აღნიშნული ბროსესს გენეალოგიურ ტაბ-
ლიცაში და თამარი საეჭვოთ არის მოხსენებული იქვე. ჩენი
სწონიგის ცნობები ამ ნაკლს ავსებენ. თამარს ძმებითურთ
იხსენიებს აგრეთვე ვაღის ეგკლესიის (ასალ-ცინის მასლობ-
ლათ არის) წარწერა, რომელიც ბროსესსაც შემოაქვს თა-
ვის არსეოლოგიურ მოგზაურობაში ³⁾), მაგრამ უფრო სა-

¹⁾ მეორე ნახევარი ამ სიტყვისა, პავლე, სტრიქონს ზე-
მოთ სწერია დედანში და ნიშანი უჩვენებს რომ სიტყვა „ბექაის
შემდეგ უნდა მიმატება. ჩვენ ბექაი-პავლე ერთ სახელათ მივი-
ღეთ: პავლე რომ სხვა პირის სახელი უოფილიყო, მაშინ სიტ-
ყვა ბექა და პავლეს-შვა დედანში კავშირი „და“ იქნებოდა. ეს
ის ბექა არის, რომელმაც შემდეგ მანმადიანობა მიიღო და პირ-
ველ ფაშათ განდა ასალ-ცინისა საფარ-ფაშის სახელით.

²⁾ ვინ არის ამ იანქოს წინ მოხსენებული საბა (გ. 81),
არ ვიცით. ამ სიტყვის წინ დედანში ქალღლი შეყოფებულია
სხვა ქალღლი და, შეიძლება, რაიმე სიტყვა მიუძღოდა კიდევ
წინ, რომელიც ვაღა აღარ სჩანს, მაგრამ ადგილი ისე ცოტაა,
რომ ერთი სიტყვის მეტი მაინც არ იქნებოდა დატეული. სიტ-
ყვა საბას შემდეგ, ორი წერტილიან დედანში და შემდეგ სიტ-
ყვა ასო-მთარგულით იწყება; ამ ტომაც, ვგონებ, უმჯობესა იქმნე-
ბა, ეს ადგილი ასე წვეიეთხოთ: „საბა დაიბადა აწვეერს პატ-
რონი იანქო თთვესა აპრილს კთ“ და სხვა.

აზრით, იგანე და იანქო ერთი და იგივეა, ერთი და იმავე პირის სახელია. ელენე, როგორც ეტყობა, სიუმაწვილეში გარდაცვლილა. წარწერა არ მოიხსენიებს ბასილს და ბექას. აქედან სჩანს, რომ ისინი წარწერების დროს დაბადებულნი არ უოფილან. ჩვენი სწონიკა, როგორც ვიცით, მათ დაბადებას 1564 წელს მიაწერს. მეორეს მხრით წარწერა მოიხსენიებს თამარს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დაიბადა 1561 წელს, მაშასადამე ვალის ეკკლესიის მეორედ აღშენება, ანუ განასლება, 1561—1564 წლებში მომხდარა. თუ 1561—1564 წლებში ვალის ეკკლესიის განუასლებიათ, თავდაპირველი აღშენება მისი მე-XVI საუკუნის ბოლოს ადრინდელ დროს უნდა ეკუთვნოდეს. ამისათვის ბროსესს აზრი, ვითომც ეს ეკკლესია თავდაპირველად დედის-იმედს მე-XVI საუკუნეში აღშენებინოს, რომელიც წარმოსდგა შემდგარი ვითსებით და რომელიც ბროსესს სიტყვით განიმეორა დ. ბაქრაძემ, უარ-უოფილი უნდა იქნას 1).

აღაპები, რომელნიც მესხურ დავითნში მოიპოვებინან, ისეთ პირებს უზენებენ, რომელთაც ჩვენ აქამომდე არ ვიცნობდით და რომელნიც არ არიან აღნიშნულნი ბროსესს გენეალოგიურ ტაბლიცაში. ესენი არიან: პირველი

ხელიც ხედავს, აქ სტრიქონებში ბროსესს ერთი სიტყვაც ვერ წაუკითხავს მაროლოზი. (Yoyage's arch. II Rapp. p. 129) Кавказъ въ древн. пам. христ. стр. 438

მუსხანის ბატონის ბაგრატის ცოლი ელენე, ბაგრატის და ელენეს შვილები—იონათანი და თეოდორა, და ბაგრატის შვილის არჩილის ასული ელენე. ბაგრატი, მისი ცოლი ელენე, და მათი შვილები—ერაკლე, იონათანი და თეოდორა გარდაცვალებულათ იხსენიებიან ჩვენს აღწერაში. არჩილი და მისი შვილები ელენე და ირაკლი—ცოცხლათ. ამათში ბაგრატი მიიგვალა 1539 და არჩილი 1582 წელს. ამ დროს გამეღობას მიაწერს დ. ბაქრაძე ჩვენი სრონიკის ნაწივეტის დაწერას. ბაგრამ, როგორც შევნიშნეთ, ჩვენი სრონიკა მოყვანილია. 1587 წლამდის, მასმასდაძე ნაწივეტი ჩვენი სრონიკისა ნაწერია 1539—1587 წლებში. ცნობები უგებულათ დროს გამოშვებით არონ ნაწერნი იმ რიგათ, რა რიგათაც საქმეები მომდინარეობდნენ, ასე რომ დღემანდელ საქმეს რა მოჭყეება სვალ, ავტორმა არ იცის. „ამას უკანასკნელი საქმე ღმერთზე ჭკიდიან, ამბობს ერთ ადგილას დამწერი (ის. გ. 73).“

მესხური დაჯითნის სრონიკის აღმოჩენით დიდი ფასი ედება ჩვენს თვალში შედეგი ქართლის ცხოვრებას და შარიკის სრონიკას. ამდენხანს ჩვენ არ ვიცოდით, რა ღირსების წყაროებიდგან, ან როგორ ბუნენ შედგენილნი ეს სრონიკები. ესლა ვხედაეთ, რომ მათ შემადგენელებს ხელში ჭჭონათ ისეთი ორიგინალური და ძვირფასი სრონიკები, როგორიც არის მესხური დაჯითნის სრონიკა, და ამგვარად სრონიკის ცნობები სიტუვა სიტუვით უცვლელათ შეუტანიათ თავიანთ შრომაში. ავტორებს მხოლოდ ერთათ შეკრება ეკუთვნის სხვა და სხვა სრონიკების ცნობებისა დ.სხვა არაფერი. მესხური დაჯითნის სრონიკა

ერთი უმთავრესი წყაროა სსენებული სწონიკებისა. სსვა-
წყაროები ჩვენ არ ვიცით ჯერ ჯერობით, მაგრამ ერთის
შესახებ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სსენებულ სწონიკებში
ისეთი ცნობები არიან შეტანილნი, რომელნიც გელათში
უწერიათ. ამ სწონიკებში ჩვენ ვპოულობთ ასეთ ფრაზებს:
„ქკს“ „სზ“ (1519). მიიცვალა დიდის მონასტრის გენა-
თის მოძღვართ მოძღვარი ილარიონ პატრონი, თვესა მა-
ისსა ე, და გორის-ჯვართ აქა გელათს მოასვენეს, 1).
„მასვე დროსა (1529 წ.) ამავე პატრონმა (ე. ი. მეფე-
მან ბაგრატ) განაჩინა სონელ ეპისკოპოსად მიჩხეთისძე
მანოელ, ამავე აფხაზეთის კათალიკოსისა (აბაშიძის) გე-
ლითა, საყდართა შიგან ბიჭუნტისთა, ქორონიკონი იუ-
სიზ“: წარვედით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა კე-
მოვედით იულისს ე“ 2). ეს ფრაზები ცხადათ უჩვენებენ,
რომ ზემო მოყვანილნი ცნობები ამოღებულნი არიან სწო-
ნიკიდგან, რომელიც გელათში ყოფილა ნაწერი, მწერალი
თანამედროვე ყოფილა მის მიერ მოსსენებული ამბებისა-
და, როგორც ეტყობა, სამღვდელთ პირს ჭკუთნებია. ამ-
გვარათ მერვე წყაროთ მარციის სწონიკისა და შედეგი-
ქართლის ცხოვრებისა გელათის სწონიკა უნდა ჩაითვა-

1) იხ. Chronique géorgienne. Paris. 1831. ქართულ-
ლი: ტექსტი, გ. 5. და შედ. ქ. ცხ., გ. 270.

2) ibid. გ. 6. და აგრეთვე შედ. ქ. ცხ. გ. 271. სა-
ზოგადოთ გენათელებზე და ქუთათელებზე ხშირათ არიან ცნო-
ბები ამ სწონიკებში (იხ. 3. ხრ. გ. 4, 5, 6 და შედ. ქ. ცხ.
გ. 366, 270 271).

ლოს. ხსენებული ხრონიკა, ჩვენის აზრით, ის იმერული „ძველი გარიგების და სამართლის წიგნი“ არის, რომელსაც უჩვენებს ვასუშტი თავის ისტორიის წყაროთ. აი რას ამბობს ვასუშტი ერთ ადგილას ამ გარიგების წიგნის შესახებ: „სოლო უმეტეს განმართლებული სსვათა ჰოვნილთ ქორონიკონებთ გარდა და მოწამე აქა წერილთა ესე არს: რამეთუ ყოველნი აქა წერილნი მეფენი და მთავარნი თამარიდამ სვიმონის ძის გიორგისამდე დაწერილ არიან ძველს გარიგების და სამართლის წიგნსა შინა იმერეთს გელათურსა, რამეთუ ბრწყინვალეს გიორგიდამ გიორგისამდე, ძისა ალექსანდრესა, სწერს: „ეს მეფე მოკვდა, ეს მეფე მოკლეს“. და შემდგომად გიორგისა — „ქართლის მეფე, იმერეთა მეფე, კასთ-მეფე მოკუდა“. აქ ქვეყნით სსხელს-ჭსდებს, ვითარცა „ქართველთ მეფეს გურიელმან სძლო მოსისს. კვთ მეფე ლევან მოკუდა“. სოლო იჭ უჭკეენოდ, „მეფე დიდი ბაგრატ მიიცვალა, ალექსანდრე მიიცვალა“. ამით თნ აჩენს ერთ-მეფობასა და გაყრასა გონიერმან თჯთ ჭჩისილოს, ვინათგან იმერეთს არს აღწერილი და არა ქვენობით ახსენებს, მას კვალად ერთ-მეფობა ყოფილა [5 შემდგომად განყოფა“ 1). სწორეთ იმ რიგათ არიან ცნებები აღნიშნულნი ჰარიყის ხრონიკაში, როგორც ვასუშტი სწერს და მაგალითებს უჩვენებს ხსენებულ ხრონიკაში იკითხულობთ: „ქკსა „პ“ მეფე გიორგი მეგრელთ მოკლეს ქკსა „პგ“ დიდი მეფე ბაგრატ გარდახ და. ქკსა „ჟ“ მეე კოსტანტინე ჩალაღნს მოკლეს. ქკსა

1) იხ. ქ. ც ტ. II, გ. 8, შენ. 1.

„რეთ“ მოკლა კახთა მეფემან გიორგი მამა მისი მეფე
 ალექსანდრე და მძას თვალები დასთხარა, დიმიტრის. ქვსა
 „სა“ ქართლის მეფე დავით და კასი მეფე გიორგი მუსხანს
 შეიბნეს, ქვსა „რეთ“ მეფეთ მეფე ალექსანდრე მიიცვალა.
 ქვსა „საჟ“ მეფე კახთა ლეონ მიიცვალა¹⁾. როგორც
 მკითხველიც შედავს, ეს ის ფრაზებია, რომელთაც ვახუშ-
 ტი უჩვენებს გელათის გარეგნების და სამართლის წიგნიდ-
 გან. ამიტომაც საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ სხვენებუ-
 ლი წიგნის ისტორიული ცნობები შეტანილნი არიან შა-
 რიყის ხრონიკაში, და შედეგი ქართლის ცხოვრებაში.
 გელათის ხრონიკა, ჩვენის აზრით, უნდა იწიქებოდეს შა-
 რიყის ხრონიკაში, თავიდან და თავდებოდეს იქ, საიდგა-
 ნაც იწიქებან. მესხური ხრონიკის ცნობები. მართლაც და
 ეს ნაწილი შარიყის ხრონიკისა (გ. 1—10) შეიცავს
 უმეტეს შემთხვევაში ისტორიულ ცნობებს დასავლეთ-სა-
 ქართველთა შესახებ და ამ ნაწილში ვპოულობთ ჩვენ იმ
 ფრაზებს, რომელთაც ვახუშტი უჩვენებს ხოლო შედეგი
 ქართლის ცხოვრების ცნობები ბევრათ უფრო ვრცელნი
 არიან შარიყის ხრონიკის ცნობებზე. ამ რაგიერთი ამბები
 ძრიელ დაწვრილებით არიან აღწერილნი, რაგიერთი ისე
 მკაფიოდ და ქრონოლოგიურად არიან აღხმუნლნი, რო-
 გორც შარიყის ხრონიკაში. ეტყობა, მა შემადგენელს
 გელათის ხრონიკის გარდა ბევრი სხვა წიგნებიც ქვსანი
 ხელში.

¹⁾ Chron. géor., ქართული ტექსტი, გ. 1, 4, 10.
 შედეგი ქართლის ცხოვრებაში ქრონიკონს რეთ“-მდის მო-

მაგრამ შედეგი ქართლის ცხოვრება, როგორც მოვიხსენიეთ, თავდება 1614 წლით, სოლო შარბიის ხრონიკა მოყვანილია 1703 წლამდე. ცნობები უკანასკნელი ხრონიკისა, რომელნიც ეხებიან მეჩვიდმეტე საუკუნეს, უფრო გრცლათ არიან მოთხრობილნი ¹⁾, და ეჭვი არ არის, რომ ესენიც უცვლელათ არიან ამოღებულნი ისეთ ხრონიკებიდან, რომელნიც მოთხრობილ ამბევების თანამედროვე შიკებს უწერიან. ერთი ნაწილი ამ ცნობებისა უსათუოდ შეიტყვეს დიდ მოურავის სააკაძის წერილებს, ანუ დღიურს. ეს ცხადათ სჩანს იმადგილიდან, სადაც მოთხრობილია მეთუ ლუარსაბის გამარჯვება თათარსანზე 1609 წელს. თათბირის შესასებ ამ ბრძოლის წინ ჩვენს ხრონიკაში ვკითხულობთ: „ჩვევა დავიწყეთ, რა დროს შევიბნეთ, ზოგთა თქვეს, ახლავ მიუსდეთო; ზოგთა თქვეს, ზევით მოუსდეთო; ნუგზარ თქვა, ღმით დავკსნათო, მთის კაცი ასე არჩევსო, ბევრჯელ გაგმარჯვებიაო; სხვათა თქვეს, დილაზედ დაუსდეთო; დიდმან მოურავმან ვარჩივე. „მმანო დამიჯერეთ, ეს რამი მე დამადევითო, ჩემი საქმე დღეს იქით ანდაზათ დაიჭირეთო და თვალი მივდეთო, როგორ დევიკით შევიდეთო, დილაზედ რაზმი დავაწოთ და, სადაც დგანან, აქეთ ნაპირს თსრილი წაუვლიათ, და მეთოთვე თსრილის შირს გაურჩივით და ჩვენ რაზმი დავაწოთ“ ²⁾.

ხსენებული იმბევები არ მოიპოვებინ და ქვემო ქორონიკონებში აღნიშნული ცნობები ძრიელ ვრცელ მოთხრობებში არიან ჩამატებულნი (იხ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 266, 268 287).

¹⁾ იხ. Chron. géor. ქართული ტექსტი, გ. 31—112.

²⁾ ibid. გ. 42.

აქ დიდი მოურავი; როგორც სედავთ, თავის თათბირს
 გვატყობებს, ქვემოთ ის თავის ქველბაზე, მამაცობაზე და
 განკარგულებაზე მოგვითხრობს. ომის გამგე ამ დღეს,
 როგორც ეტეობა, ის ყოფილა და მის თათბირზე დამუხ-
 რებულან, თვით ომს დიდი მოურავი ასე აგვიწერს:

„წაკედით საომრად, მეთათვე თსრელის პირს მიუყე-
 ნეთ და ჩვენ ზეიღამ მოუხედით, მეთათვემ დაუშინა თსრი-
 ლიღამი. იმათ რომ თათვი შეაყარეს, მას უკან ჩვენ შეკუ-
 ტივეთ, მაგრამ ჩვენზედ ექვსი ზომით ნამეტნავი იყო იმა-
 თი ჯარი. რაზმი გავმართე, გაურჩე და შეკუტივე, სის-
 ქე ჯარს მიუხე დიდის ხლომით და ჩამოეჭყარე. მეფე გულ
 სრულათ მობძანდა და შუბს ვისცა შესცემდა, იგი მისგან
 გამტკვერდებოდა, ფიცსლათ იბრძოდენ ქართველნი. ომი
 გასშირდა და თათვის სროლა, და კინც უკან ჯარი და-
 ჩომილ-იყო, ომში ისინიც მოგვესწრენ. ჩემი დილ მძულს
 კვესნა, მაგრამ ვისაც შუბი შეესცი, უნაგირში კვლარ და-
 გის, და სითაც შეკუტივედი, შეკამწუნებდი, და შეკამინებდი,
 გოცო გულ მოყვრად, კიბრძოდი სწორად, რაზმ შუა ვბრუნე-
 დი და ჯიღიანს უფრო შეკუტივედი და მოკველდი, სამი შუბი
 გამიტყდა, მას უკან ღასტით ვიბრძოლე, ღასტი გამიტყდა
 და ხმალი ამოვიღე. იბრძვიან ერთ პირ ქართველნი, ხმა
 არის ჩხარა-ჩხურისა. თათარსნის ჯარი გაწუვიტეს. მეფისა-
 თვის თავს. ვინ დაზოგავდა, და დიდის ომისაგან და
 ცუდისაგან ქუხილის მსგავსი იყო ჩვენი ბრძოლა, შუბით
 იყო მათი ბრძოლა, თარ-ხმალ ისრითა, და მეფე დილ
 ჯარგა ბრძანდებოდა, ბევრი კაცი ჩამოეყარა. დილას
 შებმული ცხრა საათამდე (სქთამდე) ომი იყო. მამინდელს

გამარჯვებას. მართლაც ენა ეკრ იტყვის. და მწარეს ისარს ისწოდეს და შებები ექარაო, და თორმეტი კაცი მარტო მე დამჩნა, გავკეძარჯვებ, ამოვსწყვიტეთ, და რაც მეფეს და ქართველთ უფლობდა, ეკელა ისრე ვქენით, და თავმა მოდენა დაიწყო მეფეს წინა. ამისთანა გამარჯვება არ მინასავს“ 1).

ეს და ზემო მოყვანილნი სტრიქონები ეჭვს აღარ უნდა ბადავდენ ჩვენში, რომ ავტორი ამ მოთხრობისა დიდი მოურავია, მაგრამ სად იწყება მისი მოთხრობა ჰაჩიკის სრონიკაში და სად თავდება, გადაჭრით არ შეგვიძლია თქმა. შეგინიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენის მოსაზრებით, ის ცნობები, რომელნიც ჰაჩიკის სრონიკაში დიდ მოურავის თავგადასავალს ესებიან, თვით დიდი მოურავის დღიურიდან უნდა იკუნენ ამოდებულნი 2). ამიტომაც ეს ამბუები დაწერილებით და უფრო დიდი მოურავის სასარგებლოდ არიან მოთხრობილნი.

ამგვარათ ჩვენ ესლა სამი წყარო ვიციით ჰაჩიკის სრონიკისა. ერთი არის გელათის სრონიკა, ანუ ის ძველი იმერული გარიგების და სამართლის წიგნი, რომელსაც განუშტი იხსენიებს თავის ისტორიაში. მეორე არის მესხური დავითნის სრონიკა და მესამე დიდი მოურავის სააკაძის სრონიკა, ანუ დღიური. პირველი ორი მათგანის ცნობები შეტანილნი არიან შედეგი ქართლას ცხოვრების სრონიკაშიც, რომლის ტექსტი, განსაკუთრებით მეგრე-

1) *ibid.* გ. 43

2) *Chron. géor.* ქართული ტექსტი, გ. 37—56.

„ლიის ვარჩანტში, ძრვიელ კარგათ არის შენახული და დედანთან ახლდა. შარნიის სრონიკაში, ანუ უკეთ ვსთქვათ, ამ ვარჩანტში, რომელიც მხოლოდ შარნიში მოიპოვება. ტექსტი ალაგ ალაგ გარყენილია უმეტესად გადაწერის მიერ. ამიტომაც ძრვიელ საჭიროა მოიძებნოს ჩვენში სხვა უკეთესი ვარჩანტი ხსენებული სრონიკისა, რომელიც შედეგი ქართლის ცხოვრებითურთ ერთ უმთავრეს წყაროს შეადგენს ჩვენი ისტორიის მეორე ნახევარის პერიოდისა.

დასასრულ საჭიროთ ვრაცხთ შევნიშნათ, რომ ჩვენ მიერ პირველათ გამოცემული სრონიკები თითოეული ცალკე და უკვლანი ერთათ საუკეთესო მასალას შეადგენენ ჩვენი ისტორიისა. უმეტეს შემთხვევაში სხვა სრონიკები და მატრიანნი, როგორც უჩვენეთ, ამ წყაროებზე არიან დამუარებული. ამას გარდა სამივე თითქმის ერთი ერთმანეთის გაგრძელებას შეადგენენ, და ამისათვის განვიზრახეთ ჩვენ მათი ერთ წიგნთ გამოცემა ¹⁾.

ასეთი სრონიკების გამოქვეყნება, მათი შედარება სხვა სრონიკებთან და ისტორიულ ცნობებთან, სხვა და სხვა მანუსკრიპტების ცნობაში მოყვანა და მათი ისტორიული ცნობების განმარტება, გუჯრების შეგრძელება და გამოქვეყნება, სხვა და სხვა ისტორიული წარწერების გარჩევა, აგრეთვე განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა ახლ მასალას გვაძლევს თითოეული.

¹⁾ აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნათ, რომ სამივე ეს სრონიკა რუსულათავე გამოიცემა ჩვენ მიერ.

ამგვარი წყარო, და საზოგადოთ ასეთი მასალების შეძ-
ლებისამებრ კრიტიკულათ შესწავლა, — აი რა მიგვა-
ჩნია ჩვენ, ჯერ ხანად მაინც, უკვლავად უსაჭიროესად
ჩვენი ისტორიისათვის. ჩვენი ისტორიოგრაფიის უხლანდე-
ლი მდგომარეობა ასეთ შრომას თხოულანს ჩვენგან. ამ-
გვარი მასალების შეკრებას უნდა დაეწიოს უკვლანი, ვი-
საც გული შესტკივა სამშობლო ისტორიისათვის, და შეძ-
ლებისამებრ ამგვარ შრომაზე იქმნება მიჭრული ჩვენი
უურადღესაც.

ექვთიმე თაყაიშვილი.

15 ივლისი
1890 წელი.



მოქცევაჲ ქართლისაჲ

შირველ, ოდეს აღუქსანდრე ¹⁾ მეფემან ნათესავნი იგი ღოთის შვილთანი წარიქვინა და შკაჲდნა ივინი კუდარსა მას ქვეყანასა, იკილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი ²⁾, მსსდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მისუჟით, ოთს ქაღაქად, და დაბნეუბი მათი:

მოქცევაჲ ქართლისაჲ (

1) აქ საუბარი არის აღუქსანდრე მკეფდონელზე.

2) ბუნთურქნი, ანუ თურქნი ქართლის ცხოვრებაშია ცხატნებთან. ისინი ქ. ცხ-ს თქმით მოვიდეს საქართველოში სპარსეთის მეფის ქაიხოსროს დროს: „მასვე უამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან; გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოუვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა (რუმინაევის ვარაიანტით 28,000) და ეზრანეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქვეს შეწევნა სპარსთა ზედა, ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათი თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა და შემწეობისათვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოცხატულნი და განიყვანეს ყოველსა ქალაქთა შინა. ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოეს ადგილი ერთი, მცხეთას დასავლით კერძო, კლდეთა შორის გამოკვეთილი, ღრმა, და მოითხოეს ადგილი-იგი მცხეთელის მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტყიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“ (ქ. ცხ. ტ. I, გვ. 25).

115 - სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრავე
და ციხენი მათნი: ციხს-დიდი, სარკინისაჲ, უფლის-
ციხს, კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა ¹).

და უკვირდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებო-
სელთა ნათესაენი იყვნეს, ყოველსა კორციელსა ქაიდეჲს,
და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შესჭამდეს ²). . . .
და ვერ ეძღო ბრძოლას მათი შეფესა და წარვიდა.

¹) აქ ჩამოთვლილი ქალაქები და ციხენი, როგორც სჩანს, სწერია ბუნთურქებს. ქართლის ცხოვრებაში ერთად არის ჩამოთვლილი ყველა ქალაქები და ციხეები, რომელნიც მაშინ მოიპოვებოდენ საქართველოში, და მკითხველს არ შეუძლია განარჩიოს, რომელი მათგანი იყო საკუთრათ ქართველების, და რომელში სჭარბობდენ ბუნთურქნი (იხ. ქ. ცხ. გვ. 26).

²) ამას შემდეგ დედანში ერთი სტრიქონი განგებ ამოფხეილია. აქ ჩამოთვლილი ამბების შესახებ ქართ. ცხ-ში შემდეგს ვკითხულობთ: „ესე (ალექსანდრე) გამოვიდა დასავლით და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოდ, გარდმოვილო კაქასი და მოვიდა ქართლად: და ჰპოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულით, რამეთუ ცოლ-ქრმოპისა და სიძვისა-თჳს არა ეჩნდათ ნათესაობა, ყოველსა სულსა ჭამდეს, მკუდარსა შესჭამდეს. იხილა რაჲ ესე ნათესავნი, სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩვენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსნდომარენი მდინარესა ზედა მტყურისასა მიხვევით; და უკვირდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს ამას“ (ქ. ცხ. გვ. 26). აქედგან ცხნადათ სჩანს, რომ ის ზნე და ჩვეულებანი, რომელნიც ჩვენი ხრონიკის სიტყვით ბუნთურქთ ჰქონიათ, ქართლის ცხოვრების შემდგენს ქართველებისთვის მიუთვისებია, რათა ამით დაეშვირებინა ქართველების წარმატება და კულტურა ქრისტეს სჯულის მიღებად.

მაშინ მოვიდეს ნათესაჲნი შიშმოღსნი, ჭაღდგუჯთა
გან გამოხსმულსნი; ჰონნი და ითხოვეს ბუნთ-გორქთა უფ
ლისაგან (ოღისაგან) ქუეკა სარკითა და დასსდეს იგი-
ნი ზანავს. (ზანავს - ჯანავს.)

და ეპუათ იგი, რომელ სარკითა აქუნდა, ჭაღდგან
მას ხერკი ¹⁾. და შემდგომად რაოდენისამე უამისა,
მოვიდა აღიქსანდრძ, მეივს ეოკლისა ქუეხანისაჲ
(ქუეხანისაჲ), და დაღეწნა სამნი ესე ქალაქნი და ცისენი,
და ჰონთა დასცა მასული. (ამხარა - რამხარა - ს.)

ხოლო სარკინესა ქალაქისა ებრძოლა ათ-ერთმეტ
თოქს, და დაღცა სარკინესა დასაგალით კერძო,
და დასცა კენაკი, და რეჲ (როჲ) გამოიღო ქანით, და
დასსნა კანნი მერეჲნი დასტაგითა რუისაჲთა, და ჭაღდგან
ადგილსა მას ნასტაგისი ²⁾. (საიჲნი ნიშნუნი სანავს
155 - სუ სანავს)

და მერეჲ გამოიღო სარკინე: თუთ დაეკარეს და
ვირე იქ ბუო - გ.

¹⁾ ქ. ცხ.: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფეჲან წარმო-
სტყვენა იე ჯუსაღიში და მუნით ოტეებულნი ურიანი მო-
ვიდეს ქართლს, მოითხოვეს მცხეთელ მამასახლისისაგან ქუეხანა
სარკითა, ხოლო მცხეთელმა მამასახლისმა მისცა და დასსნა
არაგუსა ზედა, წყაროსა რომელსა ქვიან ზანავი, და რომელი
ქუეხანა აქუნდა მათ სარკითა, აჲ ქვან ხერკ სარკისა ნისთუს“
(ქ. ც. გვ. 25).

²⁾ ქარ. ც-ში „ნასტაგისი“, მარიამ დედოფლის ვარიანტში
„ნასტაგი იგი(?)“. რუის გამოღებაზე ქართლის ცხოვრება არას
გვეუბნება. სიტყვა „ნასტაგი“ არც ერთ ლექსიკონში არ მოი-
პოვება, მაგრამ აქ, როგორც აზრითა სჩანს, ნასტაგი ნიშნავს
ქირას.

შეოტ იქმნეს. და თანა ჭეუანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჯ, ძს არან ¹⁾ ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად, და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი, და ეგრის წყალი, და სომხითი, და მთაჲ ცროლისა, და წარვიდა ²⁾.

ხოლო ესე აზოჯ წარვიდა არან ქართლად, მამისა თჳსისა, და წარმოიყვანა რვაჲ სასლი და ათნი სასლნი მამა მძებეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას ³⁾, და თანა ჭეუანდეს გერზნი ღუთად (ღთად)—გაცი და გაიმ.

¹⁾ ეს არან ი. არც ქ. ც-ში და არც სხვა ჩვენი ისტორიის წყაროებში არ არის ცნობილი. ქ. ცხ-ს თქმით ალექსანდრეს შემოსვლის დროს მცხეთაში იყო მამასახლისი სამარა (ქ. ცხ. გვ. 29).

რაც შეეხება აზოჯს, ეგ უდრის ქართლის ცხოვრების აზონს, რომელიც, ჩვენი მატინეს გადმოცემით, იყო ტომით ბერძენი, ძე იარედოსისი, და რომელიც ალექსანდრემ დაადგინა ქართველთა ზედა ერისთავად, ანუ პატრიკად (ქ. ცხ. გვ. 27).

²⁾ ეგ საზღვრები ქართლის ცხოვრებაში არ არიან ნაჩვენები, ქართლის ცხოვრება მხოლოდ ამბობს: „და დაიპყრნა (აზონმა) ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ბერდუჯის მდინარიდგან, ვიდრე ზღვაჲდეს სპერისა. დაიპყრნა ქართლსა ზედა ეგრისიცა და მოხარვე ყუნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი“ (ქ. ცხ. გვ. 28).

³⁾ ახლად ნაპოვნი ნინოს ცხოვრება ძუელ მცხეთას კლდის დასასრულ უჩვენებს: „აღვიღე და წარმოვედ წინაყრმოდასასრულსა მის კლდისასა, სადა ძუელ ქალაქი ყოფილიყო, და მას ადგილსა ყოფილარს ციხე“.

- ა. და ესე იყო პირველი ¹⁾ მეფე მცხეთას შინა აზოცა,
ძს არან ქართველთა მეუისაჲ, და მოკუდა.
- ბ. და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ ²⁾. ამან აღმართ-
თა კერპი დიდი ცხურსა ზედა (ცხურსა ზა) ³⁾ და დას-
დვა სასელი მისი არმაზი, და მოქმნა ზღუდე
წყლით კერპო, და ჭრქან არმაზ ⁴⁾.
- გ. და შემდგომად მისა დადგა მეფედ საურმაგ ⁵⁾.
ამან აღმართა კერპი ადინა გზასა ზედა და იწ-
ყო არმაზს შტნებად ⁶⁾.

¹⁾ აქ უნდა ვიგულისხმოთ პირველი ალექსანდრეს შემო-
სვლიდგან.

²⁾ ეს ფარნავაზი, აქამომდე პირველ მეფედ ცნობილი,
ქართლის ცხოვრების თქმით „იყო მამულად ქართველი, ნათე-
სავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა, და დედულად სპარსი
ასპანელი და იყო იგი ძმისწული სამარასი, რომელი მოსლ-
ვასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასანლისი ყოფილ-იყო“
(ქ. ცნ. გვ. 29).

³⁾ აქ ლაპარაკია კლდის ცხვირზე, ანუ ჩამოზეულ სერ-
სერზე.

⁴⁾ ქ. ცნ.: „ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა
მტკიცედ . . . და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი
სახელსა ზედა თჳსსა, ესევე არს არმაზი, და ფარნავაზს სპარ-
სულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზე-
და ქართლისასა, რომელსა მიერთ-გან ეწოდა არმაზი კერ-
პისა მისთვის, და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმარ-
თებულისა“ (ქ. ცნ. გვ. 32).

⁵⁾ ეგ საურმაგი ქართლის. ცხოვრების თქმით არის
შვილი ფარნავაზისი.

⁶⁾ ქ. ცნ.: „და დასდდა საურმაგ მცხეთას მეფედ და უ-

- დ. და მისა შეიჭრომად მეფობდა მირვან¹⁾ და აღ-
მართა დანიინა²⁾ გზასა ზედა წინაწს, და აღა-
შენა არმაზი.
- ე. და მეფობდა თარნაჯობ³⁾ და აღმართა კერპი
ზადენ მთასა ზედა, და აღაშენა [ზადენი]⁴⁾.

მატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისათა, და ქართლისათა, და მან
შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა; და ამართნა გზასა
ზედა მცხეთისასა“ (ქ. ცხ. გვ. 33).

1) ქ. ცხ-ის თქმით ეგ მირვან იყო ნებროთიანი, ე. ი.
სპარსი, რომელც იშვილა საურმაგმა, რადგანაც მას არა
ესვა ძე: „მაშინ მოიყვანა სპარსეთით შვილი ნებროთისი, ნათე-
საკისაგან ცოლისა მისისა, დედის დის წული, და დაიჭირა იგი
შვილად, რომელსა სახელი ერქვა მირვან“.

2) ჩვენ წინა შენიშნიდგან დავინახეთ, რომ ქართლის
ცხოვრება ამ ქერპს დანანად უწოდებს და მის აღდგენას მია-
წერს საურმაგს და არა მირვანს. მირვანისაგან არმაზის
აღშენებაზე ქ. ცხ-მა არას გვეუბნება, ხოლო დარუხანდის კა-
რის გაკეთებას ამავე მირვანს მიაწერს: „და შევიდა მირვან
დურძეკეთს, და მოაოხრა დურძეკეთი და ჭართალი, და შე-
აზნა კარნი ქვით-კირითა, და უწოდა სახელად დარუხალი.“ (ქ.
ცხ. გვ. 34).

3) ქ. ცხ-ით თარნაჯომ, შვილი მირვანისი.

4) ეგ უკანასკნელი სიტყვა ამოშლილია დედანში და არ
განიჩნევა სრულეობით, მაგრამ რომ აქ ზადენი უნდა, ეგ სჩანს
ქართლის ცხოვრების შემდეგი ადგილიდგან: „ამან (თარნაჯომ)
უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენებაჲ, და ამან აღაშენა ციხე
ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ“ (ქ. ცხ. გვ. 34).

3. და შეუობდა არს¹⁾ [აჲ] [აჲ] ქალაქსა წლუდენი მოაქმნსა²⁾.

4. და შეუობდა არიკ³⁾, რომელმან შიდა-ცისკ ჯღაშენა არმაზსა.

¹⁾ ამ სიტყვის ბოლო და შემდეგი სიტყვა აქედანში არ განირჩევა: ტყავი დაკრულიყო ზედ და ასოები გადასულია, და პერგამენტის ერთი კუთხეც წაჭრილია. ჩვევის სახელის სიტყვიდან დარჩენილია მხოლოდ „არს“, რომელიც ჩვენ არს(აჲ)ად დაკმათარეთ, რადგანაც ქართლის ცხოვრებაში ეგ მეფე არ შაკად იწოდება: არ შაკი და არსაკი—ერთი და იგივეა. ეგ არ შაკი, როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, იყო სომეხთა მეფის (არ და შეზის) შვილი და ცოლად ყავდა ქართველთა მეფის მიჩრვანის ასული. არ შაკი მოიწვიეს საქართველოს ტახტზე ფარნაჯომის განდგომილმა ერისთავებმა, რადგანაც ფარნაჯომმა შემოიღო ცეცხლის მსახურება, ე. ი. „სჯული მამული, და დაუტყვა სჯული დედული“ (ქ. ცხ. გვ. 34—35).

²⁾ ქ. ცხ.: „ამან (არ შაკ) დაიპყრა ყოველი ქართლი და შეუობდა ნებიერად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა, და უმეტეს მოამტკიცა წლუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას“ (ქ. ცხ. გვ. 35).

³⁾ ქ. ცხ. ამ მეფეს უწოდებს არტაგს, ხოლო უცხო ტომთ მწერალნი აპვიანი, ფლორი და დიონ კასსი არტოკად (Ἀρταχίδε), Arthoces (Ἄρθωκος). ნახე Гапа, Извѣстiя древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ, стр. 165, 172. Brosset. Hist. de la Géorgie t. I. p. 49. ეგ არტაგი ქ. ცხოვრების თქმით იყო მე არ შაკისა. შიდაციის აშენებას ქ. ცხ. არ მოიხსენიებს განსაკუთრებით, მხოლოდ საზოგადოა¹⁾ ამაბობს: „განამაგრნა ციხენი და ქალაქნი“ (ქ. ცხ. გვ. 35—36).

- ვ. და მეფობდა ბრატმან ¹⁾, რომელსა-ზე მცსეთას
ქალაქი დაეწყო ²⁾.
- თ. და მეფობდა შირვან და მან აღაშენა მცსეთა ქა-
ლაქი ³⁾.
- ი. და მეფობდა არსუკ ⁴⁾, რომელმან კასპი შეიპყრა
და უფლის-ცინე განაგო ⁵⁾.
- ია. და მეფობდა როკ ⁶⁾, რომელმან რამთურთით ⁷⁾
მცსეთაჲ გაიშორა. და მეფობაჲ ორად გაიყო,
ორნი მეფენი დასსდეს იმაერ და ამიერ ⁸⁾.

¹⁾ ქ. ცხ-ბით ბარტონ, ანუ ბარტომ, ძე არტაგისი.

²⁾ ამ საგანზე ქართლის ცხოვრება არას გვეუბნება.

³⁾ შირვან იყო ქ. ცხ-ის თქმით თარნაჯომის შვი-
ლი, რომელიც აღზდილ იყო სპარსეთს; მისგან მცხეთის აღშე-
ნებას ქართლის ცხოვრება არ მოიხსენიებს.

⁴⁾ ქ. ცხ-ით—არშაკ, ძე შირვანისი.

⁵⁾ კასპის შეპყრობაზე ქ. ცხ. არას ამბობს, ხოლო უფ-
ლის-ცინეზე მოგვითხრობს: „ჰმატა სიმაგრესა უფლის ცინისასა“

⁶⁾ ქ. ცხ-ბით—დერკი, ძე ბარტომისი. ამ აღერ-
კის დროს მიაწერს ქართლის ცხოვრება იესო ქრისტეს
გამოჩენას, ქადაგებას და სიკვდილს, და აგრეთვე ანდრია
მოციქულის ქადაგებას საქართველოში. ანღათ აღმოჩენილი ნი-
ნოს ცხოვრება არ იხსენიებს ანდრია მოციქულის ქადაგებას, მხო-
ლოდ იესო ქრისტეს მოღვაწეობას და სიკვდილს უჩვენებს მეფე
ამაზაკის და არა ადერკის, ანუ როკის დროს.

⁷⁾ რაითურთით, ე. ი. სრულებით.

⁸⁾ ამ ამავეს, ე. ი. ორ—მეფობის დამყარებას საქართვე-
ლოში, ქართლის ცხოვრება მოიხსენიებს იმავე ადერკის
დროს და ასე მოგვითხრობს: „და ვიდრე ადერკისა მეფო-

იბ. და მეფობდა ქართამ ¹⁾ არმაზს, და მცხეთას ბრატმან ²⁾, და ამითა ჟამთა ჰურნიანი მოვიდეს მცხეთას და დასსდეს ³⁾.

იგ. და მეფობდა იმიერ თვარსმან და იმიერ კაოზ ⁴⁾.

ბამდე ქართლს ერთი დაუდის ქართველთა მეფედ, რაზომცა მრავალნი იყუნინან შუილნი მეფეთანი. ხოლო ამას ა დ ე რ კ ი ს ესენენ ორნი ძენი, რომელთა განუყო ქალაქი მცხეთა და ქვეყანა მტკუარსა: შ ი დ ა ქ ა რ თ ლ ი, მ უ ხ ნ ა რ ი თ კ ე რ ძ ი ქ ა ლ ა ქ ი, და ყოველი ქართლი, მტკუარსა ჩრდილოეთით, ჰურეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა, ესე მისცა ბ ა რ ტ ო მ ს, უხუცესსა ძესა თვსსა. ხოლო ა რ მ ა ზ ი თ კ ე რ ძ ი ქ ა ლ ა ქ ი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანით-გან ვიდრე თავადმდე მტკუარისა, და კლარჯეთი, მისცა ქ ა რ თ ა მ ს, ძესა თვსსა ურწყემესსა. ამ გვარი გაყოფა აქვს სახეში ჩვენ ხრონიკასაც, როდესაც ამბობს იმიერ და იმიერ. „იმიერ“ ნიშნავს მტკვარის მარჯვენა მხარეს, ანუ სამხრეთ კედაროს მტკვარისა, სადაც თავ ქალაქად იყო არმაზი, ხოლო „იმიერ“ ნიშნავს მტკვარის მარცხენა მხარეს, ანუ ჩრდილოეთ კედაროს, სადაც თავ ქალაქად იყო მცხეთა.

¹⁾ ქ. ცხ.: ქ ა რ თ ა მ.

²⁾ ქ. ცხ.: ბ ა რ ტ ა მ.

³⁾ ქ. ცხ. ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: „ხოლო ამითა მეფობასა უ ე ს კ ა ს ი ა ნ ო ს, ჰრომთა კეისარმან, წარმოტყუესნა ი ე ლ უ ს ა ლ ი მ ი და მუნით ოტებულნი ჰ უ რ ი ა ნ ი მოვიდეს მცხეთას და დასსდეს ჭველადემ მოსრულთა ჰურითა თანა, რომელთა თანა ერთხეს შვილნი ბარაბასნი, რომელი იფუარ-ცმას უფლისასა განუტევეს ჰურითა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი წილ“ (ქ. ცხ. გვ. 47).

⁴⁾ ქ. ცხ.: „და მოკუდეს ა დ ე რ კ ი ს ძ ე ნ ი ბ ა რ ტ ო და ქ ა რ თ ა მ, და მეფე იქმნეს შვილნი მათნი: არმაზს და დედა“

- იდ. და შეუობდა იმიერ არსოკ და ამიერ ამაზანერ ¹⁾;
იე. და შეუობდა იმიერ ამაზანს და ამიერ დერუკ ²⁾.
იგ. და შეუობდა იმიერ თარსმან ქველი და ამიერ
თარსმან ავაზ ³⁾.
იზ. და შეუობდა იმიერ (ამიერ?) ⁴⁾ როკ ⁵⁾ და ამიერ
მირდატ ⁶⁾, და ამისა-ზე მოაკლდა არმაზისა-მე-
უფოა (sic) და მცხეთას თდენ იყო შეუობა ⁷⁾.
იშ. და შეუობდ ღადაში ⁸⁾ და დღე კ ⁹⁾.

ფარსმან, და შიდა ქალაქა (ვარიანტი: შიდა-ქართლსა)
გაოს. (ქ. ცხ. გვ. 47).

¹⁾ ქ. ცხ.: „დასხდეს მეფედ შემდგომად მათსა შვილნი
მათნი: არმაზს აზოკ, და შიდა ქალაქსა (ვარიანტი: შიდა
ქართლსა) არმაზაელ.“

²⁾ ქ. ცხ.: „და შემდგომთ მათსა შეუობდეს შვილნი მათ-
ნი: არმაზს ამიანს და შიდა-ქართლს დეროკ“.

³⁾ ქ. ცხ.: „შემდგომთ მათსა შეუობდეს შვილნი მათნი,
არმაზს ფარსმან ქულე, და შიდა-ქართლს მირდატ.“
ამ გვარად ქართლის ცხოვრებაში გამოტოვებულია ფარსმან
ავაზ. მირდატი ჩვენს ხრონიკაში შემდეგ მეფეთ. მოიხ-
სენიება.

⁴⁾ აშკარაა, რომ აქ ამიერი შეცთომითი არის დაწერილი.

⁵⁾ ამ მეფესაც არ უჩვენებს ქართლის ცხოვრება.

⁶⁾ ეს მეფე, როგორც ვხანხეთ ქართლის ცხოვრებაში ფარ-
სმან ავაზის მაგიერ არის ნაჩვენები.

⁷⁾ ორ მეფობის შეწყვეტას ქ. ცხ. ფარსმან ქვე-
ლის და მირდატის დროს მოიხსენებს, ეს ამავე ქ. ცხ.-
ში გრცლათ არის ნაამბობი (ნახ. ქ. ცხ. გვ. 52).

⁸⁾ ქ. ცხ.: ადაში, ძე თარსმან ქველისა.

⁹⁾ ესე იგი შეუობდა ღადაში ოცი დღე. ქართლის

თ. და ფარსმან ¹⁾, კ და ამაზასპ ²⁾, კა და რევ
მართალი ³⁾, კბ ვაჩე ⁴⁾, კგ ბაკურ ⁵⁾, კდ
მირდატ ⁶⁾, კე ასფაგურ ⁷⁾, კვ ლევ ⁸⁾, მა-
მაჰ კ'ს მირვანისი ⁹⁾. ესე ოცდა რენი (?)

ცხოვრების თქმით ა დ ა მ მ ა სამი წელი იმეტა (ქ. ცხ.
ბვ. 54).

¹⁾ ქ. ცხოვრების თქმით ფარსმანი, ძე ა დ ა მ ის ი,
ეროი წლის იყო, როდესაც მამა მოუკვდა, და ვიდრე აღიზრდე-
ბოდა მეუობდა მამის დედა მისი, ცოლი ფარსმან ქველისა, რო-
მელსა ერქვა და დანა (მეგრულის და მარიამ დედოფლის
ვარიანტებით ღა დ ა ნ ა).

²⁾ ქ. ცხ.: ა მ ა ზ ა ს პ, ძე ფარსმანისი.

³⁾ ქ. ცხ.-შიაც რევ მართალი, ძე სომეხთა მეფისა.

⁴⁾ ქ. ცხ.: ვ ა ჩ ე, ძე რევისი.

⁵⁾ ქ. ცხ.: ბ ა კ უ რ, ძე ვაჩეისი.

⁶⁾ ქ. ცხ.: მ ი რ დ ა ტ, ძე ბაკურისი.

⁷⁾ ქ. ცხ.: ა ს ფ ა გ უ რ, ძე მირდატისი.

⁸⁾ ეგ ლ ე ვ ი არც ქართლის ცხოვრებაში და არც სხვა
ჩვენ წყაროებში არ არის ცნობილი.

⁹⁾ ქ. ცხ.-ით მ ი რ ი ა ნ ი, შემდეგ ჩვენი ხრონიკაც ამ მეფეს
უწოდებს მ ი რ ი ა ნ ს. ეგ მ ი რ ე ა ნ ი, ანუ მ ი რ ი ა ნ ი, ქარ-
თლის ცხოვრების გადმოცემით, იყო ძე სპარსთა მეფისა, ქასრე
არდაშირისა, სასანელისა. მირიანი გამოითხოვეს თავის მეფეთ
ქართველებმა სპარსთა მეფისაგან. სპარსთა მეფემ, ქართლის
ცხოვრების თქმით. „აღუსრულა ყოველი იგი სათხოველი ქარ-
თველთა, და მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმაჲ, და მო-
ვიდა მცხეთას, და მიეგება მ ა ი უ ა ნ ს პ ა ს ჰ ე ტ ი (მაშინ
გამოჩენილი პირი საქართველოში), და ყოველნი ერისთავნი ქარ-
თლისანი. მაშინ მოიკვანეს ასული ა ს ფ ა გ უ რ მეფისაჲ, რო-

მეფენი ქართლს შინა წარმართნი ¹⁾).

და იყო დღეთა კოსტანტინე მეფისათა, ქრისტეს აღმადლებიდან სამას და მათესა წელსა, იყო ლუაწლი ბრძოლისა მტერთაგან, და ფრიად ერეოდეს მეფესა კოსტანტინეს, მესა კოსტაქსსა, და გულ გდუბულ იყო ²⁾.... ურვათაგან კოსტანტი კეისარი ³⁾).

იყო ვინმე კაცი ეფესეთ და წარმოთქვა წინაშე

მელსა ერქვა ა ბ ე შ უ რ ა, და შეკრთო სპარსთა მეფემან ძესსა თვისსა, რომელი მუნ თანაჰყუა, შვიდისა წლისაჲ, ნაშობი მკევილისა, რომელსა ერქვა სპარსულად მ ი ჰ რ ა ნ, და ქართულად მ ი რ ი ა ნ ¹⁾ (ქ. ცხ. გვ. 60). ჩუენი ღრონიკის გადმოცემით, რომელიც უფრო დასაჯერებელია, იმირანი იყო შვილი აქამომდეს უცნობის ქართველთა მეფისა ლ ე ვ ი ს ი.

¹⁾ ავტორი აქ ა რ ა ნ ს ა ც ათღლის და მიტომ გამოდის ოცდა რვა, მეორე ადგილას, წ. ნინ ოს ცხოვრებაში, იმირანი თავის სიკვდილის წინ დაწერილ წიგნში ანბოძს: „რამეთუ ვარ მე ოცდა მეთექუსმეტს მეტს, და მანანი ჩემნი (ჩნი) მოიგლინეს ვიდრე დღეთა ჩემთადმდე“. აქედგან სჩანს, რომ ა რ ა ნ ა მ დ ი ს საქართველოში ყოფილა რვა მეფე, რომელთაც სახელნი, სანწუნხაროდ, არ შენახულა. წერილი, რომელშიაც ეგ ამაჰია მოხსენებული, შეიცავს იმირანის მოწმობას წ. ნინოს საქმეების შესახებ და ქართლის ცხოვრებაში არ მოიპოვება.

²⁾ აქ დედანში ერთი სიტყვა ამოტყვილია, მგონია თვით გადაშწერისაგან, რადგანაც აზრს არ უშლის.

³⁾ ეგ კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე დ ი დ ი, და მოციქულთა სწორი, იყო მ ე კ ო ს ტ ა ნ ც ი ს ლ ო რ ი ს ა. ბრძოლა, რომელსაც აქ ჩუენი ღრონიკა იხსენიებს, უნდა იგულისხმებოდეს კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს და მ ა კ ს ე ნ ც ი ს ბრძოლად. კოსტანტინემ თავის

მეფისა, ვითარმედ „ქრისტეანენი იგი ჰქრომნი და უკუ-
კუნნი ჰქინდლანი, და ვისცა ვის აქვს შჯული იგი ას-
ლი ქრისტეს წმიდისაჲ, ძელითა ჟუარისაჲთა (ჟაჲ-
თა) და მისითა სასოკებითა სძლევენ მტერთა ძღვირად.“

მას ჟამსა აღიძრა მეფეჲ გუნდებითა და წარკვლისა
მოყვანებად ეპისკოპოსთა იზრუსადლიძით, ანტიოქი-
აჲთ, ჰქრომით და აღუქსანდრიაჲთ, და ნათელ ილო-
ძინ თავადმინ და დედამან მისმან ბანაკითურთ ¹⁾.

მით ჟამითგან მეათესა წელსა წარვიდა ელენე იზ-
რუსადლიძად ძიებად შატოხსისა ჟუარისა, და მეათ-
ერთსმეტესა წელსა ივლტოდა დედაგაცი ვინმე მეფეთა ევა-

ბაირალებზე გამოხატა ფეხარი, რომლითაც განამხნევა მრავალი
ქრისტეანები, რომელნიც მის ჯარში მსახურებდნენ, და მით მოი-
გო ომი 312 წელს ქრისტეს შემდეგ. 313 წელს მან გამოა-
ცნადა ქრისტეანთათვის თავისუფლებით აღვიარება მათი სარწმუ-
ნოებისა, თუმცა პირად მას სიკვდილამდის არ მიუღია ქრისტეს
სჯული (კოსტანტინე მიიცვალა 337 წელს). დედა მისი
ელენე დედოფალი დიდხინიდან იყო ქრისტეს ამღვიარებელი
და ქრისტიანობის გამაგრებელი.

1) კოსტანტინესაგან ქრისტიანობის მიღებას ქარ-
თლის ცხოვრება უფარდებს მირიანის და სპარსთა მეფის
ომს კოსტანტინესთან. მისი გადმოცემით, როდესაც სპარსეთში
გამეფდა ძე ბარტამისი, ესე იგი მირიანი სძმის წული,
მაშინ ამ უკანასკნელმა მოუწვია მირიანი და მასთან ერთად გარ-
დაკლო სომხითი და შევიდა საპერსეთად, ვერ წინააღუდგა მას
ბერძენთა მეფე კოსტანტინე, განაგრძობს ქართლის ცხოვრება,
შთაჲარდა მწუხარებასა დიდსა, იწყეს ტყვევად საპერსეთისა,

დაგი, სასულით რიტუაში, რომელსაჲ მიზნისათჳს
დედა მძუძითურთ.

და იყო მისთანა ტუეუ ერთი დედაკაცი შუენი-
ერი, სასულით ნინო, რომლისა საქმს მისი გამოიძია
ეფუენე დედოფალმან, და იყო იგი რომა (sic) მთავა-
რი, და თჳთ მოკლე გზაჲ თჳსი, და კმენეს კურსე-

მაშინ არწმუნეს მეფესა კოსტანტინეს კაცთა ლუთის მსახურთა
და ჰრქვეს: „ინილე საკირველეჲა ქრისტესი და ძლევაჲ მტერ-
თაჲ მოსავთა მისთაგან, ვითარ ყოველნი მოსაენი ქრისტესნი,
წარძღვანებითა ჯუარისთა; სძლევენ მტერთა მათთა“. ხოლო
კონსტანტინე მეფემან ირწმუნა მათი, ვითარცა წერილ არს ესე
განცხადებულად ცხოვრებასა ბერმენტასა, ნათელ ილო კოსტან-
ტინე და წარმოიძღვანა საჲ ჯუარი'ა და ეწყო მტერთა სპარ-
სთა მათ ურიცხვთა, სპითა მცირითა, და ძალითა ქრისტესითა
აოტა ბანაკი მათი, და მოსრა სიმრავლე მათი“. მერმე, ქართლის
ცხოვრების თქმით კოსტანტინე დაეზავა მირიანს, თხოვნისამებრ
მირიანისა და მიველად აღალო შვილი მირიანისი ბაქარ. (ქ.
ცხ. გვ. 63—64): ახალ ნინოს ცხოვრებაში კოსტანტინესა-
გან ქრისტიანობის მიღებაზე შემდეგი ცნობებია: „მაშინ მო-
ხდა უფალმან საბერძნეთსა და რწმუნა მეფესა კოსტანტინეს
და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პა-
ლატმან მათმან, დასაბამითგან წელთა ხუთ-ათას ოთხას
ორმოცდა ოთხსა, ხოლო ქრისტეს აღმადღებობითგან სა-
მას და ათერთმეტსა და წარემართა ყოველი საბერ-
ძნეთი ქრისტეანობასა. მიეშვიდესა წელსა იყო წმიდა კრებაჲ
ნიკეას და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩვენი (ე. ი.
ნინოსი და მის თანამოგზაურებისა) საბერძნეთით, რიფსიმე
დედოფალი და გაიანე და ორმეოცდა ათისული
წარმოვემართენით თუენსა პირველსა (ე. ი. ენენისთვესა) აფ-
ხეთმეტსა“.

ბანი, და მოწვევულ იყო საბერძნეთა, და ჰომოდორიდა მთავარსა მას რითესიმეს.

და ვითარცა წარმოივლტოდა რითესიმე ზღუად, გუანუ და ნინო, და სსკანი ვინმე მათთანა, გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელსა თრდატ მეუისასა, და იგინი იმარტულნეს მუნ. სოლო ნინო დაშთა და წარმოქმართა მათათა კერძო ჩრდილომასათა, და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჭყვა და მოვიდა. მცხნეთად, ჭლანქს დიდსა, მეუეთა საჟდომელსა, და იყო სამ წელ კერეთ, ილოცვიდა თარქლად ადგილსა ერთსა, შებურვილსა ბრძამლითა მაყულისადათა.

და შექმნა სასწ ვუარისადა (ჯ.ა) ნასსლევისადა, და მუნ დაადგრა, და ილოცვიდა, და ადგილი იგი იყო ზღუდესა გარსტან. სოლო მათ მაყულთა ადგილი არს სუძომასა ეკელესიისა [სა]კურთსეველისა ადგილი.

და მეოთხესა წელსა იწყო თქუმად ქრისტე დმერთი და შველი, და „რამეთუ (რ) ჰპო[კე] ცომასა შინა ჩრ[დილ]ომასა ესე ჰქუენადა“. და მე[ქესე]სა წელსა არწმუნა [ცოლ]სა [მე]ფისასა ნანას [სენსა რამე შინა მისსა], და მეშვიდესა წელსა მიფესა არწმუნა საწაუღითა (sic) ქრისტეს მიერითა ¹⁾. და მწრათელ აღაშენა ²⁾ კე-

1) მთელი ეს ზემო მოყვანილი ამბავები ვრცლათ არიან მოთხრობილნი როგორც ქ. ცხ.-ში, აგრეთვე ახლათ ნაპოვნ ნი-ნოს ცხოვრებაში, მაგრამ ეგრე მოკლეთ და მარტივად სწვა წყაროებში არ მოიპოვებინ.

2) აქ უნდა ვიგულისხმოდ: მირიან მეფემ.

ლესიაჲ ქუეჩო სამოთსესჲ შანა, რომელი თჳთ აღე-
მართა.

და კითარცა ლაშენეს კელესიაჲ, წარაკლინა მოცი-
ქელი და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთა მეფისა კოსტან-
ტინესა, თსოკად მღვდელთა. სოლო იგინი მწრათელ
შიიწინეს ¹⁾).

და მოსცა მეფემან იოანე ეპისკოპოსი, და ორ-
ნი მღვდელი, და ერთი დიაკონი, და წიგნი ეფენე
დედოფლისაჲ, და ხსტი მაცხოვრისაჲ, და ძელი ცხოვ-
რებისაჲ ნინოჲსთჳს ²⁾).

და კითარცა მოკიდეს, ნათელი მოიღო მირეან
მეფემან და დედოფალმან, და უოკელმან სასლან მათმან.

¹⁾ ქ. ცხ.: „და ხვალისა დღე წარავლინა მოციქულნი
საბერძნეთად მირიან მეფემან წინაჲ კოსტანტინე მეფისა და წიგ-
ნი ნინოსი, ელენე დედოფლისა წინაჲ, და აუწყეს ესე უოველი
სასწაული ქრისტეს მიერი, რომელი იქმნა მცხეთას შინა,
მირიან მეფესა ზედა, და ითხოვნეს მოსწრათებით მღვდელ-
ნი ნათლის ღებისათვის. სოლო წმინდაჲ ნინო და და მოწაფე-
ნი მისნი ქადაგებდეს ერსა მას შინა დღე და ღამე დაუცნომე-
ლად და უჩვენებდა გზასა ჭეშმარიტსა სასუფეველისასა“ (ქ.
ცხ. გვ. 88).

²⁾ ქ. ცხ.: „და წარმოგზავნეს მღვდელი ჭეშმარიტი,
იოანე ეპისკოპოსი, და მისთანა მღვდელი ორნი და დია-
კონნი სამნი. და მიუწერნა მეფემან კოსტანტინე მირიანს წიგნი
ლოცვსა და კურთხევა ღვთისა, მადლლობისა, და წარმოსცა
ჯვარი და ხსტი მაცხოვრისა, და მისთანა ნიჭი დიდი. და ელე
ნე დედოფალმან მიუწერა წიგნი ქებისა და ნუგეშინის ცემი-
სა“ (ქ. ცხ. გვ. 91.)

ითხოვეს სს, რათა შექმნან ჟურნი
.¹⁾.

[მაშინ მოიყვანა მეუქმან აბიათარ და მისთანა ჰუ-
რინი მრავალნი და გამოიკითხა მათგან კუართისა მის-
თჳს და მათ მიუთხრეს ყოველი, რომელი ზემოწირილ
არს; და აღიპურა კელნი თჳსნი მირიან მეუქმან, და
თქუა: „კურთხეულ სარ შენ, უფალო იესო ქრისტე,
ძეო ღვთისა ცხოველისაო, რამეთუ“²⁾ გინდა ცხოვრებაჲ
ჩვენი, და სსნაჲ ჩვენი უშმაკისაგან, და ადგილისა მის-
გან ბნელისა, ოდეს იგი სამოსელი შენი ებრაელთა მათ
წარმოეც წმიდით ქალაქით ც.რ.უსადიშით უცხოთა
ამათ ნათესაეთა ქალაქად, რამეთუ ვურცდუმსა შენსა ამას
ქალაქსა მეუბრედეს მამანი ჩვენნი (ჩნნი)“. და წარგმართა
მეოჭ და ყოველი ქართლი ქრისტწანობასა (ქწანო-
ბასა) მოწრაფებითა დიდითა.

მაშინ ნეტარმან მან დელაკაცმან ნინო თქუა: „კურ-
თხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა (ო ღისა) ჩვე-
ნისა იესს (იწ) ქრისტსნი, რომელმან მოაუღინა სიტ-
ყუჲ წმიდაჲ მისი, ცათა მალაფთაჲ, თჳთ ძლიერისაგან

¹⁾ აქ დედანში ერთი ფურცელი აკლია. ამ ფურცელზე
ჩვენის აზრით, უნდა ყოფილიყო მოთხრობილი ის ამბავი, რო-
მელიც მოთხრობილია ქ. ცხ-ში „პატიოსანი ჟუარის აღმართე-
ბისათვის“ (იხ. ქ. ცხ. გვ. 93).

²⁾ აქ რაც თრჩხილებშია ჩასმული ის ჩვენ ქართლის
ცხოვრებიდან დაურთეთ აზრის დასამთავრებლად (იხ. ქ. ცხ.
გვ 93).



საუდრისა გარდამოსრული ჭკვეანად მდაბლად, უაჭურულად შობად კორციულად თესლისაგან დაკითისა, დედაკაცი-საგან მარტოდ შობილისა, წმიდისაგან და უბიწოაჲსა, რამელი სათნო ეყო მას და ამით მიზეზითა ცსოკრებაჲ ჩვენი შექმნა, და ყოველი ცასა ქუეშ მყოფი განანათლა, და უმეტეს მისა მიმართ მოწმუნენი აცსოკნნა, რამეთუ იშვა, ვითარცა კაცი, ჰატოვ ერა, ვითარცა ღმერთსა, ნათელ იღო, ვითარცა მსასურმან ვინმე სჯულისამან, წყლისა და მიწისაგან.

სოლო მამით და სულით წმიდით ზეგარდამო იწამა და იღიდა, ჯგარს ეტუა, დაეულა და აღდგა, აკდა მათეუ სიმღელეთა მამისათანა, და მომაკალ არს დიდებოთა, რამელსა შეენის გალობაჲ ამენითა ¹⁾.

და ვითარცა ესე თქუა, წარიყვანა იაკობ მღდელი, საბერძნეთით მოსული, და ერისთავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს, და მოუწოდა მთეულთა, ჭართადიელთა, და ფხოელთა, და წიფიკანელთა და უქადაგა საწმუნოებაჲ ქრისტესნი, სოლო მათ განუყარეს თავი ²⁾.

¹⁾ მთელი ეს მოთხრობა თითქმის სიტყვა სიტყვით არის მოყვანილი ქ. ცხ.-ში (ნახე ქ. ცხ. გ. 93)

²⁾ ქ. ცხ.: „და წარვიდა წმიდაჲ ნინო, და ეპისკოპოზი იოვანე, და მათ წარატანა მეფემან ერისთავი ერთი, და მოვიდეს და დადგეს წობანსა, და მოუწოდეს მთიულთა, პირუტყვისა სახეთა-მათ კაცთა, ჭართადიელთა, ფხოელთა, გუდა-მაყრელთა, და უქადაგეს მათ ღვარი ქრისტეანეთა ჭეშმარიტი, მიმეკანებელი

და ერისთავებს მცირედ წარმართა მახული, და ში-
შითა მოსტენეს კერპნი მათნა დაღუწად, და გარდავიდა
ერწუდ, და დაღვა ქაღუთს, დაბასა ედემს, და
ნათელ-სცა ერწუთიანივლთა. და უეზრეულთა ესმა
ესე და გარდაკრებს თომეთა, რომელნი უკუნანასკნელ
იპოვნეს, თრდატ მეფემან მოიყვანსა და მონათლნა ¹).

და დასსუულდა და წარმოქმართა მცნეთად, და
ვითარცა მოიწია კტოეთა, დაასა რომელსა ჭრქან ბო-
დინი, კერლარა ეძღო სლვად.

და მოსოლოვიდეს (მოსკიდეს) უქარმით ქალა-
ქით რევ, მწ მეფისაჲ, და სალომს, ცოლი მისი,
და ასული მისი, და ზედა ადგეს მოურნელ, და მიუკ-
ლინეს მკხეთით მეფემან და ცოლმან მისმან ნანა იო-
ვანე მთავარ-ებისკოპოზი სილვად და წარყვანებად. სო-

ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლის ღებაჲ“
(ქ. ცხ. გვ. 98).

¹) ქ. ცხ.: „მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმარ-
თა მახვილი მათზედა და ძლევეთ შემუსრნა კერპნი მათნი.

გარდამოვიდეს მენით და დადგეს უაღუთსა, და უქა-
დაგეს ერწო-თიანივლთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ
იღეს. ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი, და გარდა-
ვიდეს თუ შეთს, და სჯუანიცა მთიულელნი უმრავლესნი არა
მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, იღეს არა ინებეს
ნათლის ღებაჲ. ამისთვისცა წაყრბეს იგინიცა და შესცდეს, და
რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს, ნეკრესელ ებისკო-
პოსმან, რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე დღესა-
მომდე“ (ქ. ცხ. გ. 98).

ლო მან არა იხება ¹⁾, არამედ დაჭკვდრა იაკობ მდღე-
დღი, რათა (რ-ა): „შემდგომად შენსა მან დაიპყრას საყ-
დარი“ ²⁾.

და მის წინაშე მისცა წიგნი იგი, ჰეფენს ღედო-
ფელისა მოწერილი, რომელი მოეწერა ნინოძესა ღედოფ-
ლობით და მოციქულად და მასარებულად შეემკო.

და ძელი ცხოვრებისაჲ წარმოეცა ღედოფელისა ნა-
ნახსა ³⁾. და შეწირა ჟამი იოვანე, და აზიარა ნინო
კორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და წარიღო ესე
საგზლად სულისა (სწლისა), და შეჭკვდრა სული თვისი
გულთა ღვთისათა, ქართლად მოხლვითვან მეთა-
ნუთმეტესა წელსა, და ქრისტეს აღმადღე-

¹⁾ ქ. ცხ.: „ხოლო წმიდა ნინო წარემართა წარსლვად
რანს, მოქცევად ფეროზისა, და ვითარცა მიეხლა კუ-
ნეთს, დაბასა ბუღისასა, დაყენა მუნ დღენი, და მოვიდოდეს
მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიღებდეს სწავლასა მისსა სი-
მრავლე ერისა. მაშინ დასხუელდა მუნ, და ვითარცა ცნა რ ე ვ;
ქემან მეფისამან, და სალომე, ცოლმან მისმან, რომელნი
ცხოვნიდობდეს უფარმოს, მოვიდეს ნინოსსა, და აცნობეს მე-
ფესა და ღედოფელსა. ხოლო მათ მიავლინეს ეპისკოპოსი იოანე
წარუყანებად, ხოლო წმიდაჲ ნინო არა ურჩდა, ხოლო წარვიდა
თუთ მეფე და სიმრავლე ერისა ძლიერისა და მივიდეს მის ზე-
და“... (ნახ. ქ. ცხ. გვ. 98).

²⁾ ქ. ცხ.: „და შევედრა მეფესა იაკობ მღუდელი, რათა
შემდგომად იოანესა იგი იყოს ეპისკოპოს“ (ქ. ცხ. გვ. 99).

³⁾ ამ წერილის და ძელი ცხოვრების გარდაცემაზე ქ. ცხ-ში
არა რა მოიპოვება.

ბითგან ტფლ წედსა, დასაბამითგან ჭყლს წედსა 1).

მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ჭლაქნი—მცხეთამ და უქარმაჲ—და ყოველი ქართლი სიკუდილისა მისისათჳს, და მოკიდეს, და დაჰმარსეს ძლეკით შემოსილი გუამი მისი ადგილსაჲ ზედა ბუდს, დაბასა კხოეთოსასა 2).

და წარვიდა მირიან მეფე და ყოველი კრი, რამეთუ იქმოდეს შემოსა კელესასა ჭეთა, და განიშორეს მეოთხესა წედსა 3), და მოკუდა მირიან მეფე, და დაეუღა საშუაღსა სუეტსა სამსრითსა ჩრდილოეთ კერძო.

1) ქ. ცნ.: „მაშინ იოანე ებისკოპოსმან შესწირა უამი და აზიარა წმიდამ ნინო კორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და შეგედრა სული მეუფესა ცათსა, ქართლად მოსლუთგან მისით მეოთხთმეტესა წედსა, და ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოც და თურამეტსა წედსა, და დასაბამითგან წელთა ხუთითათას რვაას ოც და ათრვამეტსა“ (ქ. ცნ. გვ. 99).

2) ქ. ცნ.: „მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმო, და ყოველი ქართლი, მიცვალებასა მისსა, მოკიდეს და დამარხეს ძლეკით შემოსილი გუამი მისი ადგილსაჲ ზედა ჰერეთისა (მეგრ. ვარიანტი „ეროსა“?) დაბასა ბუდიასა, რამეთუ მუნ ითხოვა თუთ დათლუგამ მეუთსაგან, შეხედუთა ლვითისათა“ . . (ქ. ცნ. გვ. 99).

3) ქ. ცნ.: „მაშინ მირიან მეფემან განასრულა ეკლესიამ საეპისკოპოსო, და აღასრულა სატფურებაჲ მისი მრავლითა დიდებითა“ . . (ქ. ცნ. გვ. 100).

და მას სუეტსა შინა არს ნაწილი სუეტისაჲ-მის ცხოველისაჲ, და მეორესა წელსა მოკუდა ცოლი მისი ნანა, და დაეფლა დასავალით კერძო მასვე სუეტისა, სა- და მირიან მეფე დაძარხულ იყო ¹⁾

და დაჟდა მეფედ ბაკურ, ძმ რევინი ²⁾, და მოკუდა იოვანე ებისკოპოსი, და დაჟდა იაკობ მღვდელი იგი, მუნითვე მოსრული, მთავარ-პისკოპოსად.

და რცდა მესამესა წელსა აღმართეთგან პატრიოს-ნისა ჟუარისა შეუქმნა გუბოჲ რევ, და შეიქმნა საფ-ლავი ქუემოსა ეკლესიასა.

და მოკუდა რევ ³⁾ და დაძარხა ცოლითურთ, და შემდგომად მისა მკათესა წელსა ამან ბაკურ.

¹⁾ ქ. ცხოვრებაშიაც თითქმის ამავე სიტყვებით არის ნააზობი ეს საგანი: „და აღესრულა მირიან მეფე, და დაეფლა ზემო-სა ეკლესიასა, საშუალსა სვეტსა სამხრით კერძო, და მას სვეტ-სა შინა არს ნაწილი ღთივ-აღმართებულისა სვეტისა, და მეორე-სა წელსა მოკუდა ნანა დედოფალი, და დაეფლა მასვე სვეტსა დასავალით, სადა მირიან მეფე დაძარხულ იყო“ (ქ. ცხ. გ. 101).

²⁾ ქ. ცხოვრებით ბაქარ, ანუ ბაკქარ, ძე მირიანისი. ეს ბაქარი, ქართლის ცხოვრების თქმით, მძევლად იყო წაყვანილი კოსტანტინესაგან, რომელსაც, შემდეგ ქრისტეს სარწმუ-ნოების მიღების მირიანისაგან, უკანვე წარმოეგზავნა იგი (იხ. ქ. ცხ. გვ. 99—100).

³⁾ ქ. ცხოვრება რევის სიკვდილის მირიანის სიკვდილის წინ უჩვენებს, თუმცა მაშინვე უმატებს: „მასვე წელიწადსა დასნე-ულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა.“ ქ. ცხოვრება რე-ვის სიკვდილის დროს ასე მოგვითხრობს: „და მოქცევიდგან მირიან“

დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და განიშორა ოცდა მათხუთმეტესა წელსა, და მოკუდა, და დაეფლა ქვემოთსა ეკლესიასა ¹).

და დაჯდა მეფედ ძმაჲ მისი თრდატ ²), და მთავარ-ეპისკოპოსი იყო ნერსე სომენტა კათალიკოზისა დიაკონი—იობ ³).

და მეფემან რუმსთვის რუჲ გამოიღო, და ეკლესიისა საფუძველი დადგა. და მის-სეკვე ნეკრესს განეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით ⁴).

და შემდგომად მისა დადგა ვარაზ-ბაკურ ⁵) მე-

მეთისათა ოც და მეზუთესა (Chron. arm. ოც და მეზუთმეტესა) წელსა მოკუდა ძე მისი (მირიანისი) რე ვ, სიძე თრდატ სომენტა მეთისა, რომელსა მიეცა მეფობაჲ სიცოცხლესავე თუსსა, დაფლეს აკლდამასვე, რომელი თუთ მასვე რევეს აღეშენა“ (ქ. ცნ. გვ. 100).

¹) ქ. ცნ.: „ამან (ბაქარ) აღაშენა ეკლესია წილკნისა; მოკუდა და დაეფლა მამასავე (ვარიანტით—მმასვე) თუსსა თანა.“ ცხადია, რომ პირველი ვარიანტი ყოფილა მართალი. რევი, მამა ბაკურისი, ქვემო ეკლესიაში იყო დამარხული.

²) ქ. ცნოვრებით—მირდატ, ძე ბაქარისი.

³) ქ. ცნ.: „და მისსა-ზე მოკუდა იაკობ. ეპისკოპოსი, და დაეფლა იობ სომენტი, ნერსე კათალიკოზისა დიაკონი“.

⁴) ქ. ცნოვრება მოგვითხრობს მირდატისა გან ეკლესიების აღშენებას: თუნარისს „ციხესა შინა“, და შემოპას „ერუშეთისა და წუნდისა ეკლესიათა“ (ქ. ცნ. გვ. 102).

⁵) ქ. ცნოვრებით ვარაზ-ბაქარ, ძე მირდატისი; მან, ქართლის ცნოვრების თქმით, შეირთო ცოლად „ასული თარ-

ფედ, და მისა-ზეკე სპარსთა მეფისა მარზაპარნი შემო-
ვიდეს სივნიეთა და იგი კიდართ უკუჟდა, და მთა-
ვარ-ებისკოპოსი იყო იგივე იობ ¹⁾.

და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ-ბორ-ზარდ,
სპარსთა მეფისა ჰიტანში, ტფილისად ქალაქად ცხედ,
და ქართლი მისსა სარკსა შედგა, და სომხითი, და
სივნიეთი, და გუასპურავანი ²⁾.

და ტისი, რევის ძისა, მირიანის ძის წულისა, მორ-
წმუნე და კეთილ მოქმედი“. აქედგან სჩანს, რომ ქ. ცხოვრების
თარდატი და ჩვენი ხრონიკის თარდატი ერთი და იგივეა.
მხოლოდ ქართლის ცხოვრება ამ თარდატს მეფეთ არ იხსენ-
იებს, მოსალოდნელია, რომ აქ ფაქტები არეულია ქართლის
ცხოვრებაში. მირდატი არ უნდა ყოფილიყოს ჩვენი აზრით მე-
ფეთ, და მის შვილს ვარაზ-ბაქარს უნდა რგებოდეს ტახტი
თარდატის ასულის შერთვით, რადგანაც, ეტყობა, თარდატს ძე
არა ყოლია.

¹⁾ ქ. ცხ.: „ამისა-ზე გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერის-
თავი სპითა დიდითა სომეხთა და ქაროველთა ზედა ხარკისა და-
დებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს მოციქული ვარაზ-ბაქარისს
და ჰრქვეს, რათა შეჰკარბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან და
განუზუნენ კარნი ეკავასიანთანი, გამოიყვანნეს ოვსნი და ლეგნი
და წინააღუდგეს სპარსთა; და წარჩინებულნი თჳსნიცა ეტყოდეს
წინა-აღდგომასა სპარსთასა. არა ისმინა არცა სომეხთა, არცა
წარჩინებულთა თჳსთა, რამეთუ იყო იგი ჩუენი და მოშიში: უკუ-
ჟდა იგი კვესა კანეთისასა, და აღაშენა ციხე: ხიდარს, და
განამაგრნა ციხე ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა, რათა დამალ-
ნეს ჯეჳარნი“ (ქ. ცხ. გვ. 106).

²⁾ ქ. ცხ.: „მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს და

და მისა-ზს¹ აღაშენეს აზნაურთა წმიდა იგი ეკლესიასა მცხეთას და დამოთაულებს დიდსა მას კელესიასა სოფლებითა და ქადაგებითა ქართლს შინა¹).

და მისა შემდგომად მეუობდა ბაკურ²), ძე თრდატიისი, და მთავარ-ეპისკოპოსი იყო ეფლია, და ამან

მოაზრეს, შემოვიდეს ქართლს, აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისა³.

¹) ამ ეკკლესიის აღშენებას ქ. ცხოვრება არათუ არ მოინსენიებს, არამედ ვარაზ-ბაქარი გამოჰყავს მოძულედ სჯულისა. საზოგადოთ ამ მეფეზე ქ. ცხოვრება შემდეგს მოგვითხრობს: „ვინათგან ესე ვარაზ-ბაქარ დაშთა უქოდ (რადგანაც მურვანოსი, ანუ წმინდა პეტრე, მძევლად იყო წაყვანილი ბერძენთა მეფისაგან), შეიყვარა სოფელი ესე, და მიდრკა კეთილისაგან, და შეირთო სხუეცა ცოლი, ძის წული თეროზისი, მირიანის ასულისა, და უშვა თეროზის ძის-წულმან ძე, რომელსა ერქუა თარსმან. ხოლო რევის ძის-წულმან რომელი პირველ ვახსენე, ორნი ძენი, რომელთა ერქუა მირდატ და თარდატ (მეგრელიის ვარიანტიო—თრდატ). ესე ვარაზ-ბაქარ მეფე კაცი იყო ურწმუნო და მოძულე სჯულისა, გარნა ვერ იყადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულელსა, რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი, და დიდსა სარწმუნოებასა შინა იუენეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისაჲ, და ესე ვარაზ-ბაქარ შიშისა მათისაგან ვერ განაცხადებდა დატყვევასა სჯულისასა. არასადა აღაშენა ეკკლესია და არცა ჰნაჭა აღშენებულსა, და ყოველითვე იქცეოდა უშეულოდ“ (ქ. ცხ. გვ. 105).

²) ქ. ცხ-ის თქმით თარდატ, ანუ თრდატ, სიმამრი ვარაზ-ბაქარისა, ძე რევისა, ძის-წული მირიანისი, კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი.

აღაშენა ეკლესიაჲ ბოღნოს, და ამიერ განვიდა, და განაასლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს ¹⁾.

და მისა შემდგომად მეფობდა თვარსმან, დის-წულითრდატიისი, და მთავარ-ეპისკოპოსი იყო სვქეონ ¹⁾.

და მისა შემდგომად მეფობდა მირდატ ²⁾, და ესე წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ ბაღდადს, და მუნ მოკუდა ¹⁾.

¹⁾ ქ. ცხ.: „ამან სიბრძნითა თჳსითა დაამშვიდა სპარსნი, გამოაჩინნა ჯუარნი, და შეკაზმნა ეკლესიანი. ამის-ზე მოკრდა ეპისკოპოზი იოზ, და დასვა მის წილ ელია, და ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფეთა. და მან გამოითხოვა რუსთავი და აღაშენა ეკლესია, და მანვე აღაშენა ნეკრესი, და მეფობდა უშფოთველად, და მოკუდა სარწმუნოებასა შინა დიდსა“ (ქ. ცხ. გვ. 106—107.).

²⁾ ქ. ცხ.-ბითაც თვარსმან, „ძე ვარაზ-ბაქარიისი, მის წულის წული ფეროზისი, უხუცესი ძმათა. და მოკრდა ელია ეპისკოპოზი, და დასვეს სვიმონ... ბოღნისის ეკლესიისა აღშენებას ქ. ცხოვრება ამ მეფეს მიაწერს, და არა მის მოწინავეს, როგორც ჩვენი ხრონიკა: „და განამრავლნა ჯვარნი, და განაასლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა, აღაშენა ეკლესია ბოღნისისა“ (ქ. ცხ. გვ. 107).

³⁾ ქ. ცხ.-ბითაც მირდატ, ძმა თვარსმან მეფისა, ასულის წულითარდატიისი, ანუ თრდატიისი, ძე ვარაზ-ბაქარიისი, მამულად ბაქარიანი, დედულად რევიანი, ორთავე მირიანის ძეთა ნათესავი (ქ. ცხ. გვ. 107).

⁴⁾ ქ. ცხ.-ბა ამ საგანზე შემდეგს მოგვითხრობს: „ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვართა ქართლისათა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა. მაშინ სპარსთა მეფემან გამოგზავნა ერისთავი, რომელსა ერქვა უბარაზ (ვარიანტი-ბარაშ):

და მისა შემდგომად მეფობდა არჩილ ¹⁾, და მთავარ-ეპისკოპოსი იყო იონა, და მასინ დაეცა ქვემოთ ეკლესიაჲ, და იონა მიიცვალა ვარეუბნისა ეკლესიასა, და სვეტი იგი ცხოველი თანა წარმოიღო ²⁾.

და მისა-წმ აწნაურთა სტეუანე-წმიდაჲ (წმ) აღაშენეს არაგუსა ზედა ³⁾; და მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსასურებასა-ზედა.

და მისკე არჩილის-წმ ოთსნი მთავარ ეპისკოპოსნი გარდაიცვალნეს ⁴⁾.

სპითა ძლიერითა მირ დატეს ზედა: მასინ მირ დატე სილღლითა თვსითა არა ჰრიდა სიმრავლესა სპარსთასა, და მცირედითა სპითა მიეგება გარდაბანს. ეწყო, აოტეს და შეიპყრეს იგი სპარსთა წუობასა შინა. შემოვიდეს ქართლს და დაიპყრეს ქართლი სპარსთა, განრყვნეს ეკლესიანი. ხოლო ნათესავნი ქართლისა მეფეთანი დარჩეს კვსა კახეთისასა და სვიმონ ეპისკოპოსი მათთანავე. ხოლო მირ დატე წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა“ (ქ. ცხ. გვ. 107).

¹⁾ ქ. ცხოვრებითაც არჩილ, ქე მირ დატე მეფისა.

²⁾ ამ ამბავს ქ. ცხ-ბა არ მოიხსენიებს.

³⁾ ქ. ცხოვრება: „მასინ არჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფან-წმიდასა, მცხეთას, კართა ზედა არაგვისათა, სადა იყუნეს კუბონი მტკიცენი საბრძოლნი, რომელი მასვე აღაშენეს“.

⁴⁾ ქ. ცხ.: „ამის არჩილისა-ზე გარდაიცვალნეს სამნი ეპისკოპოსნი: იოანე, გრიგოლი და ბასილი. და ბასილისა შემდგომად ამანვე არჩილ დასვა ეპისკოპოსი, რომელსა ერქვა მობიდან“ (ქ. ცხ. გვ. 110).

და შერძე მეფობდა მირდატ¹⁾, და მთავარ-ეპისკოპოსი იყო გლონოქორ, და ესე მთავარ-ეპისკოპოსი ერისთავად იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს²⁾.

და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვანტანგ გოლოგასარი³⁾ და მთავარ-ეპისკოპოსი იყო იოველ⁴⁾. მაშინ წარიყვანეს ვანტანგ სპარსთა, და შემდგომად რადენისამე უამისა მოიქცა⁵⁾, და მთავარ-ეპისკოპოსი იყო მიქაელ.

1) ქ. ცხოვრებითაც მირდატ, ძე არჩილ მეფისა.

2) ამ მთავარ ეპისკოპოსს ქ. ცხოვრება არ იხსენიებს, ხოლო ბარაზბოდ პიტიახში არის ქ. ცხოვრების ბარაზბოდ, ანუ ბარაზბუდ, სპარსთა ერისთავი რანისა, რომლის ასული საგდუნტ მოიყვანა ცოლად მირდატმა, არჩილისავე სიცოცხლეში, და აღუქვა ბარაზბოდს ფიცი შვილობისათვის. ის მთავარ-ეპისკოპოსები, რომელნიც ერისთავებთაც იყვნენ, ე. ი. რომელნიც განაგებდენ როგორც სასულიეროს, ეგრეთვე სამოქალაქო საქმეებს, ქ. ცხოვრებაში სახელ წოდებულნი არიან ქორ-ეპისკოპოსებათ, ვანუშტის ისტ-ში ქორიკონებად.

3) ქ. ცხოვრებით ვანტანგ გურგასლანი, ანუ გურგასალი, ძე მირდატისი, გაზრდილი საურმაგ სპასპეტისი.

4) ამ იოველს ქ. ცხოვრება არ იხსენიებს.

5) სპარსთაგან ვანტანგის წაყვანას ქ. ცხოვრება არ მოიხსენიებს, მხოლოდ ვრცლათ მოგვიხრობს ვანტანგის დედის საგდუნტ დედოფლის გამგზავრებას თავის მამასთან ბარაზბუდისთან შესავედრებელათ, რათა იპურას შვილი მისი მამულსა შინა თვსსა, და მოურავ ექმნეს იგი სპარსთა მეფისა წი-

და მან მიამხვა ფერკი პირსა მეფისასა ვახტანგს. სოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოვა მეფისაგან და პატრუქისაგან კათალიკოზი ¹⁾.

სოლო მა[ნ] მოსცა პეტრუს კათალიკოზი და თანა ჭკუანდა მას სამოველ მონაზონი, წმიდა [და] [დი]რსი, და აღაშენა ქუეშია ეკლესია ვახტანგ მეფემან, და დასვა პეტრუს კათალიკოზი, და ესე იყო ქართლის მოქცეითგან რთ წელსა. მეფენი გარდაცვალ-

ნაშე.“ სჩანს ვახტანგ წაყვანილი ჰყოლია ბარზაბუდს, რომელსაც იგი თავისი ასულის საგდუხტის ვედრებით დაუბრუნებაი (ქ. ცნ. გვ. 111).

¹⁾ კათალიკოზის თხოვას ქ. ცხოვრება მიქაელისაგან ვახტანგისადმი ფერის მიმთხვევამდის მოიხსენიებს და პირველს მეორის მიზეზათ უჩვენებს: „სოლო ვახტანგ წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესთვის კათალიკოზისა და სამოველ ეპისკოპოზისა . . . და ვითარცა ცნა ეპისკოპოზმან, ვითარმედ წარავლინა მეფემან მოყვანებად კათალიკოზისა და ეპისკოპოზთა, დაუძიძა მას ზედა. იწყო რეცა ამოხებად და მიზეზობად დაიდასტურა, და ჰგონებდა რომელ შუაითა დააცადოს საქმე იგი, და მოსლგამ მათი, და კრულ ჰყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი. სოლო მეფემან თქვა: „დალატათე უბრალო ვარ, სიმდაბლე ჯერ არს ჩემგან,“ და მივიდა მეფე და გარდაცა სახედარსა, რათამცა შეემთხვია ფერკთა ეპისკოპოზისათა, და განხალა მან ფერკი და მიათხვია პირსა მეფისასა, თანდავითა შემუსრა კბილი მისი“ (ქ. ცნ. გვ. 144).

ბუღ იუკნეს ათნი და მთავარ ებისკოპოსსნი ათ-ცამეტნი.
სოლო შირკული კათალიკოსი იყო პეტრს¹⁾.

და ამისა შემდგომად მეფობდა დარჩი უქარმეცი²⁾,
და კათალიკოსი იყო სამოველი, და მისა-ზე ტფილისს

¹⁾ ქ. ცხ-ში ვკითხულობთ: „სოლო-მცხეთას მეფემან ვ ა ნ -
ტ ა ნ გ აღაშენა ეკლესია მოციქულთა, სვეტი ცხოველი, და
უპურა სვეტსა შინა, სამხრით, აღგილსა მას, სადა იგი დაცე-
მულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი. მუნ შინა დასვეს
პეტრე კათალიკოსად (მეგრელიის გარიანებით: დასვეს პირველად
კათალიკოსი პეტრე): ქართლის მოქცევიტგან სვეტის-ცხოველის
აღშენებადმდე, კათალიკოსის განწესებადმდე, გარდაცდეს წელნი
„რო“, მეფენი გარდაცვალებულ იუენეს ა თ ნ ი, მთავარ-ეპის-
კოპოსნი „იგ“ (ქ. ცხ. გვ. 145 და მესამე შენიშვნა).

აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ როდესაც ჩვენი სრონიკა ამ-
ბობს ათი მეფის გადაცვალებაზე მას სახეში უნდა ვქონდეს რ ე -
ვ ი ც, უამისოთ ათი არ გამოდის. კათალიკოსები კი ჩვე-
ნი სრონიკის თანხმად მართლა ცამეტი გარდაცვალებულა,
მაგრამ ქ. ცხ-ში ამათში მხოლოდ ცხრაა ნაჩვენები და პეტრე
მეათე.

²⁾ ქ. ცხოვრებითაც და ჩ ი, ძე ვანტანგ გორგასლისა.
დარჩის ვანტანგმა, ქ. ცხოვრების თქმით, თავისვე სიცოცხლეში
მისცა ქალაქი ჭ ე რ ა მ ი ს ა და ნ ე კ რ ე ს ი ს ა, და ქალაქი
კ ა მ ბ ე რ ი ს ა, რომელ არს ს ო რ ნ ა ბ უ ე ჯ ი, და ყოველი
ქვეყანა მტყვარსა აღმოსავალით, და თვით ვანტანგ დაჟდა უჯარ-
მოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა, და დაჰ მისი ს ვ ა -
რ ა ნ ძ ე მისცა ბ ა კ უ რ ს, პატიანსსა სომხითისასა, ცოლად²
(ქ. ცხ. გვ. 146).

კაცნი დასსდებოდეს [და მათ] წმიდაჲ კელესიაჲ აღაშუ-
ნეს, და კათალიკოზი იყო პეტრეს ¹⁾.

და ამისა შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძლ დაჩისი,
და კათალიკოზი იყო სამოველი ²⁾.

და მისა შემდგომად მეფობდა თარსმან, და კათა-
ლიკოზი იყო თავთაჩაგ.

და მისა-ზეკუ ჩიმაგა კ, და მისა-ზეკუ სპარსთა მეფო-
ბაჲ მცსეთად მოვიდა, და შეაშოთათ ქართლი, და ქა-
ღლაქნი, და წარვიდა ³⁾.

და მისა შემდგომად მეფობდა თარსმან სხუაჲ
(სხა) ⁴⁾, და კათალიკოზი იყო დასაბიან, მკვდრი
მცსეთელი; და იქამთგან ღრთა სასლთა აღიდეს კათა-

¹⁾ სამოველი კათალიკოზს ქ. ცხოვებაც უჩვენებს, ნხო-
ლოდ პეტრეს არ მოიხსენიებს და არც ტფილისს კაცების
დასსდობაზე და ეკელესიის აღშენებაზე ანობს რამეს.

²⁾ ქ. ცხოვრება ამ კათალიკოზს არ მოიხსენიებს და ბაკურ-
ზე აგრე მოკლეთ მოგვითხრობს: „დაჲდა მეფედ ქე მისი (და-
ჩისი) ბაკურ, და იმეთა ათცამეტ წელ და მოკუდა ბაკურ მე-
ფე“ (ქ. ცხ. გვ. 150).

³⁾ ქ. ცხოვრებითაც თარსმან, ქე ბაკურ მეფისა. კათა-
ლიკოსების რიცხვში ქ-ს ცხოვრება ცთება, როდესაც მოგვითხრობს:
„მოკუდა კათალიკოზი სამოველი და დაჲდა კათალიკოზად მესამე
კათალიკოზი თავთაჩაგ, და მოკუდა თავთაჩაგ, და დაჲდა
კათალიკოზად მეოთხე კათალიკოზი ჩირმაგ“ (ქ. ცხ. გვ. 150).

⁴⁾ ქ. ცხოვრებითაც თარსმან (მეექვსე), ძმისწული
თარსმან მეფისა.

ლაიკოზობაჲ მცხეთელთა მკუდრთა, და მისკე მეფისა-ზს^რ
კათალიკოზი იყო ეფთათს^რ 1).

მაშინ მოვიდა ნეტარი იოვანე ზედა-ზადენელი
შუა მდინარით ასურეთისაჲთ იგი და ათორმეტნი
მოწაფენი მისთანა მოვიდეს 2).

1) ქ. ცხოვრებაში ამ კათალიკოზებზე შემდეგი ცნობებია:
„და მოკუდა კათალიკოზი ჩ ი რ მ ა გ, და ამანვე მეფემ დასვა
კათალიკოზად ს ა ბ ა. აქათ-გან აღარა მოიყვანებდეს კათალიკოზ-
სა საბერძნეთით, არამედ ქართულნი დასხდებოდეს, წარჩინე-
ბულითა ნათესავნი“. აქ ერთი ქ. ცხოვრების ვარიანტი უმატებს:
„ხოლო ითხოვეს ი უ ს ტ ი ნ ე ა ნ ე ს ა გ ა ნ ქართულთა, რათა
დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართულთანი, რამეთუ
მოვიდოდნან კათალიკოზნი საბერძნეთით, ხოლო იუსტიანანე და-
წერა წიგნი და დაბეჭდა თჳსითა ბეჭედითა ვსრეთ, რათა და-
სხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართულთანი და აქუნდეს
უაღრესობა ყოველითა ეკკლესიათა და მღუდელ-მთავართა ზედა“.
საბას შემდეგი კათალიკოზი ქ. ცხოვრებაში ე ვ ლ ა ვ ი ო ზ-ა დ
იწოდება: „და მოკუდა კათალიკოზი საბა, და მანვე მეფემან და-
სვა კათალიკოზი ე ვ ლ ა ი ო ზ, ვარიანტებით ევლაუიოს“ (ქ.
ცხ. გვ. 151).

2) ქ. ცხოვრებაჲ თარსმანის დროს უჩვენებს ი ვ ა ნ ე
ზ ე დ ა ზ ა დ ე ნ ე ლ ი ს და მისი მოწაფეების მოსვლას საქარ-
თველოში და მოჰყავს მათი ცხოვრების აღწერილობა, ამასთანავე
ერთი ვარიანტი მათი მოსვლის დროს ასე განსაზღვრავს: „მ ი რ ი-
ა ნ ი დ ა მ გ ა რ დ ა ჯ დ ა წ ე ლ ნ ი ო რ ა ს ნ ი და მ ე ფ ე ნ ი ი ბ“
(ქ. ცხ. გვ. 151, შენ. 6). მეორე ადგილას ქ. ცხოვრება ამ
დროს ასე გვიჩვენებს: „მეთობიდან მ ი რ ი ა ნ მეფისათა, ვიდრე
მეორისა თა რ ს მ ა ნ ი ს ა, გარდაჯდეს წელნი ო რ ა ს ნ ი (ბრო-
სეს ვარიანტით ო რ ა ს ო რ მ ო ც ლ ა ა თ ი), და მეფენი გარდაიცვალნეს

და მისა შემდგომად მეუობდა ბაკურ¹⁾, და კათალიკოზი იყო მაკარი, და მისა-ზევე ვარსკენ პიტრიანში იყო, და შუშანიკ იწამა ცურნავს²⁾.

და მისა შემდგომად კათალიკოზი იყო სამოველი და მერმე სიმონ-პეტრუს. და ამის ბაკურის-ზევე დაესრულა მეუობაჲ ქართლისაჲ³⁾.

თ.ო.თ.მ.ე.ტ.ი, და ვანტანგისთგან კათალიკოზნი გარდაიცვალნეს ექესნი“ (ქ. ცხ. გვ. 159): მარიამ დედოფლის გარიანტით—კათოლიკოზნი გარდაიცვალნეს რვანი (ს⁴⁾).

1) ქ. ცხოვრებითაც ბაკურ, მეფარსმან მეფისა.

2) ყველა ამ ფაქტებს ქართლის ცხოვრებაც მოიხსენიებს.

შუშანიკე იყო ცოლი ვასქენისი, რომელმაც მიიღო ცეცხლის მსახურება და სპარსთა მეფისაგან იქმნა დანიშნულ ერისთავად რანისა. რადგანაც შუშანიკემ არ ინება ქრისტიანობის დატოვება, წამებულ იქმნა ვასქენისაგან; ქ. ცხოვრების თქმით შუშანიკე დაფლეს ცორტავს (მეგრულით გარიანტით ცორხავს). შიომღვიმის მამათა ცხოვრებაში ამ ადგილის სახელი ცურტავეთია: „და ვითარცა მოიწია დაბასა, რომელსა სახელი ერქუა ცურტავეთ“ (შიომღვიმის მამათა ცხოვრება გვ. 121). ბროსსეს აზრით ცურტავი არის ნაწილი გუგარკის მაზრისა, ენლანდელი სომხეთისა. (Hist. de la Géor. t. I, p. 215).

3) სამოველი კათალიკოზს ქ. ცხ-ბარ უჩვენებს, მხოლოდ სიმონ-პეტრეს მოიხსენიებს სჯომნად. სუმბატის ისტორიკი სვიმონ-პეტრეს უწოდებს, თანხმად ჩვენი ხრონიკისა. მეუობის დასრულებას ქ. ცხოვრება უფრო ვრცლათ მოგვითხრობს: „მოკუდა მეფე ბაკურ, და დარჩეს უკლნი მისნი წურილნი, რომელნი ვერ იპურობდეს მეუობასა . . . და განდგეს ერისთავნი თჳს-თჳსად, ხარკსა მისცემდეს ქასრეს ამბარ-

მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი (sic) შემტირდებოდეს და კაფაჲ განდიდებოდა

სპარსნი უფლებდეს ქართლს, და სომხითს, და სივნიეთს, და გუასპურაგანს ¹⁾.

და კათალიკოზი იყო სავოველი, და ნელ-ად[რძ] შეკრბა ქართლი, და გან[ა] ჩ [ი]ნეს ერის[თავა]დ გუარა[მ] [და მერმე კურაპალატადცა]. ამან და[დ]კა ს[ა]ფუბკელი ჰ-ტი[ოსნის]ა ჯუარისაჲ, და ამას-ზევე იყო კათ[ალიკოზი] [სა]მოველვე სხვაჲ (სწა), და ტფილ[ისისა] მკვდრთა დიდსა კელესიას დაიწყეს. ნახევარსა იქმოდა უოველი ერი, და ნახევარსა ერისთავნი; და კათალიკოზი იყო ბართლომე ²⁾.

გ ე ზ ს (სპარსთა მეფის უ რ მ ი ზ დ ის შვილს, რომელსაც ეპ-ურა რანი და მოვაკანი), და შვილნი ბაყურისნი დარჩეს მთიულეთს კახეთისასა. და ნათესავნი 'მ ი რ დ ა ტ ი ს ნ ი, ვახტანგის ძი-სანი, რომელნი მთავრობდეს კ ლ ა რ ჯ ე თ ს და ჯ ა ვ ა ხ ე თ ს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა თ ა. სხუა უო-ველი ქართლი, სომხითი და ასფურაგანი დაიპყრეს სპარსთა და ჰბროძოდეს ბერძენთა“ (ქ. ცხ. გვ. 161).

¹⁾ ეს ადგილი სიტყვა სიტყვით არის მოყვანილი სუმბა-ტის ისტორიაში, მხოლოდ ს ი ვ ნ ი ე თ ი ს მაგიერ „ს ა ვ ა ნ ე თ ი ა ნახმარი, და გ ვ ა ს კ უ რ ა გ ა ნ ი ს მაგიერ ა ს მ ო რ ა გ ა ნ ი, (იხ. სუმბ. ის. გვ. 44).

²⁾ სუმბატის ისტორიაში ვკითხულობთ: „და იყო მას უამ-სა მცხეთას კათალიკოზი ს ა მ ო ე ლ და ამას-ზე ტფილისისა მკვიდრთა ეაკლესიისა გებად იწყეს, რომლისა ნახევარსა უოველი

და მისა შემდგომად ერისთაობდა სტუფანოზ, მს მისი, ძმაჲ დემეტრესი. და იქმოდა კელესიასა ჟუარისასა (ჯარისასა).

მაშინ ჩამოკლო ჰერაკლ მეთემან ბერძენთა მან, და უხმო ცისისთავმან კაღაჲთ ტუფილისისაჲთ მეუესა ჰერაკლეს ვაჭ-ბოტობით. სოლო მან ფერკი დააპერა და დანიედი მოიღო, და მოიძია სიტუჟაჲ ესე: „[მოკი]დეს ვაჭი [იგა] მზის დასავალისაჲ და [შემუ]სრ-ნეს რქანი კერ[მის-მის] მზის აღმოსავალისანი“. და მეუემან [ჭრქუა]: „უგ[ეთუ] ჩემთჳს ესრეთ იყოს სიტუჟაჲ, მე მიგიგო მისაკებელი შენი“. და დაუტყვა ჯიბდო ერისთავი ბრძოლად, და ი.ჯთ წარვიდა ბაღდადს ბრძოლად ხუასრო მეუისა.

სოლო ამან ჯიბდო მცირეთა დღეთა შემდგომად კაღაჲთ გამოიღო და ცისის თავი იგი შეიპერა, და პი-ჩი დრატქანითა აღუესო, და მერმს მრთულსა ტუავი გაჭ-კადა, და მეუესა უკუანა მისწია გარდბანს (sic), ვარაზ გრიგოლიძისა შინა.

წავიდა ჰერაკლი და შემუსრა ბაღდადი, და შე-იპერა ხუასრო მეუს, და მოღებად სცა ძელი ცხო-ვრებისაჲ.

და იწყო ბრძანებით შესწებად იმრუსადლიმისა (იმ მსა), და მოდისტოს დასუა პატრუქად, და წარ-მოვიდა აჭაჲთვე მეშვიდესა წელსა.

ერი აშენებდა, და ნახევარსა ერთი ვინმე დედაკაცი, და კათალი-კოზი იყო მცნეთას ბირთლომე“ (იხ. სუმ. ისტ. გ. 45—46).

და კიდრე მოსკლადმდე მისა ტუიდიისს, სიონი განუშორა მკუდართა, სოლო ჟურისა ეკლესიასა აკლდა და. ამან ჰერაკელ ტუიდიისს და მცხეთას, და უქარძას განაგლინნა ჭდაგნი,

რათა „ყოველნი ქრისტანენი ჭლანთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრებენ, და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლენ, ანუ მოისრენ.“

სოლო მათ ნათლის ღებამ არა იხებენ, ზაკუეით თანა-აღერინეს ჭრისტანეთა, კიდრემდის (ვდს) ყოველთა ზედა წარჭმართა მასჯლი, და ეკლესიასა შინა მდივნარენი სისხლისანი დიოდეს.

სოლო ჰერეკელე განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა. და ერისთავობდა იგივე დიდი სტეფანოზ, და კათალიკოსი იყო ბართლომე მორედ ¹⁾.

და შემდგომად ერისთავობდა ადრნესე (sic) და მისა-ზს²⁾ სამნი კათალიკოსნი იცვალენეს: იოვანე, ბაბილთა, თაბორ.

და მისა შემდგომად ერისთავობდა სტეფანოზ, ძმ³⁾ მისი, და ამან განიშორა ჟურისა ეკლესიამ, და დადგა კრებამ ჟურის (ჟრს) ჟურობასა (ჟრობასა) ერთთეუე, და ტუიდიისს დაჟდა სტეფანოზ, და კათალიკოსი იყო სამოველ, და მისა-ზევე ევრონ.

და ჭამბაკი მოკდა...²⁾ კითარმედ „ბაღდადი ავა-

¹⁾ სუბპატის ისტორიით:— „მორე ბართლომე“.

²⁾ აქ დედანში ორი სიტყვა ამოფხევილია, მგონია თვით გადაშწერისაგან.

რეანთა დაიპყრესო,“ და ამისთვის ბერძენთა ქუენა (?)
ჯორსა აქვიდეს და წარიღეს საბერძნეთა ¹⁾).

და მისა შემდგომად ერისთავობდა გუარამ გურა-
პალატი ვ, და გუარამ ყრმაჲ ზ, და მეჩმე არმუ-
შა გურაპალატი მ, და ვარაზ ბაკურ აჰაჲ, პა-
ტრიკიოზნი, რომელმან გარბანელნი მოაქცინა, თ,
და მეჩმე ნერსე ი, და ძენი მისნი: თეილიშე ია,
სტეფანოზ იბ, ადრნესე ივ, გუარამ იდ, და ბა-
კურენანი, ძმ ბაღდადისი, იე, და ძენი ადრნესესნი:
სტეფანოზ ივ, და აშოტ გურაპალატი იზ, და
გუარამ. დიდნი ერისთავნი ესთენ იყვნეს ²⁾.

1) ეტყობა აქ გადამწერს რალაც აურევია და შიშომ უა-
ზრობა გამოდის: სიტყვა ქუენა სხვაფერ არ წაიკითხება, თუ
არ ქვეყანაჲ. ამ თრავის მაგიერ სუმბატის ხრონიკაში შემდეგი
ფრაზაა: „და მ.სა-ზე (ე. ი. სტეფანოზის-ზე) ქუეყანა ქართლისა
აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს“.

2) მთელი ეს ისტორია გვარამ გურაპალატიდგან და-
წყებული ვიდრე აქამომდე შიოქმის სიტყვა სიტყვით არის შეტანილი
სუმბატის ისტორიაში (ინ. სუმბატის ისტორია გვ. 45—50), მაგ-
რამ მეშვიდე ერისთავი ჩვენი ხრონიკისა გუარამ ყრმაჲ, მე-
რვე ერისთავი არსუშა გურაპალატი; მეთოთხმეტე—გუა-
რამ, მე ნერსესი, და მეთხუთმეტე—ბაკურენი, ძე ბაღ-
დადისი—არც ქ. ცნ-ში და არც სუმბატის ისტორიაში ცნო-
ბილწნი არ არიან ამას გარდა მეთექვსმეტე ერისთავი, ჩვენი ხრო-
ნიკის ცნობით არის სტეფანოზი, ძე ადარნასესი, ხოლო სუმ-
ბატის ისტორიის და ქ. ცნ-ის სიტყვით გურგენ, ძე

ხოლო კათალიკოზნი, რომელნი ეწონისთვან მო-
შარტ იუენეს: თავფარაგ ა, ევლახუე ბ, იოველ გ,
სამოველ დ, გეორგი ე, კვირიონ ვ, იზიდ-ბო-
ზიდ ზ, თს ს, პეტრს თ. ესე ცხრანი ცოდო-
სანნი იუენეს.

ადარნასესი, ძმა აშოტი სი; აგრეთვე ქ. ცხ-ბა და სუმბატის
ისტორია არ უჩვენებს მეთურამეთე ერისთავს გურამს, რომელიც
ჩვენი ხრონიკის თქით, ყოფილა ძე ადარნასესი. აშოტ კუ-
რაპალატიდგან სუმბატის ხრონიკა ვრცლათ მოგვითხრობს ბაგრა-
ტიონების ისტორიას. არშუშა, რომელსაც ქ. ცხოვრება არ მოიხ-
სენიებს, იხსენიება წმ. ესტატე მცხეთელის ცხოვრებაში
(VII საუკ.): „აღდგეს მთავარი ქართლისანი, და სამოელ
ქართლისა კათალიკოზი, და გრიგოლ ქართლისა
შამასახლისი, და არშუშა ქართლისა პიტიახში,
და სხუანი სეფე-წყლნი და მარზაპანსა ჰრქეეს“ (მამთა
ცხოვრება, შიომღვიმის ხელ-ნაწერი, გვ. 113). პიტიახშის და
ერისთავის ხარისხი ერთი და იგივეა.

ნერსე ერისთავი მოიხსენიება წმ. აბოს ცხოვრებაში:
„იყო უამი, ოდეს ერის მთავარი იგი ქართლისაჲ სახელით
ნერსე, ძე ადარნასე კურატპალატისა და ერის-
თავისა, მოწოდებულ იქნა ქუზყანად ბაბილოგნისა
მფლობელისა მისგან უამსა სარკინოზთასა ამირა მუმნისა
აბდილასაგან, რომელი იგი იყო ქალაქსა მას დიდსა
ბაღდადსა, რომელიცა იგი მან აღაშენა, ხოლო შესენითა
ბოროტთა კაცთათა საპურობილესა შეაგდო მან ნერსე ერის-
თავი ქუყანისა ამის ქართლისა, და პურობილ ჰყო იგი სამისა
წლისა უამთა, ვიდრემდის ბრძანებითა ლუთისათა მოკუდა აბდი-
ლა ამირა მუმნი და დაჲდა მის წილ ძე მისი მაჰდი. ხო-

მერმე მამა: ა იოვანე, ბ გრიგოლ, გ კლემენ-
ტოს, დ სანმეან, ე თაფიფი, ვ სამოვედ, ზ
კვრიფი, ზ გრიგოლ, თ სამოვედ, ი გეორგი,
ია გაბრიელ, იბ ილარიონ, იგ არსენი, იდ ევ-
სუქი, იე ბასილი, ივ მიქაელ, იზ დავით, იწ ბრ-
სენი, ით (?)¹).

ლო ქესლის მოქმედმან ლმერომან არწმუნა გულსა მაჰდი ამი-
რა მუშნისასა განტევება ნ ერ ს ე ს ი, და გამოიყუნა იგი მწა-
რისა მისგან საპურობილისა, და განუტევა იგი კულად ერისთაო-
ბით აქა ქესყანადვე თუსა² (მამათა ცხოვრება შიომღ. გვ. 308)
მეორე ადგილას ვკითხულობთ: „ხოლო იყო შემდგომად სი-
ველტოლისა მის ნერსესისა, ქართლით წარმოავლინა მაჰდი ამირ-
მა-მუშმან, ბრძანებითა ლუთისათა ს ტ ე თ ა ნ ო ზ, ძე გ უ რ გ ე ნ
ერისთავისა, დის-წული ნ ერ ს ე ს ი, ნაცვლად დედისა ძმისა თ-
ვისა ნ ერ ს ე ს ა, ერის მთავრად ქესყანასა მას ქართლისასა“
(ibid. გვ. 311). ბროსეს გამოკვლევით აბო უნდა წამებული იყო
6 იანვარს 786 წელს (Brosset. Hist. de la Géor. t. 1. p.
136, n. 1.).

¹) ქ. ცხ-ში არც ერთი კათალიკოზი ეგნონიდგან დაწყე-
ბული აქამომდე და შემდგომაც ბაგრატ III-მდე (980—1014)
არ არის ცნობილი.

²) ით³ აქ შეტომით არის მიმატებული: ცოლოსანთა კათა-
ლიკოსთა სიაში რიცხვი უკან მისდევს საკუთარ სახელს; მერმე
ეს წესი იცვლება, და რიცხვი წინ მოქლვის სახელს, ხოლო
ბოლოს ავტორს დავისწყება ეს მისგან მიღებული სისტემა და
პირველი სისტემის გაყვლით მიუმატება „ით“.

ცხოვრება და უწყება ¹⁾ ბაგრატიონიანთა, ჩუ-
 ენ ქართულთა მეფეთასა, თუ სადათ ²⁾ მოი-
 წივნეს ³⁾ ამას ქუეყანასა ივინი, ანუ რომლით
 უადითგან უპურის მათ მეფობა ქართლისა,
 რომელი აღწერა სუმბატ, მეძან დავო-
 თისამან.

ადამ შვა სუით, სუით შვა ენოს, ენოს შვა კაინან,
 კაინან შვა ძაღელ ⁴⁾, ძაღელ ⁴⁾ შვა იარედ, იარედ შვა
 ენოქ ⁵⁾, ენოქ ⁵⁾ შვა მათუსალა, მათუსალა შვა ლამექ,
 ლამექ შვა ნოე, ნოე ⁶⁾ შვა სემ, სემ შვა ართაქსად,
 ართაქსად შვა კაინან, კაინან შვა სალა, სალა შვა ებერ,
 ებერ შვა ფაღეგ, ფაღეგ შვა რაგავ, რაგავ შვა სერუქ,
 სერუქ შვა ნაქორ, ნაქორ შვა თარა, თარა შვა აბრამ ⁷⁾,
 აბრამ ⁷⁾ შვა ისაკ, ისაკ შვა იაკობ, იაკობ შვა იუდა,
 იუდა შვა ფარუზ, ფარუზ შვა ესრომ, ესრომ შვა [არამ,
 არამ შვა] ამინადაბ, ამინადაბ შვა [ნასონ, ნასონ
 შვა საღმონ, საღმონ შვა ბოოს, ბოოს შვა იო-

¹⁾ თეიმურ. ვარიანტიო:
 ცხოვრებაა და უწყებაა.
²⁾ თეიმ.: ვარ.: სადათ.
³⁾ თ.: ვარ.: მეწივნეს.

⁴⁾ ქ. ცხ.: ძაღელაღელ.
⁵⁾ ქართ. ცხოვრ.: ენუქ.
⁶⁾ ქართ. ცხოვრ.: ნოემ.
⁷⁾ ქართ. ცხოვრ.: აბრამა.

ბედ, იობედ შუა] იესე, იესე შუა დაკით მეფე, დაკით
 მეფემან შუა სოლომონ, სოლომონ შუა რობუამ ¹⁾, რო-
 ბუამ ¹⁾ შუა აბია, აბია შუა ასათ ²⁾, ასათ ²⁾ შუა იოსა-
 თატ, იოსათატ შუა იორამ, იორამ შუა ოზია, ოზია
 შუა იოთამ, იოთამ [შუა] აჭაზ, აჭაზ შუა ეზეკია, ეზე-
 კია შუა მანასე, მანასე შუა ამონ, ამონ შუა იოსია, იო-
 სია შუა იოკაქიმ, იოკაქიმ შუა ³⁾ იეჰონათ, იეჰონათ
 შუა სალათაელ ⁴⁾, სალათაელ ⁴⁾ შუა შორაბაბელ,
 შორაბაბელ შუა აბიუდ, აბიუდ შუა ელიაკიმ, ელიაკიმ
 შუა აზორ, აზორ შუა სადუკ, სადუკ შუა აქიმ, აქიმ შუა
 ელიუდ, ელიუდ შუა ელიაზარ, ელიაზარ შუა მატათან ⁵⁾,
 მატათან ⁵⁾ შუა იაკობ, იაკობ შუა იოსებ, იოსებ ⁶⁾
 :ქმარი მარიამისი, [და] მძა იოსებისი ⁶⁾—კლეოპა ⁷⁾,
 კლეოპა შუა ნაომ, ნაომ შუა სალა, სალა შუა რობუამ,
 რობუამ შუა მოხთარ ⁸⁾, მოხთარ ⁸⁾ შუა ელიაკიმ, ელიაკიმ
 შუა ბენიამენ, ბენიამენ შუა რობემ ⁹⁾, რობემ ⁹⁾ შუა მოსე,
 მოსე შუა იუდა, იუდა შუა ელიაზარ, ელიაზარ შუა ლევი,
 ლევი შუა იარომ, იარომ შუა მანასე, მანასე შუა [ა-
 ვობ, იაკობ შუა მიქია, მიქია] შუა იოკაქიმ ¹⁰⁾; იოკაქიმ ¹⁰⁾

¹⁾ ქ. ცხოვრ.: რობოამ.

²⁾ ქ. ცხ.: ასა.

³⁾ ქ. ცხ-ში ეგ უკანასკნე-

ლი სამი სიტყვა არ არის.

⁴⁾ ქ. ცხ.: სალათიელ.

⁵⁾ ქ. ცხ.: მატათან.

⁶⁾ ქ. ცხ-ში ეს სიტყვა არ

არის გამეორებული.

⁷⁾ ქ. ცხ.: კლეოპასი.

⁸⁾ ქ. ცხ.: მუხთარ.

⁹⁾ ქ. ცხ.: იერობემ.

¹⁰⁾ ქ. ცხ.: იოკაქიმ.

შვა (რობემ ¹⁾), რობემ ¹⁾ შვა აბრაჰამ ²⁾, აბრაჰამ ²⁾ შვა იობ, იობ შვა აქაბ, აქაბ შვა სვიმონ, სვიმონ შვა იზაჰარ, იზაჰარ შვა აბია, აბია შვა გაად ³⁾, გაად ³⁾ შვა ასეორ ⁴⁾, ასეორ ⁴⁾ შვა ისაკ, ისაკ შვა დან, დან შვა სოლომონ, სოლომონ შვა შვიდნი ძმანი, რომელნი იგი მოსცნა ღმერთმან ტყუულობასა შინა.

და ესენი შვიდნი ძმანი, ძენი ამის სოლომონისანი ⁵⁾, მოიწივნეს ეკლეცს წინაშე რაქაეელ დედოფლისა, და მისგან ნათელ ილეს, და დაშტეს იგინი ქვეყანათა სომხითისათა, და მიუნ დღეინდელად დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს ⁶⁾. და ოთხნი ძმანი მათნი მოკიდეს ქართლს. ხოლო ერთი მათგანი, სასულით გუარამ ⁷⁾, განაინეს ერისთავად. და ⁸⁾ ესე ქართლისა ბაგრატიონიანი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის ⁹⁾ გუარამისანი ¹⁰⁾. ხოლო ძმა მისი, სასულით საჭაკე, წარვიდა კახეთს და დაემზასა იგი ნერსეს, და სხვანი ორნი იგი ძმა ¹¹⁾ ამათნი, სასულით

¹⁾ ქ. ცხ.: იერუბემ, თეიმურაზის ვარიანტი: იურობემ.

²⁾ ქ. ცხ.: აბრაამ.

³⁾ ქ. ცხ.: გად.

⁴⁾ ქ. ცხ.: ასეორ.

⁵⁾ ქ. ცხ.: სოლომონისანი.

ამ სიტყვის შემდეგ ქ. ცხ. უმატებს: „წარმოვიდეს ქვეყანით ფილისტიმით, უყუეობით წარმოსრულნი ჰურიანი და“.

ეს თრაზა არც თეიმურაზის ვარიანტშია (ქ. ცხ. გვ. 162).

⁶⁾ თ. ვარ.: სომხეთს.

⁷⁾ თ. ვარ.: გ უ რ ა მ.

⁸⁾ თ. ვარ. აქ უმატებს:

ესე არს ერისთავი ქართლისა და მამამ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ თ ა .

⁹⁾ თ. ვ-ში: ეს სიტ. არ არის

¹⁰⁾ თ. ვარ.: გუარამისანი.

¹¹⁾ თ. ვარ. ძმანი.

ასამ და ვარზვარად¹⁾, წარვიდეს კამბეჩიანს²⁾
 და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი, და დანიშნეს კამ-
 ბეჩიანი³⁾; და დასხდეს იგინი მუნ ცსორებად ხორენ-
 ბუჯს, და ამ უამადე⁴⁾ შვილნი მათნი მთავრობენ მას
 შინა. სოლო კინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორ-
 გასდლისათა, მით უამითგან ეპურა უფლება ქართლისა
 აზნაურთა კიდრე ამათადე, არამედ დაესრულა უფლება
 ქართლისა აზნაურთა⁵⁾ ბორტტა საქმეთა მათგან.

მას უამსა მცხეთას კათალიკოზი იყო სვიმონ-
 ჰეტრე, და მცხეთა აღთსელდებოდა, და ტფილისი აღ-
 შენდებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კაჯუა⁶⁾ გან-
 დიდდებოდა, სპარსნი უფლებდეს ქართლს, კახეთს, ჰე-
 რეთს, სომხითს, სავანეთს⁷⁾, ასპორანცს⁸⁾. მას
 უამსა კათალიკოზი იყო მცხეთას სამოელ, და ერთად
 შერბა უოკელი ქართლი და გამოაჩინეს გურაბ, დავი-
 ვითის ნათესავისაგან, მოწვეული ძმათა მისთა თანა,
 ოსამს⁹⁾ და ვარზავარდს, რომელნი იგი ზემო
 ვაკსენენით. ესე¹⁰⁾ წარმოვიდეს ეკლესიით, რომელნი

1) თ. ვარ.: ვარზავარდ.

2) თ. ვარ.: კამბეჩიანს.

3) თ. ვარ.: კამბეჩიანი.

4) თ. ვარ.: ამა უამადე.

5) თ. ვარ.-ს აკლია „ვიდ-
 რე“-დგან დაწუბული აქამომდე.

6) თ. ვარ.: კაჯა.

7) თ. ვარ.: სიფნეთს.

8) თ. ვარ.: ასპურა-

განს. ამას შემდეგ თ. ვარ. უმა-

ტებს: „მოკლდა კათალიკოზი ს-ვ-

მონ და დაჟდა კათალიკოზად

სამოელ“.

9) თ. ვარ.: ოსამს.

10) თ. ვარ.: ესენი.

მონათლნა (მონათანი?) რაქაედი დედოფალმან ძმანი ¹⁾ ჭურინანი, ტუეკობით მოსრულნი, ჭიუენით ფილისტიამით, და ნათელ იღეს ეკლესს კელითა რაქელ დედოფლისათა, რომელმან სამთა მათგანთა უცვალა სასული, რამეთუ ერთსა სასულ სდვა ²⁾ მოშადე ³⁾, და ერთსა ბაგრატი, რომელ არს მამა ბაგრატიონიანთა ⁴⁾, ერთსა აბგავარ, ერთი შემოიყუანა სიძედ, და ორნი მათგანნი ამზახს სომხითის მეფეთა ⁵⁾.

სოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს, ვითა ზემო ვაკსენეთ, და გურამ განაჩინეს ერისთავად, და მოსცა ამას მეფემან ბერძენთამან პატრიკად გურაბტა-დიატობა, და ამან დადვა საფუძველი ჯვარისა ეგკლე-სიასა, რომელ არს მცხეთას ⁶⁾.

სოლო სამი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს, და საჭაკ დაემზას ბაკურს, ძესა ნერსესსა ⁷⁾, და ⁸⁾ ოსამ (უსამ) [და] ვარზავარად ⁹⁾ წარვიდეს კაბეჩიანს ¹⁰⁾ და გარდაუქცი-ეს ერთი ვეზანს, ერისთავსა ¹¹⁾ [ბაჭარ ჩუბინისსა, და ვე-ზან მოჭკლეს], და დაიპურეს მათ კამბეჩიანი ¹²⁾. და იყო მას ჟამისა მცხეთას კათალიკოზი სამოედო, და ამის-ზე ტფილი-სისა მკვიდრთა ეკლესიისა გებად იწუეს, რომლისა ნასეკარსა

¹⁾ თ. ვარ. უმატებს აქ: შუღნი.

⁷⁾ თ. ვარ.: ნ ე რ ს ე ს ი ს ა .

²⁾ თ. ვარ.: სახელი ედვა.

⁸⁾ თ. ვარ.: სოლო.

³⁾ თ. ვარ.: მუშელ.

⁹⁾ თ. ვარ.: ა ს ა მ და ვ ა - რ ა ზ ვ ა რ დ .

⁴⁾ თ. ვარ.: ბაგრატიონთა.

¹⁰⁾ თ. ვარ.: კამბეჩიანს.

⁵⁾ თ. ვარ.: ამზახნა სომეხთ მეფეთა.

¹¹⁾ დედანში ერისთავი სწერია.

⁶⁾ ეს ფრაზა „და ამან“-დგან და-წყებული არ არის თ. ვარ.-ში.

¹²⁾ თ. ვარ.: კამბეჩიანი.

ყოველი ერთი აშენებდა და ნახევარსა ერთი კინძე დედა-
კაცრი ¹⁾, და ქათალიკოზი იყო მტყუთას ბართლომე ²⁾.

და შემდგომად ამის გუარამისსა ერისთაობდა მე
მისი სტეფანოზ, და ძმა დემეტრესი, და აშენებდეს
ეკკლესიასა ჯვარის (sic) მტყუთას ³⁾. და ამის-ზე წარგლო
ერაკლე მეფემან ბერძენთამან, და მივიდა ტფილისად, და
დადგა გამართებითა (და მართებით) ცისესა კალისსა, და
ცისის თაემან კმა უყო ცისით გამოღმართ ⁴⁾, და ჰქვა ჰვე-
რაკლე მეფეს: „რომელსა გასსენ წუერნი ვაფისანი და

¹⁾ თ. ვარ. აქ უმატებს: „და ამანვე კურატპალატამანცა განა-
ახლა სათუბეველი ტფილისის სიონისა, რამეთუ ნათესავნი მი-
რიანი მეფისა მორწმუნისანი ყოველნივე ეკკლესიათა მაშენებელ-
ნი იყვნეს“. აქ საჭიროდ ვრაცნთ დავსძინოთ, რომ მთელი ეს მოთხ-
რობა „და დაშოეს იგინი“-დგან დაწყებული (ნ. გვ. 43) გიღრე
აქამომდე სრულათ არის შეტანილი თ. ვარ-ში (ნ. ქ. ცხოვრ.
გვ. 162, შენ. 1). განსხვავებანი ჩვენ უკვე უჩვენეთ სსლოიებში.

²⁾ ეს კათალიკოზი ქ. ცხ-ში ნაჩვენებია გუარამისის
სტეფანოზის ერისთაობის დროს: „მოკუდა კათალიკოზი
სამოელ, და ამან სტეფანოზ დასვა კათალიკოზად
ბართლომე“ (ქ. ცხ.: გვ. 165).

³⁾ ქ. ცხოვრებაში ამ სტეფანოზის შესახებ სხუთა
შორის ვკითხულობთ: „ხოლო ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო.
და უშიში ღვთისა, არა მსახურა ღმერთსა, არცა ჰმატა ჰსრეულ-
სა და ეკკლესიათა“. ჯუარის ეკკლესიის აშენებას ქ. ცხოვრება
შიაწერს დემეტრეს, სტეფანოზის ძმას: „ძმა სტეფა-
ნოზისი, სახელით. დემეტრე, აშენებდა ეკკლესიასა ჯუარისა
პატრიოსნისა, რამეთუ სენიცა იყო მისთანა ბოროტი, და ვერ შემძლე-
ბელ იყო განშორებად კარსა ეკკლესიისასა“ (ქ. ცხ. გ. 165—166).

⁴⁾ თ. ვარ.: ცინის გამოღმართ აგინა ერეკლე მეფესა.

ვანც ბოროტისანი ¹⁾“. მაშინ ესმა ჰერაკლე მეფესა, განრისხნა მისთვის და აღმოვიტოს წიგნისაგან დანიელ. წინასწარმეტყველის სიტყვა იგი, ვითარმედ „აღმოვიდეს ²⁾ ვაცი დასავალისა და შეშუსრნეს რქანი აღმოსავლისა კერძისანი“. და თქვა მეფემან ³⁾: „უკეთუ იყო ჩემდა სიტყვა ეგ ⁴⁾, კანნიერებისათვის ჩემისა მისაგებელი ორგეცი ⁵⁾ დაგიტეო შენ“, და დაუტევა ტფილისს (ტფილისი) ჯიბღუ ერისთავი ბრძოლად ცნისა ტფილისისა ⁶⁾, და თვთ წარმართა ბაღდადს, და მივიდა გარდაბანს ვარაზ გაგელისასა, და დაილაშქრა ადგილსა მას, რომელსა ქუჩან ხუნა-შენი, და ნათელ სცა ჰერაკლე ვარაზ გრიგოლის ⁷⁾. და უოკელსა ერსა მისსა, და იწყო შენებად ეკელესიასა, რომელი იგი უბრწყინგაღეს არს უოკელთა ეკელესიათა, და წარვიდა ბერდუჯს და დადგა გულსა სოფლისასა (სოფიოსასა), და აღმართა ჟვარი ქვისა (ქვს), და დადგა საფუძველი წმიდისა ღვთის მშობელისა ეკელესიისა ⁸⁾, და აღასრულა გუმბადი ⁹⁾ მისი, სოლო მან ჯიბღუ ცი-

¹⁾ ქ. ცხ.: და ვაც-ბოტისა კისერი გაქუს.

²⁾ თ. ვარ.: გამოვიდეს.

³⁾ თ. ვარ. უმატებს: მხასროხელსა თვსსა.

⁴⁾ თ. ვარ.: იგი.

⁵⁾ თ. ვარ.: ორგეცი.

⁶⁾ თ. ვარ.: და დაუტევა ტფილისს მისთანა ერისთავი, რომელსა ერქვა ჯიბღუ და უბრძანა ბრძოლად კალისა.

⁷⁾ თ. ვარ.: და ნათელ-სცა ჰერაკლემ ერისთავსა ვარაზს გაგელსა.

⁸⁾ ქ. ცხ.: ეკელესიად.

⁹⁾ ქ. ცხ.: გუმბათი.

სე იგი ტფილისისა გამოიღო, და ცისის თაგი იგი, შეი-
 მყრა ¹⁾, და დაჩაჭკნითა პირი აღუგეს ამისთვის, რამეთუ თქვა,
 სადიდებელი იგი მეუფისა ჭკრკელესი, სოლო კადრებისა მის-
 თვის ტუაგი გაჭკადა და მეუფეს მისწია. იგი გარდაბნს ვა-
 რაზ გრიგოლისასა ²⁾. და გარდაბნით მეუფემან მიცვალა ³⁾
 დიადს, და უწოდა მეწიეკვენეთა მთავარსა, [და] ნა-
 თელ სცა, და წარვიდა [მუნით] ბაღდადს, და გამოიღო
 ბაღდადი, და შეიპყრა ხუასრო მეუფე, და მოაღებინა მე-
 ღი (ძალი) ცსოკრების (სოკრების) ⁴⁾, და იწყო შენე-
 ბად იფელუსადებინსა, და დასუა მოდისტოს შატრი-
 აქად, და წარმოემართა აქათვე, და მოვიდა წელსა მეშვი-
 დეს (მშვიდეს) ⁵⁾, და კიდრე მოსულვადმდე მისსა ტფი-
 ლისის ეგკლესია [სიონი] გაესრულა ⁶⁾, სოლო ჯუა-
 რისა ეგკლესიასა აკლდა (აკლიდა).

და მან ჭკრკელე მეუფემან ტფილის, და მცხეთას, და
 უჯარმოს ჭადაგნი განავლინნა, რათა ყოველნი ქრისტი-
 ანენი ეგკლესიასა შევიდენ, და ყოველნი მოგუნი და ტე-
 ცსლის მსახურნი, რომელნიცადა არა მოინათლენ, მოი-

¹⁾ თეიმ. ვარ.: სოლო მან ერისთაუმან იმიბლუ მცირეთა დღე-
 თა წარიღო კალა, და ცინე იგი ტფილისისა გამოიღო, და ცი-
 ხის თაგი იგი შეიპყრა ამან ერისთაუმან (ქ. ცხ. გ. 167 შენ. 7).

²⁾ ქ. ცხ.: გაგელიასა.

³⁾ ქ. ცხ.: და მუნით მივიდა (ქ. ცხ. გვ. 167).

⁴⁾ ქ. ცხ. უმატებს.: და მოკლა ხ ვ ა ს რ ო .

⁵⁾ თეიმ. ვარიანტ.: და წარმოემართა აქათვე, უემოიარა,
 რათგან ჩავლო გზა ქართლისავე (ქ. ცხ. გვ. 169, შენ. 1).

⁶⁾ თეიმ. ვარიანტ.: განესრულათ (ibid.).

სწინენ. სოლო მათ ნათლისღება არა ინებეს, არამედ ზაკკით (ზაკვცით) აღერივნეს ¹⁾ ქრისტიანეთა თანა, და მიაწიეს უოკულთა მათ ზედა მასვილი: და ეკკლესიათა შინა მდინარენი სისსლისანი დიოდეს, და განწმინდა სჯული ქრისტეს, ღმერთისა ჩუენისა, და წარვიდა ჰერაკლე მეფე სამეფოდვე თჳსად. და მთავრობდა ქართლს იგივე სტეფანოზ დიდი ²⁾. ქათალიკოზი იყო მეორე ბართლომე მის-ზედავე. და შემდგომად მისსა მთავრობა ადარნასე, ძე მის სტეფანოზისი ³⁾, და მის-ზედას სამნი კათალიკოზნი იტყუალებეს—იოვანე, ბაბილოა და თაბორ ⁴⁾. და ამისა შემდგომად მოკუდა [ადარნასე მთავარი და დაჟდა] სტეფანოზ, ძე მისი, და მან განასრულა ეკკლესია [ჯუბრისა], და განაწესა მუნ ჟუარისა კრება, და დაჟდა ტფი-

¹⁾ ქ. ცხ.: აღერივნეს.

²⁾ ქ. ცხ-ის თქმით სტეფანოზი ჰერაკლეს ტფილისს მოსლოვისთანავე მოიკლა „წყობასა შინა“, და ჰერაკლემ ქართლის მთავრობა მისცა ადარნასეს, „ძესა ბაკურიანსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩიანასა, ვახტანგის პისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს“. კალაის აღებას და სხვა ზემო მოხსენებულ ამბებებს ქ. ცხოვრება ადარნასეს დროს მიაწერს (ნახ: ქ. ცხ. გვ. 166—167)

³⁾ ქ. ცხოვრების თქმით, როგორც შევნიშნეთ, ეს ადარნასე არის შეიღი მესამე ბაკურ მეფისა, ცხოვროიანი, და არა შეიღი სტეფანოზისი.

⁴⁾ თეიმ. ვარაზტ.: გარდაიცვალნეს სამნი კათალიკოზნი, სეათობნებტე კათალიკოზნი იოანე, ბაბილოა, დაბორ (ქ. ცხ. გვ. 169, შენ. 5).

ღის ცხოვრებად. (ცხოვრებად), და კათალიკოზი იყო სან-
მ. აელ და ენონ. და მის-ზე ქუეყანა ქართლისა აღწერეს
და წაჩილეს საბეჭძნეთს. და ჰამბავი მოიწია, ვითარმედ
„ბაღდადი (ბადადი) დაიპყრეს აჯარის ნათესავთაო“. და
ამის სტეფანოზისა შემდგომად ერისთაობდა მე მისი
გურამ გურაბტაფლატი, და შემდგომად მისსა ვარაზ-
ბაქურ, მე მისი, ანთიპატრიკოსი, რომელმან გარბა-
ნელნი მოაქცივნა. და მოისრა ნერსე და ძენი მისნი—
თეოდოსი, და სტეფანოზ, და ადარნასე,—და ძენი მისნი—
—გურგენ ერისთავი, აშოტ გურაბტაფლატი 1).

1) დედანში სწერია: „გურგენ ერისთავი აშოტ გურაბტაფლა-
ტისა“. სტეფანოზ მეორის შემდეგ, ქ. ცხოვრების გადმო-
ცემით, მეუბლებენ პირველად შირ და მას შემდეგ არჩილი,
ძენი სტეფანოზ მეორისანი, ამით შემდეგ ქართლისა მთა-
ვარნი იყვნენ იოანე და გუან შერ, ძენი წმიდის მოწამისა
არჩილ მეფისანი. ესენი ყველანი ხოსროიანნი იყვნენ და ამის-
თვის სუმბატის ისტორია არ იხსენიებს, რადგანაც მას აზ-
რით აქვს მხოლოდ ბაგრატიონების ისტორიის აღწერა.

აქ საჭიროთ ვრაცნთ ქ. ცხოვრებიდან სრული ცნობები
მოვიყვანოთ ამ აშოტის წინაპრებზე: „ხოლო რაჟამს მოუ-
ძღურდნენ ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აბხაზთა, სახელით
ლეონ, ძმის-წული ლეონ ერისთავისა; რომელითათჳს შეცა
სამკვდროდ აფხაზეთი. ეს მეორე ლეონ ასულის-წული იყო
ზაზართა მეფისა და ძლითა მათითა გაადგა ბერძენთა, და დაიპ-
ყრა აფხაზეთი და ეგრისი გიღრე ლიხანამდე, და სახელ
იდგა შეფე აფხაზთა: რამეთუ მიცვალებულ იყო იოანე ერის-
თავი, და დაბერებულ იყო გუან შერ. და შემდგომად ამისსა
გუან შერცა მიიკვალა. არამედ სიცოცხლესავე გუან შერცა

სოლო ამოტ გურატპალატო. მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სასელად მისა იყო ბარდავი, და ტფილისი, და ჭქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გასემოს მისსა. და მამინ განძლიერდა კელმწიფუბა აგარინათა, და იწყეს მიესა ამოტ გურატპალატისა, და ვერ უძლო წინა აღდგომად მათდა ამოტ, და ივლტოდა მათგან, და წარაქმართა, რათა წარვიდეს სასერძხეთად, და თანა ჭქუეს მათ დედა და ცოლი, და ორნი ქენი ასაკითა ჩვილნი, უსუცესი ადარნასე და ბაგრატი, სოლო უმრწემესი ქე, [სასელით] გურამ¹⁾, ჟერეთ არს ესუა, და არს²⁾, ერი თჳსი მცირედ ჭყუა თანა, მკვიდრნი მისნი დედა წულითურთ და შვილითურთ. [და] მოიწივნეს მთასა ჯავახეთარსასა, კიდესა დიდსა

სასა ადარნასე ბაგრატიონიანმან იცვალა ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა (მარიამ დედოფლის ვარიანტიორ—ისისფორისა), არტანისა და ქვემო-ტაოსა და ციხეთაგან, რომელი ჭქონდეს შვილის შვილთა განტანგმეთისათა. და შემდგომად მისა წარვიდა კლარჯეთად და მუნ მოკუდა ადარნასე. რამეთუ მამა მისი ნერსე, ქე ვარაზ-ბაკურ ანთიპატრიკისა, და ამის ვარაზ-ბაკურის მამა, სახელით გურამ კურატპალატი, ქე პირველისა სტეფანოსისა, და მამა დემეტრესი,—ესენი გარდაცვალებულ იუვნეს. და შემდგომად სიყდილისა ადარნასესა განდიდა უფლმან მეფობა ამოტ კურატპალატისა, რომელი იყო შვილი ადარნასესი და მამა გურგენ ერისთავისა“ (ნაჭე ქ. ცხ. გვ. 186).

¹⁾ ქ. ცხ.: გურამ.

²⁾ ეგ სიტყვა არ არის ქ. ცხ.-ში და აქ შეცთომით უნდა იყოს გამოკრებული.

ტის ფარავნისასა დამაშურალნი სლვისაგან, და გარ-
დაჭედეს განსვენებად კიდეს მის ტბისასა, ჭამეს რა ჰური
და მცირედ მიერულა[თ], და მძინარეთა ეწივნეს დიდნი
ლაშქარნი საჩინრზთანნი, [მაშინ] შეეწია ღმერთი აშოტ
კურატპალატსა ¹⁾ და კინსა-მას ლაშქარსა მისსა,
მოსცა ძლევა მათზედა, და მოსწრეს სიმრავლენი ური-
ცხუნი, წარმოვიდეს და მოიწივნეს კეესა შავშეთისასა.
ხოლო კევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ. გა-
რეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ ყმთა სპარსთა
უფლებისასა აოგრდა, ოდეს იგი ურუჰან ბადდადეფ-
მან შემუსრნა ცისენი ყოველნი და მოკლო შავშეთიცა
და ღაღონი, და კუალად შემდგომად მისსა სლვამან სატლო-
ბისამან მოაოკრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედლა
დაშეთეს კაცნი ადგილ ადგილ. ხოლო დაშთომილთა მათ
მკვდრთა შავშეთისათა შეიწინარეს იგი სისარულით და
სიუფარულითა, და დაემკვიდრა მუნ, და მისცა ღმერთმან
გამარჯვება, და აკელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა.
და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა ²⁾ და ზოგი
ოკერი აღაშენა, და განამრავლა სოფელი ³⁾ აშოტ
კურატპალატმან ქუეყანათა მათ შინა. და მისცა ღმერ-

¹⁾ აქ შევნიშნავთ და შემდეგ აღარ გავიმეორებთ, რომ
დედანში კურატპალატის მაგიერ უმეტეს შემთხვევაში „კურატ-
პალატი“ სწერია.

²⁾ ქ. ცხ.: და რომელნიმე სოფელნი მის ქვეყანისანი მოი-
ყიდნა საფასოთი.

³⁾ ქ. ცხ.: სოფლები.

თმან ¹⁾ და განამტკიცა კელმწიფება მისი ნუსითა ზერ-
ქენტა მეფისათა, და ზოვა ²⁾ კლარჯეთის ტყეთა შინა
კლდე ერთი, რომელი ჰირველ გორგასადს ვახტანგს
ცისეთ აღეშენა, სასიკლით არდანუჯი ³⁾, და აოკრებულ
იყო ბაღდადელისა-მის ყრუობითგან, იგი განაასლა აშოტ
და აღაშენა ეგრეთვე ცისედ და წინა კერძო მისსა ქუე-
შეთ აღაშენა ქალაქი, და აღაშენა ცისესა-მას შინა ეკკლე-
სია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა
მას შინა სათელავი თჳსი, და დაემკვდრა ცისესა-მას შინა
ცსოვრებად (ცსორებად), და მერმე კვალად ეუფლა ქუეუ-
ნათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა, და მრავალ გზის
მოსცა ღმერთმან აშოტს გურატპალატსა ძლევა და დიდი
დიდება ბრძოლათა შინა.

და იყო ერთსა შინა ყამსა, განვიდა ⁴⁾, რათამცა
შეეკრიბა (შეიკრიბა) ლაშქარი ბრძოლისათჳს სარკინოზ-
თასა, მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე, განავლინა ლაშ-
ქრის მწუერვალნი ⁵⁾, და ვიდრე არღარა შეეკრებულ იყო
ლაშქარი იგი მისი მისთანა, დაესხნეს მას სარკინოზნი
უცნაურად, და აოტეს იგი; წარმოემართა და მოიწია კეკესა
ნიგაღლიცასა, და იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითა
განიმრავლა ლაშქარი თჳსი, და წარმოემართნეს მოსკლად ⁶⁾

1) ქ. ცხ-ში ეს უკანასკნელი საში სიტყვა არ არის.

2) ქ. ცხ.: ხოლო ამან აშოტ გურატპალატმან ზოვა.

3) ქ. ცხ.: არტანუჯი.

4) ქ. ცხ-ბა უმატებს: აშოტ.

5) ქ. ცხ-ში: მანვეველნი.

6) ქ. ცხ.: ვჳ სიტყვა არ არის.

მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგინი მოვიდეს კლავდ (კალავად) მისსა.

მაშინ ვიდრე მოწიგნა: დიდე მათდა კარად მისსა არა უწყობდა ამოტ წაკვა [მათი] ¹⁾, და არა ჭყვა მას ერი თჯსი, თჯნიერ მცირედთასა ²⁾, ვერ წინააღუდგებოდა იგი მათ; ამისთვისცა შეივლტოდა ამოტ კურატპალოტი ეკკლესიად, და მოწყლეს იგი მსხვილითა საკურთსეველსა ზედა, და შეისუარა საკურთსეველი იგი სისსლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცსოვარი, აღსაკალსა საკურთსეველსასა, და სისსლი იგი მისი დათსეული დღესცა სანიინოდ სსსილველ არს.

ხოლო ესმა რა ესე ამაჲვი ერსა მისსა, რომელნი იგი ივენეს დოღის-ყანასა, ვითარმედ მოიკლა უფალი იგი მათი ამოტ კელითა ოროზ-მოროზის მეთათა, წარვიდეს დოღით-ყანით ³⁾, და დვენა უუეეს მკლელთა მათ უფლისა თჯსისათა, და ეწიგნეს მათ სავანეთა ⁴⁾ ზედა ჭოროხისასა, მოსრნეს იგინი ბოროტად, ვიდრემდის არა დაუშთა [არც] ერთი მათგანი, და წარმოიღეს მკუდარი ამოტ კურატპალოტი, და დაფლეს მისსამას საფლავსა შინა, ცისესა არტანუჯისასა, ეკკლესიასა

¹⁾ ქ. ცხ. უმატებს: „და რა უამს მოიწიგნეს იგინი კარად მისსა, მაშინლა აგრძნა რაჲ-იგი ეგუღვებოდა მათ“.

²⁾ ქ. ცხ. უმატებს: რომლითა.

³⁾ ქ. ცხ.: დოღის-ყანით, რუიანცევის ვარინტი: დოღის ყანით.

⁴⁾ ქ. ცხ.: სავანესა.

წმიდათა მოციქულთასა ¹⁾, რამეთუ ²⁾ მოიკლა ესე
 აშოტ კურატპადატი დასაბამითგან წვედთა ხუდ,
 ქორონიკონსა მეათცამეტედ მოქცეულსა შინა მკ,
 თუცსა იანვარსა ოცდა ცხრასა, და დაუტეუნა სამნი
 ძენი: უსუცესი ადარნასე, და შეძევ მისი—ბაგრატ,
 ესე ორნი თანა ჭეუეს მას, რაჟამ იგი მოიწია შავშეთ
 -კლარჯეთად, სოლო უმრწამესი ³⁾ გუარამ არტა-
 ნუჯს მოსლესადა შინა დაებადა.

და შეძგომად აშოტის სიკუდილისა, მამისა მათისა
 რომელ გარეთ ქეუენა ჭქონდა, წაუღეს ⁴⁾ სარკინოზთა,
 რამეთუ იუენეს ივინი უსრულ ასაკითა. სოლო რაჟამს
 სრულ ასაკ იქმნეს ივინი, კუალადცა მოსცა ღმერთმან მათ-
 ვე იგი ⁵⁾ ნაქონები მამისა მათისა. და კიდრე უსრულ-
 ღა იუენეს ივინი ასაკითა, იზრდებოდეს ⁶⁾ ცისესა შინა
 არტანუჯისასა, და იუენეს სარკის მიმცემელ სარკინოზთა
 უკველნივე კეკნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგაღისანი. სოლო
 არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათი ნაქონები იგი მამისა
 მათისა, და დასუეს ბაგრატ კურატპადატად, და წარ-
 მართა ღმერთმან კელმწიფება მათი ⁷⁾.

1) ქ. ცხ.: მოციქულთა პეტრესა და პავლესა.

2) ქ. ცხ.: სოლო.

4) ქ. ცხ.: წარუღეს.

3) ქ. ცხ.: უმრწამესი.

5) ქ. ცხ.: უოველივე-იგი.

6) ქ. ცხ. ში ამ თრაზის მაგიერ, გიდრე-დგან დაწყებული,
 სწერია: „რამეთუ იზრდებოდენ სამნივე იგი ძანი, ძენი ამის
 აშოტ კურატპადატისანი“.

7) მთელი ეს მოთხრობა სიტყვებიდგან სოლო აშოტ

და იყვნეს ძენი უსუცესისა მის ¹⁾ ძმისა მათისა, აშოტის ძისა, ადარნასესნი, სამნი: გურგენ, რომელი იგი დღეთა სიბერისა მისისათა გურატპაღლატად (კარატპაღატ) დასუეს, და ძმანი მისნი — აშოტ-კეკელა ²⁾ და სუმბატ არტანუჯელი, რომელი კელმწიფობასა მისსა დასუეს ანთიპატრიკ-პატრიკად ³⁾; და ძენი ზაგრატ გურატპაღლატისანი სამნი: დავით, რომელი შემდგომად ძამისა თჳსისა დასუეს გურატპაღლატად, ადარნასე და აშოტ; და ძენი უმრწამესისა აშოტის ძისა, გუარამისნი ⁴⁾, ორნი: ნასრა და აშოტ.

სოლო აშოტ კეკელაჲ, ძე ადარნასესი, გარდაიკვამდა ქორონიკონსა ჰზ, და დაუტევა გურგენ, რომელი შემდგომად გურატპაღლატად დასუეს, და სუმბატ არტანუჯელი ანთიპატრიკი ⁵⁾, გარდაიკვალა აშოტ, ძე მამფელისა (მამეფლისა) ⁶⁾ გუა-

„გურატპაღლატი მთავრობდა“ (ნ. გვ. 50) ვიდრე აქამომდე თითქმის სიტყვა სიტყვით არის შეტანილი ქ. ცვ-ში და განსაკუთრებით თ. ვარიანტი არაფრით არ განიჩეგვა სუმბატის ისტორიისაგან (ნ. ქ. ცხ. გვ. 186—189).

¹⁾ თ. ვარ-ში ეს სიტყვა არ არის.

²⁾ თ. ვარ.: კეკელა.

³⁾ დედანში „პატრიკად“ სწერია.

⁴⁾ თ. ვარ.: გუარამისი.

⁵⁾ თ. ვარ-ში არ არის ეგ სიტყვა.

⁶⁾ თ. ვარ.: „მამფელი“. აქ საჭიროდ გრაცხთ შეკნიშნოთ,

რამის, უწინარეს მამის თვისისა, ქორონიკონსა ვთ, აჩა დაუტევა ძე.

გარდაიცვალა ბდარნასე, ძე ბაგრატ კურატპა-
ლატისა, ქორონიკონსა ქვ, სიცოცხლესავე მამის
თვისისასა, და აჩა დაუტევა შვილი. და მამა მისი ბაგ-
რატ კურატპალატი, ძე აშოტ კურატპალატისა,
გარდაიცვალა ქორონიკონსა ქვ, და დაუტევნა მენი
— დავით, რომელი შემდგომად მისსა კურატპალატ¹⁾
უუეს, და მოიგლა იგი კელითა მის²⁾ მმის-წულისა თ-
ვისისა, ნასრავ, გუარამის ძისითა, სიცოცხლესავე
შინა გუარამისა, ქორონიკონსა რა, სუფიქსას ში-
ნა გუგობასა³⁾, ხოლო გუარამ მამფალი (მშა-
ფელი), მამის მამა მისი, მამა ნასრავსი, უბრალო იუო-
სისსლისაგან დავით კურატპალატისათა. და დაუ-
ტევა აჰან დავით მოკლულმან ძე მცირე აღარნასე,
მოუწიფებელი ჭასაკითა. ხოლო ნასრ, მკლველი⁴⁾,
ივლტოდა სამეფოსა კოსტანტინეპოლიედ და იუო-
მუნ მრავალ წელ. და ამისსა შემდგომად დასუეს გურ-

რომ დედანში უმეტეს შემთხვევაში მამფალის მაგიერ „მამეფალი“
სწერია.

1) თ. ვარ.: კურატპალატად.

2) ბროსსეს აზრით „მის“ მაგიერათ უნდა იუოს — „მამის“.

3) ეგ უანასენელი სამი სიტყვა არ არის თ. ვარ-ში.
გუგობასა მაგიერ ჩვენს აზრით უნდა იუოს — გუარა-
მისასა.

4) თ. ვარ.: მკლველი.

გენ, ძე ადარნასესი, გურატპაჯაატად, დიდისა
აშოტ გურატპაჯაატისა ძისა.

გარდაიცვალა გუარამ მამფალი, ძე აშოტ დი-
დისა, მამა ნასრისა ¹⁾, ქორონიკონსა რბ.

და გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ გურატპა-
ჯაატისა, ქორონიკონსა რე.

და ²⁾ ამისსა შემდგომად გამოვიდა ნასრ სამეფოთ ³⁾,
და მოვიდა აფხაზეთს, და იყო მასინ აფხაზთა მეფე
ბაგრატ, დის-ძე ნასრესი, და შესწია მან დიდითა ლაშ-
ქრითა ⁴⁾, მეფემან აფხაზთამან, და მუნით გარდამოვიდა
ნასრ სამცხეს, და შეკრიბა სსუაცა ლაშქარი ურიცხვი. სო-
ლო ადარნასე, ძე მოკლეულისა ⁵⁾ გურატპაჯაატისა,
განვიდა ბრძოლად მისა ⁶⁾, და მიჭყუა მისთანა შეწყენად
ადარნასესა ⁷⁾ გურგენ გურატპაჯაატი და შვილნი
მისნი, და ყუეს ბრძოლად და ომი დიდი ნასრის ⁸⁾. ზედა,
და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა,
და სძლეს ნასრას, მეოტი ჭმნეს (ჭმნეს) ⁹⁾, [და] შეი-

1) თ. ვარ.: ნასრასი.

2) თ. ვარ.-ში ეს სიტყვა არ არის.

3) თ. ვარ.: სამეფოდ.

4) თ. ვარ.: ლაშქართა.

5) თ. ვარ.: მოკლეულის.

6) თ. ვარ.: მისსა.

7) თ. ვარ.: ადარნასეს.

8) თ. ვარ.: ნასრას.

9) თ. ვარ.: იჭმნეს.

ჰერეს, და მოკლეს ნასრა კეკსა მცხეთისასა ¹⁾, სოფელსა ასპინძას ²⁾, ქორონიკონსა რს. და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიკოცა სასკენებელი მისი. აღდარნასე, ქე დავით გურნატჰაღლატისა, დასუეს ქართველთა მეფედ, მის მოკლულისა. და ამან აღდარნასე, ძემან დავით მოკლულისამან, აღაშენა ბანა კელითა გურიკე (კაე) ბანელისათა, რომელი იგი ქმნა ჰირველ ეპისკოპოზ ბანელ. და მამიკალი სუმბატ არტანუჯელი, ქე აღდარნასესი, მისა აშოტ დიდისა, გარდა-იცვალა ქორონიკონსა რთ.

და დაუტევა ძენი ორნი — ბაგრატ მამთავლი არტანუჯელი [და დავით მამთავლი] ³⁾. და სიცოცხლესავე შინა სუმბატ არტანუჯელისასა, მოისრა ნასრ და ქუეყანა ნასრისი დაიჰურეს სსუათა ამათ მთავართა ⁴⁾. სოლო გურგენ გურნატჰაღლატი წარვიდა ⁵⁾ ტაოთ კაღმა-ნით, მამულით თჳსით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს და ამისსა შემდგომად შეიმტერნეს ურთიერთს და შეკრიბეს დაშქარი ერთმანერთსა ზედა. ერთ კერძო გურგენ

¹⁾ თ. ვარ.: კეკსა შინა სამცხისასა.

²⁾ თ. ვარ.: სოფელსა, რომელსა ეწოდების ასპინძა.

³⁾ თ. ვარ.: და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ მამთავლი და დავით მამთავლი.

⁴⁾ თ. ვარ.: და სიცოცხლესავე შინა სუმბატ არტანუჯელისასა, ოდეს ნასრი მოიკლა, ქუეყანა მისი სსუათა მთავართა შეიპურეს.

⁵⁾ თ. ვარ.: წარმოვიდა.

კურატპალატმან და ერთა მისთა, მეორე კერძ¹⁾ ადარონასე, ქართველთა მეფემან, და ბაგრატი არტანუჯუელმან. მოვიდეს ესენი კეკესა არტანისსა, სოფელსა მგლინავსა²⁾, და ჭმრძოლეს ერთმანერთსა, და მეოტ იქმნა გურგენ კურატპალატი, [წუელეს და შეიპურეს და მოკუდა] წყლულებითა მისითა [გურგენ კურატპალატი], ძე ადარნასესი, მისა აშოტ დიდისა, ქორონიკონსა რიხ. და დაუტევენა ორნი ძენი: ადარნასე [და აშოტ] ერისთავთა ერისთავი³⁾, შემდგომად გურგენ მამისა თჳსისა, კურატპალატისა, გარდაიგვალა ქორონიკონსა რივ, და დაუტევენა ორნი ძენი მცირენი: დავით ერისთავთა ერისთავი, [და] გურგენ, რომელი შემდგომად მეჩუ⁴⁾ დიდი ერისთავთა⁵⁾ ერისთავი იყო. და გარდაიგვალა ბაგრატი მამფალი არტანუჯუელი, ძე სუმბატისი, ქორონიკონსა რეთ, თუესა აპრიდს კ, დღესა ადვსებისა, და დაუტევენა ძენი ოთხნი: ადარნასე, რომელი იგი მონაზონ იქმნა, და ბასილიი სასელ იღვა მას⁶⁾, გურგენ ერისთავი, აშოტ და დავით. გარდაიგვალა დავით ერისთავი, ძე ბაგრატი არტანუჯუელისა, მამფალისა (მამეფუელისა), ადარნასეს ძე

1) თ. ვარ: კერძოსა.

2) თ. ვარ.: მგლინავს.

3) თ. ვარ.: და დაუტევენა ორნი ძენი, ადარნასე და აშოტ, რომელიცა შემდგომად ერისთავთა ერისთავად დასკეს.

4) დედანში სწერია „მეძმე“.

5) თ. ვარ.: ერისთავთ.

6) თ. ვარ.: იგ სიტყვა არ არის.

სა გურგენ კურატპალატისა, ძმა დიდისა გურგენისი, ქორონიკონსა რკს, და არა დაუტევა შვილი. აშოტ ერისთავთა ერისთავმან, ძემან გურგენ კურატპალატისამან, რომელსა ეწოდა კუნი, — აღაშენა ტბეთი შავშეთს, და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ებისკოპოსად სანატრელი სტეფანე, უწყებითა სულისა წმიდისათა. და გარდაიცვალა ესე აშოტ კუნი ქორონიკონსა რდს, და არა ესუა შვილი. და ამისსა შემდგომად გურგენ, ძმის-წული მისი, ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთა ერისთავად. გარდაიცვალა დავით, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორონიკონსა რმბ, და დაუტევა ძე მუცელსა შინა ცოლისა თხსისასა, რომელსა იგი ეწოდა ¹⁾ ბაკრატ. გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქორონიკონსა რმგ, და დაუტევნა ძენი ოთხნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თხსისა ²⁾ ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურატპალატი და ბაგრატ მაგისტროსი, და სუმბატ, რომელი მმათა შემდგომად კურატპალატად დასუეს. გარდაიცვალა [გურგენ] ერისთავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორონიკონსა რმგ, მასვე წელსა შინა, რომელსა შინა ქართველთა მეფე ადარნასე მიიცვალა, და დაუტევა ძმან ძე გურგენ ³⁾ მუცელსა შინა ცოლისასა თხსისა, რომელსა ეწო-

1) თ. ვარ.: სიტყვა „იგი“ არ არის და ეწოდას მაგიერ არის — ეწოდებოდა.

2) თ. ვარ.: რომელი შემდგომად სიყუდილისა მამისა.

3) თ. ვარ.-ში ეგ სიტყვა არ არის.

და გურგენც, სასული მამისა თჳსისა ¹⁾). გარდაიცვალა დავით ქართველთა მეფე, ქე ადარნასე მეფისა ქართველთასა ²⁾, ქორონიგონსა რნზ, და აწა ესუა ქე. გარდაიცვალა ამოტ, ქე ბაგრაუტ არტანუჯელისა, ქორონიგონსა რნთ, თუესა ივნისსა, და აწა ესუა ქე. გარდაიცვალა გურგენ დიდი, ერისთავთა ერისთავი, ქე ადარნასესი, რომელმან უმეტესნი სიმკენნი და ბრძოლანი ქმნა ყოველთა (ყოველნი) მამათა მისთასა, [და] დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი, ქორონიგონსა რაჲა, თუესა თებერვალსა იდ, აწა ესუა ქე. გარდაიცვალა მამფალი დავით, ქე სუმბატ არტანუჯელისა, მონაზნობასა შინა, ქორონიგონსა რაგ, თვესა თებერვალსა ოცსა, და დაუტევა ქე თჳსი სუმბატ, რომელიცა იგი დასუეს ერისთავთა ³⁾ ერისთავად.

გარდაიცვალა ბაგრაუტ მაგისტროსი, ქე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქორონიგონსა რაჲე, თვესა მარტსა, და დაუტევა ქე თჳსი ადარნასე, რომელი შემდგომად მამისა თჳსისა მაგისტროსი იქმნა, და შემდგომად მამის მათა გურატჳლასტი იქმნა. მასვე წელსა ბაგრაუტ მაგისტროსის გარდაცვალებისასა, ბასილი მონაზონი კლარჯი გარდაიცვალა, ქე ბაგრაუტ მამფელისა ⁴⁾). გარდაიცვალა

1) თ. ვარ.: მისისა.

2) თ. ვარ.: ში ეგ სიტყვა არ არის.

3) თ. ვარ.: ერისთავთ.

4) თ. ვარ.: მამფალისი.

ამოტ კურატპალატი (კურატპალატისა), მე ადარნასე
ქართველთა მეფისა, ქორონიკონსა რუფ ¹⁾, და არა
ესკა შვილი. და ამასვე წელსა ამოტ, მე სუმბა-
ტისი, გარდაიცვალა, და არა ესკა მე. და შემდგომად
ამოტ კურატპალატისა მძა მისი დასკეს კურატპალატად
—სუმბატ. და ესე სუმბატ კურატპალატი, მე ადარ-
ნასე ²⁾ ქართველთა მეფისა, გარდაიცვალა ქორონი-
კონსა რუფ ³⁾, და დაუტევნა მენი ორნი: ბაგრატ
ერისთავთ ერისთავი, რომელი ქართველთ მეფედ დასკეს
რეგუნი, და ადარნასე კურატპალატი. გარდაიცვალა მე
ბაგრატ მაგისტროსისა (არისროსი) ქორონიკონსა რუფ,
რომელი ესე მეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკვდა უნე-
ბლიეთ ფიჩითა (ფიჩთა) ⁴⁾, და დაუტევნა მენი: ბაგ-
რატ და დავით ერისთავთ ერისთავი. გარდაიცვალა ესე
ბაგრატ ერისთავთა ერისთავი, მე ადარნასე კურატ-
პალატისა, ქორონიკონსა რუფ. სოლო მძა (მემა) მისი
დავით კურატპალატი იქმნა დიდათ.

გარდაიცვალა გურგენ, მე გურგენის ძისა—ბაგ-
რატ მამფლისა ქორონიკონსა რუფ. გარდაიცვალა
ადარნასე, მე სუმბატ კურატპალატისა, მძა ბაგრატ
რეგუნისა, ქორონიკონსა სკ, და დაუტევნა მე—

1) თ. ვარ.: როდ.

2) თ. ვარ.: ადარნასესი.

3) თ. ვარ.: როფ.

4) თ. ვარ. უმატებს: მოსილი.

დავით მცირე. გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთა ერის-
თავი, კაცი მართალი, მე დავით (დავით მე) მამულისა,
არტანუჯელი, ქორონიკონსა სს, და დაუტევნა მე-
ნი. ორნი: დავით და ბაგრატ. და შემდგომად მიტვა-
ლებისა მისისა, დღესა მეორმოცესა, გარდაიცვალა მე
მისი—ბაგრატ, და დაუტევნა ძენი ორნი: სუმბატ
და გურგენ. გარდაიცვალა სუმბატ, მე ბაგრატ
რეგუნისა, ქართველთა მეუისა, ქორონიკონსა სიბ,
და არა ესუა შვილი. გარდაიცვალა დავით, მე სუმ-
ბატ ერისთავთა ერისთავისა, დიდებულისა (შიდებულისა),
კაცისა მართლისა ¹⁾. და გარდაიცვალა ბაგრატ რეგუე-
ნი, ქართველთა მეფე, მე კურთსეულისა სუმბატ კუ-
რატპალატისა ქორონიკონსა სიდ, და დაუტევა მე
თავსი უსუცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა ²⁾
მეფე. და ამას გურგენს ესვა ბაგრატ, დედით
(დედით ბაგრატ) აფხაზთა მეუისი დის-წული, დემე-
ტრესი და თევდოსესი. კიდრე გურგენის გამე-
ფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს ³⁾, და ამის-
თავს გურგენს მეფეთ მეფობა [ეწოდა] ⁴⁾.

¹⁾ თ. ვარ. ში ამ სამი სიტყვის მაგიერ სწერია: კაცი მართალი.

²⁾ თ. ვარ.: მეფეთ.

³⁾ თ. ვარ.: აფხაზთა.

⁴⁾ მთელი ეს მოთხრობა „და იყვენ ძენი“-დგან დაწყებული (ნ. გვ. 55) ვიდრე აქამომდე თლათ: არის შეტანილი თეიმურაზის ვარიანტში (ნ. ქ. ცხ. გვ. 198—200).

გარდაიცვალა დავით დიდი კურატპალატი, ძე ადარ-
ნასე კურატპალატისა, ქორონიკონსა სკა, და არა ესუა
ძე, და აოკრდა [იმიერ ტაო]. იმართოა და გამოვიდა ბასი-
ლი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ცისენი აზნაურთა
ამა დავითისთა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული
დავით კურატპალატისა, და მივიდეს მის წინაშე ბაგრატი,
აფსაზთა მეფე, [და] მამა მისი [გურგენ], და მოსცა მას
ბასილი მეფემან პატივი: გურგენს მაგისტროსობა,
და ბაგრატს კურატპალატობა, რათამცა ვითარ მტერ
ყუნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და მით ღო-
ნითა: იმძაცვა (იმძაცვა). ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და
მართალი ¹⁾ იყო, და კერა აღზრა (აზრა) გული მისი
ზაკვითა ამით მიზეზითა, და კერა უძლო ²⁾ ღონის ძიებითა.

გარდაიცვალა ესე გურგენ მეფეთ მეფე, ძე ბაგ-
რატი ქართველთა მეფისა ³⁾, ქორონიკონსა სკა, და
დაუტყვა ძე ესე თჳსი, ბაგრატი, აფსაზთა მეფე,
კურატპალატი დიდი, და ეუფლა ტაოს, მამულსა
თჳსსა, და დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთ-მპყრო-
ბლობითა ჯიქეთიდან ვიდრე გორანგეთამდე ⁴⁾.
ხოლო ⁵⁾ აღ რბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო

¹⁾ ქ. ცხ.: წრფელი

²⁾ ქ. ცხ.: უმატებს: ვერას.

³⁾ ქ. ცხ.: გარდაიცვალა ესე გურგენ მეფეთ მეფე,
მამა ამის ბაგრატი მეფისა, და ძე ბაგრატი მეფე რეგუ-
ნისა (ქ. ცხ. გ. 210).

⁴⁾ ქ. ცხ.: გურგენამდე.

⁵⁾ ქ. ცხ.: და.



სომხითის კელმწიფობითა ¹⁾. ნებეურად (ნებეურარ) განა-
გებდა ²⁾, მეფე სპარსთა თჳს ³⁾ მეგობრად და ერთგულ
ყო სომხითა და ძლიერებითა თჳსითა უფროს სსლექველ-
თა თჳსთასა, და რამეთუ ⁴⁾ ბერძენთ მეფესაცა შიში
აქუნდა ამის ყოკლადვე. და ამან ბაგრატ კურატპა-
ლატმან მოიყუნა კლარჯნი ⁵⁾ კელმწიფენი—სუმ-
ბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი,
თჳსნი მამის დის-წულისანი ⁶⁾, დარბაზობად მის წინაშე,
ცისესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა
იგინი, და აღისუნა ქუეყანანი ⁷⁾ და ცისენი მათნი, რამეთუ
იგინი ჰატიმარ ეუნა ცისესა შიგა თმოგვისასა, და მუნ
ცისესა შინა თმოგვისასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუ-
ჯელი ქორონიგონსა სდღა. და ეგრეთვე მასვე წელსა
შინა გურგენცა გარდაიცვალა, მის სუმბატისნი, ქორო-
ნიგონსა სდღბ ⁸⁾, სოლო შეიღნი მათნი ⁹⁾ წარვიდეს
კოსტანტინეპოლედ—მე სუმბატისნი ბაგრატ, და მე

¹⁾ ქ. ცხ.: კელმწიფობით.

²⁾ ქ. ცხოვრებაში ეგ ორი სიტყვა არ არის.

³⁾ უნდა აყოს: მეფე სპარსთა თავის.

⁴⁾ ქ. ცხ-ში ეს სიტყვა არ არის (ნ. ქ. ცხ. გ. 212).

⁵⁾ ქ. ცხ.: კლარჯთა.

⁶⁾ ეგ საღი სიტყვა ქ. ცხ-ში არ არის.

⁷⁾ ქ. ცხ.: ქალაქნი.

⁸⁾ ქ. ცხ-ში ამ ფრაზის მაგიერ, „და მუნ“-დგან დაწყე-
ბული, ვკითხულობთ: და მუნ ცინესა შინა გარდაიცვალნეს სუმ-
ბატ და გურგენ (ნ. ქ. ცხ. გვ. 213).

⁹⁾ ქ. ცხ.: მათნი.

გურგენის დემეტრე — ბასილი ¹⁾ მეფის წინაშე, და მათნივე შვილნი, კლარჯთა მეფეთანი, რომელ დაშ-
თეს ამათ ²⁾ ქუეყანას, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა
პატიმრობასა შინა.

ამისს შემდგომად მოკლო ბაგრატ ყოველი სამეფო-
თჳსი — აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, — მოვიდა და
დაიზამთრა კევთა ტახსათა, და მოჩაიწია ზაფსული, მო-
ვიდა მასვე ცისეს ფანასკერტისის წელსა მესამეს და
მუნ შინა გარდაიცვალა ესე ბაგრატ ქორონიკონსა
სდოდ, თჳესა მამისა ზ, დღესა პარასკევსა, და დაუ-
ტეკა მე თჳსი გიორგი. და დაჴდა იგი მეფედ წლი-
სა იმ. ხოლო დაჴდა [რა] ესე გიორგი მეფედ, გან-
დგა ამას ქუეყანას ჰერეთ-კახეთისა და დადრობითა აზნაურ-
თათა (აზნაურთათა) შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი მათ
ქუეყნად, გუაზადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა
პირველ აქუნდა იგი.

და ამისა გიორგის მეფობისა მეშვიდესა წელსა ³⁾
გამოვიდა ბასილი, ბერძესთა მეფე, ამის გიორგის ⁴⁾

¹⁾ ქ. ცხ.: ვასილი. ეგ სიტყვა სუ მბატის ისტო-
რიაში ყოველთვის ბასილად არის ნახმარები და ქ. ცხ-ში
ვასილად. ჩვენ სხვებ შენიშვნებში აღარ გავიმეორებთ ქ ცხ-ის
განსხვავებას.

²⁾ ქ. ცხ.: ანა.

³⁾ ქ. ცხ.: ხოლო მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისა
(ქ. ცხ. გვ. 214).

⁴⁾ ქ. ცხ.: ამა გიორგი

მეფესა ზედა ¹⁾. ხალხ ესე გიორგი განვიდა ლაშქრითა დიდითა ²⁾, და დაიხანაკეს ქუეყანასა ბასიანისისა ორთავე მწავალ დღე, და არა მივიდეს ბრძოლად ერთმანერთსა ზედა, არამედ მოერიდა გიორგი ³⁾ და მოვიდა (მოვიდა), და დაწუა ქალაქი ოლთისი, გამოუდგა კუალსა, და მოუდგა უკანა მეფე ბერძენთა, და შეკრბეს რა უკანა მკალნი გიორგისნი, და წინა მკალნი ბასილიისნი ლაშქარნი, იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა შინა ⁴⁾, რომელსა ეწოდების შირიძთა, და მწავლად მოისრნეს ორკეძოვე, და მოიყლნეს მუნ დიდნი ერისთავნი ⁵⁾: რატი, ძე დიპარიტიისი, და ხურსი. და ვითარცა მოესმა კმა ომისა გიორგი მეფესა, აღბრუნეს, განვიდეს და მოვიდეს ადგილსა მას, სადა იუუნეს ბრძოლად, და მოვიდა მუნ ბასილი მეფეცა სპითა დიდითა, და შეკრბეს იგინი იმიერ და აშიერ, და იქმნა მუნ ბრძოლა დიდი, და მოისრნეს მუნ ბერძენნი დიდნი და ფრიადნი, და წარმოიღეს გიორგისთა (გისთა) ავარი, და ესომ განდიდნა ბრძოლა იგი, რომელ სივლტოლა ეგულუბოდა ბასილი მეფესა, განნა გიორგისნივე სულ მოკლე იქმნეს, რამეთუ მორიდეს და წარმოვიდეს. ხალხ ბასილი უკანა წარმოუდგა და

¹⁾ ქ. ცხ. უმატებს: ყოვლითა სპითა, საბერძნეთით, და უცხო თესლითა ურიცხვითა.

²⁾ ქ. ცხ. უმატებს: წინააღდგომად მისსა.

³⁾ ქ. ცხ.: და მორიდა გიორგი მეფემან.

⁴⁾ ქ. ცხ.: მას.

⁵⁾ ქ. ცხ. უმატებს: გეორგი მეფისანი.

მოვიდა ¹⁾ არტანს, და დაწუა იგი ²⁾, და რომელი ჰოვა ტყუი უო. სოლო გიორგი წარვიდა ნიგაღლით (ნიდაღლით) გერძო სამცხედ, და მოუდგა ³⁾ მას უკანა ბასილი ჭავასეთით გერძო, და მოაოკრა .უოკელიეკე, გარდავიდა გიორგი თრიალეთად (თრიალეთად) და მოაღვა ბასილიცა თრიალეთადეკე (თრიალეთადეკე), და რა ეასლნეს ერთმანერთსა, კუაღად განძლიერდა გიორგი ლაშქრითა, რამეთუ მოიუყანა წანარნი და შაქნი, სოლო იხილა რა ესე ბასილი, შეიქცა თრიალეთით და უკუ-მოკლო ჭავასეთი და არტანი დღეთა შინა სამთრისათა, და კუაღად უბოროტეს ადრე ⁴⁾ მოაკრა, და წარვიდა, და იწამითა ⁵⁾ ქუეყანასა ხაფადასა ⁶⁾, ქალაქსა ⁷⁾ ტრანპიზონთასა (ტრანპიტონისას). და ვიდოდეს ⁸⁾ მოციქულნი ორთავე ამათ

¹⁾ ქ. ცხ.: სოლო ვასილი ნეთე წარმოუდგა უკანა და დაკოცნეს ურიცხვნი პირითა მახვლისათა, მოუწია ლაშქარმან (ქ. ცხ. გვ. 214).

²⁾ ქ. ცხ. უმატებს: და მოაოკრეს არტანი. შეგრელიის ვარიანტში როგორც ეს, ეგრეთვე ზემო შენიშვნაში მოყვანილი ფრაზა არ არის, და ტექსტი სრულიად ეთანხმება სემბატის ინტორიის ტექსტს.

³⁾ ქ. ცხ.: მიუდგა.

⁴⁾ ქ. ცხ.: უბოროტესადრე, თეიმურაზის ვარიანტი: უბოროტესად ადრე (ქ. ცხ. გვ. 215).

⁵⁾ ქ. ცხ.: დაიწამითა.

⁶⁾ ქ. ცხ.: ხაფადასა.

⁷⁾ ქ. ცხ.: მანლობლად ქალაქსა.

⁸⁾ ქ. ცხ.-ბა უმატებს: მათ შორის.

მეფეთანი ზავისათჳს ¹⁾ ერთმანერთისა წინაჲ მშვიდობისა ²⁾. სოლო იქმნა აჲსა აჲსა შინა განდგომილება დიდი საბერძნეთს, რამეთუ შეერთნეს ³⁾ ბასილიის ⁴⁾ სპას-პეტო და წარვიზი, ძე თოკას განდგომილისა, და მეფე იქმნა ქსიფენი ⁵⁾, და მიიღგინეს მათ ყოველი აღმოსავლით ⁶⁾ კერძი ქუეყანა. სოლო ღმერთმან ბასილს დიდად შეშინებულსავე პატრიკ-სცა, რამეთუ განუდგა (განდეს) ქსიფენ წარვიზს, ყოველნივე ერთი მისად მიმდგომელნი შეიცვეს ცისესა შინა, შეიპყრეს და ბასილიის წინაჲ წარმოგზავნეს, და მან ექსორია ყო იგი კუნძულსა შინა, და მიმდგომთა მისთა მზავალთა თავი მოჭკუეთა, რომელთა თანა იყო თერის, ჯოჯიკის ძე ქართუელი ⁷⁾.

¹⁾ ქ. ცნ.: ზავისა.

²⁾ ქ. ცნ.-ბა: და მშვიდობისათჳს.

³⁾ ქ. ცნ.: შეიერთნეს.

⁴⁾ ქ. ცნ.: ბასილიის მეფის.

⁵⁾ ქ. ცნ.: ქსიფენ.

⁶⁾ ქ. ცნ.: აღმოსავლეთითა.

⁷⁾ ქ. ცნოვრებაში ეს ამბავი ესრეა მოთხრობილი: „რამეთუ განუდგა ქსიფენს წარვიზი და ყოველნივე ერთი მისად მიმდგომელნი, და მოკლეს წარვიზი ქსიფენ და გადგეს რომელი ჩირთულ იყუნეს. სოლო ქსიფეს მიეგო ცრუობა წარვიზისა (მეგრელიის ვარიანტით: წარვიზს მიეგო ცრუობა ქსიფენისა), რამეთუ შეიტყუეს ცინესა ყოველნი ერთი მისად მიმდგომელნი, შეიცვეს ცინესა შინა და დასაძანოსთა (მეგრ. ვარ.: დადასაძანოსთა) სისხლისათჳს თოკასს ძასა, შეიპყრეს და წარმოგზავნეს წინაჲ და მოგვარეს განსილი მეფესა,

და კუალად შემოიქცა ბასილი მეთეუ, და მოვიდა
ბასიანს, და ითხოვდა იგი გიორგი მეფისაგან ციხე ქვე-
ყანათა ¹⁾, და აღუთქმიდა ზავსა და მშვიდობასა. სო-
ლო ²⁾ გიორგი მეფემან განაუღინა ზვიადი ლაშქრითა დი-
დითა უწინარეს თჳსსა ³⁾. და დაილაშქრა ზვიადმანცა ამიერ,
კიდეს ბასიანისასა, რეცა ზამთრის სასეჲდ. სოლო თჳთ
გიორგი მეფე უკანა ისრე ⁴⁾ განვიდა ზავად წადიერი ⁵⁾
ლაშქრითა დიდითა და ძლიერითა, გარნა ორკერძოვე მსა-
კუარნი არა მიეშენეს ⁶⁾ გიორგის (გიორის) ყოფად
ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშვიდობა, არამედ აწრასეს
მას ბრძოლად, იწვიეს (იწუეს) იგი ბასილის ზედა, რა-
მელი იგი ზავად და მშვიდობად ჰკონებდა ⁷⁾ მისულასა

და მან ექსორია ყო იგი კუნძულსა რასზე, და მიმდგომთა მისთა-
ნათა მრავალთა მოჰყვეთა რაგი მახვილითა, რომელთა თანა იყო
ფერიზ, ძე ჯოჯიკისა, ხათესავით ტაოელი, და სხვანი
იყვნენ ბერძენნი" (ნ. ქ. ცხ. გვ. 215).

¹⁾ ქ. ცხ.: ქვეყანათა და ციხეთა.

²⁾ ქ. ცხ.: სცნა რა ესე.

³⁾ წარავლინა ზვიადი ერისთავი (მეგრ. ვარ.: გიორ-
გი ერისთავი) სპითა მისითა და ლაშქრითა დიდითა, უწინარეს
თჳსსა, და უბრძანა, რათა ზავისა მიპყრობითა მცირედ ხან დ.მ.
ჭირვად აღვილისა.

⁴⁾ ქ. ცხ.: სოლო თჳთ გიორგი მეფე წარუდგა უკანა
სპითა ძლიერითა.

⁵⁾ ქ. ცხ.-ში არ არის ეგ სიტყვა.

⁶⁾ ქ. ცხ.: მზაკუარნი იგი აზნაურნი არა მიეშენეს.

⁷⁾ ქ. ცხ.: ჰკონებდეს.

მათსა და ჭკონებდა 1) და მოელოდა. სოლო გიორგისთა იწუეს ბრძოლად, და აოტეს ზოგი ბასრიის ლაშქრისა. მამინ უბრძანა ბასრილი მეფემან დამოკიდება წუერსა ჭკროლისასა წერილი მათი (და წუერილით მათ), რომელნი მისად დაეწერეს გიორგი მეფისა ჩუენისა სიმტკიცისა და ძლევისანი. 2). და ესრეთ ბასრილი მეფემან ჭკროლისა წუერითა ამართნა ივინი, მიუპურა დმერთსა და თქვა: „იხილე, უფალო, წერილი ესე მათი, [და] საქმე რომელსა აწ იქმან“ 3). და კუალად მოილო ბასრილი მეფემან ძელი ცხორებისა მანდილითა წმიდითა, და დასცა იგი ქუეყანასა ზედა, და თქვა: ესრეთ, ვითარმედ „უგუეთუ მიმცე მე გელთა მტერთასა არღარა თაყუანის გცე 4) უკუნისამდე“. და ვითარ ესე უოდა თქვა, მის მსვე უამსა იძლიენეს და მეოტ იქმნეს სპანი გიორგისანი, რომელნი იგი პირველ მივიდეს. და გამოვიდეს მიერ კერძო ტადმანი მეფისანი 5), რუსნი, და არა განერა ერთიცა პირველ მოსრულთა მათ, თჯნიერ მტირეთასა, რამეთუ თჯთ მეფე გიორგი და უძლიერესი 6) ლაშქარი მისი არღარა მოსრულ იყო ჟერეთ უოკლადკე. და მოიკლნეს მათგანი მას დღესა შინა, რომელთაცა იგი-

1) ქ. ცხ.-ში: ეგ სიტყვა არ არის.

2) ქ. ცხ.: დაეწერნეს გიორგი მეფესა, სიმტკიცისა და ზაგისანი (ქ. ცხ. გვ. 216).

3) ქ. ცხ.: და საქმე, რომელ აწ იქმან.

4) ქ. ცხ.: თაყუანის გცე შენ.

5) ქ. ცხ.: მეფისა.

6) ქ. ცხ.: უძრაგლესი.

მშვიდობის ყოფა [აწა ენებათ], და მეოტ იქმნეს ყოველნი, და მოისრნენ ურიცხვნი ჰიროთა მასვილისათა, და რომელნიმე მეოტ იქმნეს ¹⁾. წარიდეს ბერძენთა ავარი დიდ ძალი და განძი სამეფო ყოველი სრულიად, რომელი აქუნდა ²⁾. და წარმოიძრა მცირედ ბასილი მეფე ³⁾, და მოუდგა უკანა ⁴⁾, და კუალად იწყო ⁵⁾ ზავად და მშვიდობად ჰირეკლისაგებრვე, რამეთუ შიში აქუნდა საბერძნეთით კუალადცა განდგომილებითა ⁶⁾ და უუკს მასინ მშვიდობა, და დაიზავნეს ⁷⁾. გიორგი მეფემან მძევლად [მისცა] მე თუსი ბაგრატი, სამისა წლისა, ყრმა ჩვილი, და მისცა ცინე ათორმეტი ⁸⁾, და ქუეყანანი დავით კუჩატპალატისანი, ნაქონები ტაოს, ბასიანს და ჯავახეთს, შავშეთს. და ესრეთ წარვიდა ბერძენთა მეფე ბასილი, და თანა წარიტანა ბაგრატი, ყრმა მცირე. და შემდგომად სამისა წლისა შივე (შავე) წარმოგზავნეს: აღუთქვა გიორგის ბაგრატიისი [წარმოგზავნა], გარდახდეს რა სამნი წელნი ⁹⁾, მასინ

1) ქ. ცხ.: რომელნიმე ტყვე იქმნეს, რომელნიმე მეოტ.

2) ქ. ცხ.: რაოდენი აქუნდათ ქართველთა მათ.

3) ქ. ცხ.: მეფე ბერძენთა.

4) ქ. ცხ.-ბა უმატებს: მეფესა გიორგის.

5) ქ. ცხ.: იწყეს.

6) ქ. ცხ.: რამეთუ შიში აქუნდა დიდი ბერძენთა განდგომისა საბერძნეთით (ქ. ცხ. გვ. 217).

7) ქ. ცხ.-ბა უმატებს: და მისცა.

8) ქ. ცხ. ათოთხმეტნი.

9) ქ. ცხ.: აღუთქვა ფიცითა აღოქმა, ვითარმედ „წელსა მე სამესა გამოგიგზავნო მე შენი“.

წარმოგზავნა ბასილი მეფემან ქალაქით ქოსტანტინეპო-
ლით ბაგრატ, მე გიორგისი, ვითარცა იგი აღუთქუა-
და მოიწია ბაგრატ ტაოს, და შემოვიდა თუსსა მამულსა
ბანასთანა, მოყოლითა მისად კატაბანისა აღმოსავლისთა
ზღუარამდე ბაგრატის მამულისა ¹⁾).

სოლო შერაქცა კატაბანი იგი, მოემთხუენეს მას
მანდატურნი წიგნითა ესრეთ წერილითა, ვითარმედ „მიი-
ცვალა ბასილი მეფე, მმა ჩემი, და ვიქმნა ²⁾ მე მეფე
ყოვლისა საბერძნეთისა, და აწ სადაცაღა მიწევნულ იუოს
საკელმწიფოსა შესსა ³⁾ მე გიორგისი ბაგრატ გა-
რეკე-აქციე იგი სწრაფით, და წინაშე ჩუენსა მოგზავნე“.
და ვითარცა აღმოიკითხა კატაბანმან, მსწრაფელ მოიქცა
და დევნა უყო ბაგრატს, გარსა ვერ ეწია. მას, რამეთუ
თუსსა მამულსა შემოსრულ იყო იგი და განძლიერებულ
დაშქრითა, რომლისა ზრმოლად ვერღარ ეძლო კატაბანსა
(კაპატანსა) მას, არამედ გარე-უგუნ იქცა და წარვიდა. ეჭა
დიდი საკურველი მოწყალეობა ღვთისა, ვითარცა განუკრა მარ-
თალი კელთაგან შემზურობელთა და მტერთა მისთასა ქო-
რონიკონსა სმე ⁴⁾).

¹⁾ ქ. ცხ.: სოლო რაჟანს მოაწიენეს ტაოს, შემოვიდა მა-
მულსა თუსსა ბანას, და სამეფოსა თუსსა, მოჰყუა თანა კატა-
ბანი აღმოსავლისა ვიდრე საზღუართამდე მამულისა თუსისა.

²⁾ ქ. ცხ. ვიქმნა.

³⁾ ქ. ცხ.: ჩუენსა.

⁴⁾ ეს ამავე ქ. ცხ.-ში უფრო ვრცლათ არის მოთხრობილი
(იხ. ქ. ცხ. გვ. 217—218).

და მოვიდა ბაგრატი წინაშე მამის თვისისა, გიორგი მეფისა, და დედის თვისისა, მარიაჲ დედოფლისა, (დოფლისა) ჭლას მათსა ქუთათის, და ესრეთ შეკრბეს ივინი მშვიდობით, და მისცეს დიდება და მადლობა ღმერთსა მომადლებისათჳს მათდა ესე კითარისა მის კეთილისა. და შემდგომად ამისსა რა გარდაჰკედეს წელნი ორნი, გარდაიცვალა გიორგი, მამა ამის ბაგრატიანი, თრიალეთს, ადგილსა მას, რომელსა ეწოდების მუინვარნი ¹⁾, ქორიანიკონსა სიზ, თუესა აგვისტოსა ივ, და დამარსეს იგი ქუთათის. და დაჴდა შემდგომად მისსა მეფედ მე მისი ბაგრატი, ცსრისა წლისა. სოლო აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს. ვარე კარიჭის (კარგის) მე და ბანელი ეპისკოპოსი [იოანე], და ამათანა უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა ²⁾, რომელნიმე ცისეთა ³⁾ და რომელნიმე უცისონი განუდგეს ბაგრატს, და მიერთნეს კოსტანტინეს, მმასა ბასილი ბერძენთა მეფისსა, რომელ შემდგომად მისსა მეფედ იყო. და წელსა მეორესა ⁴⁾ გამოგზავნა კოსტანტი მეფემან პარკიმანოსი ⁵⁾ თჳსი მიუწოდელისა ძალითა, დაშქრითა თჳსისათა, და განძითა ურიცხვითა. ყოვლად უძლიერესად ბასილი მეფე-

1) ქ. ცნ-ბა უმატებს: გინა იწრონი (თ. ვარ.: ვირონი).

2) ქ. ცნ.: და მათთანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა.

3) ქ. ცნ.: ციხოვანნი.

4) ქ ცნ.: სოლო კოსტანტინე მეფემან მოქცევასა ოდენ წელიწდისასა და წელსა მესამესა.

5) ქ. ცნ.: პარკიმანოსი.

საცა მოკლო და მოაოკრა ქუეყანანი იგი, რომელნი პირ-
ველ მოეოხრნეს ქუეყანანი ბასაღლი მეფესა, და უმე-
ტესცა, რამეთუ მიიწია ესე თრიალეთს, ცისესა ქუე-
შე კადდე-კართასა, სადა იგი იუენეს მამინ აზნაურნი
ბაგრატისანი, და სძოლა უუეს, გარნა არა დიდად, და
განდგეს კუაღად აზნაურნი და მისცნეს ცისენი. ჩანჩან:-
მან (ჩანჩუსამან), ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ცისე
უეთისა ¹⁾, და თუთ წაჭვიდეს იგინი საბერძნეთს ²⁾.

ხოლო აღაშენა სიმაგრე საბა მტბეჯარ ებისკო-
პოსმან მანლობელად ტბეთის ეკლესიასა ³⁾ და სახელ
სდვა მას სვეტი, და შეკრიბა მამინ მან ერი თუსი, და
შევიდეს მას შინა თუთ საბა მტბეჯარ ⁴⁾ ებისკოპოსი,
და ეზრა, ანჩელ ებისკოპოსი, და შავშეთის აზნაურნი,
და განძლიერდა ⁵⁾ მას შინა. ხოლო მოაკლინა მუნ
პ. რკიმიანოსმან (პარკინამოსმან) იოვანე ხალტვი-
რადი ⁶⁾, სახელით ვაფანგ, ლაშქრითა დიდ ძალითა ⁷⁾,

¹⁾ ქ. ცხ.: წუფთისა.

²⁾ ქ. ცხ.: მასვე უამსა წარვიდა ჩანჩუსი ფალელი.
საბერძნეთს, მისცა ცისე გარულობისა (მეგ. ვარ.: გარ-
ულოფისა), მიერთო ბერძნთა, და არდეჯან, ფლოლის:
(მეგ. ვარ. ფოლოლის) ძემან, განსცა ბერძნთავე ცისე წუფთი-
სა (მეგ. ვარ.: წუფთისა)—(იხ. ქ. ცხ. გვ. 219).

³⁾ ქ. ცხ.: მანლობელად ტბეთისასა და ეკლესიისა სიმაგრე..

⁴⁾ თ. ვარ.: მტბეჯარი.

⁵⁾ თ. ვარ.: განძლიერდნენ.

⁶⁾ თ. ვარ.: ხალტულარი.

⁷⁾ თ. ვარ.: ლაშქრითა დიდითა.

და თანა მოსცა მას ძე გურგენ კლარჯისა ¹⁾ დემეტრე, რეცა შესატყუენელად ²⁾ ქუეყანისა მკუდრთა, რომელი ესე იქმნა ესრეთ, რამეთუ მიიქცეს ერნი, სოფელნი უგუნურ უსუსურნი ცნობითა და გონებითა, და გამოადგინეს ლაშქარნი სუეტსა-მას ტბეთისასა, და ჰპროდეს ძლიერად მრავალ ღონედ, და ღმერთმან განძლიერნა მეოთხნო იგი სუეტსა-მას შინა მადლითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა, და ლოცვიითა წმიდათა ამათ ძლუდელოთ მოძღუართა, და ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი ³⁾ მარტვილნი საღმთონი ⁴⁾ თავთა თუსთა სიკუდილად განსწირვიდეს, და კორციელთა უფალთათუს თავთა თუსთა განსწირვიდეს, და სისხლთა დასთხევედეს სიტყუსაებრ მოციქულნი ⁵⁾, და განძლიერდებოდეს. უოკელთავე ეტუოდეს, ვითარმედ „ნუმცა შეგვიტუებენ ⁶⁾ ჩუენ ღიქნანი ესე და საფასენი მსწრაფელ წარმავალნი, არამედ მოვიგოთ მადლი ერთგულებისა ⁷⁾ და გვირგვინი ასოვნებისა“, რამეთუ მხრობლნი იგი გარე მოდგომილნი მათდა ღიქნიდეს აღთქმითა და ქადაგებითა კეთილითა და საფასეთათა ⁸⁾. სოლო ესე ვითა-

1) დედანში სწერია: კლარჯსა.

2) თ. ვარ.: შესატყუენელად.

3) თ. ვარ.: ჭეშმარიტი.

4) თ. ვარ.ში ეს სიტყვა არ არის.

5) თ. ვარ.: მოციქულთასა.

6) თ. ვარ.: შეგვიტუებენ.

7) თ. ვარ.: ერთგულობისა.

8) ეს ადგილი სიტყუებოდაც „და შეკრიბა მაშინ მან“ (გვ.

თარად რა დღეგად აღტკისილად იგუეპეოდა აღმოსავლეთი მსწრთელ ეწია რისსუა უმსჯავროსა-მას მეფესა კოსტანტინეს, მსგავსადვე ივეიანეს უსჯუდოსა, უწყალოებისათჳს ბაგრატ მეფისა ჩუენისა, მოლოკრებისათჳს მამულისა მისისა, და მოსწრთელ მოუწერა პარტიმანოსსა პროდროსსა ¹⁾ თჳსსა; რათა მსწრთელ შაქტეს იგი ლაშქრითურთ თჳსით და მოვიდეს კოსტანტინეპოლედ. და წარვიდა იგი, ესმა რა ესე, და ვითარცა გარდაიცვალა ესე კოსტანტი მეფე, დაუტევა შემდგომად მისსა მეფობა რომანოზის ნათესავსა (ნათესავი), მიმდგომსავე თჳსსა ²⁾. ამისა შემდგომად წელსა მესამესა სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან ³⁾, შეიმოსა სიმენე და ასოვნება, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკთა (არბაგთა) ⁴⁾ და წარვიდა კოსტანტინეპოლედ. ⁵⁾ წინაშე (წინაშ) რომანოზ მეფისა კედრებად მისსა, რა-

76) ვიდრე აქამომდე სიტყვა სიტყვით არის შეტანილი თ. ვარ-შო (იხ. ქ. ცხ. გვ. 220, შენ. 2).

¹⁾ თ. ვარ.: პროდროსა.

²⁾ ქ. ცხ.: და ვიდრე მოვიდა (პარტიმანიოზი), მიიცვალა კოსტანტინე მეფე, და რა-ჟამს მიიცვალეობდა, დასვა სხვა მეფედ, სახელით რომანოზ, მიმდგომელი თჳსი, და შერთო ცოლად ასული თჳსი ზოია (ქ. ცხ. გვ. 220).

³⁾ ქ. ცხ.: დედა ბაგრატ აფნაზთა და ქართველთა მეფისა.

⁴⁾ ქ. ცხ.: არშაკუნინათა.

⁵⁾ ქ. ცხ.: საბერძნეთად კოსტანტინეპოლედ.

თა მშვიდობა ყოა აღმოსავლეთისათჳს ¹⁾, და რათა არღარ იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწუნარებულ (დაწინარებულ) და მუუდრო იყუნენ, და რათა მიუთხრეს ჰატივი შესა თჳსსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სასელისა ²⁾.

¹⁾ ქ. ცხ.: ვედრებად მისსა და ძიებად მშვიდობისა და ერთობისა, და ყოს აღმოსავლეთისათვის.

²⁾ ქ. ცხ.: და კვალად ძიებად ჰატივისა კურატპალატიონისა, ძისა თჳსისათჳს, ვითარცა არს ჩუეულებაჲ და წესი სახლისა მათისა, და მოყუანებისათჳს ძის ცოლისა (იხ. ქ. ცხ. გვ. 221).

მთელი ეს ნაწილი სუმბატის ისტორიისა სიტყვებიდგან „გარდაიცვალა დავით დიდი კურატპალატი“ (იხ. გვ. 65) ვიდრე აქამომდე ნაწყვეტ ნაწყვეტათ აქ იქ შეტანილი და შექსულია ქართლის ცხოვრების ტექსტში სხვა და სხვა ადგილს (იხ. ქ. ცხ. გვ. 209, 10, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21).



სტონიკა შესურნი დავითნისა

(ნაწევები)

. ია მთვარისასა .

დაიბადა თამარ აწვეურს აზრისა იმ, დღესა ჰარას-
კეკსა, დღისით ჟამსა ვ, მთვარესა დ, ჭკსა სმთ.

საბა დაიბადა აწვეურს, ჰატრონი იანქო—თთვესა
(თა) აზრისა კთ, დღესა ხუთშაბათსა, დღისით ჟამსა
მეექვსესა, ზ მთვარისასასა, ჭკსა სნა.

ქ. ჭკსა სნბ, იანვრისა ვ, დღესა სამშაბათსა, კზ
მთვარისასა, შეწევნითა ღვთისათა და წმიდის ნიკოლო-
ზისათა, ჰატრონმან უვარუვარე ქოწილი ჭნა ოდიშის და-
დაიანის ქალს მარენთანა¹⁾).

დაიბადნეს ბასილი და ბექაი-ჰავლე (ჰვლე) აგვი-
სტოსსა იბ, დღესა შაბათსა, დამით ჟამსა ბ, მთვარესა
ვ, ჭკსა სნბ, ცხის-ჯუარს.

ჭკსა სნგ, ივლისსა ზ, კვირას დღეს, მოიუუ[ანნეს].
ბატონი მარენ წყა[როს-თავს]. . .²⁾

¹⁾ ამ ამბავს ვინუშტიც ამბვე წელს მოიხსენიებს. (იხ. ვა-
ხუშტის ქორონიკონები, ქ. ცხ. ტ. II, გ. 244)

²⁾ ეს არშიაზეა დაწერილია და არშია წაჭრილია; და-
ნარჩენი სიტყვის ნაწილი, რომელიც ფრჩხილებშია, აკლია.

წამობრძანდა ჰატრონი ქაინოსროლ უახმინს შასთა-
მასს უკენს წინაშე, მარტს გ, დღესა ჰარასკეკესა, მკელ-ცი-
სიდამან, ქქსა სნს¹).

ჰატრონის მზეჭაბუკე, წლისა კბ-ისამან, იქორწინა და
მოიყვანა ასული როსტომ გურიელისა, ჰატრონი როდამ
სასელით, და ცხოვრებდა მისთანა ერთ წელ და ორ თუშ.
იანკარსა ია, დღესა ჰარასკეკესა, დღისით უამს კ, გარისს-
და ღმერთი მისის მშობლისათვის და ჰატრონი მზეჭაბუკე
მიიტვალა ამიერ სოფლით საუკუნეთა მათ განსასვენებელთა
(გნსსნებელთა), წლისა კკ-ისასა, ორი თუშ აკლდა სა-
ღთოთ საკაცობომდი (სღთოთ სკაცობომდი), ყოვლად
სრული და ზნე უკლები, სიურმითგან ღვთის მოყვარე და
ქრისტეს სარწმუნოებაზედა აღზრდილი, სრული მწიგნო-
ბარ-მგაღობელი და რიტორი, კმა-შუშნიერი, ენა-ტკბილი,
ეპკლესიათა და ღვთის-მოყვარულთა კაცთა ჰატრონის მცე-
მელი, სოლო იცოდეს სპარსული წიგნი და წერა, და ენა
თათრული, სპარსული და არაბული, ისღა მობურთაღ მოა-
სპარეზე, ქუეყანასა ზედა მისებრ არ გამოჩენილა, ქქსა
სა მიიტვალა²).

ქქსა სმს დაიბადა ჰატრონის არჩილის ვაჟი ჰერე-
კლე მარტს გკ, დღესა...³).

ვანუშტი ამ ფაქტს შესახებ სწერს: ქორონიკონსა სნგ
ყვარეუარემ მოიყვანა მარეხ სამცხეს (ibidem).

¹) ვანუშტიც ამავე ქორონიკონს უჩვენებს.

²) ვანუშტი მზეჭაბუკის მიცვალებას ამავე წელს უჩვენებს,
და ქორწილს როდამზე—სნთ წელს (ibidem).

³) ეს არ შიანზეა დაწერილი, რომელიც ამას იქით წაჭრილია.

დაიბადა ბატონის ვანტანგის ვაჟი — ბაგრატ, ივლისს ივ, დღეს ოთხშაბათსა, უძისა დღისასა, ქქსა სჲ 1).

